

119 /
1971 / 2

ბეჭდვა



114 /
2

3

16

1971

გნათობი

საქართველოს
საზოგადოებრივ-კულტურული

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-საზოგადოებრივი
და საზოგადოებრივ-კულტურული შტაბის

წელიწადი 47-ე

№ 3

მარტი, 1971 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი-კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის განკარგულებაში

შ ი ნ ა კ რ ს ი

აბაი გაფრთხილება — ამჟამინდელი ანუ სპეკულირების დილა მთაში, დოკუმენტური გაფრთხილება „შინაში“	3
ივანე თარგა — შუა ხვედრის ილმინაცია <i>ტ. შინა</i>	16
საზოგადოებრივი-კულტურული — ლექსები	71
გივი გიგინეიძე — ლექსები	73
ანდრო თევზაძე — მოკლე რომანი <i>ტ. შინა</i>	76
გურამ კახიანი — ლექსები	100
გურამ მანუჩიანი — მკვლელობის ბრძანება და უპასუხო	103

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გიორგი კალანდიაძე — ქართული პოეზია რევოლუციის აღმავლობის პე- რიოდში	137
ბა. სურგულაძე — 1917 წლის ნოემბერი საქართველოში	153
აბაი ირმაძე — ქართველები საზოგადოებრივი-კულტურული	161
რეზა სირაძე — „საქართველოს ქართველთა“ შეფუთვის მოხსენიება ქართულ მემკვიდრეობაში და მისი მნიშვნელობა	173
ალ. ფრთხილი — ქართული ზამთრული პოეზია სათავეებთან	182



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კომისია:

ირ. აბაშიძე, დ. ხანუშიანი, დ. ჯანაშიანი, მ. ლიპანიძე, ბ. შანიანი, ა. სულაბაძე, ა. თეთრთაძე, ე. შიშინი (პ/პ, მღვანე), ს. შანთაძე, დ. შინაბერიძე, ვ. წაღვიძარაძე, მ. შინაბერიძე, რ. ჯანაშიანი, ბ. ჯიბლაძე.

ტიქედექტორი რ. ნაძვალაძე

არქივის მისამართი: თბილისი,
არსთაველის ქროსკვეტი № 12.

ტელეფონები: არქიტორის — 98-55-11-
პ/პ, მღვანის — 98-55-12, განყოფილებე-
ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 2/1-71 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბუთებლად 25/111-71 წ., ინაწყოების ზომა
71/4 X 12, ქილაღის ფორმატი 70 X 108/16.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-საგამომცემლო
თაბაბი 18.

უც 01963. ტირაჟი 13.250. შეცვ. № 376.
საქ. კვ. ც-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.





ამხატი
ანუ

საქილის ღილა მთაში

დოკუმენტური ეპოზიდან „შამილი“

„ღრმა, როგორც ველურის ჭკუა“.
ხალხაყი

1

ახლოვდებოდა კავკასიის ომის გარდატეხის წელიწადი.

საჩაჩნოსა და დაღისტინის საბოლოო დაპყრობა ღუნიბის აღებამდე სამი წლით ადრე იყო დაგეგმილი.

1856 წელს კავკასიაში მეფისნაცვლად დაინიშნა გენერალ-ადუტანტი ბარიატინსკი, მთიელებთან ომში გამობრძმედილი ვეტერანი. იმპერატორის სრული ნდობით აღჭურვილი ეს სატრაპი განსაკუთრებული ჰკუთნებდა არბრწყინავდა. მდიდარი მემამულის, უზრუნველი ცხოვრებისაგან ნაადრევად მოყირკებული, ფუფუნების მოყვარული ამ სიბარიტის დასახასიათებლად პეტერბურგის ოფიცრობას მხოლოდ ერთი მთარული გამოთქმა ეკერა პირზე: დოღჩე ფარ ნიენტე! მაღალი და გამხდარი, ოღნავ ჭერა, თუმცა გაცრეცილი პირის კანიანი, თხელუღვაშებიანი, წარბებთან ჩაღრმავებული და ზემოთ ამობურცული შუბლით, თავადი ბარიატინსკი, ერთი შეხედვით, უფრო გაფანტული ყურადღებითა და აპათიური გუნე-

ბით იქცევდა ყურადღებას, ვიდრე რაიმე საქმისადმი ენებიანი დამოკიდებულებით. ივანე ალექსანდრეს ძე მუდამ თანაბარი ინტერესით შეპყურებდა მისი სარდლობის დროს საჩაჩნოში დანთებული ომის ხანძარსა თუ მეფისნაცვლობისას მდიდრული ავეჯით მორთულ, თბილისეული ბინის პოლანდიურ ლუმელში ავიზგიზებულ ცეცხლს. ბედისაგან განუბიერებელი ბარიატინსკი, ლამაზი, მაგრამ საკმაოდ ლიმფატიური ცოლის Lise-ს კაპრიზების უმაღლესმსრულებელი (ეს ქალი, დიმიტრი ორბელიანის ასული, ბარიატინსკიმ თავისავე ადუტანტს წაართვა), შინაგანად უკვე გამოფიტულ და უხალიოსო აღამიანად გამოიყურებოდა, ცხოვრებას, მგონი, წამიერ და უღიმღამო პაუზად მიიჩნევდა ორ წყვილადს შორის, აღამიანის ამ ჭვეყნად გაჩენასა და წუთისოფლიდან მის წასვლას შორის რომ მოიცავს. და როცა პირმოთნე ადუტანტებით გარემოცული ბარიატინსკი სავარძელში ჯდებოდა, მისი მკლავები მოცელილივით ეცემოდნენ სავარძლის სახელურებზე.

მაგრამ გენერალ ბარიატინსკის არსე-

1 სამფრი უსაქმრობა.

ბაში თვლემდა ერთადერთი ენი — სამხედრო ასპარეზისადმი ლტოლვა, როგორც თანდაყოლილ ფლეგმისაგან გამოფხიზლებების უებარი საშუალება. მეფისნაცვალ გულგრილი აღამიანი იყო. ფეხების მწვევე რევმატიზმი, რასაც ხმამაღლა არასოდეს უჩივოდა, უფრო აძლიერებდა ბარიატინსკის გულცივობას. იმპერატორმა იცოდა, ვისაც ავზავნიდა კავკასიაში მრავალწლიანი და სისხლისმღვრელი ომის დასამთავრებლად.

პეტერბურგიდან გადმოსულმა ბარიატინსკიმ გზად პირდაპირ დაღისტანში შეიარა და ევდოკიმოვთან და ორბელიანთან ერთად თემირ ხანშურაში შეიმუშავა საჩაჩნოსა და დაღისტინის დაპყრობის ვრცელი გეგმა. ევდოკიმოვს საჩაჩნოსაგან მურიდების საბოლოო გაწმენდა დაევალა, ორბელიანს — იმამ შამილის დასაყრდენ ციხე-სიმაგრეთა აღება დაღისტანში, ხოლო იმამად თბილისში მყოფ მელიქიშვილს თვითონ უბრძანებდა, კახეთიდან დაეწყო შეტევა ჩრდილოეთ დაღისტინის მისადგომებზე. ამრიგად, როცა სამხხრევი შეტევის შედეგად თავისუფალ მხარეთა რკალი თანდათან დავიწროვდებოდა, კავკასიის ომის აგონიაც გარდუვალი აღმოჩნდებოდა.

ბარიატინსკი თემირ-ხან-შურიდან თბილისს გამგზავრა და გენერლებიც შეუდგენენ უმაღლესი სარდლობის მითითებათა განხორციელებას. მეორე წელს ორბელიანმა აიღო ძლიერი სტრატეგიული პუნქტი სალათაუში — აული ბურთინა, საიდანაც ამიერიდან კასპის მხარეთა ჯარებს გზა ეხსნებოდათ; მელიქიშვილი დიდოეთსა და მეზობელ ტომთა სოფლებს არბევდა; 1858 წელს კი გენერალ-ლეიტენანტი ევდოკიმოვი შეუდგა საჩაჩნოს დარჩენილი, მთიანი ნაწილის დაპყრობას და უშუალოდ დაემუქრა შამილის რეზიდენციას ამ მხარეში — აულ ვედენოს. საჩაჩნოს რაზმს განზრახული ჰქონდა, ყოველმხრივ გადაე-

კეტა ვედენოსაგან მიმავალი გზები, რომ მთების მბრძანებელს გასაძვრენი ხერხელიც არ დარჩენოდა.

ასე დაიწყო გადამწყვეტი შეტევა საჩაჩნოზე.

2

ევდოკიმოვს მთიელები „უჩ-გაოზს“ ანუ სამთვალს ეძახდნენ მარჯვენა ლოყაზე ნატყვიარი ჭრილობის გამო. სიტყვაძვირი სარდალი, ნიკოლოზ ივანეს ძე, გარეგნულად მშვიდი და გულჩახვეული პიროვნება გახლდათ, იშვიათად თუ ნახავდით გულმოსულს. ხელქვეითი ოფიცრებისა ნაკლებად სჯეროდა. სატახტო ქალაქიდან კავკასიაში ჩამოსული და სამხედრო კარიერის მაძიებელი ოფიცრობა ქედმაღლურად შესცქეროდა სტავროპოლის გუბერნიის უბრალო აზნაურს. ამიტომ თავდაპირველი იყო, თუმცა საჭიროებისას ურჩთა დატუქსვაც იცოდა. მაღალ თანამდებობას საკუთარი ღირსების შეგნებით იყენებდა: მთლად ახლოს არავის იკარებდა და სახის გამყინავი გამომეტყველებით იგერიებდა მეტიჩარა აღუტანტებისა და პოლკოვნიკების ჩუმ ქირქილს. ისინი არც მოელოდნენ, რომ ერთი წლის შემდეგ ევდოკიმოვს გრაფის ტიტულს მიუბოძებდნენ და სარდალსა და მათ შორის არსებული წოდებრივი დისტანცია ხელში შემოადნებოდათ. ერთი სიტყვით, ევდოკიმოვი არავის ენდობოდა. საიდუმლო ბრძანებებს უაღრესად დაახლოვებულ პირს თუ გააცნობდა. გროზნოში იცოდნენ, რომ სარდლის განკარგულების ნამდვილ შინაარსს არც ერთი მთიელის ყურამდე არ უნდა მიეღწია. ძეხორციელი ვერ მიუხვდებოდა განზრახული საომარი ექსპედიციის მიმართულებას. კერძო ცხოვრებაშიაც მიუბაძველი ოსტატი იყო გაკვირვების, კმაყოფილებისა თუ უკმაყოფილების გულის სიღრმეში ღრმად დამარხვისა. უბრალო სალდათის გამბედაობას უფრო აფასებდა, ვიდრე რომელიმე ოფიცრის თავაზიანობით

1 ახლანდელი ქ. ბუინასკი.

შენიღბულ პირფერობას. და თუ ვინმე ხმას აუმაღლებდა უკმაყოფილებების გამოსახატავად, ევდოკიმოვი დღემილით მოუსმენდა მას, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს თავგასულ ოფიცერს ბოლკი უნდა დაეტოვებინა. უადგილოდ დარჩენილი მეტინარა ზოგჯერ ვერც მიმხვდარიყო თავისი კარიერის დასასრულის ნამდვილ მიზეზს. ევდოკიმოვის თავში ათასი მელიას ცბიერება დაეტოვდა. „მეორე ადამიანის გულწრფელობას სულელი თუ დააჩერებსო“, — ფიქრობდა ევდოკიმოვი. ეს აზრი მისი ცხოვრების ფილოსოფიის საფუძველი იყო...

სარდალმა ფართო მასშტაბით დაიწყო საომარი ოპერაციები. ევდოკიმოვის მთავარ მიზანს მდინარე არღუნის აუზის მთლიანი დაუფლება შეადგენდა. აუცილებელი იყო ხეობის ორსავე მხარეს აღმართული და უღრანი ტყეებით დაფარული მთების, პატარა და დიდი მწვერვალების აღება. ნაბიჯ-ნაბიჯ, ზოგჯერ თოფის გასროლის მანძილზე მდებარე სოფლების აოხრებით, სალდათების გამოუთქმელი ჯაფითა და მძიმე დაბრკოლებათა გადალახვით მიიწვედნენ ხეობის სიღრმეებისაკენ ევდოკიმოვის ბატალიონები.

ეს სამხედრო ექსპედიცია იანვრის შუა რიცხვებში დაიწყო.

სარდალი მთლად დარწმუნებული როდი გახლდათ უეჭველ წარმატებაში. სამთვალა მიაგავდა კარტის მოთამაშეს, რომელსაც აზარტის დემონი უკარნახებდა — ყველაფერი მოეგო ან ყველაფერი წაეგო. წარუმატებლობის შედეგად კი დაპკარავდა მრავალწლიან ომში მოპოვებულ სახელს, ბრწყინვალე კარიერას, დიდ ჯამაგირს და ისიც — სამუდამოდ; ევდოკიმოვს ხომ არავინ გამოეხარჩლებოდა სამეფო კარზე. ყოველივე ეს მას კარგად ესმოდა.

არღუნის ხეობას მთიელებისათვის მარტოოდენ სტრატეგიული მნიშვნელობა როდი ჰქონდა. დიდხნის წინათ დაპყრობილ საჩაჩნოს დაბლობის შემდეგ მდინარის ვიწრო ყელი კეტავდა

შიდა საჩაჩნოში მიმავალ გზას და საიმედოდ იცავდა შორეულყოფილებით მოფენილი მთების მასივს, ამ მხარეში მტერს არასოდეს დაუდგამს ფეხი.

და აი, ევდოკიმოვს ბედმა გაუღიმა და არღუნის ხეობა მის ხელთ აღმოჩნდა. ეს კი ამგვარად მოხდა.

ვოზდვიცენსკოედან ფარულად გამოსულმა ევდოკიმოვმა სწრაფად მიადგინა არღუნის პირქუში ხეობის შესავალს, რამდენიმე აული აიღო და გადაწვა, ახალი საგულშაგოები ააგო და იქ ფეხი მკვიდრად შოიკიდა. ერთიმეორეზე ეცემოდნენ საჩაჩნოს გამაგრებული ციხე-სიმაგრენი, რომლებიც ისე უნაკლოდ იყვნენ აგებული, კაცი იფიქრებდა, ისინი რომელიმე ფრანგ ან სხვა ვინმე უცხოელ ინჟინერს აუშენებიაო. იკაფებოდა უღრანი ტყეები, რომლებიც მანამდე ჩაჩნების საიმედო თავშესაფარსა და ჩასაფრების ადგილებს შეადგენდნენ. მიდამოს აყრუებდა ნაჯახებისა და გოლიათი ხეების მიწაზე დაცემის ხმები, ზოლო შორეული სივრცეები ყრუ ექოდ გამოსცემდნენ ამ ხმებს.

საჩაჩნოს ტყიანი მთების სრული გავტიტვლება თემირ-ხან-შურაში გამართულ თათბირზევე იყო გადაწყვეტილი. კავკასიის მხედრობა მთიელებზე პირდაპირი შეტევის ნაცვლად ერმოლოვის ძველისძველ და ეფექტიან მეთოდს უბრუნდებოდა.

ტყეების კაფვისა, აულეების დარბევისა და მოსახლეობის საშინელი აწიოკების ამბავი შამილის ღრმა შემფთხებასა და გულისწყრომას იწვევდა. მთიელთა მრისხანე მმართველი წინასწარ გრძნობდა, რომ მტრის საომარი მოქმედების ახალი სისტემის შემმუსგრელი ძალა საკუთრივ მის ადგილსამყოფელსაც მალე მისწვდებოდა. ვედენოს დამცველი რკალის თანდათანობითი დაიწროება საბედისწერო ხდებოდა. საშინელი სანახაობით გამოწვეული მოახლოებული უბედურების წინათგრძნობა აიძულებდა იმამს, უფრო აქტიურად ემოქმედნა.

მაგრამ ამოდ.

თანდათან ეცემოდნენ ასწლოვანი ჩინარები და მუხები, სრულიად შიშვლდებოდნენ მთების მწვერვალები, და იმაში ატყობდა, რომ მიწაზე განრთხმულ ხეებზე მალე გადაივლიდნენ მტრის ჯარები და მიადგებოდნენ დამშეული და საცხოვრებელი ადგილებიდან აყრილი მისი ხალხის ასევე გაძრვილ სხეულებს. შამილის ირგვლივ მოფუსფუსე ნაიბებს თავები ჩაეჭინდრათ.

გამპული ჯაჭვივით გადაება ერთმანეთს დანარჩენი ხეობებისა და ფერდობებზე მიყუქებული სოფლების აოხრება და გადაბუგვა. მაგრამ არც დამპყრობთ დასდგომიათ კარგი დღეები — ბევრმა სალდათმა და ოფიცერმა ჰპოვა სამარე ამ მხარეში. არტილერიის ცხენებს ფეხი უსხლტებოდათ ყინვით მოსიპულ ბილიკებზე და ღრანტეებში ინთქმებოდნენ.

3

გაზაფხული ახლოვდებოდა. მთაში თოვლი ღდებოდა.

ევდოკიმოვმა მალე განაახლა საომარი შეტევა დროებით დასვენებული ბატალიონებით. თუ საჩაჩნოს შუაგულში შეღწევა აქამდე ძნელი ჩანდა ვიწრო გასასვლელებისა და ფერდობთა დაკლაკნილი საცალფეხო ბილიკების გამო, ამიერიდან ევდოკიმოვს ამ მხარის ზეგანის გაშლილ ველებზე მოუხდებოდა ბრძოლა მრავალრიცხოვან მთიელებთან. სარდალმა წინასწარ იცოდა, რომ ამ შემთხვევაში იგი უეჭველად გაიმარჯვებდა.

ასეც მოხდა.

საჩაჩნოს რაზმის სარდალი იმამს ატყუებდა ბატალიონთა ყალბი დივერსიებით, ჩაჩნების ყურადღებას მიაქცევდა იქეთ, საითაც სულ არ აპირებდა ჯარის დაქრას, ავრცელებდა ყალბ ხმებს თავის საომარ განზრახვებზე. სარდალის ასეთმა ვერაგობამ ვასკრა. ევდოკიმოვი მიმართავდა თავისი ეშმაკური გონებისათვის შესაფერ ხერხს,

რაც ასე დამამცირებლად ეჩვენებოდა გენერლის ირგვლივ შემოკრებილ არისტოკრატიულ ოფიცრობას. ვასკრა უნდა, სარდალს მათი შეხედულება ჩირის ფასად არ უღირდა. მას ყოველთვის სჯეროდა — მიზანი საშუალებას ამართლებსო, თუმცა მაკიაველის განთქმული თხზულება წაკითხული არ ჰქონდა და საერთოდ ლიტერატურაზე მწყრალოდ იყო.

ევდოკიმოვმა მთლიანად გადალაბა არღუნი და აიღო ამ მდინარის შესართავის ჩანტი-არღუნის. სათავეებთან მდებარე აული სოსი-ირზაუ, საიდანაც იწყებოდა მდინარის ქვიანი ღრანტეები. ამას ისევ სოფლის ირგვლივ ტყეების კაფვა მოჰყვა. ოთხ ივლისს ევდოკიმოვის ხელში აღმოჩნდა თვალშეუდგამი მესენდუკის მწვერვალი, რის შემდეგ არღუნზე ახალი ხიდი ააგეს.

შამილის ყველა ცდა ევდოკიმოვის მოგერიებისა — ამო აღმოჩნდა.

აულ ვარანდასთან საჩაჩნოს მთავარი ნაიბი ბათოკა შეუპოვარ ბრძოლაში დაიჭრა, აული დაარბიეს და გადაწვეს. ასევე დაარბიეს და შემდეგ გადაწვეს აული ზონახიც. სალდათებმა ორივე სოფლის პირდაპირ, ჩვეულებრივ, ციხე-სიმაგრისა და ხიდების აგებას მიჰყვეს ხელი.

ავვისტოში ჩაჩნებს ახალი ციხე-ციხელება შეუდგათ.

ვარანდასთან წაგებული ბრძოლის პერმე ხომ სულ არ უღიმოდა ბედი შამილს. დალაშავლთა თემში, აულ მუქიქში, იგი კვლავ დამარცხდა და სამასოცდაათი მურიდის გვამი დატოვა ველზე. ევდოკიმოვი არ შეუკრთია ჯარის დანაკლისს და შეუპოვრად გაემართა ჩანტი-არღუნის სათავეებისაკენ. იმაში კი ამიერიდან აღარ ჩნდებოდა ბრძოლის ველზე, იგი გაემართა ვედენოში, არღუნის პარალელური მდინარის ხულხულაუს მარჯვნივ, ერთ-ერთ ზეგანზე რომ იყო გაშენებული. ევდოკიმოვი მას ზემოდან უვლიდა, თუმცა მთების მბრძანებლის რეზიდენ-

ციის აღება მომავალი წლისათვის ჰქონდა განზრახული.

ცხრა აგვისტოს დარბეული აულის, გაკის ადგილას ყველაზე გამაგრებული დიდი ციხე გაეშენებინათ და შატოვესკოე ეწოდებინათ. სარდალმა ჯარი აქ დაასვენა. რამდენიმე დღეც არ იყო გასული ევდოკიმოვის მოსვლამდე, რომ დაიწყო დამორჩილებულ თემთა დეპუტაციების სარდალთან გამოცხადება. პირველად მოვიდნენ თვითონ შატოელნი მათი ყადის სურაიზ-ფენდის მეტაურობით პატიებისა და ქვეშევრდომად მიღების გამოსათხოვნად. სურაიზმა ევდოკიმოვს ისიც განუცხადა, რომ შატოელნი მთლიანად განუდგნენ იმამს და ყველანი მზად არიან თავიანთი მბრძანებლის წინააღმდეგ ხელი აღმართონო. სარდალმა თხოვნა შეიწყნარა, სურაიზს თავის წოდება შეუნარჩუნა და მასვე მიანდო რწმუნებული თემის დაწყნარება და დაყვავება.

ევდოკიმოვი ზეიმობდა, მაგრამ მისი ნაიარვეი სახის გამომეტყველებას ოდნედაც არ გამოუხატავს სიხარული.

მთიელებზე თითქოს მომჯადოებლად მოქმედებდა უჩ-გაოზის გარეგნულ ლმობიერება, ხალხისადმი სათუთი დამოკიდებულება და გულისხმიერება. იგი ჩინებულად თამაშობდა ალტრუისტის როლს, რადგან გულის სიღრმეში ღრმად სწამდა, რომ ყველა დამარცხებული საერთოდ თავს იკატუნებს და შესაფერი შემთხვევა თუ მიეცემა, უმაღვე მზაკვრობასა და მუხანათობას მიმართავს. მუსლიმანი მთიელების ერთგულებისა სარდალს საერთოდ არა სჯეროდა, ამგვარ ილუზიას მის გონებაში არასოდეს დაუსადგურებია, მაგრამ დიპლომატი ევდოკიმოვი გარემოების შესაბამისად მოქმედებდა.

ევდოკიმოვის ცბიერებამ ამ მხრივაც სასურველი ნაყოფი გამოიღო. ერთი დღეც არ გასულა სურაიზის მოსვლის შემდეგ, რომ შატოვესკოეში სარდალთან ფარტლად გამოცხადდა ჩანტის თემის ერთი წევრი, რომელსაც სიდაბლის გამო კენკს ეძახდნენ; კოჭ-

ლი, მთლად გათეთრებული და ელამი, რომელიც შეშინებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, იგი წინათაც აწვდიდა თურმე საიდუმლო ცნობებს ევდოკიმოვის სამხედრო შტაბს და ჯამუშად ითვლებოდა. დუგა შეპირდა ევდოკიმოვს: ჩანტელებს ავაჯანყებ და იმამის ერთგულ ნაიბ ამზათს მოვკლავთო. ერთხელ დუგა თვით ამაყ ნაიბსაც დამუქრებია რაღაცის გამო შესფოთებული, მაგრამ ამზათს მისთვის ირონიული დიმილით მოუსმენია და ისე გაუსტუმრებია. „ღვთის გლახა!“ — ფიქრობდა ნაიბი ბუნების მიერ შეურაცხყოფილზე.

სარდლის ბანაქისათვის დუგას წინადადება ქვეშაირტად ბედნიერი ვარსკვლავის აკიაფებას ნიშნავდა, რადგან ჩანტის თემს მართავდა საჩაჩნოში ეაქ კაცობით სახელმოხვეჭილი ნაიბი ამზათი. მტერთან დამოკიდებულებისას ის მხოლოდ ერთ არჩევანს ცნობდა — სრულ გამარჯვებას ან სიკვდილს. პირდაპირი იერიშით ამზათის მუღმივი საცხოვრებელი აულის ითუმყალას აღება ევდოკიმოვს განუხორციელებელ ოცნებად ეჩვენებოდა. სარდალს არც უფიქრია ამ მხარეში ბატალიონების გაგზავნა და სჯეროდა, როცა საჩაჩნოს ყველა თემი მორჩილებას განუცხადებდა, ჩანტელები, კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ მაინც, თვითონვე დაჰყრიდნენ იარაღს.

და აი, ევდოკიმოვის ოცნებას ფრთები შეესხა: მოესპო ჩანტის ნაიბი მისივე თემის მეოხებით. ამ მიზნის მისაღწევად სარდალს არ დასჭირდებოდა არც საომარი გამოცდილება, არც ცბიერება, არც სწამა...

და გათამაშდა უბიზოდი, რომელშიაც, ვითარცა პატარა სარკეში, აირეკლა ტრაგიკული ხასიათი კავკასიური ილიადისა.

ჩანტის თემის აულები განლაგებული იყო მდინარე ჩანტი-არლუნის სათავის მარცხნით. ეს კუთხე ერთი მხრით კეტავდა და ამთავრებდა კიდე-

ვაც დიდ საჩაჩნოს ტყიანი ქედებით, რომელთაც „შავ მთებს“ ეძახდნენ. ჩანტელები ოდესღაც ითვლებოდნენ იმამის ერთგულ მოკავშირეებად და მიმდევრებად, მთელი მხარე კი — მის საიმედო დასაყრდენად ომის შემთხვევაში. მაგრამ დაღისტინისა და საჩაჩნოს მბრძანებელი იშვიათად მიმართავდა მათ, არც ამ თემის გულადი ნაიბისაგან მოითხოვდა იგი ხშირ დხმარებას. ყველა მათ შამილი უკიდურესი გაჭირვების ქამს მოუხმობდა ხოლმე. ამიტომაც არღუნის ხეობის დასაცავად ევდოკი მოვის ჭარბთან რამდენჯერმე შეტაკებისას უსაზღვრო გამბედაობით ცნობილი ჩანტის ნაიბი ერთხელაც არ გამოუყვანია ბრძოლის ველზე. ჩანდა, შამილი მას თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა: წინ უფრო დიდი განსაცდელი მოელოდა, და თუ ჩანტელები ბოლოს მაინც დანებდნენ მტერს, ამის მიზეზად შემდეგს ვარაუბობს თვლიდნენ: როცა რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილა ამ თემის ნაიბი ალდამი, იმამს თითქოსდა მურიდების ინტრიგების წყალობით მათთვის ნაიბად არ დაუნიშნავს ალდამის ძე მაკი. იმასაც აზრობდნენ, რომ შამილს არ მოსწონდა ჩანტელთა თვითნება ხასიათი და მტრის წინაშე ქედმოხრის ფარული განზრახვები. ერთმანეთის საწინააღმდეგო ხმების მიუხედავად, ჩანტელები ყოველთვის თავგანწირულად იბრძოდნენ იმამის მხარეზე და საქმე თითქოს იმას გაუფუჭებია, რომ მათ ნაიბად შამილს თავლინელი ლეკი ამზათი დაუნიშნავს.

პაზავათის¹ ერთგული, თხემით ტერფამდე ჩაკირული ფანატიკოსი ამზათი ოდესღაც იმამის უშუალო მკველთა შორის იმყოფებოდა ველენოში, სიყრმიდანვე განსწავლული ყოფილა შარიათისა და ტარიკატის კანონებში² ჩინებულად ფლობდა არაბულს და მისი

ხელრთვაც კი სანიმუშოდ ითვლებოდა, რასაც ქალაღის პატარა ნახევრებზე დაწერილი მისი განკარგულებანი მოწმობდნენ.

ამზათის ნაიბობის დროს გული ბოლომით ევსებოდა ალდამის ოჯახს. სხვებიც ათასგვარ ოინებს მიმართავდნენ ნაიბის წინააღმდეგ. ყველა მათ არც ელაში და კოკლი ღუგა ჩამორჩებოდა.

თავლინელმა ამზათმა ყველაფერი იცოდა, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავდა. რას არ აბრალებდნენ ნაიბს: ფულის სიყვარულს, პირქუშობასა და უღმობელობას... ფული არ ჰყვარებია, პირქუში და უღმობელი კი იყო. მთავარ მიზეზს კი არავინ ასახელებდა: ამზათი მათი მკვიდრთაგანი არ იყო, ყველასაგან გამოირჩეოდა უჩვეულო ნიჭიერებითა და ჰკუთ, რაც თავისთავად შეურაცხყოფდა თემს. ამ ცოდვილ დედამიწაზე ხომ უმრავლესობა ვერ ითმენს ვისმეს აშკარად გამოხატულ უპირატესობას. ამასთან იგი პირდაპირი და საშიში იყო, როცა რომელიმე ჩანტელს ურწმუნოებთან ომში დალატს ან ორგულობას შეამჩნევდა; მეტწილად ალლოთი გრძნობდა, ვინ უმუხთლებდა. და თუ რომელიმე ხელჰკვეითს ამ თვისებას შეატყობდა, დიდხანს უცდიდა, სანამ მის გამცემლობაში დარწმუნდებოდა, რათა მერმე, ადრე თუ გვიან, მოღალატესთან საბოლოო ანგარიში გაესწორებინა.

მაგრამ რაც ამზათს შემოდგომაზე თავს დაატყდა, ნაიბის ღრმა ჰკუასაც არ შეეძლო მისი წინასწარ განჭკვრეტა.

ამზათი დარწმუნებული იყო, რომ თემზე გაწეული ამავი ადრე თუ გვიან დაუფასდებოდა, ერთი ან ორი ოჯახის უმადურობა ვერაფერს დააკლებდა. ნაიბი სანიმუშოდ უვლიდა ხალხს, მან ყოველმხრივ ააყვავა ჩანტის თემი, კმაყოფილი იყვნენ მეზობელი ქისტები და სხვა ტომებიც.

ჩანტის შუაგულ მდებარეობდა ფერდობზე შეფენილი განთქმული აული ითუმ-ყალა, რომელსაც აღმოსავლეთით თულოა-ლამის მწვენი ქედი დაჰყურებდა, სხვა მხრითაც იგი სრულიად მიუღ-

¹ პაზავათი — ბრძოლა ურწმუნოთა წინააღმდეგ.

² მთის ძველი სამართლისა და რელიგიური დოგმების სახელწოდებაა.

გომელი ჩანდა. აქ იყო ამხათის მუდმივი ადგილ-სამყოფელიც.

ყოველ პარასკევობით ითუმ-ყალაში ბაზრობა იმართებოდა, მოდიოდნენ საჩაჩნოს ყველა კუთხიდან, აგრეთვე, ქისტები, ლეკები და მთიელი ებრაელები. გასაყიდად მოჰქონდათ არა მარტო ახლადდაკლული საქონლის ხორცი და ადგილობრივ დამზადებული სხვა საქონელი, არამედ კავკასიის სტანიცებში ჩუმიად შეესყიდული ოქროსა და ვერცხლის სამკაულები. თუ ებრაელები ძვირფასი ნივთებით ვაჭრობდნენ, ტაბასარანელებს კი ბაზარში საკუთარი ნახელავი — სპილენძის თუნგები, იშვიათი ოსტატობით ნაკეთები ხანჯლები, ვერცხლის ბალთები და უნაგირის მორთულობანი გამოქონდათ.

თვალწარმტაცი იყო ითუმ-ყალას ბაზრობა.

ქალებს სახეზე რიდეები ნახევრად ჰქონდათ ჩამოფარებული, ამ მხრივ ისინი დიდად არ იცავდნენ ისლამის რჯულს. და მათი ცისფერი რიდეები თვალის-მომპრელად ფრიალებდნენ შამაკეთა ბოზოხ ქედებს შორის. ქაბუკთა შორის მხიარული ერიამული იდგა. ნაიბი მხოლოდ არყის ან ღვინის სმასა და თამბაქოს წვეას კრძალავდა. ამხათი ფიქრობდა, უტკბილესი რამ ღმერთისა, ოჯახისა და სამშობლოსათვის თავდადებააო. ამხათის ნაკლად, მექრთამეთა და ჯაშუშთა თვალში, ზედმეტი პირდაპირობა და ხეობრივი უმწიველობა იყო მიჩნეული. „ხელს გვიშლისო“, — ფიქრობდა ბევრი ნაძირალა.

მართალია, თემში ყველა ასე როდი ფიქრობდა, ამიტომ ამხათს ეგონა მტრების ქვენა ვნებებს ლაგაში ამოვდე და უმრავლესობა სარწმუნოებისა და იმამის ერთგულ მიმდევრებად ვაჭციყო.

საჩაჩნოს არც ერთი აული არ ყოფილა ითუმ-ყალასავით მდიდარი. არც ერთი მთიელის სახლის საქალებო და სამამაკაცო ოთახები არ იყო ისე დამშვენებული და სუფთად მოვლილი, როგორც ჩანტელისა. ყველაფერი ეს თემს „უცხოამ“, თავლინელმა ნაიბმა მოუტა-

ნა. მიანც მურიდები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს თვითიული ჩანტელის ნაიბის, აღდამისა და დუგას თჯანის წიგრები კრინტს ვერ ძრავდნენ.

მაგრამ ოსტატურად განზრახულმა ლალატმა მიანც დაღუპა ნაიბი, მას ვერც სიფხილემ უშველა, ვერც უსაზღვრო გამბედაობამ.

5

შატოვესკოეში მისული ელამი დუგათავს დებდა — თუ სარდალი მის ერთგულ პირებს ზურგს უკან ბატალიონებს გააყოლებდა, მაშინ ჩანტელები ნაიბს აუჯანყდებოდნენ და მოკლავდნენ. ევდოკიმოვი არაფერს კარგავდა დუგა თუ მოატყუებდა, რადგან ჩანტში შეღწევის შემდეგ თემი ვერ შეძლებდა კარგად შეიარაღებულ სალდათებს წინ აღდგომოდა. თანაც გენერალს ამით შატოველების, მათი მეთაურისა და ჩანტელ ჯაშუშ დუგას დაპირებათა შემოწმებაც შეეძლო.

ევდოკიმოვმა სასწრაფოდ გასცა ბრძანება, ჩაჩნების ორი ასეული სურაიპისათვის მიენდოთ, წინ დუგა გაეყოლებინათ, ჩანტი-არლუნის სათავის ღრანტეებში გამძვრალიყვნენ და ითუმ-ყალა აეღოთ. სამთვალამ პოლკოვნიკ ბაყენოვს (ქერა, ხმელ-ხმელ და საშუალო ტანის ოფიცერს) დაავალა — უხმაუროდ უკან მიჰყოლოდა მათ ორი ქვეითი ბატალიონით. ოთხასი კახაკითა და ოთხი ზარბაზნით, დახმარებოდა დუგასა და სურაიპს და თვალი ედევნებინა მათთვის — თვითნებურად არ ემოქმედათ და ჩანტის ღრანტეებში ვერავლად არ შეეტყუებინათ ჯარისკაცები.

სურაიპი და დუგა ნისლიან შუღლამით მხოლოდ მათთვის ცნობილი ბილიკებით გაემართნენ პირდაპირ ითუმ-ყალასაკენ, უხმაუროდ აჰყვნენ ჩანტი-არლუნის სათავეს თულუა-ლამის მიმართულებით, საიდანაც რამდენიმე საათის შემდეგ მზე გამოაჰყვითებდა ღრუბლებში. წყვდიადით მოცულ ვიწრო ხეობებში შატოელნი მგლებს ხროვას მიაგავდნენ, ჩუმიად,

მაგრამ სწრაფად რომ მიიკვლევედნენ გზას სანუკუარი მსხვერპლისაკენ.

დილის ბინდ-ბუნდში, მზის ამოსვლამდე გამოჩნდა მოპირდაპირე მთის ფერდობზე მდებარე აული ითუმ-ყალა. შატოელნი თულაშ-ლამის ტყეებში გაიფანტნენ, ყველანი ვეება ხეებს აეკურნენ ჩოხებში დამალული თოფებით, მათ ზურგს უკან, ტყის შუაგულში კი ბაქენოვის ბატალიონები მიიმალნენ. რამდენიმე საღდათმა ძლივას აათრია ერთი ზარბაზნი ქედის თავზე.

ამჟათი ამყამად გუმბანითაც ვერ მიმხვდარიყო, თუ რა ხაფანგს უგებდა ღუგა.

ამჟათის სახლი ითუმ-ყალას მალა. ციციბოზე იდგა, იგი სამი მხრით მაღალი და განიერი, ერთქონგურიანი ქვიტიკირიანი ვალაყნით იყო შემოზღუდული. პატარა ეზო სამხრეთ-დასავლეთით თავდებოდა ღრმა უფსკრულით, რომელიც ამჟათის სამთელიანი ქვის სახლიდან სამასი ნაბიჯით თუ იქნებოდა დაშორებული. უფსკრული თითქოს სატყერით სწორად ჩასხებოდა, თვალჩაუწვდენელ და ჩამაყვებულ ხრამს წარმოადგენდა. პატარა მინდორი სამთვრად იყო დატოვებული. ეზოში აქა-იქ ბროწეული ხარობდა. ერთი ბროწეულის ხის ფოთლები ვალაყნის თავზეც შრიალებდა.

აულიდან ამჟათის სახლამდე საცალფეხო, ძალიან ვიწრო ორმხრივ კლდოვანი და ზოგან ეკალბარდებით დაფარული ბილიკი მიემართებოდა. ავდარში ამჟათის იორლა ფლოქვეებით სინჯავდა ზოლმე ნიდავას, კლდებზე რომ არ გადაჩეხილიყო მხედრითურთ. ნაიბის სახლის ვალაყნს რამდენიმე ადგილას მომცრო ოთხკუთხედი საქვრეტები ჰქონდა. ამ პატარა სარკმლებიდან კარვად მოჩანდა ფერდობზე გამწვანებული სოფლები, სულ წინ კი — აული ითუმ-ყალა.

ამჟათის ჯალაბი მცირერიცხოვანი იყო: ერთი ცოლი ჰყავდა, ათი წლის ვაჟი ტატა და მძისწული, ოცი წლის შამა. ნაიბს პირველი შვილები რალაც სახალისაგან დახოცვია.

ამჟათის სახლკარი მუდამ ღია იყო

მურიდებისათვის, რომელნიც უფროსებს განკარგულებას ხმის შეუბრუნებლად და დაუყოვნებლივ ასრულებდნენ. ისინი პირველ დაძაბილზევე მზად იყვნენ შეიარაღებულ ხალხთან ერთად გამოსულიყვნენ ბრძოლის ველზე. ეს მურიდები ამჟათს მშობლიურ კუთხიდან მოუყვანია და ითუმ-ყალაში დაუსახლებია.

ჩანტის ნაიბი ნამდვილი თავლინელი იყო: საშუალო ტანის, მუხასავით მკვრივი და მაგარი აგებულებისა. ორმოცდაათ წელს გადაცილებული იქნებოდა, მაგრამ ჰამბუკური ენერგიით იყო სავსე. სახის კანი მზით შერუჯოდა, ერთი საფეთქლიდან მეორემდე დაწვებს მოკლედ შეკრებილი, უჭადარო შავი წვერი მიუყვებოდა და დიდად უხდებოდა, მისი წვერილი უღვაშებიც წვერს უერთდებოდა. თვალების თეთრ ბაიაში ქლალი გუგები ესხდა, ყოველწუთს რომ ფერს იცვლიდნენ ჯიქის გუგუბივით — დარბაისლური საუბრის, მზიარულების ან, განსაკუთრებით, გაიურებთან ბრძოლის ეამს. საბეს ოდნავ უმახინჯებდა ცხვირის ერთი ნესტოს იორა, ოდესღაც გაიურებთან ხელჩართულ ბრძოლაში მტრის ხანჯლის მოჭნევის შედეგად რომ დამჩნეოდა. თავზე მწვანე დოლბანდი ეხურა. ლეკური ჩოხის შიგნით, მოკლე ბეშმეთზე ჭამარი ერტყა და ჭამარში დამბაჩა გაეჩარა, ზედ მოკლე ხანჯალიც ეკიდა. მუქტყავიან წალებს ატარებდა, ჩაჩნები ჩირიკს რომ ეძახიან. მკერდს უმშვენებდა იმამის ნაბოძები, მრგვალი და უხეშად ნაკეთები ვერცხლის ორდენი, რომელზედაც არაბული წარწერა იყო ამოყვანილი და ასე იკითხებოდა:

«...ინც შედეგზე ფიქრობს, იგი მხდალია!»

...ამჟათი ზოგჯერ გარინდებული გამოიყურებოდა, ზოგჯერ კი აგზასავით თავდასასხმელად გამზადებული ჩანდა. მრგვალი და სქელი ბაგეები მაგრად მოექუმა, ხელები უცნაურად ფაფუკი და თეთრი ჰქონდა, იმამივით ცაცია იყო და მარცხენა ხელის გული ადვირისგან დამკოტრებოდა.

ამხათის შემყურეს უცხად მაინც ნაიბის გამომეტყველება ეცემოდა თვალში. მრავალნაირად ლივლივებდნენ მისი ქლავი გუგები და ერთსა და იმავე დროს უსაზღვროდ მიზიდველს და თანაც საშიშს ხდიდნენ ნაიბის თვითეულ გამოხედვას. ბაზარში, პარასკეობით, როცა მთის სხვადასხვა კუთხიდან მისული ხალხი ირეოდა მიიდანხე, მურიდებით გარშემორტყმული ამხათი რომ გაივლიდა, კეკლუცი ქისტი ქალიშვილები რიდეებს გადაიწევდნენ და ეშმაკური ღიმილით შეჰყურებდნენ ჩალმიან ნაიბს. ასეთ რამეში ბაზარში გამოსული ხანდაზმული მანდილოსნებიც არ ჩამორჩებოდნენ გასათხრავარ ცუგრუმელებს. მაგრამ ამხათი უმაღლესად შეშუპებულ ქუთუთოებს ნახევრად ხურავდა, მოღუშული და წარბშეკრული ჩაუვლიდა მათ გვერდით

ამხათს არასდროს არ უფიქრია პარემზე და იმამის თანამებრძოლთაგან ის ერთად-ერთი ნაიბი იყო, რომლის სულსა და გულს სჭულისათვის თავდადება, სამშობლოსა და ცოლ-შვილისადმი ერთგულება შეადგენდა.

6

ეზოს გაღავნის გადაღმა მცირეოდენი გაფარუნებაც კი ფრინველსავით შეარბევდა ხოლმე ამხათს. მზის ამოსვლამდე ღებებოდა და შეიარაღებული გამოდიოდა ეზოში, მეტადრე მას შემდეგ, რაც ევდოკიმოვის ჯარი არღუნის ხეობას დაეუფლა და ჩანტი-არღუნს მისწვდა. თოფს ხელიდან არ იშორებდა. მურიდები ყოველდღე დაწვრილებით აცნობებდნენ მას მტრის თვითეული მოძრაობის ამბავს, მაგრამ იმამი რატომღაც არ უხმობდა მას, ამხათი დაწვრილებული იყო, რომ ადრე თუ გვიან მაინც დაუძახებდნენ ვიარაღებთან სასტიკი და გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

განგებისა სწამდა და ბედისწერა ოღონავადაც არ აკრთობდა. პირველი ღამიერი ისაა, ვისაც ეშინია ერთ მშვენიერ დღეს არ დავეარგო ყველაფერიო, — ფიქრობდა ამხათი. ევდოკიმოვი და ამ-

ხათი, მოსისხლე მტრები, სხვადასხვა მასალისაგან იყენენ ნაყეთები.

ამ დილითაც, თექვსმეტ აგვისტოს, ამხათი ეზოში იღვა, ცუდი სიზმარი ეხახა და სახე უფრო მოღუშოდა. მზეს ჯერ არ გამოენათებინა. ირგვლივ ჩქამიც არ ისმოდა, მთაში მყუდროება სუფევდა. ნისლი თულოა-ლამის მწვერვალებისაკენ მიიზღაზნებოდა. ნაიბი ცდილობდა დამტკბარიყო ჩანტის მთების მუქმწვანე ტყეების ცქერით. ღევა ღრუბლები ნელა დასრიალებდნენ ცაზე და ისინი ხან მთათა მწვერვალებს მიაფენდნენ ჩრდილს, ხან ითუმ-ყალას დაბლობს და ქვევით, ფერდობზე კიბე-კიბე გაშენებული აულის ბანიან სახლებს, ხან თვითონ ამხათის ეზოს. არემარე წიწვიანი ხეების სურნელით იყო გაჟღენთილი.

მადლა, სულ მადლა არწივი მეფურად ვიდოდა ცაში.

უცხად თულოა-ლამის მხრიდან გაისმა თოფის სროლის ხმა. მას ზარბაზნის გრიალიც მოჰყვა.

ორჯერ.

ამხათი შეირხა.

იმწუთსვე წარმოუდგენელი რამ ივარაუდა: მტრის ჯარებს გადმოუღახავთ ჩანტი-არღუნის სათავეები და იერიშით მოდიან ითუმ-ყალას ასაღებადო. ამა სანიდან ეცოდინებოდა ამხათს (ან მისი მურიდები როგორ ვერ მიხვდნენ!), რომ ღევა შემოუძღვებოდა მათ, ის ღევა, ვის ერთ ვაჟსაც შინ იღებდა და ვაჟბაცობისა და ზნეობის წესებს ასწავლიდა (რათა შემდეგ საკუთარ სახლში დაენერგა ეს წესები...). ამხათი ახლაც დარწმუნებული იყო, რომ სარწმუნოებისადმი ერთგულება და იმამის წინაშე შიში ბრძოლის ეინით აღავსებდა ჩანტი-ლებს, ითუმ-ყალელთ მაინც. ამიტომ ელვის სისწრაფით გაემართა გაღავნის ქონგურისაკენ, რომ იქიდან ხმაელად გადამახილით პაზავათის დასაწყებად მოეხმო მურიდები და მართლმორწმუნე სოფლელები. ქონგურზე ასულმა აუღს გადახედა და სახტად დარჩა—სოფლელები მურიდებს მისეოდნენ, აულში ნამ-

დელი ჩეხვა დაწყებულიყო. სურაიბი, დუგა და მაი კი რამდენიმე ჩანტელთან ერთად ბილიკზე მოცოცავენ და ნაიბის ციხე-სიმაგრისაკენ მოისწრაფოდნენ.

ამზათის გონებაში უმაღლე ცხადად აისახა შემზარავი სურათი ღალატისა, რომლის ქსელშიაც იგი გაბმულიყო. მან უცხად გადაკეტა ვალანის ალაყაფი შიმიე ურდულით, შემდეგ ერთ ხვრელში გაიხედა, მერე მეორეში, მერე მესამეში... თოფის ნაცვლად დამბაჩა მოიმარჯვა და ისე სწრაფად მოძრაობდა, ძეწორციელი თვალს კარგად ვერ მიაღვენებდა. შემდეგ სულგანაბული დააკვდა ერთ ხვრელს, რომელსაც ბროწეული ფარავდა და ამზათის თვალის ქღალი გუგები ისე არეულიყვნენ ხის გაშლილ ყვავილებში, როგორც თაზისში მიმალული იაგუარის თვალები ლერწმებს შორის.

ყოველი მხრიდან ხანჯლები, ყოველი მხრიდან მოზეიმე, ღვარძლით აღსავსე სახეები... აი დუგას ონავარი ფრინველის ნისკარტივით ცხვირი; აგერ ბებერ მელია სურაიბის ინით შეღებილი, ბოლოში წამახული წვერი, აგერ ტურასავით თვალბჭუტია და ჯაგარიან ტეტია ოჩხეს ბლაგვი ხანჯალი, არაბული ასოების წესიერად გამოყვანაც რომ არ შეუძლია და სოფლის მწერლად კი ითვლება; აგერ მუდოს მსგავსი, საძაგელი აკალუს; აგერ... მაგრამ ამზათს კარგად არც დაუხსომებია ყველა ამ მედროვეთა სახელები, წინათ მათი არსებობა ჩანტის ნაიბს აინუნშიაც არ მოსდიოდა (ისინი მართლაც ღვაწლმოსილნი კი არ იყვნენ, არამედ ნაიბისადმი ღვარძლმოსილნი!). ისმოდა მხოლოდ ერთმანეთში გადაძახილი ჩანტელთა სახელებისა, რაღაც დავღავის მიგებაი, რაც ამზათის სმენამდე, ძლივს აღწევდა. და მათი ხმებიც ისევე აუტანელი იყო სმენისათვის, როგორც მათი სული და მძორი—ნაიბის თვალისათვის. ამზათს სათაყვანებელ იმამივით საოცრად ჰქონდა განვითარებული ფარული ზიზღის გრძნობა ბრბოსადმი.

ოჩხე, აკალუს! ასგერ! რევე! გრაბო! ზურკა! — ეძახდნენ ერთმანეთს ბოლალატე ჩანტელები.

ქაჭები, რომელთაც ზურგს უმაჯრებენ უჩ-გაოზის ბატალიონები და მათი ზარბაზნები. „ჰაი, დედა თქვენსა (ფიქრობდა ამზათი), პირისპირ, ცალ-ცალკე რომ გამოსულიყავით ბრძოლის ველზე, თქვენი მდოგვის მარცვლის ოღენა ტვინითა და ფამფალა მარჯვენით, მაშინ... მაგრამ ისედაც ხომ ყველამ იცის, რა ბედოვლათნიცა ხართ!“

და ამზათის თვალის გუგებს ჯერ სიფითრე გადაეკრა, შემდეგ კვლავ ქღალისფრად აკიაფდნენ ისინი, შემდეგ ისევ სიფითრემ იმძლავრა მათში და ნაიბის თვალები ამბობდნენ, რომ ეს უკანასკნელი გაბრძოლება იყო მისი, უკანასკნელი ჰაზავათი მისი.

„ვიც შედეგზე ფიქრობს, იგი მხდალია!“

ამზათმა ახლოს მოუშვა ქაჭთა ბრბო, იჭა აეზას ნახტომისათვის ეშხადებოდა და ხმაგამედილი იღგა. მარცხენა ხელში ჩახმახ-შემართული დამბაჩა ებყრა. მაგრამ ნაიბი მიხვდა, ამ ბრბოსთან ბრძოლაში ველარ გაიმარჯვებდა, რადგან სულმდაბალთ თავისივე აული აეჯანყებიათ მისთვის. არც ნაიბის მცველი თვლინელები სჩანდნენ... მუდამ მხნემ უცხად ენით უთქმელი შინაგანი მოღუნება იგრძნო, მაგრამ ეს მის ჰკუფას არ შეეხებია. თავში სხვა ფიქრმაც გაუფლავა: აქამდე ღმერთთან იყო ერთგულების ფიცით შეკრული, მაგრამ ღმერთს იგი მიეტოვებინა; ახლა ნაიბის არსებამაჯინი ჩასახლებულიყო. მტერს ძვირად უნდა დასჯდომოდა მისი დაღუბვა, ამიტომ ყველაზე ვერავი და მახინჯი უნდა გაესრისა. მაგრამ სახელღობრ ვინ — დუგა თუ სურაიბი? სხვა ჰქონდრის კაცებზე იგი აღარ ფიქრობდა.

ბედთან შერკინებისათვის მზადყოფი შესკვეროდა ამზათი სახერძნილ ბრბოს, რომელიც ხანჯლებს იქნევდა, მათს სახეებზე აღბეჭდილ ამაზარზენ,

ბინძურ სიხარულს, ბილიკის ეკალბარდებისაგან შეფხრეწილ მათი ჩოხის კალთებს...

ნაძირალები!

არც ერთი ჯიქი არ იქნებოდა ისე დაძაბული და შინაგანი ზედისწერით აყვანილი სამკვდრო-სასიცოცხლო ნახტომისათვის, როგორც ამჰათი, მთის ლაღი ზუნების შვილი და მისი მშვენიება, მოვლენათა უღმობელი მსვლელობის შეჩერება რომ ეწადა, საჩანროსა და დალისტინის მტრებთან შეურიგებლობას რომ უქადაგებდა ჩანტელებს; ვინც კეთილდღეობა მოუტანა მათ, ვინც ვეება ბაზრის ხმაური, ლაქვარდისფერ რიდეთა და თვალთა პატიოსანთა ლივილივი მოჰქვინა ითუმ-ყალას!

და აღმოჩნდა, რომ ტყუილ-უბრალოდ დამაშვრალა იგი.

არ შეიგუეს თავლინელი ნაიბი სამშობლოს გამცემლებმა, არ მოითმინეს მისი ნიჭი, ქკუა და ბრწყინვალეობა. ერთმანეთში ირეოდნენ ეს ფიქრები ამჰათის კოხტა, მრგვალ თავში, რომელსაც ცისფერი ჩალმა ამშვენიებდა.

ცხვირის ნესტოები უთრთოდა, მარცხენა, ნაირევი და უშნო ნესტოც.

ნაიბი მოსწყდა გალავანს.

— ჰაიტი! — წამოსცდა მას.

შამა, პირტიტველა და ხუჭუქთმიანი შამა, მოკლე ხიფთანითა და ისიც ზელთოფიანი, თვალის დახამხამების უმაღლეს ამჰათის გვერდით გაჩნდა. შამაც გაფიორებული და მთლად დაძაბული იყო. ბიძის ნიშანს ელოდა.

ამჰათმა თავის კილოკავზე უბრძანა:

— ბოლო ხერელში გაიხედე. გაიგე, უცნობი ბილიკით ვინ მოუძღვება გარეწრებს!..

შამამ გალავნის სულ ბოლოს მიიბრინა, ხერელში გაიხედა და ამჰათს ხმადაბლა გადასძახა:

— ის ჭუჭაა... სიკეთით რომ აავსე და შემდეგ ქურდობაში გამოიჭირე თავლაში ატუზული!..

ამჰათი სახტად დარჩა.

— ვინ? ის კოდო?

ასე ეძახდა თემში ჯაშუშად ცნობილ

დუგას მეორე ვაჟს, ქონდრის სიმბილის ბიჭს, რომლის კაცად ქცევა ეწადა მას, მაგრამ ამოიღ. რატომ არ დაიჭვრა ამჰათმა ჩანტელებისათვისაც ცნობილი საბრძანე—მახინჯ სხეულში მახინჯი სული დგასო. სწორედ ამ ქონდრის ბიჭმა იცოდა სხეებზე უკეთ ნაიბის სახლისაგან მიმავალი ბილიკის ყოველი მოსახვევი და ამჰათის მტრებსაც სწორედ ის გამოეყენებინათ მეგზურად.

ამჰათმა დამბაჩის ლულა გაჰყო ხერელში და დაუმიზნა. ნაიბი უცთომლად ახვედრებდა მიზანში ტყვიას, იგი მთელ საჩანროში სახელგანთქმული მსროლელი ვახლდათ.

რამდენიმე წამი და ჭუჭა გაისრისებოდა, მაგრამ... ამჰათმა დამბაჩა ხერელიდან გამოიღო და ძირს დაუშვა: მან წარმოუდგენელი ზიზღი იგრძნო კაცუნასადმი, გველის წიწილასავით რომ მოსრიალედა ბილიკის ეკალბარდებში.

ამ ჭუჭას ზომ მისი ჩოხის ერთი კალთის ნახევარიც ეყოფოდა ტანსაცმლად, რა მისი ტოლი იყო? ამიტომ ძმისწულს უბრძანა:

— ზურგი ჩაუნგრე მაგ გველის წიწილას! პირდაპირ არ ესროლო საზიზღარს! პირდაპირ მხოლოდ ვაჟკაცებს ესერიან ხოლმე! — და თვითონ ისევ ბრბოს გაჰხედა ხერელში.

ბრბო წინ მოიწევა, ხანჯლებს იქნევა. შემზარავად ლაპლაპებდნენ ორლესულები ახლად ამოსული მზის სხივებზე.

თოფი გაეარდა, მაგრამ ტყვია ასცდა ჭუჭა ჩანტელს.

მაშინ ამჰათმა თვითონ დაუმიზნა დამბაჩა დუგას შვილს და როცა მან სახე უკან მიიბრუნა, ნაიბმა ჩაუნგრია ზურგი ჯაშუშის შვილს.

— ბისმილა! — აღმოხდა ამჰათს. — ქურდს ქურდული სიკვდილი! — დასძინა მან. დამბაჩა გააგდო, ტაბასარანული ხანჯალიც ზედ მიაყოლა.

მოლაღატე ჩანტელები მალე მისი გალავნის თავზე აღიმართებოდნენ. ახლა ამჰათს ჯალაბზე და თავისთავზე

უნდა ეფიქრა. მთელ ბრბოსთან შერკინება უაზრობად მიიჩნია.

იმამის ნაიბს უფლება არ ჰქონდა მტრებს ცოცხალი დანებებოდა. ამხათს ამგვარი რამ ზომ არასდროს ფიქრადაც არ მოსვლია. იგი რჩეული იყო რჩეულთა შორის და ყველა მხდელი ეჭაფრებოდა.

ამხათი ერთი წამით შექანდა. დანის-ლული თვალები მიმოავლო სახლ-კარს. დამაბრმავებლად მომხიბლავი და თანაც ტრაგიკული ჩანდნენ ამ დროს ამხათის ქლავგუგებიანი თვალები.

სახლის ზღურბლთან შეშინებული ცახცახებდნენ ცოლი და ათი წლის ვაჟი ტატა. ამხათმა მათგან სახე იბრუნა. პატარა თავლის წინ მათრახი შენიშნა და დასწვდა, მათრახის ტარი თავის მრგვალ და ღამაზ შუბლზე გადაისვა. ორჯერ დაირტყა მათრახის ტარი შუბლზე, მგონი, თავის ჭკუას სჯიდა ამით — უფრო ფრთხილი და უნდობელი უნდა ყოფილიყო ცხოვრებაში!

კიდევ გადაისვა შუბლზე მათრახის ტარი, იფიქრებდით, თავისივე შუბლის გადაკვეთას ზომ არ აპირებდსო. შერე მათრახი გადაავდო. კვლავ შემზარავად აკიაფდნენ ნაიბის თვალები. სულ მციროდ დაყოვნა. შეტორტმანდა, მაგრამ თავი შეიკავა. შამას ანიშნა სასწრაფოდ ბაგადან ცხენი გამოეყვანა.

აი ნაიბის საყვარელი, წაბლისფერი იორღაც, რომელსაც პატრონი მშვენიერი ფარჩეულისაგან ნაკერი ჩულითა და უნაგირით დაატარებდა ხოლმე მთებში.

შამა მიუხვდა ბიძას განზრახვას და მზად იყო მასთან დარჩენილიყო ცხოვრების უკანასკნელ გადასარბენზე.

ამხათი ცხენს მოახტა და ცოლ-შვილი წინ დაისვა.

შამა ნაიბის ზურგს აეკრა.

ზურგჩადრეკილმა იორღამაც თითქოს მოახლოებულნი საფრთხე იგრძნო. მის ყურებსაც ეუცხოვებოდა ეზოს გადაღმა, ფერდობიდან მომდინარე ღველავი და უცნაური დრტვინვა ხალხისა.

როცა ნაიბის ცხენი ჩვეულებრივ სა-

ძოვრად იყო გაშვებული ეზოში, იგი ერთხელაც არ მიჰკარებია ეჭოს თვალზე, უფსკრულის გასწვრივ ამბიბინებულ ბაქალახს, თუმცა ეზოს დანარჩენი ნაწილი უკვე დიდი ხანია მოექტიცლებინა. ამხათის ცხენს არ უყვარდა ხრამზე გადახედვა.

მაგრამ ამჟამად ამხათს არ დასჭირვებია უაღვირო იორღას ძალდატანება. ნაიბმა ოდნავ უბიძგა მას მუხლით. ნესტოებ დაბერილმა ცხენმა კისერი წაიგრძელა, მგელივით მიწაზე ჩაქინდრა თავი და ნაიბის ჯალაბი სახლის უკან, უფსკრულისაკენ გააქანა.

იქ, ხრამის თავზე, ამხათის იორღას არც დარჩენილი საძოვრისაკენ მიუწევდა გული, არც მთების ძნელად ასარბენი ბილიკებისკენ: მარტოოდენ უსაზღვროდ ჩაშვებულნი სივრცე უზომობდა პატრონის ერთგულ პირუტყვს!

აგერ თვითონ ხრამიც.

რამდენიმე წუთი და ამხათის ჯალაბი ორბივით გაქროლებული ცხენითურთ ითუმ-ყალას უფსკრულში გადაეშვა.

ნაიბის სახლ-კარი სულ მალე ხანძარმა მოიცვა. ჩანტელები ზეიმობდნენ და ძარცვავდნენ ნაიბის ადგილ-სამყოფელს.

ერთი დღის შემდეგ ევლოკიმოვი მოკლე რელაციით აღწყებდა თავის გამარჯვებას მეფისნაცვალს თბილისში.

როცა შტაბში ყოფნისას ბარიატინსკის მოახსენეს ითუმ-ყალას აღების ამბავი, ფლეგმატიურ მთავარსარდალს არც გაკვირვება გამოუხატავს, არც სიხარული, მხოლოდ ბრძანება გასცა — დარბეული აულის ახლოს ცხენ-სიმაგრე აეგოთ და მისთვის ევლოკიმოვსკოვ ეწოდებინათ.

საჩაჩნოს დაპყრობის ამ ეტაპზე სამთვალას დაჯილდოება მარტოოდენ ამით ამოიწურა.

სალამოს, როცა ბარიატინსკი ჩინებულნი ავეჩით მორთულ ბინაში დაბრუნდა, რევმატიულ მუხლებზე გადასაფარებელი თბილი პლედი მოითხოვა (იმხანად თბილისში წვიმიანი დღეები იდგა) და

არც გახსენებია რამე ეთქვა ევდოკიმოვის ახალი გამარჯვების გამო მის გვერდით მგლომ, ლამაზ, მაგრამ სიფრიფანა Lise-სთვის.

ეპილოგის მახვირ

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ, 1858 წლის შემოდგომაზე.

ამჟათის სახელი და გმირობა შემოუნახაეთ მარტოოდენ კავკასიის ომის მტვერმიყრილ მატთანებებს.

მაგრამ მე გიგონებ შენ, თავლინელო ძმაო, ამ სტრიქონებში.

ყველას როდი შეუძლია თანაზიარობა სიხარულთა, ტანჯვათა და ხეაშიადთა შენთა.

1935 წელს, როცა საჩაჩნოში ემოგზაურობდი, შენი ბედი მაშინაც თვალწინ

მედგა და ვერ მოვახერხე შენახულა ითუმ-ყალა და ის უფსკრულდო სადაც შენ ჰპოვე უკანასკნელს განსასვენებელი.

იძინე ამ სტრიქონებში, გულადო ნაიბო! აბა, როგორ მოიფიქრებდა შენი ღრმა ჰქუაც კი, რომ სვებედნიერი ისინი კი არ არიან, ვინც ჰაზავათს ეწვევიან, არამედ ნაძირალთა და გარეწართა ბრბო, რომელიც ხანჯლებს მაშინ იშიშვლებს, როცა მას ქვეყნის მტრის ძალა უმაგრებს ზურგს. და ეს ბრბო მუდამ მზად არის ყველა თავმოყვარის, ნიჭიერისა და ჰაზავათისათვის თავდადებულის დასაღუბავად.

ნურაფერს გაიკვირებ შენს მარადიულ ძილში, თავლინელო ვაჟაკო. შენი ზვედრი შენი ლამაზი ქვეყნის საერთო ბედის ნაწილი იყო მხოლოდ.



ივანე თარგა

მე ჩვენთან იღვიძებს

არმანი

1

ჩვენს სოფელს ახალმთვარე ჰქვია. რატომ? სოფლის მკვიდრთაგან არავინ კითხულობს, რატომ ჰქვია მას ეს სახელი, როდის და რის გამო შეარქვეს ასე, — უხსოვარი დროიდან ყველა ასე ეძახდა მას.

მე სულ სხვა სოფელში დავიბადე. დედისერთა ბიჭი ვარ. მამა დიდ სამამულო ომში დაიღუპა, დედა გარდამეცვალა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გამოგზავნეს და მას მერე აქ ვმუშაობ. არც მიკითხავს, რატომ ეძახიან სოფელს ახალმთვარეს. რა თქმა უნდა, გაგებულნი მქონდა, რომ ასეთი სოფელი არსებობდა, მაგრამ არასოდეს დავინტერესებულვარ მისი ისტორიით და, როცა მაგზავნიდნენ, არც მაშინ ვცდილვარ დამეზუსტებინა ეს. ჩამოსვლის პირველ დღიდანვე მოქეწონა სოფელი. მერე მივეჩვიე მას და ახალმთვარეს ჩემს საყუთარ სოფლად ვთვლი.

ექიმი გახლავართ, ვეტერინარი. რასაკვირველია, ჩვენს სოფელში ყველა ერთნაირად არ აფასებს ჩემს პროფესიას, ზოგიერთები, როცა ახლოს ჩა-

ვუვლი, ერთმანეთს ნიშნის მოგებით გადახედვენ, თვალს ჩაუკრავენ, საქონლის ეჭიმმა ჩაიარაო; მე ამას არაფერად ვთვლი, რადგან ის ადამიანები, რომლებთანაც მე ვმუშაობ, რომელთა შორისაც ვცხოვრობ, ძალიან დიდ პატივს მცემენ.

ჩემი მუშაობის შინაარსი და ისიც, თუ რა ფასი აქვს მას ჩვენი სოფლისთვის, ყველაზე მეტად ესმის ხარზამანს. ხშირად იტყვის ხოლმე: ადამიანის მკურნალ ეჭიმს რა უჭირს, მივა ავადმყოფთან და ჰკითხავს, რამდენი წლის ხარ, თამბაქოს ეწევი თუ არა, სვამ თუ არა ღვინოს და არაყს, სად და როგორ გტყევი, დიდი ხანია გაწუხებს თუ არა სატყეიარი. — ათას რამეს გამოკითხავს და ამ გზით ბოლოსდაბოლოს მივგნებს ავადმყოფის ნამდვილ სატყეიარს, მერე გამოუწერს ათასნაირ წამალს და წავა. ვეტერინარობა კი უფრო ძნელია. საქონელს არ შეუძლია ილაპარაკოს, თქვას თუნდაც ერთი სიტყვა. საქონელი საბრალო თვალებით მიჩერებია მის, არ იცის რა სჭირს, არ შეუძლია უთხრას რა ტყევა, ის კი, ვეტერინარი, ვალდებულია გამოარკვიოს საქონლის ორგანიზმ-

ში უაფარული ავადმყოფობა და მო-
არჩინოს ის. ადგილია მერე ეს?

ხარზამანი ამ საქმის შესანიშნავი
მცოდნეა და, ალბათ, ამიტომ ყველაზე
შეტად აფასებს ჩემს პროფესიას.

ჩამოყალიბების დღიდან ხარზამანი
მესაქონლეობის ფერმის შეუცვლელი
ხელმძღვანელია. ის ძალიან კარგი
მცოდნეა საქონლის ფსიქოლოგიისა
(ხუმრობის გარეშე), სპეციალური გა-
ნათლება არ მიუღია, მაგრამ თავისი გა-
მოცდილებით ბევრ დიპლომიან ვეტე-
რინარს სჯობია. მე და ის შეთანხმებულ-
ად ვმუშაობთ და ბევრ რამეს ვასწავ-
ლით კიდევ ერთმანეთს.

ჩვენს კოლმეურნეობაში მსხვილრქო-
სანი საქონლის ფერმისაც არა აქვს საქ-
მე ურიგოდ, ამ ფერმის გამგე ზაფას ბი-
გლაც ძალზე კეთილი ადამიანი და თავი-
სი საქმის ჩინებულად მცოდნეა. შესა-
ნიშნავი და საქონლის მცოდნე ადამი-
ანებად ითვლებიან აგრეთვე ორივე
ფერმის მწყემსები.

კოლმეურნეობაში, საერთოდ, მეცხო-
ველეობას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი
უკავია. მართლაც, ახალმთავრელები
ისეთ ადგილას ვცხოვრობთ, რომ ~~ყო-~~
ველგვარი პირობაა მეცხოველეობის
განვითარებისათვის და ჩვენი გონივ-
რულად ვიყენებთ ამ შესაძლებლობას.
და მთელი ჩვენი მუყაითი შრომა თვალ-
ნათლივ ჩანს მეცხოველეობის საქმიდა-
დნაც. ძალიან ბევრი გვეყავს წვრილ-
რქოსანიც და მსხვილრქოსანი საქონე-
ლი.

ზამთარ-ზაფხულ. თითქმის მთელი
წლის განმავლობაში, ჩვენი საქონელი
მთებში იპყფება. როგორც კი ხარზა-
მანის სახლს გაშორდები, იწყება მთები,
ნამდვილი მთის სამოვრები.

ახლა ჩვენი წვრილრქოსანი და
მსხვილრქოსანი საქონელი ამ მთების
ძირში, ერთმანეთთან სულ ახლოს დგას.
ორივე ფერმას საქონლის საუკეთესო
სადგომები აქვს და მერე, როცა საქონ-
ლის მთის სამოვრებზე გარეყვის ცხელი
დღეები დადგება, ნელ-ნელა დაეადგე-
ბით გვსას. ზამთარში და გაზაფხულზე

საქონელი აქ გვიდგას, საკვები და სარ-
მელი წყალი ყელამდე გვაქვს.

რაკი ამ სოფლის კოლმეურნეობაში
მესაქონლეობას მთავარი ადგილი უკა-
ვია, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ,
აქ გამომგზავნეს სამუშაოდ.

ახალმთავარში ჩამოსვლის პირველი
დღიდანვე დავიწყე დღიურის წერა,
თავდაპირველად ისე ვწერდი, ჩემთვის,
მაგრამ შემდეგ სოფლის საინტერესო
და მშფოთვარე ცხოვრების ტალღებმა
ისე ჩამითრია, რომ გადავწყვიტე ჩემი
ჩანაწერები წიგნად შემეყრა. ერთი სიტ-
ყვით, ეს პატარა წიგნი მე დავწერე.

ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, გა-
მომაყვები, ერთად ვიაროთ ჩემი სოფლის
ცხოვრების გზაზე.

ამბობენ, ვინც კი ახალმთავრეს წყა-
როს წყალს ერთხელ მიანიც იგვივებს,
აღარასოდეს დაშორდება მას. ეს თეი-
თან გამოცდად, როგორც კი ფეხი და-
ვადგი ამ მიწაზე, ვიგრძენი, ახალმთავ-
რეს გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია.
იქნებ ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩემი ნამ-
დვილი ცხოვრების პირველმა გზამ, მო-
მიყვანა სწორედ აქ? შეიძლება ასეც
იყო.

ჩრდილოეთის მხარეს ახალმთავრეს
თავი ბუმბერაზი მთების მუხლებზე მი-
უღვია, სამხრეთით ფეხები შევ ზღვამ-
დე გაუწვდენია და ნახად ეხება მის
აღერსიან ტალღებს.

დიდი სოფელია. მალეობები ზღვის
ნაპირიდანვე იწყება, მერე თანდათან,
სადღაც შორს, აი, იქამდე, სადაც თვა-
ლისმომჭრელი, მაღალი მთებია, კიბის
საფეხებზე ივით მალა-მალა მიემარ-
თება. აქა-იქ მარადმწვანე ხეებით დამ-
შვენებული ბორცვები ერთმანეთს თავს
აწონებენ, ხოლო მათ შორის, ვაწოლი-
ლან პურივით აფუებული, ნოყიერი ხო-
დაბუნები.

ახალმთავარის მალეობებს უმარავი
ბილიკი ყაბალახითი მოხვევია. ჩვენი
სოფელი მწვანეშია ჩაფლული. ყოველ-
ნაირი ხეხილი ხარობს აქ, ბევრი რომ
არ ვილაპარაკო — ახალმთავრელები
პირდაპირ სამოთხეში ვცხოვრობთ. აქ

11637

მიწაში ჰვალა რომ ჩააგდო, ახალი მცენარე ამოვა.

ჩრდილოეთ მხარეს, სადაც სოფელი მთავრდება, მაღალი მთების ძირში სვანური ქუდივით შემართულ ბორცვებთან, მწვანე ხეებს შორის დგას ცალკე სახლი. სწორედ ამ სახლში ცხოვრობს ხარზამან აბა.

აი, ისიც გამოჩნდა მთის დაკლავნილ ბილიკზე. ზურგზე სამგზავრო ჩანთა მოუგდია, გვერდზე მთიელის ხის ტოლჩა-ახმაშირი ჩამოუცილია და, როცა ნაბიჯის გადადგმისას თავის რკინის წვეტიან ჯოხს-ალაბაშჩას — კაჟიან ბილიკს დააბჯენს, ნაბერწყლები გამოკრთიან. აკვია უბრალოდ და ხალვათად, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ხანდაზმულია, დადის ნამდვილი მთიელივით — ჩქარა და მსუბუქად.

ხარზამანი მთელი თავისი გარეგნობით და არსებით ნამდვილი მთიელია. შებოლილი ხორცივით მკვრივი და უნაოჭოა, ფართო ნესტოებიანი, ოდნავ კეხიანი ცხვირი, უკვე ქალაქაშერეული უღვაში თითქოს უფრო სრულყოფილს ხდის მის ვაყკაცურ გარეგნობას, მართალია, თმა მთლად გათეთრებული აქვს, მაგრამ ჭერჭერობით არც ერთი ღერი არ აკლია. თვალები პატარაპატარა ცისფერი ტბებივით ალურსიანად გამოიყურებიან სქელი წარბების ქვემოდაც.

წლები კი, ის ხანგრძლივი წლები, რომელიც მან გაატარა ამ ქვეყნად, არც ისე თვალშისაცემად აჩნია, წელიც ისეთივე მოსაზრებელი აქვს, როგორც სიუბუქეში ჰქონდა.

ხარზამანს სახზე ემჩნევა, მეტად კეთილი, ალაღმართალი კაცი რომ არის, ისეთი თერბ აქვს, ერთი შეხედვითვე მოგნუსხავს და მერე ძნელია თვალი მოწყვიტო. თუ რაიმე გაუხარდა, ისე გაუხარდება, შენც ავითაცებს, თუ რაიმე ეწყინა, მამინ კი უფროთხილდით, მრისხანე გაჯავრება იცის.

ახლა ისე მიდის, კაცს ეგონება, თითქოს რაღაც მკმუნვარ ფიჭვი დაუფლებოდეს. ძნელად შესამჩნევი ნისლი ჩადგომია თვალში და ხანდახან რომე-

ლიდაც წერტილს მიაშტერდება, როგორც ყოველთვის, არც ახლა ჩქარობს, მაგრამ შეუძმნეველად თავისებურად უღებრივ ნაბიჯებს უკლავს.

აი, მიადგა იმ ადგილს, სადაც საძოვრებისაგან საქონლის გარეკვისა და საძოვრებიდან დაბრუნების დროს ყოველთვის ჩამოვდება ხოლმე; ადგილს, რომელიც კლდიდან მოჩუხჩუხებ წყაროსთან იდო. მან მოიხსნა საგზალით საესე ჩანთა, ძირს დასდო და მაღალ ქვაზე ჩამოვდა.

კლდე თითქოს ვილაცას ხანჯლის წვერით გაუბურლიაო, ნახერტიდან წყარო გადმოჩქექეს და დარდით გაქაღარავებული ქალის თმებივით, შეფხების ფრქვევით კლდეზეა თავქვე დაკიდებული.

მაღალ ქვაზე ჩამომჯდარმა ხარზამანმა თვალი მოავლო იქაურობას და მზერა ერთ ადგილს მიაყინა: დაბლა, ხეების თავზე მოჩანდა მისი სახლის ბუხრის მილი.

რა დიდებული ადგილი აფრჩევით საცხოვრებლად ხარზამანის წინაპრებს! მცენარეებში ჩამჯდარი სახლი წამოჭიმულია სოფლის თავში. ხარზამანის ეზოს ახლოს ხეობაში დაჭირილი დათევით ღმუის და თავპირის მტვრევით მიქანება მთის მდინარე აალიპსტა.

სადაც შორს მისი მზერა კამკაშა მზესთან შეჩერდა, მზე ცისა და ზღვის შესართავთან აკიდებულ თხელ ბადეში წითელი ბურთივით იყო შეგორებული. უყურებდა ის მზეს, რომელიც თანდათან თავქვე ეშვებოდა, უყურებდა მანამ, სანამ მნათობი ტალღებმა არ შთანთქქეს. ხარზამანი მხოლოდ მამინ მიხვდა, რომ შესალამოვდა.

მან ტოლჩა წყაროს წყლით აავსო, ხარბად დაეწაფა და გზა განავრძო. ახლა კი ნაბიჯს აუჩქარა. უნდა შინ მივიდეს მანამ, სანამ შინაურები ივანშებენ და დაწვებიან.

ღრუბლებიდან სახელურდაკარგულ ნამგალივით ამოცურდა მთვარე და თავისი მკრთალი სხივები მიმოფანტა მთის ბილიკზე.

სახლს რომ მიუახლოვდა, შეჩერდა, თითქოს ვიღაცას ნიჩბით ჩამჭრალი კოცონის ნაკვერჩხლები მიეყაროს ცაზე. ხედავს ურიცხვ მთიებს და ეძებს თავის ვარსკვლავს. დიახ, ხარზამანი ეძებს თავის ვარსკვლავს! არის კი ცაზე ასეთი ვარსკვლავი? ჭერჭერობით ასეთი მნათობი არ არის აღნიშნული ცის რუკაზე, და მთელს მსოფლიოშიც არ არსებობს აღამიანი, ხარზამანის გარდა, რომ იცნობდნენ ამგვარ ვარსკვლავს.

საინტერესოა როგორია ის? რითი განირჩევა სხვა ვარსკვლავებისაგან? ყოველივე ეს მხოლოდ ხარზამანმა იცის.

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ცივ ვარსკვლავებს ათვლიერებს, მაგრამ ჭერ ვერ მიაკვლია მისთვის ყველაზე ახლობელ ვარსკვლავს.

მაინც რამდენი მთიებია! და ყველანი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, მოცინარ, ეშმაკურ მზერას არ აშორებენ, თითქოს საკეკლუტოდ გამოსულიყვნენ და ყოველი მათგანი ცდილობს ხარზამანის გული მოინადიროს.

აჰა, ცივდალოცვილმა მთვარემ უმატა სიკაშკაშეს და შიგ სახეში შეანათა ხარზამანს! ძუნწად გაანათა ხარზამანის თავი, თმა, გული და ჩაიფანტა მის სანდომიან თვალებში. ხარზამანი მიწის შვილია. ვარსკვლავი კი — ცისა, და თავიანთი მზერით გაათბეს ერთმანეთი. თურმე ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ტყუილ-უბრალოდ როდი კაშკაშებს. ვარსკვლავებიც იმიტომ აენტებიან ხოლმე, რომ ერთმანეთის თვალებში ჩაიხედონ, მეტე ვიღაცას აპოვნინონ თავი, რათა მათ დაბადებას აზრი მიეცეს, მათს ეღვარებას — მეტი ლაზათი და სილამაზე!

ხარზამანი და მისი ბედის ვარსკვლავი დაკინებით შესცქერიან ერთმანეთს, მიუხედავად თვალუწვდენი მანძილისა, ძე ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ ერთმანეთის სუნთქვაც კი ესმით, ის კი არა და, შეუძლიათ წამწამებით შეეხონ ერთმანეთს, გაისაუბრონ კიდევ. ხარზამანს ყოველთვის სჭეროდა თავისი ბედის ვარსკვლავისა, და სადაც არ უნდა ყო-

ფილიყო, იგი მუდამ თან სდევდა. ხარზამანის რწმენით, მხოლოდ ის ერთადერთი ვარსკვლავი თანაუგრძნობს მას, ირკვევს მის ფიქრებსა და განცდებს, ებასუხება მის სასოებას, მხოლოდ ის ერთი ხედავს და ისმენს კიდევ ხარზამანის გულისთქმას. მხოლოდ ის-ხარზამანის რჩეული მთიები უერთგულდებს მას და ბოლომდე გაჰყვება ცხოვრების რთულ გზაზე. ხარზამანი მაშინათვე შეიცინობს ხოლმე თავის ვარსკვლავს, რადგან იგი განსაკუთრებული ბრწყინვალებით გადმოსცქერის დედამიწას.

ნუთუ ყველა მოკვდავს თავისი ბედის ვარსკვლავი ჰყავს? სხვისი არ ვიცი და პირადად მე არა მყავს ამორჩეული. თუმცა ცდომილები ძალიან მიეყარს, მაგრამ ჩემთვის ყველა ვარსკვლავი ერთნაირია. ხარზამანს კი, როგორც ხედავთ, თავისი საკუთარი მთიები ჰყავს, რომელიც განსხვავდება ცაზე გაფანტული სხვა ცდომილებისაგან. იგი მხოლოდ მისთვის კაშკაშებს, იგია მისი გულის საიდუმლო დამცველი და იგი უჩიარდნებს კელაპტარივით თავის ცხოვრების გზას.

„სულ ასე იკაშკაშე, ჩემო ბედის ვარსკვლავო, და ყოველ ღამე გამინათე გერა!“ — უხმოდ ჩასჩურჩულა ხარზამანმა, თან შემკრთალმა მიიხედ-მოიხედა, ხომ არავენ დამინახაო და შინისაკენ გასწია.

როდესაც ხარზამანი ეზოში შევიდა, წამეტუნითა და მუცელზე ზოხვით შეეგება ბილგია. მოწოლილი სიხარული ველარ შეიკავა პირუტყვმა და ზედ მკერდზე მიახტა პატრონს. ხარზამანმა გული არ დაწყვიტა და თავზე ხელი გადაუსვა დამხვდურს.

2

როდესაც პირველად ჩამოვედი ახალმთვარეში და სოფლის ხელმძღვანელებს ჩემი მიმართვა წარვუდგინე, მათ მაშინათვე ხარზამანთან გამაგზავნეს. როგორც ჩანს, ჩემი ჩამოსვლის ამბავი აქ წინასწარ იცოდნენ და ბინის საკითხიც უჩემოდ გადაწყვიტათ. მეც უარის

თქმის არავითარი საბაზი არ მქონდა და ულაპარაკოდ დავბინავდი.

იქნებ უკეთესი იყო უარი მეთქვა ხარზამანის ბინაზე არა, ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ ცუდ ადგილას მოვხვდი! პირიქით, უკეთეს მასპინძელს ვერც ვინატრებდი. ხარზამანის ოჯახი ისე შემხვდა, როგორც საკუთარ შვილს. ახლაც ისეთი გრძობა მაქვს, თითქოს საკუთარ კერძაზე ვიყო. ვინ მაცალა, თუნდაც ერთი დღე, თავი სტუმარივით მეგრძნო. მაშინათვე ამ ოჯახის წევრად ჩამთვალეს. კარგი კი იქნებოდა ერთი-ორი დღის შემდეგ გავცლოდი აქაურობას. მაშინ მე ამ სოფლის თავზე თავისუფლად მონავარდე ფრინველს დავედარებოდი. განა ადვილია დაიცვა აფხაზური წესი და აღათი?

აქი მოგახსენეთ, შვილივით მიმიღეს — მეთქი და მეც თავს შინაურივით ვგრძნობდი, თითქოს მთელი სიცოცხლე აქ გამეტარებინოს. ოჯახის ყველა წევრი პატივს მცემდა, მივლიდა, სულ თვალმში შემომცქეროდნენ, რა შესიამოვნებოდა, ერთი სიტყვით, ისეთ განცხრობაში ვიყავი, თავი სამოთხეში მეგონა.

მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა. საქმელი, სასმელი, ლოგინი, — ყველაფერი მზამზარეული გხვდება: ყველაფერს ამას ხომ უნდა მომზადება, ენერჯია. ვასამარჯელოდ კი ფული რომ შეაძლიო, შეურაცხყოფად მიიღებენ და სამუდამოდ დაიმღვრები ამ კეთილ ხალხს. არა და, ვერც გამაბყულებ. შენც რომ იმათ ადგილზე იყო, ასევე მოიქცევი!

განა მარტო ეს ოჯახია ასეთი? ასე იქცევა თითქმის ყველა აფხაზი. რას ვიზამ, ბედს უნდა შევურიგდე; სხვა გზა არ არის, აი, მეც დავემორჩილე ჩემს ბედს, მაგრამ მარტო ამაში არ იყო ჩემი ვასაქირი.

იმ საღამოსაც ჩვეულებრივად ოჯახის ყველა წევრი მივუსხედით სუფრას სავაზმოდ. არ არსებობს იმაზე დიდი სიამოვნება, როცა მთელი ოჯახი თავშეყრილია, ირველივ კერძის კვამლის სუნი ღვას, ზიხარ და ვახშობი! მაგრამ

ამას ყველა ვერ გამოიგებს, ხარზამანის ოჯახში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იშლება სუფრა-სასტუმრო ოთახში; ეს მაშინ ხდება, როცა საპატრიო სტუმარი ეწვევათ ვინმე, დანარჩენ დროს სამზარეულოში ესადილობთ ხოლმე. მაგიდის თავში, როგორც წესი მოითხოვს, ოჯახის უფროსი — ხარზამანი ზის. მხარმარჯვნივ ვაგიშვილი ალიასი უზის, მხარმარცხნივ — მე, ჩემს გვერდით ალიასს მეთუღლე, დესი ზის, მის იქით კი, ჩემს პირდაპირ, ალიასისა და დესის ქალიშვილი — ამრა. აი, ოჯახის მთელი შემადგენლობა.

ოჯახს აკლია ხარზამანის მეთუღლე. იგი კარგა ხანია გარდაცვლილა. საცოდავი იქვე, ხარზამანის კარმიდამოშია დასაფლავებული. მის სამარეს პირქუში კლდე ადგას და ხარზამანიც ამ კლდეს ისე უყურებს, როგორც სიცოცხლის დასასრულს. აქვე არიან დაკრძალულნი ხარზამანის დედ-მამა, ბაბუა და ბიძა. სსაფლავს მესერი არტყია, მის ირგვლივ კი დგანან შავი სანთელივით ჩამოღვეთილი მუქი ფიჭუები. სასაფლაოზე უამრავი ნაირფერი ყვავილი ხარობს. ყოველი სამარის თავთან ღვეს დაბალი მარმარილოს ქვა, რომელზედაც ადბეჭდილია მიცვალებულის გამოსახულება.

ხარზამანმა ჭამის დაწყებისთანვე გადახედა იმ ადგილს, სადაც ადრე მისი ცოლი იჯდა ხოლმე, თან ისე დასცალა ღვინით სასუე პატარა ჭიქა, რომ ჩვენს გასაგონად არ უთქვამს არც ერთი სიტყვა ალბათ, ჩვენ ვერ გავიგეთ, თორემ იგი გულში ჩურჩულებდა თავის სათქმელს.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხარზამანს რომელიმე მიცვალებული ესხენებინოს, ან რაიმე ეთქვას მათზე. აი ახლაც, ვახშობის დროს, მის სახეზე არ შეგვიმჩნევია მოგონებათა სიმწრის აჩრდილივ კი. სიკეთე და სითბო იღვრება მის სანდომიან თვალთაგან და ყველას გვაცისკროვნებს.

საოცრად ტკბილია ოჯახი, სადაც მე ვცხოვრობ, საქმელი, რომელსაც ვჭამ

— გემრიელია, ჰაერი, რომლითაც ვსუნ-
თქვ, რომლითაც ვარსებობ — სუფთაა
და მსუბუქი.

მაგრამ ვაი, რომ არ შემიძლია თავი
ავწიო და მოპირდაპირე მხარეს გავი-
ხედო, იმ ადგილას, სადაც ამრა ზის.
მე დაყინებით ჩაეჭქერი საფე თეფშს
აღმათ ჰგონიათ, საჭმლის მეტი არაფე-
რი მაინტერესებს. ვიცი, ცუდად ვიჭე-
ვი. მაგრამ რა ვქნა, საკუთარ თავს ვერ
მოვერიე, თითქოს კისერზე ათი ფუთი
ტვირთი მეკიდოს, ისე მაჭვს თავი ჩა-
ქინდრული.

აი, ახლაც ხარბად ჩაეჭქერი ჩემს საჭ-
მელს, თითქოს მეშინია არაფინ წამარ-
თვის, რას ჰგავს ეს? სახეში ვერავის-
თვის შემიხედია, მაგრამ გუმანით
ვგრძნობ, რომ ისინი სხედან შვიდად,
ვანშობენ დინჯად, აუჩქარებლად, ჩემ-
სავით დამშეულოვით კი არ ჰმან. ისე
ჩქარა ვკამ საჭმელს, თითქოს ვინმე მო-
მღევდეს უკან. კი მაგრამ რომ დავამ-
თავრებ, რა უნდა გავაკეთო, ისევე ისე
თავჩაღუნული უნდა ვიჯდე?—

თითქოს ჩემს ჯიბრზე, მაინცდამაინც-
დღეს გადაიკარგა კატა, რომელიც ყო-
ველი ჰამის დროს ფეხებზე მომამბეზ-
რებლად გვეფოფინება და გულისწამ-
ლებლად კნავის ხოლმე. ის მაინც გამოჩნ-
დეს.

თავაუღებლივ ავიღე ღვინით საცხე
ქიჭა, მორცხვი ჰატარძალოვით ჩუმად
რალაც წავეილულლუდე, პირი გვერდზე
ვიბრუნე და განვებ გავაჰინურე სმა.
როდესაც მავიღისაკენ შემოვებრუნდი,
ჩემი და ამრას მხერა შეხედა ერთმა-
ნეთს. ყველაფერი ეს ელვის სისწრაფით
მოხდა. ასე მეგონა, მეზი დამეცა-მეთქი,
ავენთე. ერთმა ჰიქა ღვინომ და ამრას
თვალთავან ნატყორცნმა სხივებმა ჰი-
რის ოფლში გამხვიეს. ნეტავ აღარ მოი-
ხედავდეს ჩემსკენ, — გავიფიქრე გუნე-
ბაში.

ვანშობის შემდეგ მე და ხარზამანმა
დიღხანს ვისაუბრეთ აივანზე. ამრა და
დედამისი სამზარეულოში ჰურტლის
ალაგებას შეუდგნენ, თან დილისათვის
საუზმის თადარიგიც დაიჭირეს. აღია-

სი ალბათ ძალიან დაღლილი იყო, ყვე-
ლაზე ადრე დაწვა დასაძინებლად.

ჰაპიროსს მოვეუქდე, ლამფას ჩავე-
წიე და დავეწქი. მარტო რომ დავჩიი,
თითქოს ცოტათი დავშევიდდი, მაგრამ
ძილი სიხსლოვეს არ მომეკარა. ჰაპი-
როსს ჰაპიროსზე ვამოლუბ, მთელი
ოთახი თამბაქოს კვამლით გაივსო. ღია
ფანჯრიდან შემოვარდნილი ჰარი უკან
აბრუნებს თამბაქოს ბოლს და უღიე-
რად ფანტავს.

ლამფა სულ ჩავაქრე. ვიფიქრე, სიბ-
ნელეში უფრო ჩამეძინება-მეთქი. გაგი-
გონიათ!.. ძილი არა და არ მომეკარა.
მე და ჩემი ფიქრები ჩრდილებივით გა-
ვიხლართეთ ღამის სიბნელეში. ავწრი-
აღლი, ზან აქეთ გვერდზე გადავებრუნდი.
ზან იქით, ზან პირალმა დავეწქი, თვალე-
ბი დავეტუქე, მაგრამ არაფერი გამოვი-
და, რული არ მომეკარა. ნეტავი ჩამა-
ძინა, სიზმარში, ალბათ, რამდენ რამეს
ვნახებ საინტერესოს!..

ჩუ... ნაბიჯების ხმა! თმები ყალყზე
დამიდგა, თვალეში გამიფართოვდა,
ეცლისკენ გადავებრუნდი და გავიჩინ-
დე. ნაბიჯების ხმა დროგამოშვებით გა-
ისმის, ვგრძნობ კი, რომ სულ ახლოს
არის, აქვე, კედელთან. ეს ამრას ნაბი-
ჯებს ხმაა. იგი თავის ოთახში შევიდა.
ახლა ამ ხმას კაბის შრიალიც დავმატა.
კაბის, რომელიც ამრას ტანს მოსავს.
ამან ერთიანად ამირია ვონება. გულ-
მა ბავაბუგი დამიწყო, ციებიანივით
აეცახცახდი. ნეტავ ისიც მალე დაწვე-
ბოდეს!..

ყველაფერი მიწყნარდა. ირგვლივ სი-
ჩუმემ დაისადგურა. მეზობელ ოთახი-
დან ჩამიჩუმეც აღარ ისმის. ამრა დაწვა.
ახლა მაინც ჩამეძინოს!

ღამის სიბნელეში სულგანაბული
ეუსმენ ამრას სუნთქვას, რომელიც კე-
დლის ღრეჰოდან შემოდის. ჩაქძინა.
მთელი დღის დაღლილ-დაქანცულმა
დადო თუ არა თავი ბალიშზე, მამინათ-
ვე ჩაქძინა. ძინავს მშვიდად. დილაღე
ასე უშფოთველად იძინებს. რა ბედნი-
ერია?!

მე კი, იმის შიშით, რომ მისი სუნთ-

ქვის ხმა არ დაეკარგო, არც ვინძრევი. თითქოს ნაზი სიო მესალბუნება, ისე ჩამესმის მისი სუნთქვა.

ეკ, რა იქნებოდა, ჩვენს შორის რომ არ იყოს აღმართული ეს კედელი! გულმა ისე ძალუმიად დამიწყო ძგერა, ლამის ბუდიდან ამომვარდეს.

თავს ველარ ვიმორჩილებ. გული რიყზე დაედებულ თევზივით მიფართხალვს, რა შეაჩერებს ახლა ამ ძგერას? ვანა იგი დამნაშავეა რამეში?

ეკ, ჩვენს შორის რომ არ იყოს აღმართული ეს კედელი!.. სახლში ყველას მშვიდად სძინავს, ჩემს გარდა. ამ საღამოს არავინ დაწოლილა ცული გუნებით, რაც ხშირად უძილობის მიზეზია. მე მგონია, ამრასაც ისე მშვიდად სძინავს, სიზმარსაც არ ხედავს, ამას მისი ზომიერი სუნთქვა ადასტურებს. ყველას ტკბილად სძინავს და მათ უმფოთველ ძილს მხოლოდ დამის მყუდროება დარაჯობს. ვანა იმიტომ შემოვედი ამ ოჯახში, რომ აქ გამეფებულ სიმშვიდე დავარდიო?

რატომ ჩამოვედი ახალმთვარეში, რატომ?..

3

განთიადი მთებიდან დაიძრა. მკრთალმა სხივებმა ჭერ ნახად გადაკერეს თავისი ყვითელი შოლტები ეზოში მიმობნეულ ნაშს, შემდეგ ბრჭყვილა, ციმციმა თვალები სულ ამოუშამმა და ჩაკარგა მწუხან ბალახ-ბუღახში. თითქოს ზეებიდან მწიფე ნაყოფი ცვივაო, ისე გადმოხტნენ მოკრიახე ქათმები და ხმაურით მოედნენ ეზო-ყურეს; ფრები შეიბერტყეს, აკაკანდნენ და გულმოდგინედ შეუღვანენ მიწის ქექვას. მათი ხმა ერთი წუთითაც არ წყდებოდა; რალაცაზე დაობდნენ, თავისებურად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. რაზე? აბა ვინ გაიგებს, რაზე! იქნებ იმას მოსთქვამდნენ, რომ ხანმოკლე სიცოცხლე აქვთ?

თუკი საერთოდ არსებობს ქათმების ენა, ამის მკოდნე უთუოდ ამ ოჯახის

დიასახლისი დესი იქნება. აი, ახლაც დესიმ ქათმებს ერთი კალაქი სძინდა გამოუტანა.

ქათმებმა როგორც კი შენიშნეს დესი, ისეთი მზიარული კაკანი ატეხეს, არე-მარე გააყრუეს, თან თავიანთ დიასახლისს შემოეხვივნენ.

ქათმები კენკავდნენ საკენკს, თან, თითქოს პატრონს თავს აწონებენო, თავმოშწონედ კუტკუტებდნენ. დესი არ აყოვნებდა და მუჟა-მუჟა უყრიდა სიმინდს. ქათმებიც ერთმანეთს ეცილებოდნენ და მარჯვედ უკაკუნებდნენ ნისკარტებს. სწორედ ამ დროს ეზოში ხარზამანი გამოვიდა, რომელსაც თეთრი პირსახოცი ყაბალახივით გადაეგდო მხარზე.

მარტო ამ დილით კი არა, რაც თავი ახსოვს ხარზამანს, ზამთარ-ზაფხულ ამ კლდეებიდან მოვარდნილი ნაქალით იზანს ხელპირს, რომელიც მისი სახლის უკან მოედინება. სწორედ ამ მთის ციფი წყლისა და გამთენიის სუფთა ჰერის მადლითაა ხარზამანი ასეთი ჭანმრთელი, ქვა რომ მისცე, კბილით დაფშენის.

ხარზამანმა ეზო გადასერა. როგორც კი დესის მოკრა თვალი, თავისთვის მწარედ ამოიოხრა. არა, არ იფიქროთ, რომ რძალი არ უყვარდეს. ხარზამანს საკუთარ თავს ურჩევნია დესი, თვალში რომ ჩაუვარდეს, ხელს არ მოისვამს. თავის მხრივ დესიც დიდად აფასებს ხარზამანს. იმ დღიდან, რაც მათ ოჯახში შედგა ფეხი, მამამთილის პატივისცემაშია.

ხარზამანის დარდი ის არის, რომ დესის შეილიანობაში არ გაუღიმა ბედმა — ამრას მეტი შეილი არ ეყოლა. როდესაც მოხუცეს ეს გაახსენდება, ჩემად ამოიოხრებს, გულის ჯავრს ამით იქარვებს, სხვა რა შეუძლია! რძალს კი არასდროს არ საყვედურობს. ასეა თუ ისე ხარზამანი თავის ბედთან შეგუებულია. ღმერთმა ანგელოზივით შეილიშვილი აჩუქა, ის ჰყავდეს კარგად და სხვა სიხარული არ უნდა.

ხარზამანმა პირსახოცი აივანზე გა-

დაჰკიდა და ბალიაყენ გასწია. დესიც, როგორც კი თავისი ქათმები დააპურა, შინ შევიდა.

პერსდასვე ამრაც განთიადის შესახებდრად, ყელმოღერებულ შევლივით გამოვიდა აივანზე. წელში გასწორდა, ხელის თითები ერთმანეთში გადააქლო და ზე აღმართა, სივრცეს ვახედა და მწერა ეზოს მიღმა, დასალიერში შეაჩერა.

საუზმის შემდეგ თვითული ჩვენთაგანი თავის საქმეს შეუდგა. როდესაც წიგნებით დატვირთული ამრა ოთახიდან გამოვიდა, დესი სამზარეულოდან სასტუმრო ოთახისაკენ მიემართებოდა. აივანზე დედა-შვილი ერთმანეთს შეხედნენ. დესი შეჩერდა. აღერსით შეათვალიერა ქალიშვილი. დესი გუმანით გრძნობდა, ამრას რომ ნება მისცე სიამოვნებით გაფრინდება დედის კალთიდან. დღეს განსაკუთრებით არის გამოწყობილი. ამ სამოსში უფრო ლამაზი და პაეროვანი ჩანს. ვახაფხულის ნიორფერი ყვავილებით აჭრელებული აბრეშუმის კაბა, საოცრად შვენის. ყორანივით შავი ფერის ნაწნავები ამრას ლამაზ მხრებზე კეკლუცობენ. ბუდეში აფართხალბულ მოძრავ შავ თვალთა ზემოთ გამოლტილან გაფრენილი ფართო წარბები. მრგვალი, თოვლივით ქათქათა სახე კეთილად უღმის, ხშირ წამწამებში თითქოს გამულმებით ირეკლება ნათელი და მზიანი ამინდი, პატარა, პაქუა ცხვირი, ქვეყანაზე არც ერთ გოგონას არ მოუხდებოდა ისე, როგორც ამრას უხდება. ცხვირის ბოლო ოდნავ აწეული აქვს და ასე გეგონებათ, თითქოს მთელ სილამაზეს აქ მოეყაროს თავი. იქნებ სწორედ ამ ცხვირის ბრალია, ამრა ასეთი ლამაზი და მიმზიდველი რომ არის?

— შენც მიღებარ ამრა? — ჰკითხა დესიმ ადელევებული და შეშინებული ხმით.

— ჰო, მივდივარ, დედა!

— წადი, ნან, წადი. ახლა სახლში რა ვაგაჩერებს. წახვალ, აბა რას იზამ!

— როგორ არ უნდა წავიდე, ის კი

არა, უფრო ადრე უნდა წავსულიყავი... დღეს სკოლაში საკონტრაქტის სამუშაო უნდა ჩავატარო.

„უფრო ადრე უნდა წავსულიყავი“, ამ სიტყვების მეტი დესის არაფერი გაუგია. თავგზა აებნა, აღარაფერიც მსოღა, ბურუსით დაეფარა გონება და სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, მაგრამ გული გაიმავრა და მოიშორა ავი ფიქრები.

— შენ იმ ფრინველს ვაგებარ, ამრა, რომელსაც ფრთები უკვე გაუმავრდა, — დესიმ გაუგებრად და ორაზროვნად გამოთქვა თავისი აზრი, თან შეიღს თავზე ხელი ვადაუსვა, — ვადასახტომად გამზადებული ირემივით ხარ, შეილო, ეს, ცხოვრებავე, ცხოვრებავე, რანაირად ხარ მოწყობილი; ადამიანი შენს სათავეს პოულობს, დასასრულს კი ვერა.

გაოცებული ამრა შედგა.

— რას ამბობ, დედა?

— ისე, სხვათა შორის, ვთქვი... სიტყვამ მოიტანა, ასეა აგებული ცხოვრება-მეთქი... მე და შენ რა შუაში ვართ! ცხოვრება თავის საქმეს აკეთებს, ჩვენ არაფერს გვეკითხება. შენ უკვე მოწიფული გოგო ხარ, საესე...

— რას ნიშნავს ეს, დედა?

— რასაც ნიშნავს, ოდესმე თავად გაიგებ. ახლა წადი, ნან, წადი, სამუშაოზე დაგაგვიანდება!

ამრა ერთ ხანს გაქვავებული იღგა აივანზე, არ იცოდა რა ეპასუხა დედისათვის, შემდეგ ფეხათრევიტ დაეშვა კიბეზე. ახლა ის აღარ ჰგავდა იმ ამრას. ოთახიდან რომ გამობრწყინდა და სახეზე სიხარულისა და ბედნიერების ღიმილი დასათამაშებდა. ახლა ის ფიქრებში იყო ჩაფლული.

როგორც კი ამრა ეზოში ჩამოვიდა, ბილგიაც თავის ბუნავიდან კულისქნევით გამოძვრა და პატრონს დაედევნა. ამრა კიშკართან შედგა და ბილგია დატუქსა, ახლავე უკან დაბრუნდიო. განაწყენებული პირუტყვი იქვე ჩაცუცქდა, პატრონს ნაღვლიანი მწერა გააყო.

ლა და ვიდრე ამრა თვალს არ მიეფარა, ავღილიდან არ დაძრულა.

არც ისე პატარა მინძილია ამრას სახლიდან სკოლამდე. ამრას სახლი ისეთ მიუვალ მწვერვალზეა წამოჭიმული, მანქანა ვერ უღვება. ეს კარმიდამო სოფელს ნათხოვარი ქუდივით ადგას თავს. მარტო ერთი ოჯახისათვის გზას ხომ ვერ გაიყვან? თვითონ კი არაფრის გულისათვის ქვევით არ ჩამოდიან. და ასე ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მხოლოდ ერთი პატარა ბილიკი, რომელიც ამრას ოჯახის წევრებმა და მთაში მიმავალმა მწყემსებმა გაკვალეს, აკავშირებს ამ ოჯახს სოფელთან.

მთელი სოფელი მწვანეშია ჩაფლული. ირვლივ ჩიტების ტიკტიკი გაისმის. მღერიან ფრთოსნები ათასგვარ სიმღერას. მათი გალობა თითქოს ამხნეებს, სიცოცხლის ხალისს მატებს ადამიანს. განსაკუთრებით სასიამოვნოა დილის სიმღერა. თითქოს ყველა სულდგმულს მოუხმობენ: გაიღვიძეთ, განთიადი ფეხს იდგამს, ფხიზლად შეხვდით მწვენიერ დღევანდლობას, რომელიც თქვენთვის დაიბადა, ნუ დაყოვნებთ სრულყოფით თქვენი ცხოვრება. ამრა უსმენს ამ ტიკტიკს და ფიქრობს, რომ ქვეყნად არ არსებობს ამაზე ღიდი სიამოვნება. ახლა იგი ისეთივე ბედნიერია და წმინდაა, როგორც გარეგნადა, როგორც მთის მწვერვალადან მონაქროლი ნაზი ზეფირი.

უეცრად არხს იქით, ზესთან ვილაციის ჩრდილი შენიშნა. იგი ზურგით იდგა. თავი მაღლა აეწია და ხეებს შესცქეროდა. ამრამ შიახლოვებისთანავე იცნო თათვი:

— თათვი! ეს შენა ხარ, ბიჭო?

ქაბუკი მაშინვე შემობრუნდა, არხს გადაახტა და მასთან გაჩნდა. ამრამ თათვის აღარაფერი ჰკითხა, რადგან კარგად იცოდა მისი ხასიათი, ხის ქვეშ იმიტომ იდგა, რომ ყურს უგდებდა ჩიტების გალობას. თათვი გამსხვევდებოდა ამრას დანარჩენი მოსწავლეებისაგან. ბუნების დიდ მოყვარულს თითქოს მისი იღუმალი ხმაც ესმოდა.

ისინი ერთად წავიდნენ სკოლისაკენ. როგორც კი ზარის ხმა გაიშვა მოსწავლეები თავპირისმტვრევით აცივიდნენ კიბეზე და ხმაურით აავსეს საკლასო ოთახები.

აი, ამრაც შევიდა კლასში, სია ამოიკითხა, მოსწავლეებს შეახსენა, რომ საკონტროლო წერა აქვთ და საქმეს შეუდგა.

კლასში ისეთი სიწყნარე იყო, ბუზის გაფრენის ხმასაც გაიგონებდა კაცი. ამრა დაფასთან მივიდა და წერას შეუდგა. ბავშვები მოუთმენლად უყურებდნენ თავიანთ მასწავლებელს.

— „გაზაფხული მოვიდა“ — წაუკითხა ბავშვებს დაფაზე დაწერილი და ჭგუფისაკენ შებრუნდა. „გაზაფხული მოვიდა“ — ასე ჰქვია ჩვენი საკონტროლო სამუშაოს. „გაზაფხული მოვიდა“ — მესამედ, უფრო ხაზგასმით წარმოთქვა ამრამ. — რას ნიშნავს გაზაფხულის მოსვლა? რით განსხვავდება იგი წლის სხვა დროებისაგან? მკვალითისათვის ჩვენი სოფელი აიღეთ. რა სიასლე შემოიტანა გაზაფხულმა ჩვენი სოფლის ცხოვრებაში? ამა კარგად დაფიქრდით, ბავშვებო! ყოველი თქვენთაგანი შეძლებს ამ თემის დაწერას! რა ახალ გრძნობებს აღვიძებს გაზაფხული? ახალს რას ამჩნევთ ბუნებაში? აი ყველაფერი ეს დამოუკიდებელი, საკუთარი თვალთახედვით დაწერეთ...

მოსწავლეები ჩაფიქრდნენ, როდესაც ამრამ დაასრულა თავისი სათქმელი, თათვის თვალწინ უთვალავი სურათი გადაეშალა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გაზაფხულის ნიარფერი სურათები.

...დილაა. მთის მწვერვალებზე თვალის მომჭრელად აციაგდა დილის სინათლე. თვითონ ელუარე მზემ მიმოფანტა ეს მაღლი მთელს პორიზონტზე. ამ მაღლით ცხებული ხეები და ბალახები მძივასხმულივით დახუნძლოლოყენენ ვერცხლისფერი ცვარ-ნამისაგან.

მზემ თათვისი მაღლი ახლა ხევში ჩაღვარა.

დიდი ხნის გაყინული თოვლი გალხ-

ვა და ვერცხლის ნაკადებად დაიძრა. ჩურჩხელებივით დაკიდებულმა ყინულის ლოლულებმაც ძველი დაუმწვარი სანთლებივით დაიწყეს დნობა, და მათი წვეთები ცრემლებივით აქეთ-იქით გაიფანტა. მთებში დაძრული თოვლი მდინარეებს ემატება, ისინიც კალაპოტში ველარ ეტევიან და ნაპირებიდან გადმოდიან, თუკი რამ შემოხვდებათ წინ, გლეჯენ და იტაცებენ.

ფრინველებმა ლაღად გაშალეს ფრთები, მზეს მიეფიცნენ და გაინავარდეს. ყველაზე მაღლა დაფრინავს ძერა, რომელიც ისე ირწყევა, თითქოს ცაზე თოკით იყოს მიბმული. მთის კაკბებებმა თავიანთი გადაძაბილით აავსეს ქედები. მცენარეები ახალ სამოსში ირთვებიან. ხიდან ხეზე დაბრუნდნის მოუსვენარი ციყვი. როცა მზის სხივებმა დათვის ბუნავშიც შეაღწია, ვებერთელა დათვიც გამოვორდა გარეთ. ქედებზე გამოჩნდა მზის სხივებში მობინავე ჭიხვები, გარეული თხები, — ყოველი სულდგმული აცქლქდა ამ სხივებით განებურებულთ.

ახალმოვარე მწვანეში გაბადრული ღვას და მის ირგვლივ გაზაფხული ზეიმობს. ტრაქტორის მიერ გადაბრუნებული მიწა შავად ბზინავს მზისგან. ახლა გული არავის უდგება სახლში, ყველა მინდვრად გამოსულა.

თითქოს ზამთართან ბრძოლით მოქანცული ზღვის ტალღები ახლა წამოიშორნენ, ეჭილებიან ნაპირს, მაგრამ ისევ უკან ვარდებიან. ნისკარტყნაგრძელებული თოლიები თევზებზე ნადირობენ. სანაპიროზე გამხმარი ქვიშა ხორბალივით ყრია.

მართალია, თათვი საკლასო ოთახში ზის, მაგრამ ფიქრით საღ არ დაეხეტება. მის თვალწინ ნაირ-ნაირი სურათები ჩაიჭროლებენ. ყველას აღქმა შეუძლებელია. ის გონების თვალით არჩევს ყველაზე საუკეთესოს, რაც კი ბუნებას შეუქმნია ამ გაზაფხულის გარიყრაზე, ამ წუთში თათვი ჰგავს ფუტყარს, რომელიც უამრავ ყვავილთა შორის საუკეთესოს ირჩევს. მალე მოსწავლეებმა

მელანში ამოვლებული კალმების ნისკარტებით ააწრიბინეს კლასში გაზაფხული.

4

გაზაფხულობით და ზაფხულობით ჩვენს სოფელში, უფრო ხშირად კვირა დღესაც მუშაობენ. სოფლელები მხოლოდ მაშინ ისვენებენ, როცა მოსავალი მთლიანად აღებულია და ამბრები ყელაქუ საესეა სიბინდით, როცა ადრევე მომარაგებული აქვთ ალაფი და შეშა, როცა საქონელიც მაძარია და თბილ ბოსელში არჩეინად ილეუება.

განა შეიძლება დასვენების დღედ ჩაეთვალოთ დღევანდელი, გაზაფხულის კვირადღე? ალბათ, ნახევარზე მეტს არც ახსოვს, რომ დღეს კვირაა. დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ვისაც კი ფეხზე დგომა შეუძლია სამუშაოდ გაიჭრითა.

ჩვენს სოფელში საგაზაფხულო თესვა დასასრულს უახლოვდება. თავდაპირველად თესვა მცირე ხნით შეგნებულად შეაყოვნეს, რადგან თუ ყველა დასათეს მიწას ერთდროულად დათესავთ შესაძლოა, გამარგვლა დაგაგვიანდეს. ამიტომაც მიმართეს ერთგვარ ინტერვალს.

დღეს კი ჩვენ ჩვენს კოლმეურნეობა „ახალმოვარეში“ მთელი ძალები თამბაქოს რგვაზე გადავისროლით. წვიმამ, წინაღობით დანამა მწყურვალი მიწა და ახლა ისეა დარბილებული, რომ სულ ადვილად შეიძლება ჩაარტო ჯობი, ჩარგო თამბაქო და გაამაგრო.

მოსწავლეებიც, თავიანთ მასწავლებლებთან ერთად, გამოვიდნენ სამუშაოდ. ამრაც აქ არის და თამბაქოს რგავს.

როგორ უხდება მუშაობა. რასაც არ უნდა ავეთუბდეს, არ შეიძლება არ გამოარჩიო იგი სხვებისაგან, როგორც კაფად და მარჯვედ რგავს. სხვებივით უბრალო და სადად აცვია. ძველი, გაზუნებული კაბა და ჩითის თავსათარი. მაგრამ სხვებზე მეტად უხდება. კი არ მეჩვენება, ნამდვილად ასეა.

მეც გულმოდგინედ ვრგავ თამბაქოს. მე კი არა, ამრას დედაც არ ჩამორჩა თავის ქალიშვილს, დაეინებით მიპყეება მათზე გაპიროვნებულ კვალს.

ხარზამანს რაღა ვაჩერებს შინ? ისიც აქ არის, ხანდაზმულთა შორის დგას და თამბაქოს ნერგებს აწვდის კვლებში ჩაჩოქილ მრგველებს და ამით სამუშაოს ამსუბუქებს. ამბობენ, აღამიანთან ყველაზე ახლო საკუთარი პერანგიაო. ხარზამანიც, ამრას პირდაპირ ფეხშეუშლულად მიპყეება ლარივით გაქიმულ კვალს და ჩქარ-ჩქარა აწყობს ჩითილებს თავ-თავის ადგილზე, მაინც ვერ ასწრებს ხარზამანი, გრძნობს, რომ ამრა საცაა წამოეწევა. მოხუცი უფრო უმატებს ტემპს. მაგრამ არა, ქალიშვილი მაინც წამოეწია. შემდეგ კი თვითონვე შეებრაღა უკან მიტოვებული მოხუცი და თითქოს ძალიან დაილალო, შეანეულ ტემპი.

მე ამრას გვერდით ვიდექი. იქ ძალით არავის დაფუყენებდნარ. ეს მხოლოდ ჩემი სურვილი იყო. მერჩია კი განმართებულ მყუდრო ადგილას მემუშავა, რათა ამრას მზერა არ მომწვდენოდა. იმიტომ კი არა, რომ არ ვიცი თამბაქოს რგვა, არაა ჭერ კიდევ ბავშობისას ვრგავდი თამბაქოს, არავის ტოლს არ ვუღებდი.

ახლა კი არ ვიცი, რა დამემართა, ახლა, როცა ამრას ახლოს ვემუშაობ, ისე ახლოს, რომ მისი სუნთქვაც კი მესმის, მასთან შედარებით ჩემი თავი სასაცილოდ მეჩვენება, მგონია, ყველაზე ზარმაცი ვარ. ვგრძნობ, არაქათი მეცლება, ვერ ვერვები საკუთარ თავს, ვცდილობ და არაფერი გამომდის. წელში ვერ ვიხრები. ვარ საცოდავად ჩაცუცქული და უხერხულად ვრგავ. თუმცა, აბა რა იქნება, როცა თვალი, გული და გონება სხვაგან გამიბრბის, იქით, სადაც ამრა ასე გამაღებით მუშაობს. თითქოს ხელებიც მომიდუნდა, ჯობი, რომლითაც თამბაქოს ვრგავდი, დამივარდა. კიდევ კარგი, რომ ჩემს ახლომახლო არავინ მუშაობდა, თორემ საქვეყნოდ მომეჭრებოდა თავი.

რაც უნდათ, ის იფიქრონ ჩემზე, ოღონდ გამაგებინა, თავს როგორ ვგრძნობს ამრა, ოღონდ მის სულში ჩამახედა... ნუთუ ვერ ამჩნევს ჩემს მღვლევარებას?... არა! მას არცკი ახსოვს, რომ მე ვარსებობ ამ ქვეყანაზე, რომ იმ კეთილშობილი საქმის ვარდა, რომელსაც ახლა იგი აკეთებს, კიდევ არის სულ სხვა ცხოვრება.

შუადღისას, როცა პაპანაქება აუტანელი გახდა, ჩემდა საბედნიეროდ, გადაეწყვიტეთ, დიდი კაკლის ხის ჩრდილში შევესვენა. დიღმა და პატარამ აქ მოვიყარეთ თავი. ყველანი კარგ ხასიათზე იყვნენ: მზიარულობდნენ, ოხუნჯობდნენ, თან ჩრდილში ნებივრობდნენ. ახლა თავს აღარ ვგრძნობდი ობლად, როგორც რვეის დროს, ამ საერთო მზიარულებამ მეც ჩამითრია.

განსაკუთრებით ამრას საქციელმა გამაკვირვა! მუშაობისას თითქოს ცხოვრებას გაერიოცაო, არავის არ ამჩნევდა. მისი ფიქრი არ შორდებოდა იმ სამუშაოს, რომელსაც ასრულებდა, ვერავის შეეძლო თუნდა წამით წაერთმია ყურადღება. ახლა კი, ის იყო მთელი ხუმრობის, სიცილისა და მზიარულების მოთავე.

მოულოდნელად ვილაცამ გამკვირვანი ხმით საცეკვაო სიმღერა წამოიწყო, თითქოს ცის ჭერი გახერხტესო, დანარჩენებიც აპყენენ. რიგრიგობით გაისმა ახალგაზრდების გამომწვევი წამოძახილები: „დაჰკათ ტაში, დაჰკათ ტაში“. საცეკვაო სიმღერამ მიაღწია განსაზღვრულ კიდეს. გახურდა და ისე გაძლიერდა, კაცს ეგონებოდა, მთელი სამყარო ტაშვანდურმა აიტაცაო. ამასობაში ცეკვის დროც მოახლოვდა, ვინც არ უნდა გადმოხტეს წრეში, ვისაც კი ოდნავ ფეხის განძრევა შეუძლია, ტაშისკერა ისე აიტაცებს და აცეკვებს, როგორც ტალღა მდინარეზე მოტიტტივე ფოთოლს. მაგრამ ვის ეყოფა გამბედაობა, ვინ გამოვა პირველი?! ასეთ შემთხვევაშიაც სითამამეა საქირო. ყველა გულისფანცქალით ერთ ადგილზე წრიალებს. ცეკვის დრო კი ზარივით რეკავს. მაგრამ

ყველა რატომღაც თავს იკავებს. „მიდი, ჯერ შენ გადადიო“, თვალუბით ანიშნებენ ერთმანეთს. ჯერჯერობით ვერაფერს ბედებს ნაწი გატეხოს. და, როცა ტაშფანდურა თავის საზღვარს გასცდა და ხელისგულებმა ნაპერწკლები გაჰყარეს, ჯგუფიდან თვეზივით გამოყოფილა ამრა.

აქ გადაწყდა ყოველივე მოულოდნელად, თვითონ, არ ვიცი, რამ ამიძულა, როგორც კი ამრამ წრეს ჩამოუარა, ჩემდაუნებურად, თითქოსდა ვიღაცამ მიბიძგაო, მის წინ გაეჩნდა.

როგორ სწრაფად მოძრაობდნენ მისი ფეხები! თითქოს ეხებოდნენ და არც ეხებოდნენ მიწას. გეგონებოდა, იგი პაერში დაფრინავსო. ამრა თითისტარით ტრიალებდა წრეში. მისმა მიმოქროლვამ შემბყრო და წარმოიტაცა. იგი შესანიშნავად ერკვევა ხალხური ცეკვის ხელოვნებაში და ცეკვის რთულ ილეთებსაც უხადოდ ფლობს. მე აბა სად მივწვდე. ისე გამოვიდა, თითქოს მიზეზს ვეძებდი, ხალხს დავენახე ამრასთან ერთად. როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო, მეც ასე მომივიდა. სიზმრადაც რომ ვერ წარმოვიდგენდი, ისეთი სითამამე გამოვიჩინე.

ამრას ცეკვაში ყველა ჩემი ნაკლი ჩაინთქა. იგი ძალზე მოხერხებულად, მრავალფეროვნად და საინტერესოდ ცეკვავდა, და მე ისე დავიქანცე, მკლავების გაშლის თავიც აღარ მქონდა. ჩვენს შემდეგ აღარაფერს უცეკვია. ასე ვთქვათ, ჩვენი დაწყებული საქმე ჩვენვე დავსრულეთ. როგორც კი ცეკვა შეწყვიტეთ, სიმღერაცა და ტაშისკვრაც ისე მინავლდა და მიილია, როგორც კერიის ღვეფლი, რომელსაც შემა არ შეუტეთეს.

— ისევე ჩრდილოეთელებმა გვიხსნეს, — ჩაილაპარაკეს აქეთ-იქიდან. ასე, სრულიად მოულოდნელად მე გავხდი ამრას ქება-დიდების თანამონაწილე.

სადილობის შემდეგ ჩვენს კოლმეურნეობაში მოხდა ისეთი ამბავი, რამაც სულ დამავიწყა ამრასთან ცეკვა. თითქოს კამეჩი რქებით უჭირავთო, ისე იდგა ალიასი ტრაქტორის წინ იმ ადგი-

ლას, სადაც ჩვენ თამბაქოს ვრგავდით. სწორედ თამბაქოს დასარგავად ვიშაღებულ ნიადაგზე დააყენა ტრაქტორი. ყველამ თავი მიანება მუშაობას და ალიასს შეხედა.

ალიასი თამბაქოს ნერგებით ტრაქტორის მოსაყიდზე დაჯდა. ტრაქტორმა აამუშავა ფოლადის ცხენი და გაუტია. ალიასი მოსაყიდის ზერელში თითო-თითოდ უშვებდა ნერგს, ტრაქტორი კი აღამიანივით მოხერხებულად რგავდა მას.

ახალგაზრდებმა ჰკვირანო მანქანის ხილვით გამოწვეული აღფრთოვანება ვერ დამალეს, ტრაქტორს ყოველის მხრიდან მიცივიდნენ და თვალთერება დაუწყეს, ხოლო ხარზამანი და მისი თანატოლები არც კარგს ამბობდნენ, არც ცუდს, იდგნენ და გამტკრებული უყურებდნენ ერთმანეთს. განა გასაოცარი არ იყო? — აღამიანმა თავისი ჩვევები მანქანას გადასცა და ხალხის სამსახურში ჩააყენა.

— ეს ტრაქტორი კი არა, ნამდვილი სასწაულია, — გადაულაპარაკა ხარზამანს ერთ-ერთმა მოხუცმა.

— ხარზამანმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ისევ ტრაქტორს ვახედა.

ამ დროს ალიასმა ტრაქტორისტს ხელი დაუქნია და მანქანაც მაშინვე გაჩერდა. ალიასმა მოსაყიდის ისკუბა, შეამოწმა რგვის ხარისხი.

— კარგა მაგრადაა დარგული, ვერცერთ ნერგს ადვილად ვერ ამოთხრი, — უთხრა ალიასმა ტრაქტორისტს.

— დად, თუკი თქვენი მანქანა ასე საიმედოდ რგავს, მაშინ ჩვენ აქ რაღა საჭირო ვართ, — ხუმრობით მიამახა შვილს ხარზამანმა.

— ყველგან არ შეუძლია დარგვა, — უპასუხა ალიასმა, — ჯერჯერობით მხოლოდ სწორ ადგილზე რგავს, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ძალე გვექნება ისეთი მანქანებიც, რომლებიც ფერლობებზედაც შეძლებენ თამბაქოს დარგვას, აი, ზომ გამოჩნდა ჩაის საყრდენი მანქანები?

—ჰო, შვილო, მკერა, მაგრამ, როგორც ვატყობ, ეს ჩვენი ხელები ქამის გარდა არაფერში გამოგვადგება, პოლა, რატომ აკეთებთ ამას? — ამაყად მიმართა ხარხამანმა შვილს, ალიასი ამ დროს უკვე ტრაქტორზე იჯდა და მამის სიტყვები აღარ გაუგონია.

შეზინდებამდე ვრგავდით თამბაქოს. მშვიდი საღამო იდგა სოფელში... მშვიდი და სოფლური საღამო.

რა შეიძლება იყოს ამაზე მშვენიერი? ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი წყნარი, ალერსიანი, თბილი საღამო. მართალია, ჩვენ ყველანი საცმარისად დალილები ვართ, მაგრამ სულში არავითარ სიმძიმეს არ ვგრძნობთ. მთელი ოჯახი მთის ბილიკს დავადექით. წინ, როგორც ყოველთვის, ხარხამანი მიგვიძღვის. უკან კი ასაკის მიხედვით მოგვებოდით ერთმანეთს.

გარშემო სიჩუმეა. ყველაფერი, რაც სიბნელეშია ჩანთქმული, ძილმა მოიცვა, სადაც შორიდან მოისმის მდინარის ხმაური, ჭიშკართან ვაბშით ყფის ბილგია, ჩვენ ისე ვართ დალილები, რომ ხმის ამოღებაც გვეზარება.

სულ მალე შინ ვიქნებით. დღეს მაინც დამეძინებოდეს უშფოთველი, მშვიდი ძილით. დღეს მაინც!

5

ცხენს მათრახი შემოვკარი, ალაყაფის კარის ზღურბლს გადავახტუნე და ვიწრო ბილიკით პირდაპირ იალაღები-საკენ გავექანდი. ცხენი ჯერ მთელი სისწრაფით მიქროდა, ხოლო, როცა აღმართი დაიწყო, უკლო სვლას. თითქოს პირუტყვმაც იგრძნო, რომ ძველი ხურჯინივით ვიყავი მის ზურგზე გადაკიდებული და თავის ნებაზე მიმაქანებდა. უაზროდ დავაცქერდი ჩემი ფიჭრივით აწეწილ მის ფაფუკ ფაფარს და მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა ცხენი მტკნარ წყალთან შეჩერდა. წყლის ზედაპირზე არეკლილი ჩემი და ცხენის გამოსახულება ხან დიდდებოდა, ხან კი სულ შთაინთქმებოდა ხოლმე.

მოლივლივე წყლის მუქ სარკეში დავინახე ჩემი ნამდვილი სახე და ამან თითქოს ცოტათი გამომაფხიზლა. ცხენს ფერდებზე შემოვკარი ტუსლები, იმავე წამს პაერში მათრახმაც გაიწვილა. სტეენის გავგონებაზე ნიავეით ვაფრინდა ჩემი მერანი.

ავედი თუ არა იალაღებზე, თითქოს ჩემს მისვლას უცდიდნენ, ფარების წინ ორმა თხამ კოჭლობით ჩაიარა.

—რა მოუვიდათ? — ვკითხე პირველსავე დამხედურს და ცხენიდან გადმოვხტე.

მწყემსმა დაწვრილებით მიამბო თების ამბავი.

სად არ შეყოფენ ცხვირს ეს თხები! თურმე რამდენიმე თხა კლდის ქიმზე ასულა. დანარჩენებსაც მათთვის მოუბაძიათ. სწორედ ამ დროს ქვები დაგორებულა და თხებიც დაშავებულან. წამალი დავამზადე, თხებს ფეხები შევუხევე და გაუღმევი. ისინი ახალფეხად გმულებივით დაბორიალობდნენ.

მართო რომ დავრჩი, ისევ მოუსვენრობამ შემიბყრო, სად წავსულიყავი, არ ვიცოდი. მთისკენ მიმავალ ბილიკს დავადექი, იქნებ გული გადავავალო-მეთქი რამეს. მივდივარ უხალისოდ, უმიზნოდ. ნელ-ნელა მივიწევე მალლა-დალილობა რომ ვიგრძენი, გავჩერდი და მივიხედ-მოვიხედე, ერთ დიდ ქვაზე ჩამოვჯექი და იქაურობას თვალყურება დავუწყე.

როცა ქვევანას დიდი სიმაღლიდან გადასცქერი, შენი თავიც გოლიათი გგონია, ალბათ, ამ დიდებულმა მთებმა, მოსმა ცინცხალმა პაერმა აგამაღლა. სულ გამოგვევალა და გეჩვენება, რომ ამ გოლიათ მთებს თავიანთი ღონიერი მკლავებით მალლა აუტაცინხარ. მთებსაც ხომ აქვთ საკუთარი სიამაყე და ახოვანება! მათი გულიც ისეთივე სუფთაა და ხალასი, როგორც მათივე ნაკადულები. მოხვალ აქ და ძალ-ღონე გემატება, გიზიდავს მათი ხელშეუხებლობა და შენც ხელშეუხებელი ბედნიერების შორეული ციალივით ჩუმად იჯახები, გონების თვალშიც ნათელი ის.

ადგურებს და ყოველგვარი უკეთური აზრი თუ ფიქრი მაშინვე ქრება.

მეც ასე დამემართა. გული გადაიხსნა და ჩემს თავს შემოვფეხიე, შორს ოხვრა და წუხილი-მეტეი. მე რატომ უნდა მოვისიო შევი ფიქრები, როცა ამ მთებმა გული სულ მთლად გადამიშალეს?.. ჩემს წინაშე ხელისგულივით მოჩამს მთელი სამყარო!.. მაშ, შორს ჩემგან უსიამო მოწყენილობავ!

ადამიანი გულის ჩივილს არ უნდა აპყვეს, თუკი სწადია, რომ მის ცხოვრებას აზრი და რწმენა არ დაეკარგოს.

ყოველივე ამის თქმა ადვილია, შესრულება კი ძნელი.

რისთვის დავრჩი საცხოვრებლად ბარზაინის ბინაში? რისთვის დავუკავშირე ჩემი ბედი ამრას?

ეს ხეამიადი ჯერ ვერავის ვერ გავუხსილე. ამ არემარეზე არც მეგულება ისეთი ვინმე, რომელსაც შეიძლება ჩემი საიდუმლოება უყოყმანოდ გავანდო, თვით ამრას ვუთხრა?.. ჰმ, მაქვს მერე ამდენი გამბედაობა? იცოცხლე, როცა მარტო ვარ, ოცნებაში თამამად ვეუბნები ყველაფერს. მასთან კი ენა ჩამივარდება ხოლმე.

აი, ახლაც, ჩემი ვადაწყვეტილება თითქოს ქარს გააყვავა; ჩემს წინ კვლავ აღიმართა ამრა მთელი თავისი მომხიბვლელივით. გული შემეკუმშა, სახეც ერთიანად ამლენა და გლახას დავემსგავსე. ამრა სულ ახლოს მოვიდა ჩემთან, ნახად გამიღიმა...

თვალეზე ხელი ავიფარე. იგი მაინც ჩემს წინ დგას ნუშის ხესავით აფეთქებული, ჭიუტად მოღიპარე!..

მაგრამ ეს რა ხმა მიწვდა ჩემს სმენას? — „შეჩერდი, ალოუ.. რატომ გამირბი?.. არ შემიძლია მე უშენობა!... მეც ვჩერდები და ყველაფერი თავიდან იწყება.“

ამრა იცინის, იცინის და ამ სიცილის შიორ ჩქერებში თითქოს ჩემს სიყვარულს დასციინის. ბოლოს სიცილი ძაფივით წყდება. დადლილ-დაჭანტული გულიც თავის საგულეს უბრუნდება. ამრასაც თანდათან ეცვლება სახე, მო-

ღუშული მიმზერს, თითქოს რაღაცა ეწყინათ, ნელა მშორდება ჩემს გულს და ისევ ისე მეუფლება სასოწარკვეთილება.

არა! ასე ცხოვრება არ შეიძლება! თავზე ცა რომ ჩამომენგრეს, უკან აღარ დავიხეც. ახლაც მივალ და ყველაფერს ვეტყვი. თითქოს მთებმაც შემაგულიანეს, ხელი მკრეს და მეც წამოვხტი, სულმოუთქმელად დავეშვი დაბლა ცხენი შევკაზმე, შევაჯექი და გზას გავუდექი. თავდაუზოგავად მივეჭრი, მაგრამ, რა უნდა ვუთხრა ამ შუადღისას? ღამე მაინც იყოს, მეტი გამბედაობა მექნებოდა, იქნებ სისულელეს ჩავდივარ?.. როგორ გაუკვირდება!..

თითქოს ბირუტყვამაც იგრძნო მხედრის გადაწყვეტილება, ფაფარში ქარი ჩაიწინა და ქარზე უშალეს მიმაქროლებს. ცხენიც გამირია ახლა ჩემსავით, სისხლი უღულს და გულიც ცხელი აქვს. რა შეედრება ჩვენი გულის ფეთქვას ამ წუთში?!

კიდევ კარგი, რომ სოფელში დღისით უსაქმოდ არავინ დაებეტება, თორემ ჩემი შემზღვარი უსათუოდ გაიფიქრებს, ეს კაცი ან გაგიჟდა, ან რაღაც უბედურებას გადაეყარა.

მე არავინ შემინიშნავს. თუ ვინმემ შორიდან მაინც მომკრა თვალი, სულ არ მენადვლება, რაც უნდა ის იფიქროს.

სკოლას რომ მივუახლოვდი, ცოტა არ იყოს, შევკრთი. თითქოს ჩემს ჯიბრზე, როგორც ფუტკრები საფუტკრედან, ისე გამოცვივდნენ ბავშვები სკოლის შენობიდან. ამრაც მათ შორის იყო. მაგრამ, ვაი რომ გაგიყებულ ცხენს ველარ ვამაგრებ. შიშმა და სირცხვილმა შემაძრწუნა. ერთი ქვიცილივით ასტეხეს ბავშვებმა. ჩემამდე არც ერთ სიტყვას არ მოუღწევია. ვერ გავიგე, უკვირდათ ჩემი საქციელი თუ დამცინოდნენ?.. რა თქმა უნდა, დამცინოდნენ კუდრაკები.

ამრამ რომ მკითხოს, ასე გიჟივით თავაწყვეტილი სად მიპქროდი, ისეთი რა შეგემთხოვო, რა ვუბასუხო? ვერა-

ფერსაც ვერ ვუბასუხებ. როგორი გადაწყვეტილებით დაფეშვი მთიდან და რა სასაცილო დასასრული გამოივიდა! კარგად უთქვამთ, უმიზნო ჰქვება ქარის ცემათ.

მეც ასე ჩავიქროლე იმ დღეს ამრას წინ და ვერავითარი კვალი ვერ დავტოვე, თითქოს შურადულივით გამოტოვონილი ჰქვა ვიყავი და სხვა არაფერი.

6

ხარზამანის ეზოს გადაღმა დგას მისივე წინაპართა კბილა, გადაბერებული მუხის ხე, რომელსაც ვეება, ხორკლიანი ფესვები მიწიდან ამოხსნილი, ათასნაირად დაკრუნჩხვია და უსსოვარი დროის თქმულებებში შემორჩენილი ურჩხულბივით გადაფარჩხულან ირგვლივ. მუხის ნახევარი ჩრდილი შავი ხავერდის ფარდასავით ჰკილია ფერდობს, დანარჩენ ჩრდილს კი ეზოს ნახევარი ჩაუბლუჯავს. მუხის შორიახლო აღმართულ პიტალო კლდეებიდან, ხარზამანის ეზო-კარს ამაყად რომ გადმოსცქერის და ყბა ისე მოღრეცია, თითქოს უქირს თავისივე ძვირფასი შენადნობის სიმძიმის შეკავება, მხიარულად გადმოსჩქეფს ანკარა წყარო და იქ, ქვევით, როგორც კი წელში გაიძირთება, ბტუნვა-ბტუნვით გაუდგება გზას. მერე მისი შეფეხები ნაპერწყლებივით ენთებიან აქეთ-იქით, თავის მერვე გამოქურთვულ პატარ-პატარა ღრმულებში. იგი ცეკვავს ამ ღრმულებში, თითქოს უხარია, რომ ცოცხალია და ეს-ეს არის თავი დააღწია სიბნელეს. კამკამა წყალში თვალნათლივ მოჩანს ფერადი ფსკერი. იფიქრებ, საგანგებოდ მოუკირწყლავთ იგი სხედასხვა ფერის კენჭებით. წყაროს თავთან, ჯოხზე ჩამოკიდებული სახაპელას პაწაწა ჩრდილის ანარეკლი წყლის ზედაპირზე ისე ცახცახებს, გეგონება, ნაზღის ქული მიცურავსო.

მსუბუქი ნიავის ქროლვით დამტკბარი ხარზამანი მუხასთან ცხვრის ტყავზე

ზის და ისვენებს. მას არ შეუძლია თუნდ ერთი წამით თვალი მოსწყვეტოს სასწაულმოქმედ წყაროს წყალს. მუხას ზურგით მიჰყუდება და ოცნებაში ჩაძირულა. ამ მიწაზე დაიბადა იგი, ამ სახლში, მისი მამის და პაპის პაპულ სახლში, იმათ სახლში, რომელთა დიდებულ ნაკვალევზეც დააბიჯებს ხარზამანი. ამ ეზოში აიღვა ფეხი, ამ გაურანდავი ქვების ახლო; რომელიც აგერ რამდენი ხანია საიმედოდ დევს ამ სახლის კარზე. აქ არის მიწა, რომელსაც მკერდში ჩაუკრავს ღვთით კურთხეული ვაზის ფესვები, ხარზამანის წინაპრებმა რომ ჩაჰყარეს. აქ არის ის მიწა, რომლის ბატონ-პატრონი ახლა თვითონაა და, როცა იგი სამუდამოდ გამოემშვიდობება ამ ცხოვრებას, მას თავის ბავშვებს დაუტოვებს, ხოლო თავისი ბავშვები თავიანთ მხრივ მომდევნო თაობას გადაულოცავენ.

განა არსებობს იმაზე უფრო დიდი საქმე, ვიდრე შთამომავლობის შენახვა და განმტკიცება? ადამიანი მხოლოდ სტუმარია წუთისოფლისა და ერთ მშვენიერ დღეს სამუდამოდ უნდა მიატოვოს იგი. მაგრამ ამქვეყნად რჩება სახელი, რჩება საქმე, რომელიც ამ სახელთანაა დაკავშირებული.

ხარზამანის აზრით, ადამიანის სახელს იცავს და უკვდავყოფს ის ადგილი, სადაც კერიის თავზე კვამლი ამოდის, სადაც არ გადატეხილა ხერხეშალი მისი მეურნეობისა და არ დამპალა მამა-პაპის მიერ ჩაყრილი საძირკველი. ამაში მას ვერავინ ვერ დაეჭვებს, ყველა, ვინც ამას შეეცდება, მწარედ გაწილდება. ტყუილ-უბრალოდ თავის შერცხვენა კი რა ბედენაა!

ხარზამანი მოუსმენს და შესაძლოა დიდის გულისყურით მოუსმინოს იმას, ვინც ამაზე სიტყვას ჩამოუგდებს შემდეგ, კი მისებურად, თავისთავის ჩაიღიმებს და იტყვის, ტყუილი ლაპარაკია, ამ ქვეყანაზე არ რჩება არავითარი სახელი, რომელიც არ იქნება დაკავშირებული საკუთარ მემკვიდრეობასთან, და თავის რწმენით წელგამართუ-

ლი თავისივე გზას გაუყვება, შეხედავ მას და მაშინვე იგრძნობ, რომ იგი მართლაც სულ სხვა კაცია, სულ სხვა ტკივილისა და მღელვარების მქონე გლეხი, რომელიც თავის გულში აღუდგმს თავისივე ხალხის ქირსაც და ლხინსაც, ესარჩლება კარგსაც და ცუდსაც და ცოდვაც იქნება, თუ ამგვარ დამოკიდებულებას მას ვინმე შეცდომად ჩაუთვლის. რა დიდი ჯაფაც არ უნდა დაადგეს, როგორც არ უნდა დაიღალოს, შევა თუ არა საკუთარ სახლში, ჩაწვება თავის თბილ ლოგინში და მაშინვე მშვიდად ჩაიძინებს. დილით კი მზიარულ ხასიათზე გაიღვიძებს და მსუბუქად შეუღდება ჩაცმას. მას არასოდეს არ ენანება თავისი ძალა და, თუ საჭიროა, ცხრაკლიტულსაც გასტეხს და გაევა. ხალხის საქმისათვის თუნდაც ქვეყნის დასალოერებამდე ივლის. მაგრამ შემდეგ, აუცილებლად შინ უნდა დაბრუნდეს, მხოლოდ შინ, მხოლოდ საკუთარ კერქვეშ შეიძლება თავისუფლად ამოისუნთქოს კაცმა, მას სუნთქვაც კი არ ძალუძს, თუ გარშემო თავისი ეზოს ჰაერი არ ჭრის.

დროდადრო თავისი წინაპრები აჩრდილებივით ჩაიჭროლებენ მის თვალწინ; რაც დრო გადის, მით უფრო შორდებიან ისინი მოგონებათა საყუდარს, მაგრამ მათი ხსოვნა ეზოს ყოველ კუნჭულ-კუთხეშია ჩამარხული, ყველაფერი მათთანაა დაკავშირებული, აი, ამის გამო ხარზამანი ასე მიჯაჭული ამ ეზო-კართან. ეს რომ არა, აქამდისაც ჩავიდოდი ქვევით, ბარში, იქ სტოკრება ბევრად უფრო მოსახერხებელია, მაგრამ რა ქნას, ყველაფერს რომ შეელოს, მამა-პაპის წმინდა საფლავებს ვერ დატოვებს, ასე რომ არ მოქცეულიყო, ახლა მათი საფლავების ნიშანწყალიც აღარ იქნებოდა ამ მრავალგზის დაჭირლობებულ დედამიწის ზურგზე.

აი, თუნდაც ეს პაწაწინტელა ნაკადული, რამდენ მოგონებას აღუძრავს ხარზამანს! ჭერ კიდევ ბავშვობაში რამდენი რამ გაუგონია თავისი პაპებისა-

გან ამ ნაკადულის შესახებ. თურმე, მისი წინაპარი, რომელიც ამ ადგილას პირველად დასახლდა, ჩანჩქერიდან იღებდა სასმელ წყალს. შემდეგ კი, ხარზამანის ბაბუას შეუმჩნევია, როგორ მოჟონავდა კლდიდან წყლის წვეთები. ამდგარა და ბარი დაუკრავს, წყლისთვის გზა მიუტია და მას მერე ასე მოწაწყარებს ეს დალოცვილი. ბაბუა გარდაიცვალა, მაგრამ მის მიერ დარმცემული წყარო დღესაც ასაზრდოებს მის შვილთა შვილებს.

ხარზამანი თვალისჩინივით უვლის ამ წყაროს, თავის წინაპართა მსგავსად, ასუფთავებს მას ქვა-ლორღისაგან.

აბა, როგორ?.

მისი შვილიც ასევე უნდა მოიქცეს, როცა ის აღარ იქნება...

როგორ უნდა დაიფიქროს ხარზამანი ის წინაპარი, რომელმაც ეს ტანატორცინილი ხეები დარგო და „იზაბელა“ ჩამყარა? ყველაფერი, რაც წარსულში ვაკეთებულა და რაც დღეს კეთდება, ერთმანეთს ერწყმება, ეხამება და ბუნების ერთიანი ძალაც ამგვარად ზეიმობს!

აი ეს მუხაც, რომლის ჩრდილშიც ზის ახლა ხარზამანი, მოგონებებით დახუნძლულია და ნიავის ყოველ შემობერვაზე რწყევით, ჭრიალით და რის ვაივაგლასობით ჰყვება თავისი დიდი ცხოვრების ამბავს:

„მაშინ პატარა ნერგი ვიყავი, როცა აქ აღამიანი დასახლდა, მიწაზე ძლივს ვჩანდი. საჭონელს რომ არ დაეწიწენა ჩემი ჩვილი და ნაზი ფოთლები, იმ კურთხეულმა ფიჩხის ღობე გარს შემომავლო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მე დავეჯეკადი, ღრმად გავიდგი ფესვები მიწაში. ვინ იცის, რამდენჯერ შემირუჟა მენმა მკლავები, რამდენი ქარტახილი გადავიტანე, მაგრამ ერთხელაც არ დამიკვნესია; წარბშეუხრელად ვეგებებოდი ყოველგვარ გასაჭირს, მოთმინება იყო ჩემი ერთადერთი საიმედო იარაღი. მეც ვიდექი და როგორც შემეძლო, ისე ვხმარობდი ამ იარაღს. აბა, როგორ შევარცხენდი

იმით სახელს, ვინც ჩვილობაში მომიბარა, მომიქსათუთა. ახლაც ჭანზე ვარ და ვეგებები ჩემი ცხოვრების ახალ-ახალ გაედრებას თუ გამოდარებას!..“

განა დანაშაული არ იქნება, ამ ხეს ზურგი შეაქციო? — ხომ დაჩივდა, დაგლახდა და გაუბედურდა?... ხომ შეაღწია მის ფესვებში შავმა სიკვდილმა, ხომ მოკვდა მუხა მარტოხელა და უთვისტომო?!

მაგრამ მარტო ხარზამანი რას ვახდობა, თუ თავისი ვაჟიშვილი — ალიასი არ ამოუდგა მხარში?

ალიასი სულ სხვა ბუნების კაცია. მისი გული და სული სახლის გარეთ ტრიალებს. ოჯახი მისთვის ღამის გასათევი ადგილია და სხვა არაფერი. მოვა საღამოს დადლილ-დაქანცული, დაწვება, გამოიძინებს და დილით ისევ გზას გაუდგება.

მართალია, მთელი სოფლის თვალთა, დღე არ გავა, რომ რაიმე ახალი არ შექმნას, ამიტომ დიდი და პატარა ხელისგულზე ატარებს, ოჯახისათვის კი ღმერთს არ უქნია.

ამრასაც თავისი საკუთარი სამყარო აქვს. იგი მთელი არსებით ეკუთვნის იმ საქმეს, რომელსაც ემსახურება. სკოლა მისთვის ყველაფერია. ესეც არ იყოს, გავა კიდევ ცოტა ხანი და ალბათ სულ გაფრინდება თავისი ყმაწვილ-ქალბის საბუღარიდან, მერე ეძიებ მისი გზა-კვალი.

ჭიშკარმა გაიჭრიალა. ეზოში წიგნებით დატვირთული ამრა შემოვიდა. უკან თათვი მოჰყვებოდა. ჭაბუკი ისე აყოლებდა ხელებს საკუთარ ნაბიჯებს, კაცს ეგონებოდა, თავისთვის რაღაცას ბურტყუნებდა.

ამრა პირდაპირ სისტუმრო ოთახისაკენ გაემართა, თათვიმ კი, როგორც კი ხარზამანს მოჰკრა თვალი, ნაბიჯი შეანელა და გეზი მისკენ აღო.

— მოხვედი, ჩემო ბიჭუნა? მოდი, ჩემს გვერდით დაჯექი! — მიესათუთა გულაჩუყებული ხარზამანი და თათვის თავზე ხელი გადაუსვა.

ბერეკაცმა თავით ფეხამდე შეათვა-

ლიერა ვაჟი, კიდევ და კიდევ შეითვა-ლიერა...

თათვი უხერხულად ცმუტავდა მოხუცის თვალბში დიდი სითბო და სიყვარული იგრძნობოდა. მისი ყოველი სიტყვა ცრემლს ჰგვრიდა თათვის, რომელსაც მამის ალერსი არასოდეს არ ღირსებია.

თათვი თავის მამას მხოლოდ სურათიდან იცნობს. იგი შვილის დაბადებამდე დაიღუპა დიდ სამამულო ომში. დედაც მშობიარობას გადაჰყვა. ოჯახში დარჩა პატარა თათვი და ბებია. ბებია მთელი თათვისი ძალა და ღონე შვილიშვილების აღზრდას შეაღია. შთამომავლობით თათვის გვარი ახმა ხარზამანის გვარს ენათესავენ.

თათვი თითქმის ხარზამანთან იზრდება. იგი ამ ოჯახის ნამდვილი წევრია. ხარზამანმა საკუთარ შვილიშვილად იწამა იგი, ხოლო თავის მხრივ, თათვისაც საკუთარ ბაბუასავით უყვარს ხარზამანი.

ამრა მათ მიუახლოვდა. ხარზამანს გული სიხარულით აევსო, მთლად გადაიბადრა და შვილიშვილი გვერდზე მოისვა. ორივეს მხარზე ხელი გადახვია და იმ ბებერ არწივს დაემსგავსა, რომელსაც აფრენა სწადია, მაგრამ ქამთა ვითარებაში ვახეხილი, ვახუნებული და ფიჩხივით გამოიხმარი ფრთები უსამარებს იღუმალ წადილს. გულგახსნილი ბერეკაცი ხან თათვის ესაყვედურებოდა, ხან — ამრას.

— გონია, ვერ მივხვდი, რისთვის მოხვედი? — ეშმაკურად შეხვდა ხარზამანმა თათვის, — მივხვდი, კარგადაც მივხვდი, — გაიმეორა მოხუცმა, — წადი, ჩემს ოთახში ჰკიდი, ჩამოხსენი და მომიტანე.

თითქმის ამ სიტყვებს უცდიდაო. თათვი, თვალის დახამხამებაში წამოხტა. ოღამი კი არ შევიდა, შეფრინდა და სულ რამდენიმე წამში მოხუცს „აფხიარცა“ გამოუტანა.

1 აფხიარცა — უძველესი ორსიმინი აფხურა საკრავი.

როცა ბერიკაცმა სიმებზე ხეში ვაატარა, სიმები ჯერ ათრთოლდნენ, შემდეგ შეირხნენ და საოცრად გამკვალავი ხმა გამოსცეს. ხარზამანმა რამდენჯერმე ვაატარა-გამოატარა ხეში და სიმებიც ხმაშეწყობილად აელერდნენ. ბოლოს ხარზამანმა წამოიწყო ძველი, მზიარული სიმღერა. საკრავისა და მოხუცის ხმები ისე ტყბილად მოისმოდა, რომ ძნელი გასარკვევი იყო, რომელი უფრო ავსებდა და აღამაზებდა სიმღერას, აფხიარცას სიმები, თუ მოხუცის სალამურივით საამო ხმა. ამრაც და თათივ აპყვენენ ბაბუას.

ბოლოს მოხუცმა ხეში დაუშვა და საკრავიც გაიშუბდა. სიმღერა მიწყდა.

ხარზამანმა ხეში თათის ვადასცა და თვალი ჩაუკრა, აბა ახლა შენ იცი და შენმა ბიჭობამაო. თათიმ ღიმილით ჩამოართვა ბაბუას ხეში, მუხლუბს შორის მოხერხებულად მოივრგო აფხიარცა და დაუკრა.

ყმაწვილის ხელში სულ სხვაგვარად აელერდა საკრავი. ამ ხნის კაცი მოიყარა ხარზამანი და ასეთი სიმღერა თავის დღეში არ გაუგონია.

სიმებს, თითქოს ახალი ძალა შთაბერესო, ერთბაშად დასცვივდა წკრიალა ბეგრები. თვითუფლი ბეგრა საოცრად ფერადოვანი და გულში ჩამწვდომი იყო. არა, წელან ასეთი ბეგრები არ ისმოდა. იქნებ საკრავს მობეზრდა კიდეც წლების მანძილზე ერთი და იგივე სიმღერის შესრულება?.. დაღლილი და მისუსტებული სიმები ნაძალადევედ პყვებოდნენ პატრონის ნება-სურვილს. ახლა კი, სიმები ისე გამოცოცხლდნენ, გაიშალნენ და გასივრცეგანდნენ, თითქოს აქამდის ხელ-ფეხშეკრულნი იყვნენ და ეს- ეს არის თავი აიშვესო.

ხარზამანისათვის ძველი სიმღერები მეორე ცხოვრება იყო. ისინი ამხნევებდნენ და ძალას მატებდნენ მას განსაცდელის უამს. მუდამ მასთან იყვნენ, ერთგული მეგობრებივით დარაჯობდნენ მის გადაშუადლებულ სიცოცხლეს, უბასუხებდნენ მის გულისთქმას და

მხარში ედგნენ დღით და ღამით, შინ თუ გარეთ.

მაგრამ ამ სიმღერამ, რომელსაც ხმალა ისმენს, ყველაფერი დააეციყა ხარზამანს. სიმღერა იგი მართო ახალმთვარის წარსულით არ იყო შთაგონებული, არც წინაპართა სევდიანი ცხოვრების ექოთი იყო ნაკარნახევი. ამ სიმღერაში, როგორც ჯადოსნურ სარკეში, მოჩანდა ქვეყნიერება თავისი უსასრულო მშვენიერებით. ხარზამანისთვის ყოველივე ეს გაუგებარი იყო, მაგრამ იგი გუმანიოთ გრძნობდა, რომ აფხიარცამ, როგორც იქნა, თავისუფლად ამოისუნთქა, გრძნობდა, რომ ყმაწვილის სულში რალაც დიდი ძვრები ხდებოდა, გრძნობდა და ხმა ვერ ამოელო, მოჯადოებულებით იჭდა და უსმენდა მოხეიმიე აფხიარცას.

თათიმ ეს სიმღერა თვითონ შექმნა რომელიღაც აფხაზი პოეტის სიტყვებზე. ამ სიმღერის მელოდიას ჯერ ნოტები არ უხილავს. ამრა თავისთვის ღილინებს იმავე სიმღერას, მაგრამ ეშლება და დროდადრო ჩერდება, ხარზამანი არც ცდილობს აპყვეს მელოდიას.

აქამდის თათივს აფხიარცაზე დაკვრას ხარზამანი ასწავლიდა და კი ხანიც მოანდომა. მაგრამ ახლა აშკარად ჩანს, როგორ აჯობა მოსწავლემ მასწავლებელს. მოხუცი ბედნიერი იყო, უხაროდა, რომ მის შრომას ამოდ არ ჩაუვლია.

როდესაც თათიმ დაამთავრა სიმღერა, გულაჩუყებული ბერიკაცი მაშინვე შეეკითხა:

— საიდან აიღე, დად, ეს სიმღერა?

თათის ექმმა გაკრა, ალბათ, იმიტომ შეკითხება, მოპარული ჰგონიაო, და თავი ჩაღუნა. წარბებს ქვემოდან ამრას შეხედა. ამრა იმ წუთშივე მიეშველა.

— ეს სიმღერა თვითონ თათიმ შექმნა, ბაბუ... თვითონ დაწერა.

— როგორ თუ თვითონ თათიმ შექმნა, სად გაგონილა სიმღერის დაწერა?.. ხარზამანი ისე განცვიფრდა, რომ

მასუს არ დაუცადა და ისევ სთხოვა თათვის:

— დაუქარი, დად, კიდევ დაუქარი!..

გათამამებულმა თათვიმ სული მოითქვა და ახლა უფრო ხმამაღლა წამოიწყო თავისი სიმღერა.

7

თამბაქოსა და სიმინდის მეორე გამარგვლა დაამთავრეს.

სიმინდი ტანს იყრიდა და მაღლდებოდა. თითქოს სივრცეში გაფრენა უნდაო.

მართლაც საამო შესახედავი იყო თამბაქოს პლანტაცია. მუჭ-ლურჯ ზღვისავეით ირწყვოდა. პირველი შეტეხვის დრო ახლოვდებოდა. თამბაქოს ფოთლები მზის სხივებს თითქოს კონა-კონად შეეკრა, ეს უკვე მწიფობას ნიშნავდა. ამრა ტეხვას შეუღდა. ამ ღლეებში, როგორც კი სკოლიდან განთავისუფლდება, ამრას შინ ვერავეინ გააჩერებს, ვიდრე არ დამთავრდება თამბაქოს ტეხვა, ასხმა და ცალეზად შეეკრა. ასეთი ხასიათი აქვს მას. გაკვეთილებს კი საღამოს დაამზადებს. ღამით მის ოთახში გვიანობამდე არ ქრება სინათლე. ეს ჩემი უძილობის წყალობით ვიცი.

ამრას მამა თამბაქოს კარგი სპეციალისტია. მისი ფიჭრი თამბაქოს რგვის შემსბუქების შესახებ, მეცნიერ-მუშაკთა დახმარებითა და ხელშეწყობით, თუ მთლიანად არა, სანახევროდ მაინც გამართლდა. ნება დართეს, სწორ ადგილებში გამოიყენონ სპეციალური ტრაქტორი. განა ეს იოლი საქმეა?

ალიასი ნამდვილად დატყვევა საეკუთარმა ოცნებამ. უნდა ითქვას, რომ არ არსებობს დღეს ისეთი მანქანა, რომელიც ასხამს თამბაქოს — ვილაცამ ზომ უნდა გამოიგონოს იგი? თუ ყველანი ჭიბეში ხელეზმასყობილი ვიქნებით, ვინ მოგვიტანს მას მზამხარეულად, ამისათვის განა აუცილებელია დიდი ქალაქის რომელიმე ლაბორატორიაში ჩაჯდეს მეცნიერი, ჩაიკეტოს კარი და გაუთავებლად ჩაიკრიტებდეს ათასწირ ნახაზებს? რატომ არ შეიძლება ეს

თვით ალიასმა გააკეთოს, აჲ, თავის სოფელში, სადაც იზრდება თამბაქო? მეჩრე რა, რომ მას უმადლესი ცოდნა არ მიუღია? განა სხვაზე ნაკლებად ერკვევა მეთამბაქოეობის საიდუმლოებაში? ამ აზრს წლიდან წლამდე მოუთმენლად ატარებდა ალიასი. შემდეგ, როცა იგი მომწიფდა მის გონებაში, საქმეს შეუღდა. ალიასს მხარში უდგას ამრა, იგი ამხნევეებს და შთაგონებით ავსებს მას. ახლაც, როცა იგი თავის შექმნილ მანქანას ცდის, როცა ქალიშვილის პირვერ შეტეხილ თამბაქოს ფოთლებს იყენებს მანქანის გამოსაცდელად, ჰგონია, ამ საქმეში დიდ დამსახურებას უწყევს ქალიშვილის ნათელი გონება და ცოდნა.

ამრა სწრაფად და მოხერხებულად ტეხს ფოთლებს. მის გვერდით მუშაობს აგრა ბალაბა, ისინი ისე ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ შეუძლიათ მხრებით შეეხონ ერთმანეთს. დღე ჯერ კიდევ არ მიწურულა. აგრა მაინც დამაინც წელს არ იწყებულა მუშაობით. იგი ამრასკენ შემობრუნდა და ისე, სხვათაშორის დაუწყო საუბარი.

— ამრა!

— ა?

— გესმის, ამრა?

— რა იყო?

— იცი, როგორი კაცია!

— როგორი?

— რალაცნაირი...

საუბარი, რომელიც აგრამ წამოიწყო, ამრას არ მოეწონა: „ნეტა, რაში დასჭირდა აგრას ამგვარი საუბრის წამოწყება?“ — გაიფიქრა მან, თქმით კი არაფერი უთქვამს. აგრამ თავისებურად ახსნა ეს დღემილი და გულში კიდევ გაამართლა მეგობარი.

— ჰო, რალაცნაირი... გულჩახვეულია-მეთქი — განაგრძო აგრამ, — ყველასავე განცალკავებული, თითქოსდა, ეშინია, თამბაქოს ფოთლოს ზეფირმა არ გათხუპნოს.

— რატომ?

— შენ უფრო გეცოდინება.

— ალოუ არ არის ასეთი.



— შენ ჩემზე მეტი იცი, შენ... შენ ხომ მასთან ახლო ხარ...

— ამ სიტყვებმა ამრა უფრო ღრმად ჩააფიქრა: „რას ნიშნავს ეს, რატომ მელაპარაკება აგრა ასე გადაყრულად?“

— ჰო, მე მას საყმაოდ ახლოს ვიცნობ, ძალიან კარგი ბიჭია.

— არ ვიცი, გენაცვილე, ხალხს რომ ყური უგდო...

— რაო, რას ამბობენ?

— ამაყიო, თავისთავზე დიდი წარმოდგენა აქვსო, მუსუსიოო და... რა ვიცი, რას არ ამბობენ, თუმცა შენ უფრო გეცოდინება...

— რა მეცოდინება?

— მართლა ასეთია თუ არა.

— უკონებენ და მეტი არაფერი ალოუ პატიოსანი ბიჭია.

— რა ვიცი, გაუთავებლად კი ლაპარაკობენ და...

— შენ ვინ გითხრა?

— ვინ აღარ მითხრა.

— მაინც?

— მე რა, ქორიყანა ხომ არა ვარ, მინდა მხოლოდ სიმართლე გავეგო...

— ყველაფერი ტყუილია!

— შენ ხომ ჩვენზე უკეთ იცი...

— რას ჰგავს ეს „შენ უფრო გეცოდინება“, „შენ ხომ ჩვენზე უკეთ იცი?“ რას ჩამაცივდა? ან საიდან მოიტანა ყოველივე ეს? მაგრამ... არა ღირს გამოკიდება. გაჩუმდეს მაინც, საიდან მოსდის თავში ამისთანა აზრები?“ — გულში გაიფლო ამრამ.

— ეშმაკმა უწყის, რა არ იმალება აღამიანის სულში — წამოიწყო კვლავ აგრამ.

— რა? ვისზე ლაპარაკობ?

— ალოუზე.

— ჰო, რაო, რა მოუვიდა?

— ეგ რომ ვიცოდეს!

— თუ არ იცი, რაღას ლაპარაკობ?

— ჩანს, ძნელია გარეგნულად შეაფასო აღამიანი.

— ამით რა გინდა თქვა?

— რანაირი აღამიანია-მეთქი ალოუ.

— აკი გითხარი, ძალიან კარგი ბიჭია.

— შენ რომ იცოდეს, რაშია საქმე...

— შენ რაღა იცი?

— მე? მე ხომ ვთქვი, **საქართველოს მემკვიდრეობა**

— კორია.

— ასე იყოს, მაგრამ...

— ოჰ, ასეა, ასე!

— თავისი სურვილისაგან დამოუკიდებლად ამრას ნასალადევი პასუხები იყო მკვახე და მკვეთრი. აგრა კი ფარულად ცდილობდა ჩაეხედა ამრას სულში:

— შენ ხომ მეტი იცი.

— ჰო, ვიცი.

— მეც რომ ვიცოდეს მთელი სიმართლე, ასე არ დაეწყებდი რყევას.

— საერთოდ რატომ მერყეობ?

— აბა, რა ვიცი, როცა გაიგებ, რომ...

— რა გაიგე?

— თქვეს, ვითომ ალოუმ ბევრი ქალიშვილი გაამწარა, მოატყუა.

— მაინც ვისზე ამბობენ?

— შენზე არა, ისე...

— რა, რა?

— წამით შეყოვნდნენ მუშაობაში ვართული ამრას ბელები, მაგრამ აქაც აგობა თავისთავს და კვლავ შეუღდა თამბაქოს ტეხვას.

— შენ...

— ჰო, თქვი, რა, მე?

— შენ... ალოუ მოგწონს?

— ვინ გითხრა.

— არავენ.

— აბა, საიდან მოიტანე.

— მე ასე მეჩვენება და...

— ამრა გაწიწმატდა, უნდოდა ერთი ლაზათიანად გამოეღანძლა, მაგრამ ისევ თავის შეკავება ამჯობინა.

— რა მოგეჩვენა?

— რა არის ამაში სათაკილო, თუ მართლა მოგწონს? მშვენიერი ბიჭია...

— მშვენიერი ბიჭი ბევრია და ყველა უნდა მომწონდეს?

— როგორც არ უნდა ილაპარაკო, შინიდან გასვლა არ გიწერია. ბედი საკუთარ სახლში მოგდგომია, ისიც ისეთი ბიჭი, როგორიც ალოუა... რას გაუშვებ?

— მე რა მტაცებელი მნახე?

— თავს ნუ იკატუნებ, ქალიშვილმა

უნდა იბრძოლოს თავისი ბედნიერებისათვის.

— ასეთი რამ მე არ მჭირდება.

— თუმცა, შეიძლება. ყველა თავისებურად უყურებს ცხოვრებას.

— შესაძლოა ასეც იყოს.

— პო, რა თქმა უნდა, ალღიზს რა ეშველება?

— ალღიზს რა სჭირს.

— ეს ხომ ჩემი ძმია, მებრალუბა.

— რა მოუვიდა-მეთქი?

— იგი იწვის, ნამდვილად იწვის, მაგრამ რა გინდა, ვერ გადმოგდო თავისი ცეცხლი.

— მე რა შუაში ვარ.

— როგორ თუ რა შუაში ხარ, შენ უყვარხარ, გესმის, უყვარხარ, კვდება კაცი...

ამრამ თავი ვეღარ შეიკავა და ხმამაღლა, წკრიალა ხმით, ყოველგვარი ღვარძლის გარეშე, გადაიკისკისა.

— ალღიზს რა სჭირს დასაციინი? — იწყუნა აგრამ.

— ალღიზზე სულაც არ მეცინება, აგრა, მაგრამ რატომღაც მგონია, ჩვენი საუბარია სასაცილო, არა?

— შენ რომ იცოდე, როგორ უყვარხარ ალღიზს, ასე არ გაიციინებდი.

ამრამ გადაწყვიტა საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა და ამით თავი დაეღწია შემდგომი ანსხან-განმარტებებისათვის, მაგრამ განა აგრას ასე ადვილად გაეტყუოდა?

— ძალიან კარგად იცი შენი ფასი, ამიტომაც თვლი შენს უღირსად.

— მე?

— პო, შენ.

— ალღიზი ჩემისთანას ბარემ ასაც სჯობია.

— ნუ დასციინი მას, ამრა.

ამრა წონასწორობიდან ერთხელაც არ გამოსულა, თანაც მუშაობას განაგრძობდა. მან გადაწყვიტა გულლიად ეთქვა მთელი სიმართლე.

— როგორ შემოიძლია მე ალღიზს დავეცინო? ალღიზი ხომ ისეთი ჭაბუკია, რომელზედაც ამბობენ, საუკეთესოთა შორის საუკეთესოაო. და თუ მოისურ-

ვებს, ისეთ ბედნიერებას იპოვის, როგორც მას შეეფერება. შენ ხომ იცი, როგორი ვარ მე...

— როგორი?

— ცოტა არ იყოს, უცნაური ვარ. თვითონ არ ვიცი, რა მინდა და რას ველოდები; ჭერჭერობით გულის კარნახით დავდივარ. ჩემსავით აფორიაქებული ადამიანი სწორედ რომ არ მინახავს. არც ალღიზზე უკეთესი ვინმე შემხედვრია. არა! მე მას ჯერ კიდევ არ ვიცნობ. რომ შემეცითხო, საერთოდ როგორი ადამიანი მოგწონსო, გეფიცები, პასუხს ვერ გაგცემ. არ ვიცი და იმიტომ. წარმოდგენაც არ შემოძლია, როცა საკუთარი თვალთ ვნახავ, ალბათ, ვიცნობ კიდევაც. ასე მგონია, აგერ-აგერ წინ დამიდგება-მეთქი, ასე შემართება ყოველთვის. ამიტომ ვუცდი. მჯერა, რომ ოდესმე გამოჩნდება, აუცილებლად შევხვდები მას.

— ამრა-ა! ამრა-ა!

გოგონა წელში გაიმართა, ჯერ ფეხის წვერებზე აიწია და იქით გაიხედა, საიდანაც ძახილი შემოესწრა, შემდგე კი მუშაობას თავი მიანება, და წავიდა. აგრაც ფეხდაფეხ მიჰყვა.

თამბაქოს პლანტაციებისაკენ თათვი მორბოდა. ამრამ შორიდანვე იცნო იგი.

— რა ამბავია, თათვი, რა მოხდა?

— დეს... დეს... დესი ძალიან ცუდადაა, გულის შეტევა აქვს.

სამივენი მოწყდნენ ადგილიდან. ამ დროს გზაჯვარედინზე ალღიზი გამოჩნდა.

— აგრა, ჰეი, აგრა!

— აგრა, ალღიზი გეძახის — უთხრა ამრამ.

აგრა ძმასთან მივიდა და რაღაც უთხრა. მაშინათვე აუჩქარა ფეხს ალღიზიძე.

— ალღიზ!.. ალღიზ!..

— რა მოხდა, ამრა!

— დედა... დედა... — სული ვეღარ მოითქვა ამრამ.

ალღიზმა კიდევ უფრო აუჩქარა ფეხს.

ყველანი ავადმყოფისავენ გაეშურნენ.

დღისი დიდი ხანია გული აწუხებდა. დროგამოშვებით შეახსენებდა ხოლმე თავს. მაგრამ ასე ცუდად არასოდეს არ ყოფილა. შეტევა სრულიად მოულოდნელი იყო. ამ დღეს იგი სამუშაოდ არ გასულა. საოჯახო საქმეები ჰქონდა მოსაწესრიგებელი. თავს საკმაოდ მხნედ გრძობდა და, უცებ, გულმა აჩქარებით დაუწყო ძგერა, ეგონა, სადაცაა საგულედან ამოხტებაო, თან ისე შეაცივა, თითქოს ციებ-ციხელება შეეყარაო. საბედნიეროდ, თათეი შინ იყო და მაშინვე შეატყობინა ამრას.

აღღიზმა ყურადღებით გასინჯა ავადმყოფი, მისცა რაღაც წამალი. მალე ავადმყოფმა შეება იგრძნო. როცა დესიმ თავისი ფერდაკარგული ქალიშვილი დაინახა, რაც შეეძლო, ძალა მოიკრიბა და ყველა აქ მყოფი შეათვალერა.

არავითარი საშიშროება ავადმყოფის სიცოცხლეს არ უმუქრებოდა. თუმცა აღღიზი წასვლას მაინც არ აპირებდა, უნდოდა აქ დარჩენილიყო და გული ეგერა ამრას მზერით. აღღიზი იჯდა და დღისი ხელი ისე ეკირა, თითქოს გაშვებისთანავე შეწყდებოდა მისი გულს ძგერა.

8

დღისი ნება დართეს ამდგარიყო. ვიდრე ავადმყოფი იწვა, აღღიზი ყოველ დღე აკითხავდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა მის მიმართ. გვიან ღამემდე იჯდა მის წინ. მერე უხმოდ მოდიოდა. სახლში ყველას მალე შეეჩვივა. გარდა იმისა, რომ ძალზე ყურადღებიანი ექიმი იყო, კარგი ხასიათიც ჰქონდა!

მართლაც აღღიზს თავი ისე ეკირა, ცუდს ვერავინ იტყოდა მასზე; ყურადღებიანობა, ავადმყოფის მკურნალობა და რაც შეიძლება მალე მორჩენა, აი, მთელი მისი საზრუნავი, მისი კეთილშობილური სურვილი. ავადმყოფს სავსებით შეუწყდა გულის ტკივილი, მაგ-

რამ აღღიზი მაინც ნახულობდა მას. ამასობაში. ამრას იღუმალი შიში დაეუფლა. შიში იმისა, რომ აღღიზი აუცილებლად გამოიყენებდა ახლანდელ მდგომარეობას და თავისი წინდაწინ მოფიქრებული შეკითხვებითა თუ წინადადებებით თავს მოაბეზრებდა. ამიტომ ცდილობდა თავი მუდამ შორს დაეკირა. თუმცა საეჭვოს ვერაფერს ხედავდა. მაშინ, რაზე ელაპარაკებოდა აგრა? ნუთუ მან მხოლოდ თავისი ექვები გამოთქვა?

დღისი ყველასაგან დამოუკიდებლად გაუჩნდა თავისებური აზრები. მართლაც და საკითხავია, დღემდე რატომ არ იცნობდა იგი ასე ახლოს აღღიზს. თითქოს აქამდე არც კი ენახოს. აქ გაიზარდა იგი, სწავლის დამთავრების შემდეგ აქვე დაიწყო ექიმად მუშაობა. დესი აღრეც ყოფილა მასთან, მაგრამ ჩანს, ამდენი სითბო და გულისბიერება მაშინ ვერ ამოიკითხა აღღიზის თვალეზში. რამდენი რამეა საჭირო ადამიანის შესაცნობად! ტყუილად კი არ უთქვამთ, კაცი რომ გაიცნო, ცხრა ფუთი მარილი უნდა შექამო. აღღიზი ისეთი ბიჭია, გულიდან ვეღარ ამოიგდებ, მთელ ერთ სოფლად ღირს. ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს!

ჯავრი დედისა შვილის ზრდასთან ერთად მატულობს. ზოგჯერ ისეც ხდება, — დედის გონებაში გაიელეებს ხოლმე ათასგვარი ეჭვი, რომლის შესახებ დედები ყოველთვის არ ღაპარაკობენ გულახდილად. ასეთი დედები ყოველნაირად ცდილობენ თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ქალიშვილების ბედი.

რა კარგი იქნება, რომ მისი ერთადერთი ქალიშვილი აღღიზს გაჰყვეს ცოლად. აბა სად ნახავ მასზე უკეთეს სასიძოს. იქნებ ბედმა ამრა სადმე ცხრა მთას იქით გადაისროლოს, ისე შორს, რომ დედის მზერა ვერ მისწვდეს, მაშ არ ჯობია აქვე გათხოვდეს? ეს იქნებოდა დედისათვის ნამდვილი ხსნა! ნუთუ ეს ქალი ბრმა იყო დღემდე? ალბათ, ამრაც არ იცნობდა მას კარგად, თორემ აღღიზს რა აქვს დასაწუნი.

მაგრამ ამრა სულ სხვა გოგოა. მას ასე აღვიღად ვერ მიიხიდავრებ, აი, სწორედ აქ არის მთელი სიძინელი.

თავდაპირველად დესის ავადმყოფობამ დროებით შეაჩერა ალიასის მუშაობა თამბაქოს ამსხმელ მანქანაზე, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ძველებურად კალაპოტში ჩადგა და მუშაობაც განახლდა.

ფარდული ამსხმელებით იყო სავსე და ისინი თამბაქოს ფოთლებს ჩვეულებრივ ხელით ამსხმდნენ ასაცემელ ნემსებზე ალიასი აქ მუშაობდა. ბოლო, როგორც კი ცოტადენი თავისუფალი დრო ხელში ჩაუვარდებოდა, შეძვრებოდა თავის პატარა ოთახში და გაუთავებლად უქიჩოვებდა იმ დიდი ხნის ნაოცნებარ მანქანას, რომელსაც თამბაქოს ფოთლები უნდა აესხა. ბევრს უქვირდა, ბევრი გუნებაში დასცინოდა კიდევ — სად შეუძლია უსწავლელ კაცს თამბაქოს ამსხმელი მანქანა გამოიგონოს, იგი ჭერ მეცნიერებმაც ვერ შექმნესო. ამგვარ მითქმა-მოთქმებს თვით ალიასმაც არაერთხელ მოჰკრა ყური, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი გაეგონოს. იგი ყოველნაირად ცდილობდა, ყველასათვის დაემტკიცებინა, რომ უბრალო, მომავლად აღამიანს დიხავე შეუძლია შექმნას ასეთი მანქანა.

ერთ დღეს იმ ოთახში, სადაც ცდა სწარმოებდა, უცხო პირების თანხლებით კოლმეურნეობის თავმჯდომარე შემოვიდა. ალიასმა შეიცნო ერთი მათგანი, — ეს იყო აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი. მინისტრმა თავის მხრივ გააცნო ალიასს თბილისელი კოლეგა, ისიც სოფლის მეურნეობის მინისტრი და დასძინა, რომ იგი საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისიდან, რათა შენს მიერ კონსტრუირებული მანქანა დაათვალიეროს, და თუ საჭირო იქნება, დაგეხმაროს კიდევცო.

ალიასს ჭერ გაუქვირდა, ცოტათი დაიბნა კიდევ, შემდეგ კი დღად გაიხარა. მას ვერ წარმოედგინა, რომ აღ-

მოჩნდებოდა ვინმე, რომელიც დაინტერესდებოდა მისი შემოქმედებით.

საიდან უნდა გაეგო მინისტრის სის მანქანის არსებობა? ვიღაც სოფლის კორესპონდენტმა აფხაზეთი გაეტყობა „აფხნი კაპში“ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ არის ერთი კოლმეურნი, რომელიც დიდი ხანია მუშაობს თამბაქოსამსხმელ მანქანაზე და საკმაოდ კარგ შედეგებსაც აღწევსო. ეს იყო და ეს. ალიასი დარწმუნებული იყო, რომ მას მერე ამ საკითხზე არცერთი სიტყვა არ თქმულა და არც დაწერილა. და უცებ, თვით მინისტრი ესტუმრა თბილისიდან. მას კი ჭერობით არ უნდოდა ასე გახმაურებულიყო ამ მანქანის ამბავი. რადგან არ იცოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა... მაგრამ ეს ამბავი უკვე ხელისუფლების ყურამდეც იყო მისული. ალიასი შიშობდა, ვაითუ ბოლომდე ვერ მივიყვანო დაწყებული საქმე და ვერ გავამართლო მთავრობის ნდობაო — ეს კი მისთვის დიდი ლახვარი იქნებოდა.

მინისტრმა და მისმა თანხლებმა პირებმა დეტალურად შეისწავლეს ალიასის მანქანა. დიდხანს ირკვევდნენ მიზეზს, თუ რა აკავებდა თამბაქოს ფოთოლს, მაგრამ არაფერი გამოვიდა, შრომამ უშედეგოდ ჩაიარა. თუმცა ალიასის მიერ დღემდე გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასეს. ერთ-ერთმა თანხლებმა პირმა მანქანის სქემა შეადგინა. ალიასს ურჩიეს, კვლავაც გაეგრძელებინა მანქანაზე მუშაობა, ანა-თანვე გადაწყვიტეს, მანქანის სრულყოფისათვის თბილისში ჩაეტარებინათ შესაფერისი სამუშაოები.

მინისტრი ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის შემოწმებას შეუდგა. შებინდებამდე ათვალეობებდა თამბაქოს პლანტაციებსა და სიმინდის ყანებს, რა თქმა უნდა, არც იალაღები დატოვა უყურადღებოდ.

სალამოს კი ისინი ხარზამანმა მიიწვია სტუმრად, თუმცა დიდხანს უარობდნენ, მაგრამ აფხაზი კაცი სტუმარს თუ არ გაუმასპინძლდა, რაღა აფხაზია.

ხარზამანმა ხბო დაკლა, ანგელოზების სასმელი ღვინო გამოიტანა და სანაქებო სუფრა გააწყო. ხალხიც ბევრი მოიწვია და კარგი დროც გაატარებინა.

ამრა აღრე წავიდა სკოლაში. თავისი ოთახის კარს არასოდეს არ კეტავდა, ისე, უბრალოდ მიხურავდა ხოლმე. იმ დღეს კი სულ გაღნიშებული დატოვა; როდესაც ოთახის წინ ჩავიარე, გულმა არ მომითმინა და ჩემდა უნებურად შიგ შევიხედე, ამრას ოთახში არასოდეს ვყოფილვარ. რა იქნება, შევიდე, და იქაურობა დავათვალიერო, ვნახო როგორ ცხოვრობს-მეთქი, ამის ვაფიქრება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ კარის ზღურბლთან აღმოვეჩენილიყავი.

ოთახში ყველაფერი უბრალოდ, მოზღვნილადაა მილაგებული. ამრას საწოლი, თითქოს სუნთქავს მთელი თავისი მორთულ-მოკაზმულობით, კუთხეში ტანსაცმლის კარადა დგას, ოთახის შუაგულში მომცრო, სუფრაგადაფარებული მაგიდაა, რომელიც საწერი მაგიდის დანიშნულებას ასრულებს, გაჭირვების დროს მასზე სადილობაც შეიძლება; კედელთან მიდგმულია პატარა ტუმბო, იქვე პატარა სარკე ჰკიდია. მის გვერდით კი, თითქოს დასაჯდომად გიწვევსო, დგას სავარძელი. კიდევ რამე რომ იდგეს, ზედმეტად ეცემა თვალში მნახველს. აქ ყველაფერი ზომიერად და მოხერხებულადაა განლაგებული. სარკის გვერდით სადაც ამრას სურათი ჰკიდია, სხვა ფოტოსურათებიც შევნიშნე და ახლოს მივედი. მაგრამ ეს რაა? მხედველობა მალაქტობს თუ მოჩვენებაა? აი ცხადად ვხედავ, მაგრამ თვალს არ ვუჭერებ! ჩემი ფოტოსურათი... სარკის ერთ მხარეს მისი სურათია, მეორე მხარეს კი — ჩემი. ფოტოსურათები ერთმანეთს უცქერიან. დანარჩენი სურათები ჭკვევით მოუთავსებია, ჩვენები კი მაღლიდან ამჟღად იყურებიან.

აი, საკვირველება! ეს სურათი პირველად რომ მოვედი აქ, მაშინ ვაჩუქე

ამრას, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, ასეთ საპატიო ადგილას თუ მოეთავსებოდა. ჩემმა სურათმა მინც-უყურებს ამრას სახეს! ნეტა რას ნიშნავს ყოველივე ეს?!

ღმერთო, სიძარბოვ გამაგებინე! ვინ ჩაიხედავს ქალის გულში, ან ვინ გაიგებს, რა ზღვება იქ? იქნებ ეს სურათი სრულიად უბრალოდ, როგორც ახლობელი ადამიანის სურათი, ისე დაკიდა? ასეა თუ ისე, ეს ცუდი ნიშანი არ არის. პირიქით; გული სიმხნევეთა და იმედებით მეგვება.

სარკის უკან პატარა ალბომი შევნიშნე. ხელში ავიღე, გადავშალე და სურათების თვალიერებას შევუდექი: აი მისი თანაკლასელების სურათები, თვითონ ამრა სხვადასხვანაირად გადაღებული. ერთმა ფოტოსურათმა მიიქცია ჩემი ყურადღება. ამოვიღე და დავაიკურადი. ამრა ისეთივე მომხიბველია, როგორც ცხოვრებაში. სურათიდან ისე მიიქერის, თითქოს სადაცაა ბაგეს გააპობს და შემომცინებს. დღეის შემდეგ მის მაგიერობას სურათი გამიწევს, რომ არ მოვიწყინო და მუდამ თვალწინ მედგას მისი ხატება. წინათგრძნობა თუ არ მალაქტობს, ეს ბედნიერების ნიშანია.

სურათი უკან ველარ ჩავდე. ხელში გამიშეშლა.

სურათი უნდა წავიღო, მაგრამ ეს ხომ ქურდობა იქნება, არ წავიღო და როგორ გავმორდე? არა, არა ეს სურათი ჩემთან უნდა იყოს. დაე, ვიყო ქურდი, ოღონდ ყველამ გაიგოს, რომ მე მხოლოდ ჩემი სიყვარულის ქურდი ვარ!.. სურათი ფრთხილად ჩავიდე ჭიბეში და გარეთ გამოვედი.

იტყვიან, ამირან გულში მღეროდაო, მეც ისე მომდიოდა, ვერა და ვერ გავუმკლავნე ჩემი ხვაშიადი ამრას, გულს მღრღნის და ჭკუას მირევს ჩემი დარდი და ვარამი, — როდემდე უნდა ვითმინო, თვითონ არ ვიცი. მივალ ამრასთან, ვეტყვი ყველაფერს, გულს ვადავუშლი, იქნებ თანამიგრძნოს კიდევ

— ისიც ხომ აღამიანია? რას ველოდები? თვითონ არ ვიცი!

ეჰ, ნეტა რას ფიქრობს ამრა ჩემზე?.. ვთქვათ, ყველაფერი გავანდე, ვუთხარი ჩემი გულის საიდუმლო, მან კი არად ჩააგდო, უგულოდ მომისმინა და ხელი ჰკრა ჩემს სიყვარულს. მაშინ? როგორ გადავიტანო ამხელა მარცხი? რამდენს ვლავებო ტყუილ-უბრალოდ, რამდენჯერ მიფიქრია და მიკამათია ასე საკუთარ თავთან; მაგრამ რა გამოვიდა, ვერც ერთხელ ვერ გადავდგი ვადამწყვეტი ნაბიჯი. ნეტავ ხარზამანის სახელში ფეხი არ შემომედგა.

ერთ დღეს, როდესაც დესი და ალდიზი რაღაცაზე საუბრობდნენ, ამრა შემოვიდა.

— შეილო ამრა, აბა, შენ იცი, სტუმარი არ მოაწყინო, — მიმართა დესიმ შეილს, მარტონი დატოვა, თვითონ კი სამზარეულოს მიაშურა.

ალდიზი მიხვდა, რომ დედა ხელს არ შეუშლის, პირიქით, დაეხმარება კიდევ. ახლა მთავარი თვით ამრაა, რადგან თავისი ბედის ლავამი თვითონ უპყრია ხელთ.

ალდიზს სკეროდა, რომ შესაძლოა მთლიანად ვერ მოინადიროს ქალიშვილის გული, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მაინც მოახერხებს მის ხელში ჩაგდებას. აქამდის რომ გაენდო თავისი საწადელი, ნაადრევი იქნებოდა, რადგან საამისო ნიადაგი არ იყო მომზადებული, ახლა კი გაქიანურება საქმეს ავნიებს კიდევ, მერე ყველაფერი გვიან იქნება.

ამრა ისე იჯდა ალდიზის გვერდით, თითქოს უცდიდა, როდის დაიწყებდა თავის აღსარებას. მაგრამ როცა დადგა ვადამწყვეტი მომენტი, ალდიზი დაიბნა, თქმა გაუძნელდა. ვერა და ვერ მოენახა პირველი სიტყვა, რომელიც ვახდებოდა სათავე დანარჩენი სათქმელისა.

— ამრა! — ბოლოსდაბოლოს ისეთი ხმით წამოიწყო ალდიზმა, როგორ-

საც გამოსცემს დაჰიმული ანანტორის! სიმი, თითქოს ეს სიტყვა მრავალი ხნის მანძილზე ჩინურ კედლად იყო აღმართული მის გულსა და აღთქმულ სახელს შორის, რომელსაც იგი ამდენი ხნის მანძილზე დაეძებდა.

ეს სიტყვა უნდა ყოფილიყო სათავე, ყველა მომდევნო სიტყვისა.

— არა, — მცირე შეყოვნების შემდეგ, კვლავ გაიმეორა მან.

— რა იყო? — გაფრენილი წარბები ზე ასწია, ნაკვერჩხლებივით ელვარე თვალები შეანათა ამრამ და მხრებში გასწორდა.

— არ ვიცი, როგორ დავიწყო, ამრა, — თითქმის ჩურჩულით თქვა ალდიზმა,

— დღემდის იღუმალოდ ვატარებდი და სათუთად ვინახავდი ჩემთვის ყველაზე ძვირფას გრძნობას, რომლის დაკარგვის შიში მუდამ თან მდევდა, ასე მეგონა, ვინმემ რომ გაიგოს მომპარავს-მეთქი. ეს გრძნობა ამოძრავებს ჩემს გულსა და გონებას, ის არის ჩემი თვალისჩინი. ამის საწინდარი კი შენა ხარ, ამრა, მხოლოდ შენ, სხვა არავინ! შეიძლება მე შენი ღირსი არცა ვარ, მაგრამ, თუ მეგობრად გამოგადგები, ვახდის ჩემი ცხოვრების თანამგზავრი...

ალდიზს წამოწყება ეძნელებოდა, თორემ ახლა, გონს მოსვლა არ აცალა საწყალ გოგოს, სეტყვასავით დააყარა სიტყვები.

ამრა მახეში გაბმულ ჩიტს დაემსგავსა; მისი ბაგენი მღელვარებისაგან თრთოლდნენ. სიტყვის წარმოთქმაც ვერ გაუბედა, ისე გაშეშდა ადგილზე.

„როგორ გამიყადრე თავი, როგორ არ გრცხვენია? — პასუხად ეს უთხრას? შეურაცხყოფილად ხომ არ იგრძნობს თავს? შესანიშნავი ქაბუკია, მაგრამ თავისთვის იყოს, რაც არ უნდა მოხდეს, ცხოვრების მეგობრად ვერ გაუხდება, მაგრამ პირდაპირ როგორ უთხრას, არ მინდინარო? როგორ დააღწიოს თავი ამ უხერხულობას? საერ-

1 ანანტორი — ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტი.



თოდ, რატომ წამოიწყო ამზე საუბარი? როგორც დღემდე შეგობრობდა, ისე უმეგობრებს, თუ საჭირო იქნა, უფრო განამტკიცებს ამ მეგობრობას, სიკვდილამდე ერთგული იქნება მისი, არასოდეს არ შებღალავს ამ წმინდა გრძობას, მაგრამ რასაც ალღიზი სთავაზობს ამაზე კი ვერასოდეს ვერ დათანხმდება.

რა არის ამის მიზეზი, რატომ არ უნდა ალღიზი? ეს ჯერჯერობით თვითონაც არ იცის, თუმცა ძნელი ყოფილა ქალიშვილი გაერკვეს ამ საკითხში, სანამ გრძობა არ გადაწყვეტს ყველაფერს.

არ იცოდა, როგორ ეთქვა უარი ვაჟისათვის, ისე რომ მისთვის ტყვილი არ მიეყენებინა, არ დაემცირებინა და გულში წყენა არ ჩაედო? როგორ ჩამოიშოროს გზიდან ტყვილი სიტყვით?

— მე მივხვდი, ალღიზ, გავიგე რაც მითხარი, — დინჯად, თითქოს ასეთსაქმეში დიდი გამოცდილება აქვსო, წამოიწყო ამრამ, — ამას მე შენგან არასოდეს არ მოველოდი. არ მეგონა. მე ერთი დამთხვეული გოგო ვარ, რაში გამოვადგები, სირცხვილიც არის, არაფერს ვაგვს. ესეც არ იცის, რა დროს ჩემი გათხოვებაა? არ ვიცი, ეგებ გული გატყინე...

— შენ ოღონდ იმედი მომეცი, და დაგელოდები, ამრა. რამდენ ხანსაც მეტყვი, იმდენ ხანს მოგიცილი, ოღონდ საიმედო რამე გამოგონე, დღესდღეობით მეტს არაფერს ვთხოვ, — იმის შიშით, რომ ამრას არ შეეჩერებინა, სხაბასხუთი დაასრულა თავისი სათქმელი. — მე ხომ უნდა მჭონდეს რაიმე იმედი?

— არა, არა, — მტკიცედ მოუჭრა ამრამ. — რა საჭიროა ყველაფერი ეს?.. უაზრობაა, ნამდვილი უაზრობა... და საერთოდ ამ საკითხზე შევწყვიტოთ ლაპარაკი...

— ესე იგი უარს მეუბნები?.. მხოლოდ ამ სიტყვების შემდეგ მიხვდა ალღიზი, რომ იჩქარა, თავი ვერ შეიკავა, ახლა უკვე ძნელი გახდა უკან დახევა და ისევ ჰკითხა:

— ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა?

— ასე გამოდის.

ალღიზი ფეხზე წამოხტა, — მაპატიე, ამრა, ყველაფერისათვის მაპატიე! — თითქმის მუდართი წამოიძახა ალღიზმა, — მე... მე ამას ვერ გადავიტანი თუკი შენ ხელს მკრავ... მე ნამდვილად დავიღუბები.

— რას ამბობ, ალღიზ? — შეებრალა ამრას ჰაბუკი. — რას ჰქვია ვერ გადავიტანი.. მოდი, ნულარ გავართულებთ ამ საქმეს. ისე ჩავთვალოთ, თითქოს ამაზე არც გვისაუბრია.

— რატომ, ამრა? — კვლავ შეევედრა ჰაბუკი.

— ასე აჯობებს, ალღიზ, ასე...

— კი მაგრამ, რატომ-მეთქი?

— ხომ შეუთანხმდით, შევწყვიტოთ ეს საუბარი.

— რა... რატომ? — სხვა სიტყვას უკვე ვერ პოულობდა ალღიზი.

— არავინ ვაივას, სირცხვილია, ღვთის გულისათვის, ვაჩუმდი, ალღიზ! მე შენ ამაღ, საკუთარ ძმად გთვლი, შენ კი რაებს მეუბნები?

ალღიზს ერჩია, ცივი ტყვია მოხვედროდა გულში, ვიდრე ეს სიტყვები გავგონა. ეპ; აფხაზურად წესებო, აფხაზურად ადათებო! კაცს რომ ჰკლავდე, თუ ისეთი სიტყვა წარმოთქვა, რომლითაც შენს სინდისს შეეხებინა, მორჩა ხელ-ფეხი შეკრული გაქვს!

ამის შემდეგ, ერთი სიტყვაც რომ დასძრას ალღიზმა, ეს ნიშნავს ჭუჭყში გასვაროს თავის სინდის-პატიოსნება, რომელსაც ასე სათუთად ატარებს თავის სახელთან ერთად.

— მაპატიე, — მხოლოდ ამ სიტყვის თქმა მოახერხა ალღიზმა და ამრას წინ შედგა.

— ალღიზ, ამიერიდან შენი ღირსეული და ვიქნები.

— გმადლობთ.

ალღიზი კიბეზე დაეშვა. ამრაც უკან გაჰყვა. ბილგია კუდისქნევითა და მზიარული ღრენით უკან დაედგენა მათ.

— რა გეჩქარება, დარჩენილიყავი, ალღიზ! დედამ არ იცის, რომ მიდიხარ, — გულწრფელად უთხრა ამრამ, როცა სტუმარმა ჰიშვარს მიატანა.

— ალღიხ, ალღიხ! სად მიდიხარ, ნან? — მიძახა საზარეულოდან გამოსულმა დესიმაც.

— ნახვამდის, — უთხრა ამრას და ფერღობს შეუყვა.

— ნახვამდის... ბედნიერი გზა გქონდეს, ალღიხ.

ამრა უკან შემობრუნდა.

— რატომ გაუშვი, ნან. მე ხომ მისთვის ვამზადებდი საქმელს, — უსაყვედურა დედამ, — არ იფიქრებს ბიჭი, თითქოს მე განგებ წამოვიწყებ სხვა საქმე, რომ წასულიყო...

— ვთხოვე, მაგრამ არ დარჩა.

ამრა ისე თავაწეული მიდიოდა შინისაკენ, თითქოს დიდ ბრძოლაში გაემარჯვოს.

იგი თავის ოთახში შევიდა, სარკვეში საკუთარი სახე შეათვალიერა. „შენ უკვე ხელს ვთხოვენ ამრა.“, უთხრა თავის გამოსახულებას, შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და ალტაცებული აივანზე გამოვიარა.

9

თათე ნელი ნაბიჯით მარტო მიუყვებოდა ქალას, თან ყოველ წამს ჩერდებოდა. მისი ტუჩები, უხმოდ ჩურჩულებდა. იგი ყურს უდგებდა რაღაც უცნაურ ხმებს, რომელიც მხოლოდ მისთვის იყო გასაგები. მიჰყვებოდა ვაეი ტყის ვიწრო ბილიკს. მიდიოდა და სწავლობდა ბუნების ენას. და ის, მართალია ჯერ მხოლოდ ფიქრში, მაგრამ მაინც ესაუბრებოდა ბუნებას თავის იდეუმალ, სხვებისთვის უცხო ენაზე.

ეპ, ბუნების ამ მალღიანი ენის, ამ უცნაური საუბრის, რომელსაც იგი ახლა ისმენს, ჩაწერა რომ შეიძლებოდა ესე, რომ კაცობრიობის სმენასაც მისწოდეს, მაშინ იგი დღე-ღამეს გაასწორებდა, რათა ყველასათვის გასაგები გაეხადა ეს ტკბილი ხმები. მთელი ბუნება მღერის, საუბრობს, თითქოსდა მომზიბლავ ქალწულს ეჩურჩულება, მაგრამ ხმა იგი ყველას როდი აღაფრთოვანებს. და რომ გაიგო ეს მსუბუქი, უნაზესი ხმა, უნდა გქონდეს დახვეწილი სმენა და შეგარძნების დიდი უნარი. ეს

რომ ასე არ იყოს და ყველას ერთნაირად ესმოდეს ხმა ბუნებისა, მიღწეის ხალხი ტყე-ტყე ივლიდა. მსგავსად. აგერ, ჩიტუნები რიგრიგობით მღერიან. ყველა საკუთარ სიმღერას მღერის, ადამიანს კი ჰგონია, თითქოს ისინი მხოლოდ ერთ სიმღერას მღერიან ერთად. არა, ეს სიმღერები სულ სხვადასხვაა და არ ჰგავს ერთმანეთს.

ისინი მღერიან წელიწადის ყველა დროს შესაფერის სიმღერებს. და ეს უზარმაზარი ხეები, მუნჯებივით რომ დგანან, მსუბუქი ქარი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაეხეტება ხეობებსა და აალიპსტას ნაპირებზე, დღითა და ღამით გაფითრებული რომ მიჰქუხს, ცადაზიდული მთები და გაშლილი ტრამალები — ყველაფერი მღერის. და თათისაც თვითული სიმღერა ესმის. მაგრამ თათის მძაფრი სურვილი მხოლოდ მაშინ განხორციელდება, როცა შეეძლება მთელ ამ ქორიდან გამოჰყოს ერთი იმ სიმღერათაგანი, რომელიც მას ყველაზე მეტად მოსწონს და იგი თავის ნება-სურვილზე ამეტყველოს, სული შთაბეროს, თავის ოცნებაში შექმნილი ფრთები შეასხას და გააფრინოს შორს, ცის დასავლამდე. მაგრამ ჯერჯერობით ყოველივე ეს მის სულში ფათურობს. ის თითქოს ხმების ყარაულია და ყოველნაირად ცდილობს, თუნდ ერთი ბერაც გონებიდან არ გაუფრინდეს. იცის თათეიმ, კარგადაც იცის, რომ ჩანაფიქრის აღსრულებისათვის, ნიჭის გაფურჩქენისათვის იმ ნიჭისა, თვით ბუნებამ რომ უბოძა, საჭიროა ცოდნა, მხოლოდ ცოდნა. წავა კიდევ თათეი, აუცილებლად წელსვე წავა, სოხუმში. ეს უთხრა ამრას. თავისი საბუთებიც სოხუმს გაგზავნა. რაღაც არ უნდა დაუჯდეს იგი მიიღებს მუსიკალურ განათლებას.

თათეი ტყიდან გამოვიდა და შინისაკენ გასწია. მე და ხარზამანი მუხის ძირას ვიჯექით საძოვრებზე გასამგზავრებლად ვემზადებოდით. ყმაწვილი ეზოში შემოვიდა და ამრას ოთახისა-

კენ გაემართა. ჩვენ ჩვენი საქმით ვიყავით გართული, როცა ეზოს ორი უცნობი მოადგა. ბილგია ყფით გაექანა კისერისაკენ. ხარზამანი წამოხტა და ძაღლს დაუტია. ძაღლიც იმ წამსვე მიწაზე გაწევა და გაჩერდა, თითქოს ეწყინა პატრონის გაჯერება, მერე საცოდავად დაიწმულია და კუდამოძუებული გვერდ-გვერდით წავიდა.

ხარზამანმა სტუმრები ვერ იცნო. ვერც მე ვიცანი. ეტყობოდათ პირველად იყვნენ ჩვენს სოფელში. მაგრამ ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ, სტუმარი სტუმარია და ხარზამანმა ისინი შინ მიიწვია. ბილგიას ყეფა რომ გაიგონეს, ამრა და თათუი აივანზე გამოვიდნენ.

მისალმების შემდეგ სტუმარ-მასპინძლები მუხის ქვეშ ჩრდილში დავსხედით. ხარზამანმა, როგორც ოჯახის უფროსს შეეფერება, დინჯად და აუჩქარებლად გამოაქითხა სტუმრებს ვინაობა.

— ვინა ხართ, შეილებო, საიდან მოსულხართ?

— ჩვენ, — დაიწყო ერთმა მათგანმა, რომელიც თავის თანამგზავრზე უფროსი ჩანდა, — რაღაც პატარა საქმის გამო გეახელით. მე ინჟინერი ვარ, გზები ვამყავს, მიტას მეძახიან, გვარად ლარბა ვახლავარ. ესეც ინჟინერია — ალგერ ლაშბა, ელექტროსადგურებს აგებს, — თან ხელით ანიშნა ამხანაგზე.

ხარზამანიც თავის მხრივ გაეცნო სტუმრებს.

— კარგია, — დაფიქრებით თქვა ბოლოს ხარზამანმა. მის ხმაში ექვი ჩანდა. სტუმრები აათვალღიერ-ჩათვალღიერა და ისევ გაიმეორა, — კარგია, მაგრამ აქ, ჩემს კარ-მიდამოში რაღამ მოგიყვანათ?

— აქ გზა უნდა გაეკრათ! — დაჭერებით უპასუხა მიტა ლარბამ.

ხარზამანმა ისე შეიკრა წარბები, ძნელი მისახვედრი იყო, გაუხარდა, ეწყინა თუ გაუკვირდა. გარშემო მიმოიხედა. დაბეჭითებით შეათვალღიერა მთე-

ლი თავისი სამკვიდრო და მზერა ისევ სტუმრებზე გადაიტანა.

— ელექტროსადგურების აგება იცოცხლე, კარგი საქმეა, შეილო... ჰო, კარგი საქმეა. მაგრამ გზა... ახალი გზა როგორ უნდა გაიყვანოთ, კენწეროზე შესკუპულ საფრთხობელსავეთ ვართ გახიზულნი, ვერცერთი მხრიდან ვერ შემოუვლით. მესდაცემულბეგივით მხოლოდ ჩვენ შევჩინით ამ არემარეს. — ზეწამოპტრა ხარზამანი. თვალისდასამხამებაში გაქრა მისი სიღინჯე და მოთმინება, — მაშ, როგორ უნდა გაიყვანოთ აქ ახალი გზა? მითხარით, როგორ უნდა გაიყვანოთ? — და ხარზამანმა კვლავ გარშემო მიმოიხედა. მისი მზერა მხოლოდ ერთ გუმანს მეტყველებდა: “თუ ჩემს მკერდს შუაზე არ გააბობთ და ისე არ გადაივლით!”

— გზა, ჩვენი აზრით, აი, აქ უნდა გაიქრას, სადაც ახლა ჩვენ ვზივართ, სხვა გამოსავალი არ არის! — ისე მშვიდად მოუტრა მიტამ, აქათდა ამ ამბავმა ოდნავადაც არ უნდა ააღელვოს კაციო.

— ბოღინი, თუ შეიძლება, — მოულოდნელად ჩაერია საუბარში ალგერი, თითქოს ავი რამ წინათგარძნობა იყნოსა, — არ ვიცი, სიცხის ბრალია თუ აღმართისა, წყურვილისაგან ყელი მიშრება, იქნებ წყალი იყოს სადმე?

და ხარზამანმა ამ დროს ისე დაიკეცა, რამდენ ხმას, როგორც იტყვიან, შეუძლია ციდან ვარსკვლავები მოწყვიტოს:

— ამრა!.. უუ, ამრა!..

ამ ძახილში თითქოს ჩაქსოვილი იყო ის მრისხანება, რაც ხარზამანმა სტუმრებს ვერ შეკადრა.

— რა იყო, ბაბუა? — გადმოსძახა ამრამ აივნიდან.

— სტუმარს წყალი წყურია! — შედარებით მშვიდად თქვა მოხუცმა.

ამრამ გადმოსახა ტოლჩაში შავი დენიო, ახალი ყველი დაქრა, ნაჭრები თეფშზე დააწყო, შუაში აქია ჩადო და გამოიტანა.

— მე წყალი მინდოდა, — თქვა ალ-

გერიმ, როცა ამრამ სტუმარს ღვინით საესე ჭიქა გაუწოდა.

— ღვინოც ხომ სასმელია, დად, დალიე, წყურვილს მოგიკლავს. — არ მოეშვა ხარზამანი.

ამრა თვალს არ ამორებდა ალგერს. ხელი აუთრთოლდა, თეფშზე დადებულ ჭიქაში ღვინო ადგაფუნდა. მაინც, რა თვალზე შეხედა ამ ბიჭს. ალგერს რაღა დემართა? — ქალიშვილი, რომელიც ახლა მის წინ დგას და თრთის, იმ გოგონას აგონებს, რომელმაც ალგერის სტუდენტური ცხოვრების წლები აუწეწა, აუფორიაქა და სიზმარივით გაქრა.

როცა ამრამ ისე მიუახლოვა თეფში, რომ ალგერს თავისუფლად შეეძლო ჭიქის აღება, იგი ცახცახმა აიტანა, გაუვარდა და ჭიქასთან ერთად ნამსხვრევებად იქცა...

— ჰაი, შენი სიკეთე რა ვთქვი; დამბლა ხომ არ დაგეცა! — ამიდერა ხარზამანი.

— სულ ჩემი ბრალია, — სცადა ალგერმა თავისთავზე გადაბრალევა.

ამრამ ნამტვრევების აკრფეაც ვერ მოახერხა, ადგილიდან მოწყდა და თვალს მიეფარა. მერე აღარ გამოჩენილა, სტუმრებიც და მასპინძლებიც საბტად დარჩნენ. ეტყობა, თათვი მიხვდა, რაც მოხდა და სტუმრებს ცივი წყლით გაუმასპინძლდა. ამის შემდეგ ისინი მალე წავიდნენ.

ხარზამანი იდგა უფსკრულის პირას ოდნავ წელში მოხრილი, გეგონებოდა, აი, საცაა, ადგილს მოწყდება და გადაეშვებაო. მე კი სტუმრების გაცილებდა მოვიმიზეზე და ეზოდან გავედი.

ამრა პირქვე დაემხო საწოლზე, არავის დანახვა აღარ უნდოდა. თვალეზე ხელი აიფარა, რომ სრულ სიზნეღეში დარჩენილიყო საკუთარ თავთან. მაგრამ არაფერი გამოვიდა, მის თვალწინ აღიმართა ალგერის სახე, აღიმართა და გაუღვიძა უცხო გრძნობა. საინტერესოა, თვითონ ალგერიც ამგვარმა გრძნობამ მოიცვა, თუ, გავლით შემოვიდა ეზოში, თვალი მოჰკრა უცხო ქა-

ლიშვილს და ყველაფერი ამით დამთავრდა...

ორი დღის შემდეგ საქონელი რაღაღებისავე გავრევეთ. ვიდრე გზას გავუღებოდით, ხარზამანი ჩრდილივით ჩუმად დაბორილობდა ეზოში. ოჯახის არცერთ წევრს სახეში არ უყურებდა.

ყველანი როგორღაც ვცდილობდით ერთმანეთისათვის გვერდი აგვევლო, და თვალში არ ვცემოდით. ხარზამანი ყოველგვარ წყენას გულში იმარხავდა. ამრა განგებ იხანგრძლივებდა სამუშაოს, ხოლო შინ დაბრუნების შემდეგ თავისი ოთახიდან არ გამოდიოდა, იმიტომ კი არა, რომ ეშინოდა, არა, უბრალოდ ერიდებოდა, რცხვენოდა. მე კი, საკუთარ თავზე აღრენილი საღდაც გან-გან დავეხეტებოდი.

ხარზამანი თვითონ გაუძღვა პირუტყვს. მე კი სულ უკან მივეყვებოდი. ჩვენცა და საქონელიც ყოველგვარი გაჭირვების გარეშე მივაღეჭით სადგომს. ასე დაიწყო ჩვენი სამთო ცხოვრება.

ვიდრე ჩვენ მთებში ვიყავით, სოფელ ახალმთვარეში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. გზის მშენებლებმა გზა გაიყვანეს ხარზამანის კარმიდამოს მიმართულებით და ის ადგილიც ამთარჩიეს, სადაც ელექტროსადგურს ააშენებდნენ.

ამ დროში, რაკი მე და ხარზამანი იქ არ ვიყავით, ალიასი კი მთლიანად თავის საქმეებში იყო ჩაფლული, ალგერი შეუფერხებლად დაუახლოვდა ქალიშვილს.

ერთხელ, როგორც წინდაწინ დათქვეს, ისინი შეხვდნენ ერთმანეთს ერთ მყუდრო ადგილას, ხარზამანის კარმიდამოს ახლოს. იმ დღეს ამრა მარტო იყო სახლში, ამიტომაც არ ჰქონდა შიში, რომ შემთხვევით ვინმე დაინახვდა და საესებით გულდამშვიდებული გავიდა ეზოდან.

თითქოს მისი ყარაულობა ვინმემ დაავალო, ბილგაა კუდის ქიცივით ფეხდაფეხ აედევნა ამრას. ამრამ ძალღს

დაუცაცხანა. გულნატყენი ძალდი იქვე ჩაჭდა და ნაღვლიანი მზერა გააყოლა პატრონს. როცა ამრა მოსახვევეში თვალს მიეფარა, წამოხტა და ასკინკილით უკან გამოუდგა, ხოლო, როგორც კი მოსახვევეთან პატრონს წამოეწია, ისევ გაჩერდა...

ამრა და ალგერი გზის გადაღმა, ისე, რომ გამოვლენ-გამომვლენებს არ შეენიშნა, ხეს ამოფარებულნი საუბრობდნენ. საუბარი მათივე სოფლის სილამაზეს შეეხებოდა, ბუნების მრავალფეროვნებას, შრომის სიყვარულს. მერე კი ალგერი შეუდგა ჩანაფიჭრის განხორციელებას.

კარგი სიტყვები აღამაზებს აღამიანის სულს, უფრო გამაღლებს და გაყვარებს სიცოცხლეს. მაგრამ ალგერივით ყველას როდი შეუძლია ასეთი ლაპარაკი! იგი ვატაცებით ლაპარაკობს ცხოვრებაზე, მის რთულ პრობლემებზე, უკეთეს მომავალზე, იმაზე, რომლის შესახებ ამრას მხოლოდ ზღაპრებში მოუხმენია. იგი ლაღად და ძალდაუტანებლად ხსნის სიყვარულის ყოველისშემძლეობის საიდუმლოს. არა, მთელი ქვეყანა ფეხით რომ შემოიაროს, ალგერისთანა ბიჭს ვერ შეხვდება ამრა. ვარგნული სილამაზე და მდიდარი ბუნება მასში ისეა შერწყმული, როგორც ოცნება და იმედი. ამრა მზად არის, ახლავე ამ ადგილიდანვე, გაპყვეს მას და იაროს, თუნდაც ქვეყნის დასასრულამდე. იგი მზად არის გაპყვეს მას, ვისაც ასე ძალიან უყვარს სიცოცხლე, და ვისი სიცოცხლეს თვალისმომჭრელად ბრწყინავს მის სიცოცხლესთან ერთად!

ამგვარი აზრებით იყო ვარემოსილი ამრა, როცა უეტრად მის ფეხებთან რაღაც გასხლტა. შემკრთალმა გოგონამ წამოიკივლა და ალგერის მიეკრა. მიწაზე მთლად გართხმული ბილგია კუდს აქიციანებდა და თითქოს მავედრებელი თვალებით პატივბას სთხოვდა პატრონს. ბილგია ახლა ალგერის შეაცქერდა და ბიჭს საპნის ბუშტივით გაუჭრა ის სიამაყე, რომელიც ამ ორიოდღე წუ-

თის წინ ასე ამშვენებდა მის საუბარს, გოგონას შერცხვა. ასე ეგონა მთელმა ოჯახმა დაინახა როგორ საუბრობდა იგი ტყეში უცხო ბიჭთან. ბილგიას მზერას ვედარ გაუძლო და თითქოს თავის გამართლება მოუნდა. მის ბაგეებზე ცივი და უგემური ღიმილის ჩრდილმა გადაიბრინა. რაკი პატრონს გაღიმება შეამჩნია, ბილგია მაშინვე წამოხტა და კუდის ქიციანით მიელაქუცა. გოგონამ ძალს თავზე ხელი გადაუსვა, მოეხვია. ბილგიას სხვა რაღა უნდოდა, აცმუჯდა და მთლად ფეხქვეშ გაეგო. ალგერი კი ისე იდგა, თითქოს მდინარის გაღმა დარჩენილიყო. ამის შემდეგ მათ ვერ იქნა და ვერ განაახლეს შეწყვეტილი საუბარი.

როცა ამრა ბილიკ-ბილიკ ბრუნდებოდა შინისაკენ, ალგერი კვალდაკვალ მიჰყვებოდა მას, შემდეგ ტყიდან გამოვიდა და იმავე ბილიკს თავში მოექცა.

აი, კიდევ, საკვირველება! ამას რას ხედავს ამრას თვალები? თითქოს მიწიდან ამოიზარდაო, მისკენ ჩქარი ნაბიჯით მიემართება აგრა! მან გონს მოსვლია კი არ აცალა, გესლიანად დაიწყო:

— ყოჩად, ამრა, ყოჩად.

— ეს რას ნიშნავს? — გაწიწმატდა ამრა.

— იმას ხედავ? საღ მიდის... ეს რაღას ნიშნავს?

— ვინ?

— როგორ თუ ვინ? შენ იმას არ იცნობ?

ამრა შეყოყმანდა.

— აქ ბევრი მიდი-მოდის.

— არა, აქ ისე არავინ არ ჩივილს, შენი მზერა რომ არ დაიჭიროს.

— რას ლაპარაკობ, რას?!

— შენ კარგად მიხვდი, რასაც ელაპარაკობ!

— მე ვერაფერს ვერ მიხვდი, — მტიციელ უპასუხა ამრამ და ქვევით, ბილიკზე დაეშვა.

ამრა შინისაკენ ისე მიდიოდა, თითქოს მთელმა ქვეყანამ გაიგო მისი საიდუმლოება, ვერ გაეგებდა თავი მალა

აეწია. თვალმოუშორებლად დასცქეროდა ბილიეს, რომელსაც ის მიუყვებოდა. ბილიც კი ისე აქიციანებდა კუდს, თითქოს ამრა ტყეში გზააბნეული ნახა და სამშვიდობოს გამოიყვანა. დღევანდელი დღის ვალი მან პირნათლად მოიხადა და ახლა ყურებდაცქვიტილი უკან მიჰყვება თავის პატრონს.

10

სხვა გამოსავალი არ მქონდა. იმ დღესვე, როგორც მთებში ამოვედი და კარვები გავშალეთ, ღამის სათვეად მსხვილფეხი საქონლის მწყემსებთან მოვეწყვე.

ხარზამანს დავშორდი და ზაფასს შევეკედლე... ერთი შეხედვით ამაში ცუდი არაფერია. ბოლოს და ბოლოს, სადაც მომწონს, იქ უნდა ვიცხოვრო. მაგრამ, მეორეს მხრივ ყველამ იცოდა, რომ მე და ხარზამანი ერთ პერტყეშ ვცხოვრობდით და მთებშიც ერთად ამოვედი. აქ კი ავიკრიფე გუდა-ნაბადი და წავედი.

ჩემი საქციელი აუცილებლად გამოიწვევდა მოთქმა-მოთქმას და ასეც მოხდა.

— რა გაწყენინეთ, დად, ალოუ? — მეორე დღესვე მკითხა ხარზამანმა.

— სრულიად არაფერი, — თავი ისე დავიპირე, თითქოს ვეუბნებოდი, ეგ რა საკითხავია-მეთქი.

— რა ვიცი, ეჭვში ვი ჩამავდე ამ ხნის კაცი, ალბათ, გაქვს მიზეზი, უმიზეზოდ არაფერი არ ხდება. თუ გამაგებინებ ჩემს დანაშაულს...

— ჩემგან ხომ არ გეწყინათ რამე, ასე რომ მელაპარაკებით? არაფერი მესმის! — თავი მოვიკატუნე, ვითომ ვერ მიეხვდი, რაზეც მიუბნებოდა.

— მეც არაფერი მესმის და იმიტომ გეკითხები.

— მაინც რას მეკითხებით? — ვკოთხე, და თან ისეთი გამომეტყველება მივიღე, რომ მოხუცს ცოტათი მაინც გააფანტოდა ეჭვი, მაგრამ ხარზამანს ასე ადვილად ვერ მოატყუებ.

— რას ამბობ, დად? — თავი ველარ

შეიკავა ბერიკაცმა, — ბრმა ხომ არა ვარ? შენ რომ არაფერი გწყენათ და ხელსთან გადახედლოდი საქონურებს...

— რას ბრძანებთ, აბა ეს რა სათქმელია? ის ფერმაც ჩვენი არ არის? — შევეცადე დამეწყინარებინა მოხუცი, — იქ მომუშავეებიც ჩვენი ხალხია, უცხონი ხომ არ არიან, ღმერთმა ჰქმნას, ჩვენს შორის ამის მეტი საწყენი არა მოხდეს რა...

— იქნებ მართალიცა ხარ, ვინ ვაიგებს, იქნებ სწორად მოიქციე... — და გამოსაცდელად თვალბეში ჩამხედა... — რაც არ უნდა თქვა, მე მაინცა ეგრძნობ, რალაცხე ნაწყენი ხარ. რატომ უარობ? სიმათლე მითხარი!

— ვფიცავ ცაას და დედამიწას, რომ თდნავი ხინგი არ არის ჩემს გულში! — ვცადე ეს სიტყვები ისე მტკიცედ მეთქვა, რომ ხარზამანს ეჭვი არ შევარვოდა, — აბა, რა უნდა მწყენოდა, მათელი ოჯახი ხელისგულზე მატარებდით.

— აღარ ვიცი რა გითხრა. ამას საწყენად კი არ გეუბნები, არ მინდა ხალხმა გამკილოს.

ძალიან შემებრალა ხარზამანი. კაცმა რომ თქვას, მართლაც სულ უდანაშაულოდ ჩავითრიე ჩემს მორევში ეს უცოდველი მოხუცი.

— ღმერთი, რკული, არაფერიც არ მომხდარა, — რომ დამეწყინარებინა, ისევე შევუდექი თავის მართლებას.

— აგრე იყოს, დად, ნება შენია...

იმჯერად როგორც იქნა დავამშვიდე ხარზამანი, ის კი არ ვიცი, დამიჭერა თუ არა.

იგი გამოცდილი და ჭკვიანი კაცი. ალბათ მომაჩვენა, რომ სჯეროდა ჩემი საქმე აღარ გაქეჯა. შემატყო, რომ ვთვალთმაქობდი და თითონაც ამგვარადვე მოიქცა. ასეა თუ ისე მე შევეძელი თავი ამერიდებინა სწორი პასუხისათვის.

ხშირად ენახულობდი ხარზამანს და ისიც აღარ მსაყვედურობდა. ჩვენ ორთავე ვცდილობდით ყურადღება არ მიგვექცია იმ უსიამოვნო ამბისათვის, რომელიც ჩვენ შორის მოხდა.

ხარზამანი კარგი მონადირეც გახლავთ. მარჯვედ დაცოცავს კლდიან კლდეზე. არავის ახსოვს, მისი გასროლილი ტყვია მიზანს აცდენოდეს. ხარზამანის ნადირობის მოწმე მეც ხშირად ვახლდით. ვასულ წელსაც მთებში ერთად ვიყავით სანადიროდ.

როდესაც მოხუცმა თავისი საქმეები მოაგვარა, ნადირობაზე ჩამოაგდო საუბარი.

— ზაფას, ნუთუ წელს მთიდან ისე უნდა დავეშვათ, რომ ნანადირევი არ ვიგებოთ? — მიუბრუნდა თავის ნადირობის მეგობარს.

— ცუდი არ იქნებოდა, ცოტათი მუხლი გაგვეშალა — თქვა თავის მხრივ ზაფასმა.

გადაწყდა სანადიროდ წავსულიყავით და დილით ადრე გავუდევით გზას. ხარზამანმა სიმღერა აეკვიფმა! წამოიწყო, ჩვენ ბანი ვუთხარით.

თავზე მედიდურად დაგვეურებს უხარბაზარი კლდე, რომლის მწვერვალს ჩვენი მზერა ევრცა წვდება. ზედა კლდის კალთაზე, მოხარხარებს ჩანჩქერი, რომელიც ევებერთელა ქვებს კენკვებით მიაგორებს.

— აი, ამ კლდეში ბევრი გარეული ცხოველი ბინადრობს. — ეჭვშებარულად წარმოთქვა ხარზამანმა, — ცხოველების მეტი რაა, მაგრამ ძალიან საშიში, მატყუარა კლდეა. — ბოლოს სინანულით დაუმატა — ეპ, სადა ხარ ჩემო ახალგაზრდობა?

— თავს რამე უბედურება არ დავიტეხოთ, — თქვა ზაფასმა.

ხარზამანმა გამოცდილი თვალთ თავიდან ფეხამდე შეგვათვალიერა.

— მე მზად ვარ! — ამაყად ეთქვი, რათა მოხუცი გამეხსნევებინა.

— ასე, დად, ასე! ნადირობა და ლაჩრობა ერთად ვერ თავსდებიან, — და თვალთ მაჩვენა დაკიდებული ბილიკი, რომელიც ჩვენ წინ მიიკლაკნებოდა.

— ამას რად უნდა ბევრი ლაჩრობა, წავიდეთ, — გვითხრა ზაფასმა.

— შენ, დად, ალოუ. — მომიბრუნდა ხარზამანი, — ამ მხარეს წახვალ, — და ხელი მარჯვნივ გაიშვირა. — შენ, ზაფას, აი იქით, მარცხნივ, — მე კი ბირდაპირ ვივლი. — ღმერთმა ხელი მოგვიმართოს, აევეიფმა იყოს ჩვენი შემწე, — გზა დაგვილოცა ხარზამანმა და იმწამსვე ჰაერში სროლის ხმა გაისმა. ყოველი ჩვენთაგანი მიაშტერდა გასროლის ადგილს. ამის შემდეგ სამივენი უსიტყვოდ დავიძარით.

ციცაბო კლდეს ჩაქვილული ხარზამანი სულ შალა-შალა მიიწედა, ხან მოიხრებოდა, ხან ისევე გასწორდებოდა, ასე ამგვარად მიიწედა იმ ადგილს, სადაც შესვენება შეიძლებოდა. ეს ადგილი უშნო აკამივით იყო გამოშვერილი კლდეზე. ხარზამანს მიაჩნდა, რახან აქამდე ამოვალწიე, მთელი კლდე მოთვინიერებული და დამორჩილებულიაო.

ქვემოთ ჩაიხედა — უფსკრულის უძირო ხაზა დამკსავით ჩამავებულდა. თუ ერთი ფეხი დაგიცდა, მორჩა, შენა ძვალსაც ვერაინ იპოვის. ზევით აიხედა, თანამოკიდებული კლდის წვერი ზეცას დამოზნებოდა. იქამდე კარგადიდი მანძილია, მაგრამ ნადირი თუ ვამოჩნდა, არ ვამოეპარება. ამიტომ ჩასაფრდა აქ. თვალს არ ამორებს მიზანში ამოლებულ კლდის ქეჩოს.

აი გამოჩნდა ისიც, ვისი ბედიც გადაიწყვეტილია. ყურებდაცქვეტილი და ყელმოღერებული გაღმოსცქერის ქვეყანა იმ მწვერვალიდან, რომელიც უსასყიდლოდ მიუცია მისთვის განმგებელს. ეს ბუნების მშვენიერება დგას მზის სხივებქვეშ და ნებიერთბს, ნებიერთბს მთაში დაღვრილი სხივების ეშხით.

ხარზამანმა თოფი შემართა და გასროლის ხმაც იმწამსივე გაისმა. ჯიხვი შეტორტმანდა და დაბლა დაქანდა. ხარზამანმა მსხვერპლს თვალი გააყოლა. იგი კლდის დაქანებულ ადგილზე დავარდა. იქ მისვლა არც თუ ისე ად-

1 აევეიფმა — ნადირობის ღმერთი.

ვილი იყო. ბერიკაცი დაუყოვნებლივ იქითკენ გაემართა.

მოხუცი კლდის პატარა შვერილზე დაკიდებულყო, ზედ უფსკრულის პირას და ფეხის მოსაკიდებელ ადგილს ვერ პოულობდა. ამ მდგომარეობაში შეეასწარ თვალი.

— მე აქა ვარ, ცოტაც მოითმინე. — შევძახე და უმაღლვე მისკენ გავქანდი. კლდეზე საიმედოდ დავებჯინე და მხრებით შევედღეჭი. ხარზამანი ნელ-ნელა იწვევდა მალდა. ბოლოს ერთ შეერილს მიაღწია. დაჯდა, სული მოითქვა. ის ახლა სიკვდილ-სიცოცხლის შუა იმყოფებოდა.

— ალოუ, აქ ამოსვლა არ გაბედო, — ჩამომძახა ხარზამანმა, — ჩემი ჯაგირი ნუ გაქვს, აღარაფერი მიშავს. ჩადი, დად, ქვევით ჩადი. ცოტას შევისვენებ და მეც დავეშვები იმ ჯიბვს კი კაცი ვეღარ იპოვის.

— მაინც სად უნდა გადავარდნილიყო? — შევეკითხე ხარზამანს საესებით დარწმუნებული იმასი, რომ მოხუცი მონადირის ტყვია მიზანს არ აცდებოდა.

— ვერა, დად, იმას აწი ვერსად იპოვი, აი, იქით გადავარდა, — თქვა მან და სხვათაშორის მაჩვენა ის ადგილი, სადაც მსხვერპლი ეგულებოდა, და მე სხვა გზით გავეშურე იქითკენ.

— აჰ, დალახეროს ეშმაკმა, თურმე სულ დავებრებულვარ, — დაიჩივლა ხარზამანმა, როდესაც ყველამ თავი მოვიყარეთ კლდის ძირში. — ალოუს რომ ვუყურებ ჩემი ახალგაზრდობა მახსენდება; შენ ნამდვილი მთის შვილი ხარ, ნამდვილი მთიელი, — შემაქო მოხუცმა. — მუხლი აღარ მერჩის, მუხლი, თორემ ვუღო ჯერ ისევ ახალგაზრდა მაქვს, ახლაც მთებისკენ მიმიწევს... მიმიწევს, მაგრამ რა... მუხლი არ მომდევს, სატიალე...

მთის ნაკადის ახლოს დავსხედით დასასვენებლად.

— ალოუს რომ არ მოესწრო, ზაფას, მეც ისევე ჩავიყარგებოდი, როგორც

ჩემი ტყვიით განგმირული ჯიბე — ისევ ჩემს ქებას მოჰყვა ხარზამანმა.

— რას ბრძანებთ, მაგის მსგავსი სხვა ფერი ყოფილა, — შევეცადე ბანზე ამეგდო მოხუცის სიტყვები და მზერა წყლის დინებას გაეყოლე.

— ყოჩაღ, ალოუ, ყოჩაღ, — კვერი დაუკრა ზაფასმაც.

აღარაფერი მოთქვამს.

ხარზამანმა სიმღერა შემოგვაპარა. წყლის ტალღები თითქოს ჩვენ სიმღერაზე აცეკვდნენო, ყალუზე შემდგარი, ხტუნვა-ხტუნვით მირბოდნენ თავ-ქვე.

როცა კარგა შევისვენეთ, გადავწყვიტეთ მთის ნაკადით გავგრილებულიყავით და ქვევით დავეშვით.

დავისხარე თუ არა პირის დასაბანად, ჯიბიდან ამრას სურათი ამომეარდა. აღება ვერ მოვასწარი, ქარმა კინწისკვრით წინ გაიგდო და შიგ მდინარეში გადაუძახა, მერე იგი ჩემს თვალწინ ტალღამ დაატრიალა, აიტაცა და სწრაფად გააქანა.

ხარზამანმა როგორც კი თვალი მოჰკრა ამ სურათს, თავშეუკავებლად წამოიძახა:

— ოჰ, დალახეროს ეშმაკმა!

ტანსაცმლიანად გადავეშვი წყალში და სურათს დავედევნე. მალე გამოვტაცე კიდეც აბეზარ ტალღებს, რომლებიც როკვით მიაქანებდნენ დასალოერში. თავიდან ფეხამდე დავსველდი, სამაგიეროდ წყალს სურათი არ გავატანე.

ხარზამანმა იცნო ეს სურათი, უთუოდ იცნო!

წყლიდან გალუმბული ამოვედი და კლდეს ამოვეფარე. სურათი ქვაზე დავდე გასაშრობად. ტანსაცმელიც გაეცხადე და ქვებზე გადავადინე. სიცოცხეს სულ არ ვგრძნობდი, პირიქით: სირცხვილისაგან ვიწოდო.

ამრას სურათი ქვას მიეწევა, მზის სხივები ზედ ნახად დათამაშობდნენ, თუმცა თვალეები ჯერ ისევ ბურუსით ჰქონდა მოცული. ზედ თვალეებზე ობოლ ცრემლივით ბრწყინავდა წყლის

ორი წვეთი. მე ვიჯექი და ნაღვლიანად დავცქეროდი ამრას სველ თვალებს... როცა დადებრუნდი, ზაფასი და ხარზამანი ისე შემხვდნენ, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო, ამან უფრო ამაფორიქა...

მალე გზას დავადექით. ზურგზე ავიკიდე ხარზამანის მოკლული ჯიხვი და ჩემს თანამგზავრებს უკან გავეყვი.

ნანადირვეით და საკუთარი ფიქრით დატვირთულნი უხმოდ ვტოვებდით თოკივით დაკიდულ ბილიქს. საინტერესოა რას ფიქრობდა ახლა ხარზამანი? აბა ამას ვინ შეტყვის! რას გაუგებ მოხუც — აფხაზს!

ჯერ კიდევ მთებში ვიყავით, როცა ალიასი თბილისში გამოიძახეს. მან თათვიც თან წაიყვანა. საწყალი ბიჭი ჯერ სოხუმს არ გასცდენია. ალიასმა თათვი სასტუმროში დატოვა, თვითონ კი სოფლის მეურნეობის სამინისტროში წავიდა.

თათვი სასტუმროს აივანიდან იყურებოდა. როგორც კი ალიასმა გადაჭრა ფართე ქუჩა, რომელიც სასტუმროს წინ იყო გაჭიმული, ბიჭს მაშინათვე დაეკარგა იგი ზღვა ხალხში. თითქოს პროსპექტზე მუცლით მიხობავსო, ისე მიათრევედა თავის ვეება ტანს ტროლეიბუსში. იგი აცახცახდა და შეჩერდა. ისეთი ხმა გაიღო, როგორსაც გამოსცემს ნელლი შეშა, როცა ცეცხლი წაეიდება ხოლმე. მეთულებმა კი, რომლებზეც ის მოსრიანებდა, ისეთი ნაბერწყლები გაჰყარა, შუქა-ქუხილის დროს რომ იცის თათვის სოფელში. ამ ელვარე ნაბერწყლებმაც ვერ შეაჩერეს ტროლეიბუსი. იგი ისევ აცახცახდა; შეინჯღრა და დაიძრა. მანქანები, გაუთავებელი მანქანები წამდაუნქვამ დაჰქრიან აქეთ-იქით. თათვის ჰგონია, სადაცაა დაეჯახებიან ერთმანეთს და ნამსხვრევებად იქცევიან, მაგრამ სწორედ ამ დროს, ქუჩის ორივე კუთხეში წითლად ინთება შუქფარი, და ისინიც თვალისდახამხამებაში ერთ ერთ ადგილზე ჩერდებიან. ამ დროს ქვე-

ითად მავალნი, როგორც კაშხალში მთვარდნილი ტალღა, ისე აწყუდებიან ვედანასველს.

ალიასმა უკან მოიტოვა მალალი, მრავალსაფეხურიანი კბეები და მთავრობის დიდ სასახლეს მიადგა. გაიგო, სად იყო სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ლიფტით ავიდა ზედა სართულზე.

მისაღებში კოპწია გოგონა მაგიდასთან იჯდა და წიგნს კითხულობდა.

— მინისტრი აქ ბრძანდება? — ჰკითხა ალიასმა.

— დიახ, თქვენ რა გვარი ხართ?

— აბა, ალიას აბა! მინისტრმა გამომიძახა.

გოგონამ კაბინეტის კარი ყურთამდე გააღო.

ალიასმა მთელი სამი დღე დაჰყო თბილისში. იგი ეხმარებოდა კონსტრუქტორებს, რომლებიც მინისტრის დაველებით მუშაობდნენ თამბაქოს ამსხმელი მანქანის შექმნაზე. დღისით მათთან ერთად მუშაობდა, საღამოობით კი ოპერისა და ბალეტის თეატრში დაჰყავდა თათვი. რა დაავიწყებს თათვის იმ ღამეს, პირველად რომ მოისმინა ოპერა „დაისი“. მუსიკას უსმენდა, თან ფიქრებით თავის სოფელში დაეხეტებოდა. ის ამ მუსიკის ხმებში შეიცნობდა მთის წყაროების ჩურჩულსაც და ხარზამანის აფხიარცის წკრი-ალსაც.

ალიასისა და თათვის თბილისში ყოფნის ამბავი ჩვენ სოფელ ახალმთავარის ფოსტალიონმა გვაცნობა. ხარზამანი ცოტა არ იყოს აიმრიზა:

— ეეჰ, და, როცა მზე აცხენებს, ბუზებიც მაშინ იწყებენ ბუზილს, — ამ აფხაზური ანდაზით გამოხატა თავისი წყრომა ალიასის მიმართ. — დიდი ამბავი, თბილისში გამოიძახეს, რომ არ წასულიყო ვითომ დაიღუპებოდა საქმე? ეს რა დავიდარაბა აიკიდა. მეშინია, სოფელი არ შეარცხვინოს, თორემ იმაზე ვინ ფიქრობს.

— ალიასს არასოდეს შეურცხვენია თათვის სოფელი და არც ახლა შეარ-

ცხვენს, — გამოექომაგა ზაფასი.

— თქვენს პირს შაქარი, ამას იმიტომ მეუბნებით, რომ გული გამიკეთოთ, თორემ თვითონაც კარგად იცით, რომ ზოგიერთები დასცინიან, — თქვა და იჭვენულად შეგვათვალეირა.

— ტყუილად ამბობ მაგას, ხარზამან. შენ კარგად იცი, ალიასს მთელი სოფელი პატრის სცემს და მის დაცივნას ვერაფერს გაბედავს.

— რაც გინდა თქვი, ზაფასს, მანქანა კი არა, აღამიანებს უჭირს თამბაქოს ასხმა. ამაზე ფიქრი და მეცადინეობა წყლის ნაყვია და მეტი არაფერი.

— რატომ, რატომ გგონია. აღამიანი ყოვლისშემძლეა, ჩემო ხარზამან.

— ეჰ, ღმერთმა კი გაგახაროს, ზაფას! ვის აღარებ ალიასს?! — ის, ვინც მანქანას იგონებს, უმადლესი განათლების მქონეა, დიდად განსწავლული. ალიასი მასთან სად მოვა? — მაგაზე ლაპარაკი ზედმეტია...

— სწორედ დიდი განათლების მქონე ხალხი ცდილობს გამოიყენოს ალიასის გამოცდილება და მის მიერ წამოწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს, — არ ცხრებოდა ზაფასი.

— ისემც კაი დაგემართოს, ზაფას, მე ეგ არ შეწყინება, — ცოტათი მოღბა ხარზამანი, — ისემც კაი დაგემართოს, მაგრამ...

შე ლაპარაკში არ ჩაერეულვარ, რადგან ჩემი დარდი მაწუხებდა, საკუთარი ფიქრებით ვიყავი გართული.

რაც ნადირობიდან დავბრუნდით, ხარზამანს არაფერი უთქვამს ჩემთვის, მხოლოდ დროდადრო ჩაფიქრებული შემათვალეირებდა ხოლმე თავისი ელვარე თვალებით. ბოლო დროს მეჩვენებოდა, რომ მისთვის აუტანელი გავხდოდი.

იგი ჩაუსაფრდა ჩემს თვალებს, რათა დაეჭირა ის. საიდუმლოება, რასაც ერთმანეთს ვერ ვუმტკიცებდით და რომლის დამალვა უკვე აღარ შეეძლო. კითხვით არაფერს მეკითხებოდა, თუმცა მის თვალბეჭდში ნათლად ჩანდა ყოველივე: ისინი იდუმალად, ფარუ-

ლად მეკითხებოდნენ, მხოლოდ ჩვენ ორისთვის გამქალაქებულ საიდუმლოებაზე. მე კი ჯიუტად ვდუმდი, არ შემეძლო მეთქვა ჩემი აღსარება, და თავს უცოდველად ვაჩვენებდი, თვალეზი კი ჩამალული მქონდა წამწამთა ჩრდილში, იქ მინდოდა ჩამემალა ის ქალიშვილიც, რომელიც დღითა და ღამით მოსვენებას არ მაძლევდა.

ყველაფერში მე ვარ დამნაშავე... რაღა ხარზამანთან დავიღე ბინა?

მაგრამ ისიც ხომ უთქვამთ: „სადაც არი ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო?“

11.

ერთხელ ხარზამანმა მიჩიია:

— შეილო, ალოუ, ერთი-ორი დღით ჩადი ახალმთვარეში, ცოტა მუხლიც გაიშლება და თვალსაც წყალს დაალევიან. თორემ, ხომ ზედავ, ლამის დამახარჩოს მოწყენილობამ. ჩვენც ცხელ-ცხელ ამბებს ამოგვიტან!

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო. ახალმთვარისკენ ისე დავეშვი, თითქოს საგანგებო დავალების შესასრულებლად მივდიოდი. მზის ჩასვლამდე უკვე სოფელში ვიყავი.

ჩემი ნატვრა ასრულდა. სულ იმაზე ვოცნებობდი, ნეტავ ერთხელ ჩამიყვანა სახლში და ამრა დამანახვა, ხელი შემახებინა მის ფაფუკ ხელზე, გამაგონა მისი ხავერდოვანი ხმა, და ჩამახელა იმის ღამაზე თვალბეჭდში-მეთქი.

ქიშკარი შევალე და ეზოში შევედი. ახლა რომ ამრა აივანზე გადმოდგეს, რა დამემართება? — ალბათ, ფეხები მოვრალი კაცივით ამერევა. მაგრამ...

ჯიხურიდან ბილგია გამოხტა და შემომეგება. მაშინათვე მიცნო, წკმუტუნო დაიწყო, წინა თათებით ისე მომეთათუნა, თითქოს მეფერებოდა.

საწყალი ბილგია, გულაჩუყებულ ცივიანავეთ ცახცახებს.

ცდილობს გავრჩობინოს, რომ რაღაც საწყენი შეხვდა. თვალეზი ცრემლით აქვს სავსე. ნაღვლიანად მიყურებს. მერე წინ ისე გამიძღვა, თით-

ქოს მითხრა, აბა ამ დროს ჩემს მეტი სახლში ვინ იქნებაო.

ოთახის კარი დაკეტილი დამხვდა. მარტოდმარტო ვიდექი აივანზე. საცოდავი ბილგია წკმუტუნებდა და მოსთქვამდა თავის მარტოობას. თვალებით შემუდარებოდა, წყავწყავით მთხოვდა მასთან დაერჩენილიყავი.

კიბზე დაეშვი- მაგრამ არ ვიცოდი საით წავსულიყავი, სად მეპოვნა ამრაველი, დაუსრულებლოვ ვივლი და მაინც ვაპოვნი..

მე და ბილგია საცოდავად, უხმოდ შევეცქეროდით ერთმანეთს.

სოფელს მივაშურე, იქნებ ვინმეს შევხვდებო-მეთქი.

დაეუშვათ, სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა ამრა. ნეტავ რას ვეტყვი? შევძლებ კი ხმის ამოდებას?

ეპ, ბედი სულ არ მწყალობს! რა იქნებოდა სახლში ყოფილიყო? არა, ნამდვილად მარცხენა ფეხი შემოვდგი პირველად ამ სოფელში, არსაიდან ბედმა არ გამოიღმა.

ალიასი სადღაა, სად გადასახლდნენ დიდი თუ პატარა? უპატრონოდ დაუვლიათ სახლ-კარი და გადაკარგულან: ახლა სახლში დაბრუნება აღარც მინდა. ასე უბრალოდ უნდა ვიხეტიალო! დავადექი ერთ ბილიკს და მივდივარ ჩემს ბრმა ფიქრებთან ერთად. არსაიდან ჩამიჩუმე არ ისმის. ამ სიჩუმემ მთლად გადამრია, სასოწარკვეთილებაში ჩამავლო. რაც სოფელს დავშორდი, თითქოს გული ამივარდა მასზე. ნათქვამია, თვალის თვალს რომ მოშორდება, გული გადასხვაფერდებაო! ამრავზე მაინც მომსვლოდა ასე, სოფელს რას ვერჩოდი? მივდივარ დაუსრულებლად, ჩემს გზას ბოლო არ უჩანს. ვინმე მაინც შემხვდეს, რომ ცოტათი გულის ჯავრი გამიფანტოს.

ამის გაფიქრებისთანავე, შორიახლო ვილაყის გამოსახულებამ გაიელვა.

შეეჩერდი და დავაკვირდი. ვილაყ ქალიშვილი ნიავევით მოჰქრის ჩემსკენ. აი, ის უკვე სულ ახლოს არის.

მგონი ამრავა! ღმერთო!.. მთლად ავირიე, ჰირის ოფლმა დამახხა.

— აგრა! — თავშეუკავებლად შევძახე, როდესაც გოგონა შევიცანი, — შენ ხარ, აგრა? — კლავ შევძახე, როდესაც სული მოვიტყვი. — რა ხანია დავდივარ და ერთადერთი შენ შემხვდი მთელ სოფელში, კარგი ფეხი გაქვს? ღმერთმა ქნას ჩვენი შეხვედრა ბედნიერების საწინდარი ყოფილიყოს...

— არა, ალოუ, მე ვერ გამოგადგები ბედნიერების საწინდრად, რადგან ამრავს მაგივრობას ვერ გაგაწევ... ის აქ აღარ არის, წავიდა..

პირი ღია დამრჩა. შხამიანი სიტყვები მიგ გულში ჩამეწვეთა..

— აგრა, რა სიტყვი?.. წავიდაო?..

— ამრა აქ არ არის, ალოუ, არა! წავიდა, წავიდა, გესმის?

— როგორ თუ წავიდა? — უკვე აღარ ვერიდებოდი საიდუმლოს გამჟღავნებას.

— ჩაჯდა მატარებელში და წავიდა.

— ვის გაჰყვა!

— ვის გაჰყვაო, მეკითხები?

— არა, იმას კი არ გეკითხები ვის გაჰყვა; — შევეცადე გამომესწორებინა ნათქვამი, — სად წავიდა-მეთქი.

— თათვი მოიმიზეზა და თავის ძვირფას ალგერისთან ერთად სოხუმში წავიდა.

— რისთვის?

— მე რა ვიცი, რისთვის!

რაშია საქმე? აგრას ლაპარაკის ტონმა გამაკვირვა, რატომ მელაპარაკებდი ასე ნიშნის მოგებით, ჯიბრით? თითქოს ეს-ეს არის, შური იძიო ჩემზე. კი, მაგრამ რატომ?.. მე ხომ მისთვის არადფერი დამიშავებია?

— აგრა, გატყობ, ჩემზე გულმოსული ხარ, გაწყენინე რამე? — ყოველგვარი მიკბ-მოკბვის გარეშე შევეკითხე.

— მარტო მე კი არა. შენს თავსაც აწყენინე!

— როგორ?

— როგორ... როგორ... იმან დაგაბრმავა, თვალები აგხვია და იმის მეტს

ვერავის ხედავ. ყურადღების ღირსადაც არავის თვლი. ვისაც შენთვის სიკეთე უნდა... მე... მე... — ქალიშვილი ერთიანად ცახცახებდა.

საბრალო აგრა! ძალიან შემეცოდა. მხოლოდ შემეცოდა. ეს იყო და ეს. ჩვენი გრძნობები ერთად ვერ მოთავსდებოდა, მათი ერთად შერწყმა ყოველად შეუძლებელია. ო, კარგად ვხედავ რა დღეშია. მაგრამ მის გრძნობას ვერ თანაუფერძნობ, რადგან ჩემი ტანჯვის საგანი, სულ სხვაა. მე ჩემი, საკუთარი სატიკივარი მაქვს.

— მაპატიე, აგრა, — შევეცადე, რაც შეიძლება თბილად შეთქვა ეს სახელი და ოდნავ მაინც შემემსუბუქებინა მისი ტანჯვა, — მაპატიე, აგრა, მაგრამ...

— ვიცი, ვიცი, შენ სხვა გიყვარს, — მოკლედ მომიჭრა ქალიშვილმა.

უმაღ გვეცილდი გოგონას. არ შეიძლება, აგრას რაიმე სიტყვა არ დაედევნებინა ჩემთვის. მაგრამ მე მაშინ აღარაფერი გამოვიგია.

ბინდდებოდა, როცა მატარებელმა სოხუმის რკინიგზის სადგურს მიღწია. გარშემო ნათურები ჩახახებდნენ. მე პირდაპირ მუსიკალური სასწავლებლისაკენ ვაქციე.

მთის ძირზე მკიდროდ მიკრული სახლიდან მოისმოდა არათანაბარი ხმები. მე ეზოს შუაგულში ვიდექი, სულაც არ შეეძლოთ უწყსრიგოდ გამოცემულ აკორდებს შიშვე აზრებისაგან გავეთავისუფლებინე. ერთი წუთით მაინც შეეჩერებინათ მათი გამუდმებული მონაცვლეობა. როდემდე ვიდგები ასე?

იქნებ თათვი იყოს აქ? ის რომ მანახვა, ამრას კვალსაც მივაგნებდი.

შენობაში შევედი. ქალმა, რომელიც მაგიდასთან იჯდა, სათვალე ასწია და მკითხა?

— ვინ გნებავთ, ახალგაზრდავ?

— თათვი ახმა! — საჩქაროდ ვუბასუხე.

ქალმა ისევ გაისწორა სათვალე და მუშის ქვეშ ამოდებულ სიას დაუწყო კითხვა.

აუღიტორიიდან სიმღერის ხმა შემომესმა, ეს სიმღერა ჩემთვის მშობლიური და ახლობელი იყო, მე მას ძალიან კარგად ვიცნობდი. იგი სულ უფრო და უფრო შეიჭრა ჩემს გულში და გააღვივა დიდი ხნის მიძინებული მოგონება და ახლებურად აღაგზნო ჩემი გრძნობები.

ეს ხომ თათვის აფხიარცის ხმაა, რომელსაც ხშირად აკვნესებდა იქ ახალმთვარეში, ხარზამანის ეზოში.

ნეტავ ამრაც იქ არის?

— თათვი ახმა... ახმა, ალბათ, ახლა გამოცდაზეა გასული, — ფიქრებიდან ქალის ხმამ გამომარკვია.

— ვიცი, — ჩემდა უნებურად ვუბასუხე უცნობ ქალს.

— ჰოდა, აი იქ დაჯექი და დაუცადე! — ცივად გამეპასუხა ქალი, და ხელით მანიშნა კედლის გასწვრივ ჩამწყარივებულ სკამებზე, თან ისე შემომხედა, თითქოს მისაყვედურა — თუ იცი, რაღას მეკითხებიო?..

— არა უშავს, ფეხზე ვიდგები, — ზრდილობისათვის ვუბასუხე.

— როგორც გენებოს.

მე გაქვავებული ვიდექი ერთ ადგილზე, მერე მივედი და სკამზე ჩამოვჯექი. სუნთქვაშეკრულმა მივაყურადე აფხიარცის ხმას, მაგრამ ის უკვე სადღაც შთაინთქა. სიჩუმემ რამდენსამე წამს გასტანა.

კიბეზე ნაბიჯების ხმა გაისმა, მივიხედე, თათვი დავინახე. წამოვხტი, საჩქაროდ მისკენ ვავეშურე. ისიც მაშინვე მომვარდა და გადამხეცია.

— როგორ არის საქმე? — შევეკითხე და თან ჩაეხედე ბედნიერებით აციმციმებულ თვალებში.

— საქმე კარგად არის, გამოცდებს ვაბარებ, — მიპასუხა მან.

— ძალიან კარგი.

— შენ აქ რატომ ჩამოდი? ცუდი ხომ არაფერია?

— ყველაფერი რიგზეა. შენს სანახავად ჩამოვედრ.

ამ სიტყვებმა დაამშვიდა თათვი და აღარაფერი მიპასუხა.

— ამრა სად არის? — მეტი ველარ მოვითმინე და ვკითხე.

— ისიც აქ არის, — თათვიმ მიიხედ-მოიხედა, — ალბათ სადმე დგას და მიცდის. ეზოში არ შემოდის, მაგრამ აქვე ახლომანლოდან მითვალთვალვებს ზოლმე.

ეზოდან გამოვედი. ცოტა რომ გავიარეთ, ქალ-ვაჟის საუბარი შემომესმა და საკუთარი თვლით ვნახე ის, რაც აგრამ მითხრა, — ამრა და ალგერი მოსაუბრობდნენ. დროდადრო ამრას მხიარული კისკისი ისმოდა. მწარედ გავიფიქრე: „აი, როგორი ყოფილა ბედისა და უბედობის შეხვედრა!“ ფეხები შემებორკა. თათვიმ კი აღტაცებით წამოიძახა:

— აჰა, ხომ ვითხარი, ამრაც აქ იქნება-მეთქი.

— რა? ჰო, — დაბნეულად წამოვიღულულე.

ამრას გულწრფელად გაუხარდა ჩემი ნახვა, მე კი თავი ისე დავიჭირე, თითქოს სულაც არ მსურდა მასთან შეხვედრა. მე და ალგერიმ ციკად ჩამოვართეთ ხელი ერთმანეთს-ეტყობა, გაუეჭირდა ჩემი მოულოდნელი გამოჩენა და ხასიათი. წაუხდა ვერც მე დავმალე, რომ მასთან შეხვედრა არ მეჭაწნიკა.

ამრამ გამომკითხა სოფლის ამბები, მოიკითხა ყველა, მაგრამ ჩემი პასუხიდან ვერა გაიგო რა, რადგან გაუგებრად და არეულად ვპასუხობდი. ჩემი ლაპარაკი ისეთივე უსიცოცხლო და უფერული იყო, როგორც ჩვენი შეხვედრა. ალგერი, ალბათ, რაღაცას მიხვდა, რადგან დაბღვერილი მიყურებდა, ამრა კი ისე იდგა ჩვენ შორის, როგორც ორ მგელს შუა ჩავარდნილი კრავი.

— სად იყავი, ალოუ, აქ რამ მოგიყვანა? — მოულოდნელად იკითხა ამრამ.

— გადაუღებელი საქმე მქონდა, — უკვე ღიწვად ვუპასუხე.

— დიდი ხნით ჩამოხვედი?

— არა, შეიძლება დღესვე დავბრუნდებ.

— რა გეჩქარება?

— როგორ თუ რა გეჩქარება? საჭონელი ჯერ არ ჩამოგვირეკია მთიდან.

— ჰოო, თუ ასეა... მოდი ცოტა გავისეირნოთ.

— გავლა მართლაც კარგი იქნებოდა, მაგრამ... მაპატიეთ დრო სულ არა მაქვს.

მეტი ველარ შევიძელი და ელდანაკრავივით გავეცალე მათ.

სასტუმრო „აფხაზეთში“ ძლივს ვიშოვე ადგილი, ნაძალადევად გავლემ ერთი-ორი ლუკმა და წამოვწყეი, მაგრამ ვერ მოვისვენე, ავდექი და აივანზე გავედი. უსიცოცხლო ძეგლივით ვიყავი ასვეტილი აივანზე. ჭკუას მირევდა ჩემს ქვემოთ გამწვლეულ-გამომწვლელთა უღარდელი ყავანი.

ჩემი ოთახი ზღვას გასცქეროდა. მთვარის სხივები ისე აელვარებდნენ წყლის წვეთებს, თითქოს ჭრელ-ჭრელი პეპლებიო. ზღვის ნაპირთან მდგარ პატარა კატარღას, ვინ იცის, მერამდენედ გაჰყავდა ხალხი გაშლილ ზღვაში.

თვალები დავხუჭე და ჩემს წინ გადამშლილი სურათები ერთმანეთში აირია, ცივი გუნება ვერაფერზე შევაჩერე, მეჩვენებოდა, რომ მარტოდმარტო ვარ ამ ქვეყანაზე.

დიდხანს ვიყურებოდი აივანიდან ასე თვალდახუჭული, დამცირებული და გასაცოდავებული. და მაინც არ მებრალეზოდა ჩემი თავი. პირიქით მძულდა კიდეც.

12

მთებიდან დაშვებისთანავე შევიცვალე ადგილ-სამყოფელი. ხარზამანის ნაცვლად, ზაფასთან დავიდე ბინა.

ეს მოულოდნელი იყო თვით ზაფასთვისაც. როდესაც მასთან მივედი ოჯახში, ისე მიმიღო, თითქოს წინასწარ იცოდა ყველაფერი: აბა რა უნდა ექნა, სახლიდან ხომ ვერ გამაგდებდა? მე ჩემი სურვილით მივედი და სურდა თუ არა, უნდა მიეღო ჩემს მიერ შეთავაზებული წინადადება.

შავ დღეში ჩავავადე ხარზამანის ოჯახი. გაშტერებული შესცქეროდნენ ერ-

თმანეთს და ვერაფერს მიმხვდარიყვნენ. ხარზამანი რატომღაც ფიქრობდა, რომ ოჯახის რომელიმე წევრმა მაწყვინინა, სწორედ მაშინ, როდესაც მისი რჩევით ჩამოვედი ახალმთავარში. სხვებს კი პირიქით ეგონათ, — იქ, მთაში, ჩემსა და ხარზამანს შორის მოხდა რაღაც გაუგებრობა. ასე იყო თუ ისე, ამ ამბავმა ყველას გუნება გაუფუჭა.

ესეც არ იქმარეს. ორი დიდი ოჯახის კეთილ მეზობლობას ბზარი გაუჩინდა.

უნდოდ დაუწყეს ცქერა ერთმანეთს. თან მთელი სოფელი ალაპარაკდა. აგრას გულში უხაროდა, მაგრამ არ ამტკიცებდა ამ სიხარულს. იგი ფიქრობდა, რომ მე და ამრა საბოლოოდ დავშორდით ერთმანეთს და სწორედ ამ მიზეზით დავტოვე მათი ოჯახი, რომ ჩვენს შორის ყველაფერი გათავდა და მე უკვე თავისუფალი ვარ. იმისათვის, რათა გამოერკვია რამდენად ახლოს იყო სიმართლესთან მისი ვარაუდი, საჭირო იყო დრო, და იგი მოთმინებით უცდიდა ამ დროს.

ორ ცეცხლშუა ვგრძნობდი თავს. თითქოს სოფლისათვის სულ უცხო შევიქეინ და ეკალივით ვესობოდი თვალში ყველას. თავდაპირველად იმედი მომეცა, თავისუფალი ვიქნები და როგორც მინდა, ისე ვიცხოვრებ-მეთქი. პირიქით კი მოხდა, — ხალხს გაეურობოდი გაეურობოდი იმათ, ვისი სახლიდანაც წამოვედი. ყველაზე უფრო კი ამრას მოულოდნელი შეხვედრის მეშინოდა. მთლად გაველეურდი, ერთხელ მაინც მივსულიყავი ხარზამანთან, მეკითხა, როგორ არიან, როგორ ცხოვრობენ.

მარტო ვიჯექი, შეპყრობილი მწუხარე ფიქრით.

უბოში ამრა შემოვიდა. ხელში რაღაც ფუთა ეჭირა, დავიღუბე და ეგ არი. მაგრამ როგორღაც თავი დავიჭირე და ქალიშვილს შეგხვდი. ერთმანეთს მივესალმეთ და სახლში შევედი.

ვერ იქნა და ვერ მოვუბით თავი საუბარს. ვიჯექით, როგორც უცნობე-

ბი. როცა ეს დუმილი ატყანელე შეიქნა, ამრამ დაიწყო:

— ალოუ, შენი ნივთები მოგიტანე. გვეგონა შემოვივლიდი, გელოდით, მაგრამ რაკი აღარ გამოჩნდი, ჩვენებმა იფიქრეს, ნივთები დასჭირდებაო და გამომატანეს.

— აბა, რატომ შეწუხდი, რა საჭირო იყო... თუკი დამჭირდებოდა, თვითონვე წავიდებდი.

— მართალი ხარ, ალოუ, ჩვენ ძალიან აეჩქარდით, თითქოს გაგვიხარდა შენი წამოსვლა, მაგრამ ვერც გავგაძტყუნებ, არ ვიცოდით, როგორ მოექცეულიყავით, ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა..

— როგორ შეგაწუხებ ყველანი, — ყრუდ, უაზროდ ჩავიბურტყუნე.

ამრას სახე შეეცვალა — დაწვები ერთიანად აელეწა, თვალთა გუგები გაუფართოვდა და გაბზარული ხმით შემეკითხა:

— რა მოხდა ალოუ? ისეთი რა დავიშავეთ, რომ მთელს ოჯახს ზურგი შეაქციე? სახლში რატომღაც მე მდებენ ბრალს, ამის შესახებ რა თქმა უნდა, ხმასაც არ იღებენ, მაგრამ მე ხომ ვგრძნობ... მაინც რა გაწყენინე ასეთი? შესაძლოა, ჩემდაუნებურად მართლაც დავაშავე რაიმე?

— ამრა, — დაუჯერებელი, ყალბი ტონით მივმართე, — ამრა, შენ... არასოდეს, მცირეოდენი კი... თქვენ, ყველამ, მთელმა ოჯახმა, დიდი პატივი მეცით, მაგრამ თუ მაინც მისაყვედურებთ, რაშიაც ბრალი სულ არ მიმიძღვის, ცოდოდ ჩაგეთვლებათ ამრა, იცოდე!

— კარგი, ერთი წუთით დაგიჯერებთ. ვახსოვს, შენ ასევე უთხარი ბაბუას, მაგრამ, შემდეგ, როცა მთიდან ჩამოხვედი უეცრად გაქრი. ისე, უბრალოდ შემოგველო, გაგვგო მაინც, როგორც ცხოვრობდით.

„რა ვუბასუხო? ყურს თუ განგებ არ დაიყრუებ და თვალს განგებ არ დაიბრმავებ, წმინდა სიმართლეს ამბობენ მისი ბავენი. ამაში მწარედ ჩამიჭირა. თავის გამართლებების გზა არსიდან ჩანს.

იქნებ ჯობია, გავუშვილო ჩემი წამოსვლის ნამდვილი მიზეზი?

შესაძლოა, ჯობდეს, მაგრამ ამის თქმა განა ასე ადვილია? როგორ მოვიქცე?”

— არ მეგონა, თუ ამდენ მითქმამოთქმას გამოიწვევდა ჩემი წამოსვლა, — ისე ვთქვი, თითქოს ეს სულაც არ იყო ყურადღების ღირსი, — ბოლოს და ბოლოს ისეთი რა მოხდა, ამრა, რომ მთელი ოჯახის წყენა დაევიშახურე, მართალი ვითხრა, ვერაფერი გამოვია...

— ალოუ, — ამრამ ისე შემომხედა, კაცს ეგონებოდა, სადაცაა წარბებს ქვემოდან ეღვა გამოკრთებო, — ამას რად ამბობ, ალოუ!.. როგორ თუ არ გეგონა? დაფიქრდი, განა არ აჯობებს სიმაართლე მითხრა?

— დილით ოქრო ხარ სტუმარო, შუადღით ვერცხლად იქცევი, ხომ გავიგონია, ჰოდა, ვიდრე ვერცხლად ვიქცევოდი, თავს ვუშველე. — დიმილით ვთქვი და ეს დიმილი ამრასაც მაშინვე გადაედო.

— კარგი, ალოუ, შენ ხუმრობ, ხომ შეგეძლო სხვანაირად მოქცეულიყავი? უბრალოდ გეთქვა, რომ წასვლა გინდოდა, კალთას კი არ ჩამოგახვედით! — ახლა ამრამ გადამდო თავისი დიმილი, — შენ თქვი, გადაქარბებული პატივისცემაში ვიყავიო, აბა ერთი, სოფელს ვითხე. მის თვალში მართალი შენ ხარ, მტყუანი — ჩვენ. ასე არ გამოდის? მოგვიხურე კარები და...

— აბა, სოფელი რას ლაპარაკობს, საიდან მეცოდინება, ხალხს ენას ვერ ამოჯღლეჯ, მხოლოდ ის ვიცო, — მართალი ხართ თქვენცა და მეც. განა არ კმარა?

— არა, ალოუ, არა კმარა.

თავი უხმოდ დავხარე. მრცხვენია ამრასიც და საკუთარი თავისაც... „ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ხომ ჩემის მიზეზით მოხდა, როგორ გავხსნა ის საიღუმლო, აქამდე სულში რომ დაფათურობს? როგორ გამოვუტყდე ამრას? ნუთუ ყველაფერი ეს სამუდამოდ უნდა დაბუღებულიყო ჩემში?“.

— მე არ მინდოდა წყენინება თქვენი ოჯახის, ამრა.

— ეს შესაძლოა, მაგრამ სხვაგვარად კი გამოვიდა.

ვერ შეგძელი თუნდაც გაეკრით მე-თქვა რამე, რაც ოდნავ მაინც გაამართლებდა ჩემს მოქმედებას.

ამრა წავიდა.

რაც უფრო ბევრს ფიქრობდა ხარზამანი, მით უფრო დასტურდებოდა მისი გუჟანი. განსაკუთრებით მაშინ, როცა იგონებდა ნადირობის დროს მომხდარ ამბავს, ხარზამანს აიძულებდა ეფიქრა, რომ ჩემი წასვლის მიზეზი ამრა იყო. ეს ექვი ღრღნიდა და არ ასვენებდა მას.

— დად, ამრა, — დაუძახა ერთხელ ქალიშვილს, — როდისმე ხომ არ წაჩხუბებულხართ შენ და ალოუ?

— არა, ბაბუა.

— არასოდეს!

— არასოდეს.

ხარზამანმა არ დაუჯერა ქალიშვილს. გამოსაცდელად შიგ თვალეში ჩააქცერდა. სულ უდანაშაულო ჩანდა. ამჯერად ხარზამანის ექვეები ფეტვივით გაიბნა. შეებრალა კიდევაც გოგონა, არ უნდა შევკითხოდიო. მაგრამ ამან მოხუცი თავისი ბუნდოვანი აზრების უფრო ღრმა უფსკრულში გადაისროლა. სად უნდა ვეძოთ ყოველივე ამის სათავე? განა შეუძლია ამრას ასე ითვალთმაქცოს ბაბუას წინაშე? იქნებ ამრა არ ამქლავენებს თავისთავს? ტყუილად როდი უთქვამთ: „ქალი ეშმაკზე ერთი დღით აღრეა დაბადებულთ“. ამრას თავის სიცოცხლეში არაფერი დაუმაღავს. ტყუილის თქმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: აქ ნამდვილად ბოროტი ენა ტრიალებს.

ეს ფიქრი არ ასვენებდა ხარზამანს, მაგრამ სინამდვილე ვერა და ვერ დაადგინა.

ხარზამანის ოჯახის ყოველ წევრს განსხვავებული მიზნები და შეხედულებები ჰქონდა: ხარზამანი დღენიადაც იმაზე ფიქრობდა, ვინ იქნებოდა მისი გვარის განმგრძობი. ალიასმა არ იცოდა რა ბედი ეწვეოდა თამბაქოს ამსხმელ

მანქანას. დესის კი თავისი ერთადერთი ქალიშვილის ბედი აწუხებდა.

თვითონ ამრა? მას ძალიან უყვარდა თავისიანები, უყვარდა თავისი კარ-მიდამო, მეგობრები და ყოველივე ის, რაც მას აკავშირებდა თავის სოფელთან, ბავშვობასთან, სიყმაწვილის უმანკო ოცნებებთან, მაგრამ მის სულში დაიბადა ახალი გრძნობა, სხვა გრძნობათაგან სავსებით განსხვავებული, უჩვეულო და უჩინარი, ამაღლებული ძალა სიყვარულისა. მისი ბედნიერების პირველი ვარსკვლავი ალგერი იყო — მან პირველმა შეარხია ამრას სიყვარულის სიმი და ვიდრე პირში სული უდგას, სხვა ვარკვლავებს ვერა და ვერ შეეკედლება.

დედასა და ბაბუას სურთ თავის სურვილისამებრ წარმართონ ამრას ცხოვრება. დედას თავის ოცნების განხორციელებად ის მიაჩნია, რომ ამრა იქვე, თავის სოფელში გათხოვდეს, ხოლო ბაბუა ფიქრობდა, ამრა რომ ამ ეზოს გაცდეს, ჩვენი კერია საშუდამოდ მიინავლებო. იდუმალ ვგრძნობდი ხარზამანის გასაქირს გასაღები მე ვიყავი, მაგრამ აქაც მისი იმედები მყარი არ იყო.

ხარზამანის ერთადერთი საზრუნავი ისდა იყო, ამრასთვის სახლი ისე შეეყვარებინა, რომ მისი დატოვება ვერ შესძლებოდა. ის იდუმლად ამზადებდა ამის ნიადაგს. ხარზამანი ყოველმხრივ ცდილობდა მისი გული მოენადირებინა, ისე კი, რომ თვითონ ამრას არ შეემჩნია.

ერთხელ, ვიდრე იალაღებზე გავემგზავრებოდით, თავის სახლთან ახლოს, ვიწრო ბილიკზე, მოხუცმა დაინახა ახალდაბადებული შველი, რომელიც ფეხზე ძლივს იდგა. იგი უმწეოდ აცეცებდა შემშინებულ თვალებს.

ხარზამანმა უცებ აიტაცა ხელში, სახლში მიიყვანა და პატარა სადგომი მოუწყო. შველს შვილიშვილის სახელზე ზრდიდა.

იგი ყოველმხრივ განებივრებული იყო, საქმელ-სასმელიც ბლომად ჰქონდა, მაგრამ შველს მაინც ჩუმი ნალღეული არ ასვენებდა. თითქოს არაფერს

ეკარებოდა, მთელი დღე თავის ღობურში დაბორიალობდა და ნაღვლიანად გასქვროდა შორეულ ტყეებში.

ამრას ძლიერ ეცოდებოდა იგი და დღეში რამდენჯერმე მიირბენდა მასთან. ისინი ერთმანეთს დიდხანს შეტყუარებდნენ ხოლმე. არ შეეძლოთ გაეზიარებინათ ურთიერთისათვის თავიანთი გულის ჯაერი, მაგრამ თვალბში აღბეჭდილი ნალღვლით თითქოს ემსგავსებოდნენ ერთმანეთს.

რამდენჯერ გადაწყვიტა ამრამ გაენთავისუფლებინა შველი, გაეშვა იქ, სადაც მისი გული მიისწრაფოდა, სადაც ლაღად გაინავარდებდა, მაგრამ ვერ ბედავდა, ბაბუას წყენინებას ერიდებოდა. შველი გაიზარდა, მუხლები გაუმაგრა. ტყეობაში ყოფნა კიდევ უფრო აუტანელი გახდა და გაქცევა გადაწყვიტა. იმ დღესაც ამრა აივნიდან ადევნებდა თვალს შველს, რომელიც ღობურს უმწეოდ ეხეტებოდა. ჯერ ღონეს მოიკრებდა, მაგრამ მისი ბრძოლა უშედეგოდ მთავრდებოდა...

როგორ ებრალება ამრას იგი, თავისუფლებას თავისუფლებას დაეძებს ყველა! არა, მის თვალებს აღარ შეუძლია უყუროს ასეთ საცოდაობას. გული მეტს ველარ ითმენს — უნდა გაათავისუფლოს. ხარზამანმა იგი ამრას სიამოვნებისათვის დაატყვევა, ამრა გახდა მიზეზი მისი უბედურებისა, ამიტომ შველის ცოდვა მანვე უნდა ზიდოს. აი, რატომ უნდა გაათავისუფლოს შველი სწორედ ამრამ. მაგრამ... ხარზამანს ხომ გულს ატყენს?!

როგორ მოიქცეს?

ეს ჭიუტი შველი ცოტათი მაინც დაწყენარდეს!..

მაგრამ არა, რაც დრო გადის, უფრო გიჟდება, ლამის დაგლიჯოს იქაურობა. ბარიერს ფეხებით ასკდება, ერთ ადგილას რომ არაფერი გამოუღდის, მეორეს მიადგება და ბრძოლას თავიდან იწყებს, ასე გრძელდება დაუსრულებლად.

ამრამ მეტი ველარ მოითმინა, კიბეზე დაეშვა და შველისკენ გაემართა, როცა ამრა მიუახლოვდა, პირუტყვი მთლად

გადაირია. ისეთი თვალებით შეხედა ქალიშვილს, თითქოს ეუბნებოდა: „გამიშვი, ადამიანო, ღმერთი სიკეთეს არ დაგიკარგავს, ოღონდ გამიშვი, ჩემს ნებაზე გავინაგავრო!“

შველმა იტრიალა, იტრიალა თავის ღობურში, მერე შედგა. მოეჩვენა, რომ ერთ ადგილას ღობური უფრო დაბალი იყო, გაქანდა და წინა ფეხებით შეახტა. ზოლო, როდესაც მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა ტანის გადასაზიდად, უკანა ფეხებით ღობურს წამოიფრო და ჭიგოზე მუცლით ჩამოეგო. მუცელგაფატრული, უღანაშაული ცხოველი ცოტა ხანს კიდევ ცახცახებდა, ბოლოს გაიბრძოლა, რალაც საზარლად ამოიგმინა და იქვე, ღობურთან დალია სული. ღიად დარჩენილი თვალები ისევ თავისუფლებას იხვეწებოდნენ.

13

საკმარისი იყო ხარზამანს თავის ეზოში შეეღდა ფეხი, რომ ფიქრები ჭიანჭველებივით დაესეოდნენ, ამიტომ უმეტეს ხანს ფერმაში ატარებდა, იქ იქარვებდა თავის ვარამს, მუშაობაში დრო შეუმჩნევლად იპარებოდა.

„რაც გინდათ ის უყავით, თქვენ გგონიათ, საფლაფში ჩავიტან ამ კარმიდამოს; გინდათ გადააჩრინეთ, არა და ისემც გიტყნიათ, ნათი გადაგისხამთ და ნაცირტუტად გიტყვიათ“ — თითქოს ეს ფიქრი ტყინს უხერტდა ხარზამანს, მერე თავი მოარიდა ამ ავადმყოფურ ფიქრს და საქონელს მიხედა.

მაგრამ... განა ასე ადვილად შეურიგდება მისი გული თავის ახლანდელ მდგომარეობას?... თუ პირველ ხანებში თითქოს ყველაფერს შეეგუა, ახლა მთელ მის არსებაში ატეხილი ჭარიშხალი დაიძრა, აბოზოქრდა მისი სისხლის ტალღები და ეს შინაგანი ზღვაური პირდაპირ გულს დაეჭახა, ნაფოტივით აიტაცა და ნაპირს მიანარცხა მოხუცმა კომბალს ხელი სტაცა და გზას გაუღდა.

რალა არ იფიქრა ხარზამანმა, ვიდრე სახლამდე მიადწევდა, ვილა არ გაიხსენა, მაგრამ გონებაში ისეთს ვერავის წა-

აწყდა, რომელიც მას მხარს დაუჭერდა, არსიდან საიმედო ხმა არც მთლად ხმა, რომელიც მის უამრავ შვილებს პასუხს გასცემდა.

თითქოს გულმა უგრძნო, რომ მოსახდენი უკვე ხდებოდა. ღმერთო, რას ხედავს მისი თვალები! ეზოში შესვლისთანავე ელდანაკრავივით შედგა, ერთ ადგილზე გაშვდა და ნაბიჯი ვეღარ გადადგა.

როგორც ყოველთვის, ბილგია ახლაც შეეგება ხარზამანს, წრიალებდა მის ირგვლივ, ლოკავდა, და ეფერებოდა, მაგრამ პატრონის ყურადღება ვერა და ვერ მიიქცია.

რას ჰგავს ეს? როცა ხარზამანი სახლის უკანა მხრიდან შემოვიდოდა და თავის ეზოს გადახედავდა, თვალთ ნათელი ჩაედვრებოდა, მთელი სოფელი ხელისგულივით იყო გადაშლილი, ახლა რალა გამოვიდა? გზა აებნა და სხვის ეზოში შევიდა თუ?... ამის დაჭერება შეუძლებელია... ვის გადააქვს ჭიშკარი სხვა ადგილზე? აქ ვილამ გაავლო ღობე, რომელიც მის ეზოს შუაზე ჰყოფს? ან ეს სოლი ვინ ჩაასო სახლის ახლოს?

ეზოს მიღმა ობლად დარჩა წინაპართა საფლავეები, ახლა ისინი ღობეს გარეთ არიან, საფლავეები, რომლებიც მის ეზოშივე იყო და წლების მანძილზე სულიერ სიმშვიდეს ანიჭებდა ხარზამანს. იქვეა აღმართული ის ფესვმაგარი მუხაც, რომელიც მისმა წინაპრებმა მაშინ ჩარგეს, როცა ამ სახლს საძირკველი ჩაუყარეს, აი ის წყაროც, რომლითაც მის მამაპაპათ არა ერთხელ მოუკლავთ წყურვილი!.. ახლა ამ ადგილს ედავებიან. ყურს არავენ უგდებს ხარზამანის გულმსტიციელს. ბევრი იუარა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. აგერ, ახლაც მის თვალწინ ვილაც მუშაობს. მოხსნა ალაყაფის კარი და ახალ ადგილზე გადაიტანა, ვინ არის იგი? ნუთუ ვერ ხედავს ხარზამანს, ამ კარმიდამოს პატრონს?!

მოხუცს უნდა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბოს და დაუყვიროს, მაგრამ ყელი ამოუხმა. ენა გაუშრა და პირში ვეღარ

მოაბრუნა. დიდხანს იდგა ამ მდგომარეობაში, მერე ცოტა წაიყილა ნისლიანი თვალებით და ხელის ცეცებით გაემართა სწორედ იმ კაცისკენ, რომელიც ვიშკარს აკეთებდა. ხარზამანი შეჩერდა, ხელები ზურგუსუკან დაიწყო და თავის ქნევმა მოჰყვა. ბილგია მოშორდა პატრონს და თითქოს რაღაც უნდა მიახაროსო. უცხო კაცთან მიიბრინა, ხარზამანს ექვემა გაჰკენწლა, — როდის იყო, რომ ეს ძალდი უცხო პირებსაც ელაქუცებოდა.

როდესაც იგი შემობრუნდა, ხარზამანი შებარბაცდა, თითქოს კედელში რაღაც მძიმე საგანი მოხვდა, თვალთ დაუბნელდა, სახეზე სისხლი მოაწვა, მოეჩვენა, რომ ფეხქვეშ მიწაც გამოეცალა, გული შეუქანდა და შეეკუმშა. ამოდენა კაცი თვალსა და ხელს შუა დაჩიავდა, სანთელივით მისუსტდა და მიიღია...

— მოხვედი, მამა? — ძლივს თქვა ალიასმა, არ ესიამოვნა მოხუცთან პირისპირ შეხვედრა.

— ეს შენ ხარ, ალიას? — დიდი გაჭირვებით ჰკითხა ხარზამანმა, — ყოჩად, დად. მამ, გადაწყვიტე, მამას გაეყარო?

— რატომ, მამა?

— აბა ეს რა არის? — და ალაცაფის კარზე ანიშნა.

— ეს ... ეს შენც ხომ იცოდნი?

— რა ვიცოდნი?

— რომ აქ გზა უნდა გაეყვანათ.

— კი მაგრამ, ნუთუ სხვა გამოსავალი ვერ ნახეს. მაინცადამაინც აქ, ეზოს შუაგულში უნდა გაეყვანონ გზა?

— აქედან გზის გაყვანა უფრო ადვილია და მოსახერხებელიც, ეს ჩვენთვისაც კარგია!

— რა არის კარგი, ბიჭო?

— გზას რომ გაეყვანენ.

— გიხარია, რომ საკუთარ სახლში არ გვასვენებენ, გვაფიწროვებენ?

— რატომ გვაფიწროვებენ? პირიქით ახლა მანქანითაც ამოვალთ ხოლმე სახლში, რითია ცუდი?

— არ მეგონა, ამდენს თუ გამოიბედავდნენ! იქნებ, შენ თვითონ ურჩიე, ვიცა არც იმაზე იტყოდი უარს, რომ პირდა-

პირ, სახლზე გაეყვანათ გზა, და ჩვენი კერა შუაზე გაეპოთ... ჰო, ჰო, კარგად გიცნობ, რა შეილიცა ბრძანდები...

— დაწყნარდი, მამა, ხომ ხედავ, სახელიც მოვლია და ეზოც. ის მიწაც გვეყოფა, რომელიც ჩვენს კარ-მიდამოშია.

— ჰო, ჰო, ჰო...

ხარზამანს ეგონა, ქვეს ქვაზე არ დატოვებდა, მაგრამ, როცა ალიასს გამოეღაპარა, მობლა და მოიდრიკა, მშვენივრად იცოდა, რომ ამ საქმეში უღონო იყო, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა...

— ბაბუა! — გახარებული მიიქრა ამრა ხარზამანთან. ვადაეხვია და აკოცა, თითონაც აკოცა შვილიშვილს შუბლზე და თავზე ხელი გადაუსვა..

— როგორა ხარ, დად? — ამრას მოსვლამ ცოტათი დაამშვიდა ხარზამანი.

— ბაბუა, გზა გაკაცეთ ჩვენთან, ხედავ? — ამრას ეგონა ბაბუას ვაეხარებო, იმიტომ მიახალა ასე უცებ, — აი, თიქმის ჩვენამდე მოაღწიეს...

ყველას უხარია, ჩემს გარდა. ყველას, ჩვენი ოჯახის თითქმის ყველა წევრს... ნუთუ არც ერთს არ შესტკივა გული, გიხდ ყველაფერი გადაქლონ, ეზოც, სახლკარიც, ამათთვის სულერთია. მარტოდმარტო ედგავარ ეზოს შუაგულში, და ისე ვირწევი, როგორც ფესვდამპალი ხე, რომელიც ეს-ესაა წაიქცევა, მშველელი არაეინა მყავს, არა. ნუთუ ეს სამკვიდროც ჩემსავით დაიღუპება?

ეჰ, დრონი, დრონი! იყო დრო, როდესაც ამ ეზო-კარის შესაქმნელად ოფლი იღვრებოდა, ახლა კი ყველაფერს ერთი ხელის დაკვრით სპობენ, ალბათ, ოდითგანვე ასე მომდინარეობს. მიწა ერთ ჭრილობას იშუშებს, მეორეს აყენებენ, ერთნი აშენებენ, მეორენი ანგრევენ. და ასე, წრიულად მიდის ეს დალოცვილი ცხოვრება. მე კა აქ, მთის ძირას ჩავებლაუქე ვადაბერებულ ფესვებს და ვერ ვეშვები. თუმცა აბა, ჩემამდეც მოაღწია ცხოვრების ტალღამ, გაშმაგებით მწვდა ყელში, მერე ერთბაშად ჩამითრია, და წამიღო. მაგრამ სად

მიეყავარ? იგი ალბათ მთლიანად დაფარავს ჩემს სხეულს. დაფარავს და ყველაფერი ამით გათავდება!.. ეჰა, ცხოვრება, ცხოვრება, რარიგად ჩარხავ კაცთა ბედ-იბბალს?!

ხარზამანი ვარინდული იდგა. ფიქრებისაგან თავი ვერ დაეღწია, ამრა დაკინებით მისჩერებოდა მას. ალიასი კი თავის საქმეს ჩაჰკირკიტებდა.

რაკი მოხუცი ამ ბოლო ხანებში ძალიან შეიცვალა, ამრამ გადაწყვიტა აღარ გაეხერხებინა იგი შეკითხვებით და, როგორც იტყვიან ცეცხლზე ნავთი არ დაესხა, ამიტომ დღემლით შესცქეროდა მას. მაგრამ ხარზამანისათვის ეს მღუშარებაც აუტანელი იყო და დროგამოშვებით, თავისთვის ამოიხრებდა ხოლმე.

იმ დამეს მამა და შვილი დიდხანს ისხდნენ აივანზე და ლაპარაკობდნენ. ვარეგნულად ხარზამანი არავითარ წყენას არ იმჩნევდა. გულში კი უფრო და უფრო იტანჯებოდა, ხმას ძლივს იღებდა, სათქმელად მომდგარი სიტყვა ყელში ეჩხივებოდა.

— მამ, შენის აზრით, საგულისხმო და საყურადღებო არაფერი მომხდარა? — წყნარად, სვენებ-სვენებითი თქვა ხარზამანმა, — და არც ღირს ამხუ თავის მტერევა, არა? — ზე ამართა ხარზამანმა წარბები.

— რა თქმა უნდა, მამა. პირიქით, უნდა გვიხაროდეს კიდევაც...

— როგორ? — აენტო ხარზამანი, — რა თქვი? რაკი დაებერდი, კი არ გაესულელებულვარ! ერიპა, ეს რა გავიგე! — და ხარზამანმა ბელტისოდენა ხელი მუხლზე დაირტყა. მერე სკამიდან წამოიჭრა და აივანზე ბოლთის ცემა დაიწყო.

— დამშვიდდი, მამა, სირცხვილია, სხვამ არ ვაიგოს, — სცადა ალიასმა ოდნავ მაინც დაეცხრო მოხუცი და თვითონაც წამოღდა.

— რა არის სირცხვილი, რა!

— ის, რაზედაც ჩვენ ახლა ვდავობთ.

— ერთი ამას დამიხედე, ბრალს აქეთ

მდებს, სირცხვილიაო, ამასაც მოვეწყარო!

— ბრალს კი არა ვდებ, მამა, უღამაზო გამოდის-მეთქი, რას იტყვის ხალხი?

— რა უნდა თქვას?

— როგორ, რა უნდა თქვას!..

— მაინც!

— ხალხი ცდილობს მთაში გზა გაიყვანოს, ელექტროსადგურს აგებს, ერთ ამბავშია, აქ კი... ხომ იცი, ენას ძვალი არა აქვს, ადგება ვილაც და საქვეყნოდ განაცხადებს, ხარზამანი წინააღმდეგია ამ წამოწყებისო. მერე მოდი და ამტყიცე სიმართლე!

— მისმინე, ბიჭო, მე ეგ სულაც არ მიფიქრია! — ცოტა არ იყოს შედრკა ხარზამანი, წუთით ჩაფიქრდა და ისევ განაგრძო, — განა მე ამ ამბის წინააღმდეგი ვარ? მაგრამ, ნათქვამია, თუ გინდა ცუდად მოაჩვენო თავი, სტვისი ლუქმა მოითხოვეო. რა აუცილებელია, გზა მაინცადამაინც აქეთ შემოსართონ და ჩვენი ეზო გადაჭრან? რატომ სხვა ადგილი არ ამოირჩიეს?

— სხვა გამოსავალი ალბათ არ იყო. ყოველგვარ საქმეს საკუთარი მიზეზი აქვს. აქეთ უფრო მოსახერხებელია გზის გაჭრა, იმიტომაც კრიაან.

— საკუთარი მიზეზი აქვს... — გამოეჯავრა ხარზამანმა, — გამოდის რომ მიზეზი არა აქვს მხოლოდ იმას, რასაც მე ვამბობ? მათთვის ხელსაყრელია, ჩემთვის კი-არა, გესმის?!

— განა ჩვენ რამეში ხელს შეგვიშლიან ისინი?

— ჰმ, ხელს შეგვიშლიანო, — წამოიყვირა ხარზამანმა, — როგორ არ შეგვიშლიან, მთელი დღე და მთელი დამე ყურთასმენა აღარ იქნება, მთლიანად მტვერში ამოვიგანგლებით, წამდა-უწუმ იშლივიენებენ. მანქანები, ჰოდა, დაჯექი და უტკირე!

— დაწყნარდი, მამა, არაფერიც არ იქნება.

— არ იქნება, და ნახავ, თუმცა შენთვის სულერთია.

— ასე რატომ ლაპარაკობ, მამა, რატომ უნდა იყოს ჩემთვის სულერთი?

— ჰო, ჰო, სულერთია! თქვენ დამალეთ და გააჩანაგეთ ამოდენა მეურნეობა, ცოტა მოგეთმინათ, გეცდიათ ბარემ, — გულდამშვიდებით წაფსულიყავი იმ ქვეყანაში, მერე კი... ჩემთვის სულერთი იქნებოდა... მერე... — ხარზამანმა ხელი უღონოდ ჩაიქნია და ჩრდილივით უხმაუროდ დაეშვა კიბეზე.

ალიასი კარგა ხანს ელოდა მამას, მაგრამ ხარზამანი უკან აღარ მობრუნებულა. მაშინ ისიც წამოდგა, შინ შევიდა და დაწვა.

ხარზამანი იდაყვით დაეყრდნო ლობეს, რომელმაც გაპყო იმისი ეზო და დიდხანს, დიდხანს, უმზერდა ლობის იქით დარჩენილ მიწას. მერე გააღო ახალი, პატარა კუტიკარი და გარეთ გავიდა.

ის მიწა, რომელსაც იგი ფეხს ადგამდა, ყინულივით ცივი იყო და კიდევაც შეატანა ხარზამანის ფეხსაცმელის ლანჩაში და ბერიკაცს ასე მოეჩვენა, თითქოს ფეხისგულიც აეწვა. მერე კი ეს სიცივე მთელ ტანში გაუჯდა და უსიამოვნოდ გააქრეოლა. დიდხანს იდგა ასე გაყინული, ლობეს იქით, ფოთლებგაცივნილ ბებერ ხესავით, მარტოდმარტო. მერე, თითქოს უცხო ხალიჩაზე აბიჯებდნო, თავისივე ნაკვალევს გააჰყვა.

თავდაპირველად იგი მივიდა თავის წინაპართა საფლავებთან. თითქოს იმ ღამეს მათ სამუდამოდ მიატოვეს ეს კარ-მიდამო და მიცვალებულთა მოჩვენებებიც ისევე გაქრა, როგორც თვალსა და ხელს შუა ქრება ხარზამანის ფეხვეშის მიწა, რომელზედაც ახლა დგას. ადრე კი, როცა იგი აქ ღამლამობით მოდიოდა, ფიქრებით დიდხანს ებაასებოდა მათ წუთისოფლის ამოებაზე, მერე საუკუნო განსვენებას უსურვებდა და შინ გულდადინჯებული ბრუნებოდა. ახლა რა?

— ახლა — ეს საფლავებიც და მათ გარშემო ყველაფერი, წევს უსიცოცხლოდ, წევს გაყინული...

და უეცრად, სულ ახლოს რაღაც უცხო ხმამ გაიშრიალა. ხმა ნემსივით გაძვრა-გამოქვრა და ხარზამანის გაცივე-

ბულ გულს მიესალბუნა. მოხუცმა ოდნავი სიამე იგრძნო.

იქვე, სულ ახლოს, ვერცხლისფერი შხეფების ფრქვევით მოწყარუნობდა პატარა წყარო, თითქოს კედლებს შორის მოკუნტრუშე თიქანს ეღვანო შეაბეს! — არსად დაიკარგოსო. წყაროს წყარუნში სიცოცხლის დიდი სიყვარული იგრძნო მოხუცმა.

ხარზამანი მოხიბლა ამ შხეფებიდან აღმოსკდარმა სინათლემ და იგი მიუახლოვდა მას, მიუახლოვდა სულ უფრო მეტად, ვიდრე არ შეეხო უკვდავების შუქიან ჩქერალს..

და ხარზამანის ფეხქვეშ ერთბაშად აცეკვდა უთვალავი ჩქერალი. ჩქერალები ცეკვავდნენ განუწყვეტილად. ეს იყო დიდი სიცოცხლის რიტმი. სიმღერა მიწასთან დაბრუნებისა. ხარზამანმა მკვეთრად გააჩია წყაროს სიმღერა: „რაც არ უნდა გადაამხდეს თავს, მე მაინც ვივლი არჩეულ გზაზე, მე ჩემს ნაკვალევს არ დავკარგავ, დავბადებულეარ, რომ ვიღინო შეუჩერებლოვ, მე უკვდავების პაწაწინა ლურჯი წყარო ვარ!“

„შენც ჩემი ეზოს გადაღმა დარჩი, — მიუგო ხარზამანმა, — შენი სიმღერა, ვიდრე ჩემ სახლამდე მოაღწევს, სივრცეში განიბნევა. შთანთქავს ხმაური მანქანებისა, რა შეუძლია შენს მსუბუქ ბგერებს, უნაზეს ჩურჩულს ფოლადის ყურთქამლებ გუფუნთან? შენს ხმებს გაჰყინავს ცივი რკინა, რომელიც ჩვენს შორისაა გაწოლილი. სულ ამაოდ მიწყარიალებ. ეცადე, თვალში არ ჩაეჩხირო მათ, თორემ ისინი წვეთწვეთობით ისე ამოგხდიან სულს, რომ თავიც დაგავიწყდება და სათავეც... მაგრამ მათ შენთან რა ესაქმებათ? ისინი შენით კიდევ უფრო გაიხარებენ, ჯერ პეშვით მალლა აგიტაცებენ, მერე კი იქ, სადაც იპობა შენი ბაგეები, მოგიშვერენ რკინის მილს და ჰაიდა, გისერიან იქით, საითაც მოესურვებათ. მაშინ კი ვეღარავინ შესძლებს ჩაგხედოს მაგ ფირუზისფერ თვალებში და შენი მიწიერი ცხოვრებაც ამით დამთავრდება. იკმარონ მაინც შენი თავი ამ სამსხვერპლოზე! გაგიგონია?

აგერ, სამყაროს გაჩენის დღიდან მოედინება ამაყი აალიოსტა და, იმასაც მოგუდავენ! ჰო, ჰო, მოგუდავენ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს, ისა სჯობია, განეშალო სამომავლისოდ!

ხარზამანი უკან გამობრუნდა. ეზოში რომ შევიდა, მოეჩვენა, რომ მისი კარმიდამო საშინლად დაპატარავებულიყო. და ხარზამანს გულის ფიცარი ისე შეერყა, კინაღამ დაეცა. მერე თავი მალა ასწია და... სახტად დარჩა: ზეცის ნაჭერიც, რომელსაც მისი მშვერა მისწვდა ისევე დაპატარავებულიყო, როგორც მისი ეზო... ვარსკვლავებიც გამეჩხერებულიყვნენ...

დიდხანს, დიდხანს ხეტიალობდა ხარზამანი ვარსკვლავთა შორის. უმწეო იყო მოხუცის მშვერა — ყველა მნათობი ერთნაირად ფერმკრთალი იყო. სად არის, სადა, ვარსკვლავი იგი, ყველაზე უკეთ რომ დაჰნათოდა მის კარმიდამოს?

დიდხანს, დიდხანს ხეტიალობდა ხარზამანი, ბოლოს უღონოდ ჩაიქნია თავი და შინ შევიდა.

დაწვა. გაინაბა, ძილი კი არსად ჩანდა, ჩანებულულ ოთახში წოლაც აუტანელი შეიქნა. გულის გამაწვრილებლად ლაყლაყებდა საწოლი და ხარზამანს მოეჩვენა, თითქოს იგი მანქანით მიჰყავთ ოღროჩოღრო გზაზე.

მეორე დღეს, დილით ადრე ხარზამანი სახლიდან გამოვიდა და ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა ბილიკს, თითქოს ეშინოდა, ვისაც ყველაზე მეტად გავურბი, ის არ დამეწიოსო. იგი მიდიოდა კლდეებს შორის და რაც უფრო შორდებოდა თავის ეზო-ყურეს მით უფრო ეადვილებოდა სუნთქვა.

მართლაც და თითქოს არცერთი ნაბიჯით არ უნდა ჩამორჩესო ხარზამანს, გზა პირდაპირ ეზოს შუაგულში გავიდა და მთებისაყენ გაეჭანა. სატვირთო მანქანები რახრახით და ზრიალით, ზედიზედ, სულის მოუბრუნებლად, დღითა და ღამით მიშლიგინობდნენ ახალდაბადებულ გზაზე.

ამასობაში ელექტროსადგურის მშენებლობაც დაიწყო. თავისი გზა ალგე-

რომ სოფლის შუაზე გაიყვანა, ამ გზიდან ყველაფერი თვალნათლევ მოჩანდა, იმ ბაწარა ბილიკით კი არ იყო ჩანებულ-ჩამარყუებული, რომელზედაც უღმიღამოდ ცვიალებდი ღამის სიბნელეში დარჩენილ ერთადერთ ციციანთეა ღასავით.

14.

გავიდა დრო და აგრაც წინანდებურად აღარ იმალებოდა ხან სად და ხან სად. ახლა იგი პირდაპირ აღიმაართა ჩემს წინაშე გზის გარდიგარდმო. მე მომთაბარეთა სადგომისაყენ მივეშურებოდი.

— კეთილი იყოს შენი ჩამოსვლა. ალოუ! — დანახვისთანავე შემიგება.

— გამარჯობა, აგრა.

— სად დაიკარგე, როგორ ცხოვრობ?

— არა უშავს რა, მომთაბარეთა სადგომისაყენ მივიღივარ, ხომ იცი, ახლა ყველა დაკავებულია...

— ჰო, მაგრამ იქნებ ორიოდე წუთით წამოხვიდეთ სადმე.

— რატომ არა, შეიძლება, — ვერ შეეძელი უარის თქმა.

გზიდან გადავედი და ღელის პირას ჩამოვეჭყით.

ვზივართ.

ხმას არ იღებს. ველოდები. ის კვლავ დუმს, ჩემთვის სულერთია, სათქმელი არაფერი მაქვს, ვზივარ და ველოდები. მაგრამ როდემდე უნდა ველოდო? იქნება არაფერი აქვს სათქმელი და ისე, სხვათა შორის ამეტორღიალა? საოცარია.

ვიჯექი და ვუსმენდი პაწაწინტელა, კენჭებჩაიწიწებული ღელიდან აღმომსკლარ გულიან სიცილს.

ჩვენს შორის კი ისევ დუმილი მეტყველებდა.

აღმათ, დუმილზე უარესი არა არის რა ამ ქვეყანაზე.

როგორ მოვიქცე — ავდგე და წავიდე?.. არა, არ შემიძლია, რაკი ასე განემართვოდით, სჩანს, რადაც სათქმელი აქვს.

იგი მაინც ხმას არ იღებს. ზის და წი-

წინის ბალახს. იქნებ მე დავიწყო? მერე გული მივიცეს და...

ნამალადეგად ჩავახველე და აგრას მალულად შევავლე თვალი, როგორც იქნა თავი აიღო, შემომხედა. მის თვალებში რაღაცნაირად დაბინდული აზრები ირეკლებოდა, ჩვენი მხერა წამით შეაცივდა ერთმანეთს.

— შენ უმალღესი განათლება გაქვს, იმასაც აქვს უმალღესი განათლება, — თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა, ისე ჩაიბურტყუნა აგრამ, — უმალღესი განათლება! — ეს ხომ დღეს დიპლომანთა საკუთრებაა! ასე ვთქვათ, ქალაქიანი ადამიანების საკუთრება!.. დიახ, დიახ! — მკვეთრად გაისმა აგრას ხმა, — ქალაქის ადამიანები!

„საოცარი! ნუთუ მე მისაყვედურებს? რას უშლის მას ჩემი განათლება? ვინ მისცა მას უფლება ასე ილაპარაკოს ჩემს შესახებ, მითუმეტეს მაშინ, როცა სულაც არა ვარ ამის ღირსი?“

— ტყუილ-უბრალოდ იცლავ თავს! დმერთმანი, სულ ტყუილ-უბრალოდ! — ფიქრიც კი არ დამამთავრებინა აგრამ, სეტყუასავით დამაყარა, — არ იფიქრო, თითქოს მე არ ვიცოდლე, რა გაწუხებს და რაზე ოცნებობ! მშვენივრად ვიცი. მაგრამ უბედურება იმასია, რომ მას გრძნობის რაიმე ნიშანწყალიც არ გააჩნია! — აგრა წამოხტა, ყელი მოიღერა და გამომწვევად გახედა სივრცეს.

— არ შესმის, რას მელაპარაკები, — როგორც იქნა, წარმოვთქვი ენაზე შემთხვევით მომდგარი სიტყვები, — ვისზე ლაპარაკობ?

— რაო? ნუთუ ასე სწრაფად დაივიწყე იგი? იმანაც დავივიწყა? შეუძლებელია სტყუი! შენი თვალებით მე უკეთ ვხედავ! მე კი არ ვდგავარ შენს წინაშე, ახლა, ის დგას, მხოლოდ ის! აბა რას მეთვალთმეპყები?!.

— ვინა გყავს მხედველობაში, ვინ არის იგი? — მე მოთმინების ლაგამი მოვიგლიჯე. მასთან მივიჭერი და სმენად ვიქვეც.

— ვინ და ამრა, შენი მშვენიერი ამრა!.. — პირდაპირ მომახალა.

— მერე რა გინდა?

— რა უნდა მინდოდეს, შენ თვალს ვიხვევს, თვითონ კი სხვასთან დასერილობს... გატყუებს, მეგობარო, გატყუებს...

— მე რა შუაში ვარ? მერედა, ვგრეც რომ იყოს, შენ რა გაწუხებს?

— უბრალოდ მწყინს! მეცოდები, რომ ვილაცა თვითნება ქალიშვილის წინაშე ქედი მოიხარე... ამის ღირსი მაინც იყოს! რითი მჯობია, იმითი რომ რაღაც განათლება აქვს მიღებული?

— რატომ გებრალეები ასე? მოტყუებული ვარ თუ არა, შენთვის სულერთი არ არის?

— იმიტომ მებრალეები, რომ ამრას არ უყვარხარ! დანამდვილებით ვიცი, არ უყვარხარ! მის წინ თავიც რომ მოიკლა, მაინც ვერ შეგიყვარებს!

— მაგახე ნუ ჯავრობ! მაინც, ვინ გითხრა, რომ არ ვუყვარვარ? — ვერ დავიოვე ცნობისმოყვარეობა.

— თვითონ მითხრა თავის პირით.

— როგორ გითხრა?

— პირდაპირ მითხრა, არ მიყვარსოდა განა ერთხელ, რამდენჯერ უთქვამს.

— სტყუი, ეგ შენი შეთხზული ამბავია.

— მიწამ პირი მიყოს, თუ გტყუოდე — გაჩუმდი! — დავიღრიალე მოთმინებადაკარგულმა. — ბოლოს და ბოლოს რა გინდა ჩემგან? — მე თვითონ გავეცი ჩემი თავი, ჩემი წყენა აშკარად მეტყუელებდა, რა მწარედ მომხვდა გულში ამრას სიტყვები.

— ასეთია ცხოვრება! შენ იმის გულისთვის თავს იცლავ, ის კი ყურადღებასაც არ გაქვეცს, არაფრად გაგდებს. აი, მეც ასე ვარ... ვინც შენ გინდა, — იმას არ უნდისხარ.

საპასუხო სიტყვები ვერაფრით ვერ მოვქებნე, ანდა რა აზრი ჰქონდა თავის მართლებას, მან სიმართლე მითხრა, მხოლოდ სიმართლე. მართალია, გამწარებულმა ისიც კი ვუთხარი, რომ ყველაფერს შენ იგონებ-მეთქი, მაგრამ მე ხომ კარგად ვიცოდდი, რომ მან მითხრა ის, რაშიც თვითონ ვიყავი დარწმუნებული.

ლი, მხოლოდ დაჯერება არ მინდოდა, — ეს იყო და ეს.

მიუხედავად ამისა, მე ხომ მქონდა რალაცის იმედი?! მარტო იმედი კი არა, შინაგანი რწმენა იმისა, რომ ოდესმე ასრულდებოდა ჩემი სურვილი. ახლა კი ეს უდიერი გოგონა წინ გადაელბა ჩემს იმედებს... პირდაპირ განმიცხადა, რომ ყოველგვარი ცდა ფუჭია, სიმართლე ლახვაროვით ჩამცა გულში...

მაგრამ რა, ერთი სიტყვაც ვერ ვთქვი მისი აზრების საწინააღმდეგოდ. ერთბაშად გადავიყარე ყოველგვარი ავი ფიქრი, ენაჩავარდნილივით დავდუმდი, მე ისე ვიდექი მის წინაშე, თითქოს დიდი დანაშაული ჩამედინოს. ბოლოს და ბოლოს ესლა ვთქვი:

— ეს ჩემი საქმეა!..

— მეც შენს საქმეზე მოგახსენებ...

— ეს შენი საქმე არ არის-მეთქი! — იმის დინჯ, აუღელვებელ ლაბარაკს მთლად გამოვყავდი წონასწორობიდან.

— როგორც ჩემი საქმე არ არის, ასევე არც შენი საქმეა სხვის საქმეებში ჩარევა! გასაგებია?... მე მინდა, რომ შენ ეს შეიგნო, მეტი არაფერი თვითონ შე კი, სადაც არ უნდა ვიყო და რაც არ უნდა შემემთხვას, ვიცი, შენთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, — იგი ჩქარი ნაბიჯით გაუყვა ბილიკს, მერე ისევ შემობრუნდა, — არ იფიქროთ, რახან შენ და იმას უმადლესი განათლება გაქვთ, თავს დავიმცირებ თქვენს წინაშე, ნურას უკაცრავად, თქვენზე ნაკლებად როდი მომაქვს თავი! შეიძლება განათლება თქვენზე ნაკლები მაქვს, მაგრამ აღაძვინობა — უფრო მეტი. თუმცა იმსაც მალე ნახავთ, რომ არც განათლებაში დაგიდებთ ტოლს!.. — დამეჭიდნა და ცივად წავიდა. მისი ნაბიჯები ახლა უფრო დაჯერებული იყო და რალაც მტკიცე გადაწყვეტილება იგრძნობოდა.

გაქვავებულივით ვიდექი ერთ ადგილზე. თავში ათასგვარი ფიქრი მიტრიალებდა.

„ამრა რომ ჩემზე უფრო ლამაზი და ტანაყრილია, იმიტომ გიყვარსო“, —

ამის თქმა აგრამ ვერც ვაბედა და არც თქვა, ამას არცერთი ქალიშვილი არ იტყვის; ამიტომ იგი ჩვენს განათლებას აღანაშაულებდა.

ჩემთვის ყველაფერი ნათელი იყო, რატომ მელაბარავებოდა აგრა ასე. მაგრამ როგორ ამეცლო ვეერდი, იმ სიმართლისათვის, მან რომ მითხრა, ამრას არ უყვარხართ! შემეძლო შეთქვა, ეგ ტყუილია-მეთქი? ჩემი უბედურება იმაშია, რომ არ შემეძლო, არ შემეძლო, რადგან ეს აშკარა სიმართლე იყო! ამრას რომ არ ვუყვარდი, კარგად ვიცოდი, მაგრამ რა უნდა მექნა? თავს ვერ ვეროდი, ვერა და ვერ ამოვიგდე გულიდან, ვერა და ვერ მოვიშორე თვალთაგან!

მე აღრეც ვიცოდი ჩემი უმწეო მდგომარეობა, მაგრამ იმედის პატარა ნაპერწკალი მაინც მქონდა, აგრამ ესეც წამართვა.

ბილიკს დავადექი. მთლად განადგურებული მივებტებოდი უმიზნოდ, თავად არ ვიცოდი, სად შევჩერებულყავი...

არ ვიცი, როგორ მივადექი ამრას ეზოს. შევჩერდი. სახალ შევათავალიერე. ყველა კარი დაკეტილია. ეზოშიც კაციშვილის ქაჭანება არ არის. ირგვლივ სიჩუმეა გამეფებული.

ბილგია სადღაა? უიძისოდ ამ ეზოში ჩიტი ვერ შემოფრინდება, ახლა კი?... რამდენი ხანია ვდგევარ და ვიყურები, ბილგის კი არ შევუმიჩნევივარ. ეტყობა მოთვინიერდა, ეპ, ბედის წიგნში ასე სწერია, ბოლოს და ბოლოს ყველა ურიგდება თავის ბედსო. ალბათ, ბილგიასაც აგრე მოუვიდა. როცა მისი სახლის წინ მიმოსვლა დაიწყეს მანქანებმა, ხალხმა, ბილგია ტყავიდან ძვრებოდა, გაცოფებული იყუფებოდა. როგორც ჩანს, ისიც დაიღალა. მიხედა, რომ არაფერი გამოუვიდოდა...

ქიშკართან მივედი:

— ბილგია, ბილგია!

ჩემი ხმა ეზოში გამეფებულმა სიჩუმემ შთანთქმა.

კიდეც მინდოდა დამეძახა, მაგრამ

უაზრობა იქნებოდა. მაინც ვიდექი, წასვლა მიჭირდა. სწორედ ამ დროს სახლის ქვემოდან ბილგია გამოძვრა. გაიზმორა, გოგრის ფოთლებივით დამჭყნარი ყურები ზანტად შეარხია და ფეხათრევიტ გაუყვა ეზოს ბილიკს.

— ბილგია, ბილგია! — შეეძახე.

ვინ გისმენს. ძალღმა თავისი გზა გააგრძელა. საცოდავი, ნუთუ დაყრუვდა? ნუთუ არ ესმის ჩემი ძახილი? აი, უკვე მომიახლოვდა, მგონი, ვერც მხედავს.

— ბილგია!

ისეთი სახე მიიღო, თითქოს რაღაც გაიგონა, ურთი-ორი ნაბიჯი კიდევ გაღმოდგა ჭიშკრისაკენ, სადაც მე ვიდექი, — ამან ცოტათი დამამშვიდა.

— ბილგია! ბილგია! ბილგია! მოდი! ჩემთან მოდი!

მან პასუხად თავი გვერდზე გადასწია. ამღვრეული, უმეტყველო თვლებით ნაღვლიანად შემომხედა, თითქოს იმის თქმა უნდოდა, ვინ ხარ შენ, რომელმაც მყუდროება დამირღვიეო, კარგახანს მიყურა ბილგიათ ასე. მის დანის-ლულ მზერაში შთაინთქა ჩემი ანარეკლი. ბოლოს ზანტად შემობრუნდა და ფეხათრევიტ წაავიდა. საბრალო, ისე მიდიოდა, თითქოს ნახევარი მხარე მოწყვეტილი აქვსო. „ამ უბედურს მანქანა ზომ არ დაეცახა-მეთქი“, გავიფიქრე. ძალღმა თავის ბუნაგში შეძვრა და აღარ გამოჩენილა.

შემოვბრუნდი, რეტდასხმულივით გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და ბილგია-სავით ფეხარეული დავეშვი დაღმართზე.

გადავწყვიტე, სკოლაში წავსულიყავი და ამრა მენახა. მერე რა არის ამაში ცუდი? მე ვაძლევ ყოველ წვრილმანს მნიშვნელობას, თორემ, ვისი რა საქმეა; მე საღ წავალ. ჩემს გარდა არავინ მიდის ამრასთან სკოლაში? ყურადღებას არ მივაქცევ არაფერს, პირდაპირ მივალ და ვნახავ! თუმცა ვიცი, ენა ჩამივარდება, კარგად მომეხსენება ჩემი უხეირო თავის ამბავი, მაგრამ არაღგან წასვლა გადავწყვიტე, წავალ.

დავადექი სოფლის შარავზას. აი, სა-

კვირველება! მოსახვევში ამრა დაეინახე! მაგრამ ის ქალი ვინლა, გვერდში რომ მოჰყვება? როცა მიეუახლოვდები შევეიცანი დესი იყო.

აჰა, დღევანდელი ჩემი მოგზაურობის მიზანიც მტვრად იქცა-მათაც გარკვევით დამინახეს, ვინც ვიყავი. როგორ მოვიქცე? უკან დავებრუნდე თუ გზა განვაგრძო?

— რა თქმა უნდა, ჯობია პირდაპირ ვიარო.

ამრამ მიცნო თუ არა, აღტაცება ვერ დამალა, ჩემკენ გამოქანა:

— ალოუ!

— ალოუ?! — გაიმეორა დესიმაც. ჩვენ გულწრფელად მივესალმეთ ერთმანეთს.

დღე-შვილის სიხარულში არავითარი სიყალბე არ იგრძნობოდა.

მაგრამ დესიმ მაინც მისაყვედურა:

— სადა ხარ, ალოუ? აღარ იტყვი მაინც, რა გეწყინა ჩვენგან?

ჩემი პასუხი ისეთივე აწეწილი იყო, როგორც ჩემი საქმეები.

ასე დავშორდით ერთმანეთს, სასიკეთო არაფერი გვეითქვამს. იმ დღესაც მარტო დავრჩი ჩემს იღუმალ ტკვილებთან ერთად.

დესი მთელი გზა დუმდა, სახლამდე ისე მივიდნენ, შვილისთვის არაფერი უკითხავს. სახლში დღე-შვილი მარტონი იყვნენ და დესიმ დინჯად დაიწყო:

— ამრა, რატომ არაფერს მეუბნები?

— რა უნდა გითხრა, დედა?

— შენს პირად საქმეებზე გვეითხები, ამრა, ხომ გესმის, შენს პირად საქმეებზე...

— მაინც რა პირადი საქმეები მაქვს?

— იცი, რა? — მეტი ვეღარ მოითმინა და წამოენთო დესი, — სიმართლე უნდა ვიცოდე, სიმართლე... თუ დედა ვარ...

როცა ამრა შეეცადა დედის ნათქვამი ბანზე აეგლო, დესი გამოუტყდა შვილს:

— ამრა, როგორ არის შენი და ალღი-ზის საქმე?

— ალღიზი რა შუაშია?

— აბა ვინ არის შუაში? ვინ არის

შენი რჩეული? დმერთო მიშველე! მაშ როგორ, თქვენ შორის არაფერი ყოფილა?

— არაფერი. მე და ალდიზი როგორც და-ძმა ისე ვართ, დედა.

— რას ამბობ, ამრა.

— ასეა, დედა.

საინტერესოა, ვინ მოსწონს? ვინ ჰყავს ალდიზზე უკეთესი? ვინ არის იგი?... — ეკვება დასერა დედის გული.

— ენა ვინ ჩაგიგდო მუცელში, ვინ?

— თავისდა შეუმჩნეველად, ნელნელა აუწია დესიმ ხმას, რათა აეძლებინა შვილი ყველაფერი ელიარებინა.

— დედა, მე სათქმელი არაფერი მაქვს.

— მითხარი, რა მოხდა შენსა და ალდიზს შორის?

— ალდიზი მე არასოდეს არ მყვარებია.

— აბა ვინ გიყვარს?

— არავინ!

— მაინც ვინ არის ის?

— შენ არ იცნობ.

თავზარდაცემული დესი ერთ ადგილზე გაქვავდა, მხოლოდ ესღა თქვა ამრას გასაგონად:

— დმერთო ჩემო, ამას რას ხედავს ჩემი თვალები! მთლად გამიგარეულდა შვილი, მთლად!..

15

სოფელში აღარ ჩავდიოდი. დღენიადაგ მთაში ვიყავი. ჩემს დარდსა და სიხარულს ის ინახავდა თავის გულში: ანკი რაზე ჩამოვსულიყავი იქიდან, გასახარს და გასამხნევებელს ვერაფერს ვხედავდი.

მხოლოდ ჩემს სამუშაოს შეეძლო უსიამოვნო მდგომარეობიდან გამოვეყვანე და კიდევაც მთლიანად ჩავიძირე მასში. სხვანაირად არ შემეძლო მოქცეულიყავი, რადგან ყბადამილებდა ხალხი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც კი განვმარტოვდი, მაშინვე გამიჩნდნენ მოუსვენარი აზრები, რომელთა დინებას თვალდახუჭული მიეყვები.

... ვიფიქრე, ცოტა ხნით თვალს წყალს დავაღვენიებ-მეთქი და მინდორში მოკუნტრუშე ციკნების შორიახლო ჩამოვყვეი. ისინი ჯერ კიდევ ჩვილი, პაწაწინა რქებით ჯიუტად ერჭინებოდნენ ერთმანეთს. ამ დროს, თითქოს ციკნების ეშმაკური საქციელი არ მოეწონათ, ერთი გრძელბეწვეა თბა გამოეყო თავის ჯგუფს და თამამად გამოემართა ჩემკენ, მომიახლოვდა თუ არა, შეჩერდა და თავისებურად თვალეზი შემომამტერა, თითქოს უნდოდა მეც ჩაეწვდომოდი იმის სულს და გულს, და მეც გამეგო მისი ფიქრები.

მაგრამ საკუთარმა დარდმა ისევე შემიპყრო და წარმიტყა. აგერ, ისიც! ამრა ხმამალაღი კისკისით აქეთყენ მორბის. ვხედავი, ყველაფერი თვალნათლივ ვხედავი! მისი სახე ბედნიერებითა და სიამაყით ბრწყინავს. საოცრად კეთილი თვალებით მიყურებს. ამ თვალებს მხოლოდ დროდადრო გადაჰკრავს სიცივე და მიუკარებლობა, თორემ ისეთი ალერსიანია, ისეთი ნათელი!.. მზერას ვერ ვაშორებ!..

როცა ამრას ხატება ჩემ წინ აღიმართება ხოლმე, სიმსუბუქეს ვგრძნობ. მისი ხასიათი, თუ მუდამ არა, ხანდახან მაინც მაახნევებს, ალამაზებს ჩემს სულსა და გულს.

როგორ ფიქრობთ, ყველაფერი ეს დიდხანს გრძელდება? არა! ჯერ იგი ნაზად გაილიმებს, მერე თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდება. მის ადგილს იკავებს შავი ბურუსი. ახლაც, თითქოს შეშინდა, ვინმემ ერთად არ დაგვიანახოსო, და გაქრა...

„უთუოდ ჩემი წარმოდგენა მევე მატყუებს, ნამდვილად მატყუებს. მე და ამრა ისე შორის ვდგევართ ერთმანეთთან, როგორც ცა და მიწა. სად არის ის ადგილი, სად, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ჩვენ უნდა შეგვეყაროს?..“

იგი მასწავლებელია და ზრდის ახალგაზრდა თაობას, მე კი ვინ ვარ? ერთი უბრალო ბეთიალი და მეტი არაფერი, მაგრამ მეც ხომ ადამიანური გული მიძგერს მკერდში?

დაე, იცოდეს ამრამ, რომ ჩემი პროფესიაც ისეთივე სასარგებლო და საჭიროა, როგორც იმისი. რომ ბეთლომა ჩემი საყვარელი და უპირველესი საქმეა, ისევე როგორც მასწავლებლობა ამრასთვის ყველაზე კეთილშობილური პროფესია. იგი ასწავლის ბავშვებს, ყურადღებით ეპყრობა მათ, უყვარს ისინი. მეც მიყვარს ჩემი აღსაზრდელები, ვინებები მათ სულში და მათივე მშერით ვარკვევ; რა უნდათ.

„არა, ალოუ, არა! — ჩემამდე მოაღწია ამრას იღუმალმა ხმამ, — ასე ნუ ლაპარაკობ!.. პროფესია რა შუაშია, ალოუ? ამიტომ კი არა!.. სულაც არა!..“ — გამსკვალავად ჩამესმა ყურში ეს სიტყვები და კიდევაც გამოვერკვიე ზმანებიდან.

მაშინვე ფეხზე წამოვდექი. მივიხედ-მოვიხედე. ამ დროს, სად იყო და სად არა, ჩემთან ხარზამანი გაჩნდა. დაჭდა ხელით მანიშნა, შენც დაჭექო და ვიდრე მის გვერდით მოვკალათდებოდი, საუბარი წამოიწყო:

— კარგა მაგრა ვიმუშავეთ ელექტროსადგურის მშენებლობაზე. თუ ასეთი ტემპით გაგაგრძელებთ, ალბათ, სულ მალე გაგვაჩირადნებენ. ეჰ, დრონი, დრონი!.. ისე მიფრინავენ, უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ!

— ჰო, დღეს თუ ხვალ სინათლე გვექნება! — უღიმღამოდ დავეთანხმე. მერე კი კარგი პროპაგანდისტული დავიწყე, — ჰოდა, მაშინ სულ შეეცვლება ჩვენს სოფელს სახე. სინათლე ჩვენს ფერმამდეც მოაღწევს, ეს კი შრომას გავვიადვილებს. ნამუშევარსაც მეტი ხარისხი ექნება. თქვენ, როგორ ფიქრობთ, ხარზამან ბატონო?!

— აბა, აბა, რა თქმა უნდა ასე იქნება. ეს ელექტრონი პირდაპირ სულზე მოგვისწრებს. ისე კი, ყველაფერი ადამიანის დალოცვილი ჰკუნისა და მარჯვენის მადლია.

— აღამიანმა შექმნა ყოველივე ის, რაც მას ესაჭიროება! — მრავალმნიშვნელოვნად ვთქვი მე.

— აბა, აბა! ესეც მართალია, შეილო,

ალოუ! მხოლოდ იცი რა, ექვთის რამ მაინც ვერ გავიგე, — როგორ უნდა მოწყველოს ელექტრომანქანამ ძროხები, ა? როგორ უყურებ შენ ამ ამბავს?.. ეს საერთოდ შესაძლებელია?..

— შესაძლებელია? — ასე ვთქვათ პირიდან გამოვტაცე სიტყვა ხარზამანს — როგორ არ არის შესაძლებელი! ოღონდ ჯერ სინათლე მოვიდეს და ჩვენ დაუყოვნებლივ შევიქმნეთ საჭირო მოწყობილობას, მერე კი..

— ჰო, რა მერე? — გაიკვირვა ხარზამანმა, — შენი არ ვიცი და მე კი შეშინია, კოვზი ნაცარში არ ჩაგვივარდეს.

— რაღა ჩვენ ჩაგვივარდება თუკი სხვებს გამოსდით?

— აი, სწორედ ეს მითხარი, შეილო, საქმეც ამაშია, მთელი ქვეყანა ერთნაირია, თუ რა? ერთი გასაღები ყველა კარს ხომ ვერ მოერგება? განა ჩვენი ძროხები იმის ნებას დაგვრთავენ, რომ ისინი ელექტრობით ეწველოთ? ხომ გადაირივნენ ძროხები?!

— გადაირივიან და გადაირიონ, საბოლოოდ მაინც მიეჩვენვიან.

— წარმოუდგენელია, ღმერთმანი, — ცხოველი ელექტრობის ქვეშ!

— ცხოველებს წრთენიან და ცირკში აცეკვებენ.

— გაჩნია რა ცხოველია. განა ჭიშინი ძროხა დაგნებდება, რომ ელექტრომანქანით მოწყველოს.. თუმცა ამბობენ, ნებდებათ. ძალიან კარგი, ვთქვათ, რომ ასეა. მაგრამ ჩვენებური ძროხა? აფხაზურ ძროხაზე გეუბნები. იგი არასოდეს არ დაგნებდება!.. ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია..

ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია ჩემსა და ხარზამანს შორის. მაგრამ რამდენი არ ვარწმუნე ხარზამანი, მაინც ვერაფერს გავხდი, ის მტკიცედ იდგათვის აზრზე.

ამ წალაპარაკებას ოდნავი უსიამოვნებაც მოჰყოლია, პირიქით, სულ უფრო და უფრო ჩამითრია საუბარში. ჩვენდა შეუქმნევლად იქამდე გავერთეთ. რომ საუბარი, როგორც იტყვიან, გახურდა.

— მაშ შენც ჩემსავით გიყვარს სო-

ფელი? — კვლავ შემეკითხა იგი მოულოდნელად, თითქოს უნდა ერთხელ კიდევ დარწმუნდესო ამ საქმეში.

— ძალიან მიყვარს, ძალიან!

— ღმერთმა კეთილ გზაზე გატაროს, შვილო! ჰკვიანი ბიჭი ხარ, ყველას თავისი სოფელი უნდა უყვარდეს, აბა როგორ! მაგრამ ის მიხარია, რომ შენც ასე ძლიერ გიყვარს ჩვენი სოფელი. კაცმა რომ თქვას, იქნებ ჩვენმა სოფელმა ვერც შეძლოს შენს გულში იმდენივე ადგილი დაიჭიროს, რამდენიც შენს მშობლიურ სოფელს უჭირავს, მაგრამ ამაში ხომ არაა საქმე? ყოველ შემთხვევაში, ახალმთვარეს თავისი მადლი აქვს, შენს სოფელს კიდევ თავისი.

— როგორ? — რაღაც არ მომეწონა ხარზამანის ბოლო სიტყვები, — განა ახალმთვარე ჩემი სოფელი არ არის? განა ახალმთვარე ჩემთვის უცხოა, ან მე — მისთვის სტუმარი?

— მე ეგ არც მიფიქრია, შვილო, ალოუ! არც არავის უთქვამს შენთვის, მეც ის მინდა, ახალმთვარე შენი მშობლიური სოფელივით ახლობელი და სასურველი იყოს შენთვის?

— სოფელი, სადაც მე ვმუშაობ, მძინავს, მღვიძავს, ვჭამ და ვსვამ, რა თქმა უნდა, ჩემი მშობლიური სოფელია. სხვანიარად ვერც წარმომიდგენია.

— ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მოგცეს, შვილო, ალოუ!

— ესეც არ იყოს, მე ამ სოფლიდან, სადმე წასვლა არც მიფიქრია. გადავწყვიტე ჩემი ცხოვრება მხოლოდ ამ სოფელს და მის მცხოვრებთ დავუკავშირო.

— საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ, შვილო, ალოუ! — გულით დამლოცა ბერიკაცმა. — ხელს ვინ შეგიშლის ამ დიდ საქმეში? ღმერთმა ბედნიერ გზაზე გატაროს!.. ყოჩაღ!.. მე ეს ძალიან მომწონს, აი, ისინი კი... რომლებიც დღეს აქ არიან, ხოლო ხვალ — იქ, ალგერიით, ვერასოდეს ვერ იბოვნებიან მყუდრო სავანეს.

რას ნიშნავს ეს?.. ასე უცებ, ასე მოულოდნელად საიდან მოიტანა მისი სახე-

ლი, თუ მართლა წინდაწინ არ ჰქონდა მოფიქრებული?.. იქნებ, სურს ამიფიქრე და მისი დამოკიდებულება გაიგოს?.. თუ ალგერი სხვათაშორის ასხენა?

— ალგერი... ჩემის აზრით, არ უნდა იყოს ასეთი! — ეთქვი მე, — არ ვიცი... არ უნდა იყოს ურავო ბიჭი!

— მაგნაირები, როგორიც ალგერია, შვილო, ალოუ, დღეს აქ აშენებენ ელექტროსადგურს, ხვალ — სხვა ადგილას, ზეგ კი — ღმერთმა უწყის სად. აბა, რასა ჰგავს ეს?!

— არა ხარ მართალი, ხარზამან ბატონო! — ეს მისი მუშაობის სპეციფიკური მხარეა. ამისათვის ვერაფერს უსაყვედურებს.

— არა! მაგნაირი არაფერი მინდა! არც მუშაობა და არც ცხოვრება!

— ალგერის კარგი სპეციალობა აქვს...

— რაო, ხომ არ გშურს?

— რა დსამალია და, მშურს, ხარზამან ბატონო!..

— მაგას ვერ მოგიწონებ! ვითომ შენი სპეციალობა რითაა ნაკლები?

— არა, ამით ჩემს პროფესიას ოდნავადაც არ შევურაცხევყოფ, მე მინდა ეთქვა, რომ ყველა პროფესია კარგია, ხოლო ალგერია... ყველაზე უკეთესი.

— ვითომ რატომაო? მომთაბარულ ცხოვრებას რომ ეწევა იმიტომ, არა?

— ალგერის სინათლე მოაქვს ხალხისათვის. ამაზე დიდი და კეთილშობილური საქმე რა უნდა იყოს!

— არც მისი სინათლე მინდა და არც თვითონ...

ახლა კი ვასცა ხარზამანმა თავისი თავი. იგი მართო ალგერის პროფესიას კი არ იჩუენებს, არამედ თვითონ ალგერიც არ უნდა.

კარგა ხანს გაგრძელდა ჩვენი საუბარი. რაზე არ ვილაპარაკეთ, რა არ ავწონ-დავწონეთ. ბოლოს ხარზამანმა შინ მიმიპატიჟა.

მას შემდეგ, რაც ქალიშვილთან უსიამოვნო ლაპარაკი ჰქონდა, დესი მოუსვენრად დადიოდა აქეთ-იქით. ბევრი ეცადა, როგორმე დამშვიდებულიყო,

მაგრამ არ იქნა, არაფერი გამოუვიდა. ბოლოს ალიასს გამოელაპარაკა.

— არ შეგიძლია ცოტახნით მინც მოწყდე იმ შენს მანქანას?

— ჩემი მანქანა ხელს რაში გიშლის?

— იმის გარდა თითქოს შენთვის არაფერი არ არსებობდეს ამ ქვეყანაზე. სულ არ ფიქრობ ჩვენზე, ცოცხალ ადამიანებზე...

ამ სიტყვებმა, როგორც იქნა, თავის სამუშაოს-მოწყვეტა ალიასი. იგი შემობრუნდა.

— რა მოხდა?

— როგორ თუ რა მოხდა. დაგავიწყდა რომ ჩვენ ქალიშვილი გვყავს!

— რა მოუვიდა ჩვენს ქალიშვილს?

— შენ მხოლოდ იმას ელოდები, რაიმე მოხდეს?

— რა უნდა მოხდეს, ქალო, რას ამბობ?

— ეგ რომ ვიცოდე... იქნებ ფიქრობ, რომ ამრა ისევე პატარაა? იგი უკვე კარგა მოწიფული გოგო გახლავს!

— მერე?

— მერე, ხომ უნდა დაეყენოთ სწორ გზაზე?

— შენ რა, გგონია გზას აცდა?

— აბა, რას ამბობ? მე იმას ვამბობ, უნდა გავათხოვოთ-მეთქი...

— შენ მოეშვი, თვითონ მოუვლის თავის საქმეს.

— ნახე, როგორ მოუვლის.

— ყოველ შემთხვევაში, შენზე უკეთესად ვაიკვლევს გზას...

ზარზამანის ოჯახი დიდი აღტაცებით შემეგება, ამან უფრო გამათამაშა, თითქოს მხრებში გავიშალე, თავისუფლად ამოვისუნთქე, ამ დღეს ამრა ჩემთვის უფრო ახლობელი გახდა. რამდენჯერმე ისე თბილად ჩამხედა თვალებში, ვიგრძენი — როგორღაც ავმალდი საკუთარ თვალში.

თათი, რომელიც სწორედ იმ დღეს ჩამოვიდა სოხუმიდან, გვერდიდან არ მცილდებოდა. იგი სრულიად გამოცვლილიყო, გარეგნულად კი არა, შინაგანად. ჩვენ აივანზე განმარტობით ვისხედით და კარგა ხანს გულიანად ვსაუბ-

რობდით. მოწყენილობა სულ არ მიგრძენია ჩემს თანამოსაუბრესთან, მართალია, გამართო და გამამხიარულა ბავშვით თავშეუკავებელ ლაპარაკში ხშირად ხმარობდა ლექციებზე გაგონილ სიტყვებს, მაგრამ ამ სიტყვებისათვის, იმდენად შესაფერი ადგილი შეერჩია, რომ ისინი საამო მოსასმენი იყო. და თვითონაც, ულაზათოდ, ფუტად კი არ წარმოთქვამდა მათ, მთელ თავის სულსა და გულს აქსოვდა შიგ. ეს კი იღუმალ განსაზღვრავდა თათის მომავლის იმედებს. ამაში რომ ღრმად დავერწმუნებინე, ბოლოს დაამატა:

— ჩემი სოფელი! ჩემი სიყრმის ახალმთვარე, — ისე წარმოთქვა, თითქოს ეს-ეს არის, ხელი მოუცაცუნა, მთელ სოფელს მიუაღერსა, — არა მგონია, სხვა სოფელი ფლობდეს ასეთ ტუბილ ხმას! გესმის, ალოუ, ჩემი სოფლის ხმა! რა საოცარი ხმა არის იგი?!

— აა? რა თქვი? — თავდაპირველად გამიკვირდა, მერე მივეხვდი, — ალიპსტას ხმაზე ამბობ, არა?

— მარტო ალიპსტაზე როდნი...

— აბა? — თვალეზღაყეტილი შევაცქერდი თათის.

— ხმა სოფლისა და ალიპსტასი... ყველა ხმა ერთად...

— მე მხოლოდ ალიპსტას ხმა მესმის, სოფელს რა ხმა უნდა ჰქონდეს?

— აბა, კარგად დაუგდე ყური... სმენა დაძაბე... და არაფერზე არ იფიქრო, — შემევედრა თათი.

მეც სმენად ვიქეცი, თქვენც არ მომიკვდეთ, ალიპსტას ყრუ ხმის გარდა, ვერაფერი გავიგონე. რაც შეეხება იმ ძვირფას ფრაზას, რომელიც თითქოს განგებ წარმოთქვა თათიმ, — და არაფერზე არ იფიქრო — მაშინვე გამოეკიდნენ ჩემი ფიქრები, ჩაეჭიდნენ და ერთპირად ამრას მიაშურეს.

ეს რა მიყო ამ ბიჭმა? აქამდე ისე მშვიდად ვიჯექი, უუსმენდი მას, ასე თუ ისე, ვმონაწილეობდი მის საუბარში, ამ დროს არც კი მახსოვდა ამრა...

ახლა კი?

ახლა, განა მე შემწყვეს იმდენი ძალა,

რომ მოვხსნიო რომელიმე სხვა ხმა, გარდა იმ ხმისა, რომელიც მოისმის იმ ოთახიდან, სადაც ამრა თეფშებს ალაგებს, მე ხომ აქამდე არც გამიგია თეფშების წყრიალი? შეიძლება სწორედ ამ ხმებზე ამბობს თათვი „ჩემი სოფლის ხმაო?“

— თეფშების ხმაზე ხომ არ ლაპარაკობ? — ვერ მოვიტყინე და შევეკითხე, თუმცა ვიგრძენი, სისულულეს ვეკითხებოდი.

— რა თეფშები? — უსიამოვნოდ შეიკუმხნა თათვი, — თეფშებიო?.. თეფშების ხმაო?.. არასოდეს არ მსმენია!.. ამრა! — გასძახა ბოლოს. თეფშების ხმაური მაშინვე შეწყდა. ამრა ღრჭოდ დატოვებულ კარში გამოჩნდა.

— შენ მეძახდი, თათვი?

— ცოტა ხნით მოიცალე ჩვენთვის, ამრა. მიატოვე ყველაფერი და აქ მოდი, — ფეხზე წამოხტა თათვი.

მე უკვე ფეხზე ვიდექი.

— შენც არ გესმის, ამრა? — ახლა ამრას გაუმეორა თათვიმ თავისი უცნაური შეკითხვა, — ნუთუ არ გესმის, როგორ მღერის ჩვენი სოფელი? — ეს შეკითხვა კი არა, ვედრება იყო.

ამრა ჩემზე უკეთ იცნობდა თათვის სულის ფარულ ტკივილებს და ამიტომაც დაუფიქრებლად დაუმოწმა:

— როგორ არ მესმის! რა თქმა უნდა, მესმის!.. მე მუდამ მესმის... თათვი, იმ დღიდან მესმის, როცა მაიძულე ამომეცნო იღუმალი ხმები, როცა მასწავლე ყურისგდება...

— თუ ყურადღებით მოისმენს, ყველა გაიგონებს ამ ხმას! — ჩემს გასაგონად თქვა თათვიმ.

— ჰო, რა თქმა უნდა, ეს ასეა, — მაშინვე დავეთანხმე მას. ისე კი, რაც არ უნდა მეცადა, რა ყურადღებითაც არ უნდა ვყოფილიყავი, ვერაფერს ხმას ვერც მოვისმენდი და, მითუმეტეს, ვერც აღვიქვამდი.

ამრიგად, მდუმარენი, აივანზე დიდხანს, დიდხანს ვიდექით და ვიყურებო-

ბოლოს გაბრწყინებული ღმირით შემოგვხედა თათვიმ მე და ამრას:

— ჩემი პირველი სიმღერა... ჩემივე სოფლის სიმღერა იქნება, ცხადია, თუკი შეეძლებ დაუმახინჯებლად ჩავიწერო ეს ხმა — ჩემი სოფლის ხმა... მე ვესაუბრე ალგერის, მისი აზრით, ჩვენს სოფელს დიდი მოშავალი აქვს. შესაძლოა, ჩემი პირველი, სერიოზული ნაწარმოების მთავარი გმირი თვით ალგერი იყოს. ამრა ბედნიერებისაგან ერთიანად აილუნა, თვალები სიხარულით გაუბრწყინდა, დიახ, მისი თვალები ზეიმობდნენ დაუფარავად.

ხოლო მე?..

ჩემზე როგორ იმოქმედეს ამ სიტყვებმა, განა ძნელია მიხედვ, მკითხველო?

გული კაცისა იმედით ცოცხლობს, მაგრამ მე შეიძლება იმედი ვიქონიო?

16

აღდბი რაღაც უცნაური ბიჭია. უწინ ყოველ წუთს პირზე ეკერა ამრას სახელი, შემდეგ, თანდათან სულ მიიფიცა და მიიფიცა. გული აიყარა, თუ უიმედობამ შეიპყრო? ნუთუ ასე ჩქარა ამოფრინდა მის გონებრივ აქამდის სათაყვანებელი არსება? მაინც რა ნახეს ამ ამრასი ისეთი, რომ ასეთი ამბავი ატყდა ქაბუკებს შორის? რაღაც განსაკუთრებული შესახებობა მაინც ჰქონდეს. ერთი, უბრალო, გაჯანჯული სოფელი გოგოა და მეტი არაფერი. მაგრამ რა ამრას ბრალია რომ ასე მოსწონთ. რას იზამ, უმართლებს, მორჩა და გათავდა! აგრასაც რომ ასე გამართლებოდა?!

ბედნიერება გამართლებია! ამაში მუდამ იყო აგრა დარწმუნებული. ახლაც, როცა იგი სარკის წინ დგას, ხედავს, რომ ბევრად უფრო ლამაზია ვიდრე ამრა, ტანიც ბევრად უფრო მოყვანილი აქვს, ვიდრე ამრას, მაგრამ რად გინდა, თუკი ზედაც არავინ არ შემოგხედავს? რატომ ხდება ასე?

— შენ ლამაზი ხარ, ჩემო დო, ძალ-

ზე ლამაზი — კარებში მოულოდნელად გამოჩნდა ალდიზი.

— ამრაზე უფრო? — გულში უჩხე-ლიტა აგრამ.

— ამრაზე უფრო;

— მართალს არ მეუბნები. მე ვინ მომაქვავებს ამრას სილამაზეს?

— რატომ ამბობ ასე?

— იმიტომ, რომ შენ მთვრალი ხარ და ლამაზიც იმიტომ გეჩვენები.

— მე შენ ყველაზე მეტად მიყვარხარ!..

— დიდი ამბავი! მე ხომ შენი და ვარ?.. ამრაც ხომ გიყვარს?..

— ამრაც მიყვარს... თუმცა ისიც დასავით მიყვარს!..

— რატომ?

— იმიტომ!

— ამრა ჩვენი სოფლის თვალთა, ასე ამბობს ყველა.

— და ასეც არის, ცივ ქვაზე დასახლებს კაცს. ბედიც იმას ჰქონია, ვის ხელშიაც იგი ჩაეარდება.

— მერე და ჩვენ რაღას ვუდგევართ? რაღა გვიშლის ხელს?

— ჩვენ ხომ... აჰ... — რამდენჯერმე აებოროძიკა ენა ალდიზს.

ბოლოს ხელი ჩაიქნია დასაწოლს მიამურა.

„ამრა ისევ უყვარს, დიახ, ეს ასეა, მაგრამ თვითონ ალდიზი ძლიერ გულჩეილია. იგი მუდამ ასეთი იყო. ახლა აგრამ უნდა იყოჩაღოს. გზას უღობავს. ბოლოსდაბოლოს როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე? არა, დღეიდან ეს აღარ განმეორდება, აღარ!“

აგრა ოთახიდან გამოვიდა. საღამოდებოდა. დედა და მამა ჭერ კიდევ არ დაბრუნებულყვენენ ქორწილიდან. ალდიზი შინ მარტო დატოვა და ეზოდან გავიდა.

„დღესვე უნდა გადაწყდეს!“ — მტყიცედ გადაწყვიტა მან. — ბოლოს და ბოლოს ხელშეკრული მივეყვან და ჩავაბარებ, მერე საღლა წავა? აბა რომელი

ნათესავი დაიშურებს თავის ძალღონეს და მხარში არ ამოუდგება? აგრა სკოლაში წავიდა. ამრა იქ დახვდა ჩილიც კრებას ესწრებოდა. აგრა დაელოდა. მერე ორივენი ერთად წამოვიდნენ.

ამრას არავითარი წინათგრძნობა არ აწუხებდა. იგი მშვიდად და აუჩქარებლად მიდიოდა შინისაკენ, თან აგრას ესაუბრებოდა.

მე კი ამ დროს სოფელში დავხეტიალობდი იმ იმედით, იქნებ შორიდან მოვკრა თვალი ამრას-მეთქი.

ქუჩის განაპირას, ორღობესთან მანქანა იდგა. მანქანას ორი გოგონა მიუხვლოვდა. მე ვიცანი ისინი — ამრა და აგრა.

თვითონ არ ვიცი, რამე მიძულა, ნაბიჯს ავუჩქარე, მაგრამ სწორედ ამ დროს გაიღო მანქანის კარი და ჩემთვის უცხო პირები გადმოხტნენ.

მე უკვე მივბოდი.

ნეტავ რომელი მოიტაცეს, აგრა თუ ამრა?..

მანქანა თავქვე დაეშვა.

მე კი უკან დავედევნე.

რას დავეწყოლი?.. თვალსაწიერზეც აღარ ჩანდა.

მაინც გავრბოდი.

გავრბოდი ანგარიშმიუცემლად.

გავრბოდი ბრმად და უაზროდ, თან ვევიროდი:

— ამრა მოიტაცეს, ამრა! ამრა მოიტაცეს, ამრა! — ჩემს ძალაგამოლეულ ხმას მათი ხმაც ერთეოდა:

— ვინ მოიტაცა?

— ასე წაიყვანეს?

— როდის?

— როგორ?

— მანქანით?

— ცხენებით?

მე კი გავრბოდი და ერთსა და იმავეს დაჟინებით ვიმეორებდი:

— ამრა მოიტაცეს! ამრა მოიტაცეს! ამრა მოიტაცეს!

მალვა ამისუაშვილი

ციკლიდან — „ახალი ზედაზე“

ბეთლემის ჰაჭვი

მე მგგონა ბეთლემის
ძველისძველი ჯაჭვი,
ჯანგიანი ტალღებით
უმწერს თავის აჩრდილს.
თურმე მისი რგოლები
ენით აილოკება,
ასე მითხრა მოხვევის
ბიჭმა წითელ ლოყებამ.
ჯაჭვია თუ ჯამთასვლის
დაძაგრული ჭაპანი?!
მარად მის ქებაშია
ლევენდაც და ზღაპარიც.

ჯანგი ჭაპანს არა სჭამს,
ემტერება განდევილს;
აკი ვერვინ აღმოჩნდა
განდევილის გამგები...
ბეთლემიდან თბილისში
მესმის ჯაჭვის ელრიალი;
მესმის ჯაჭვის ელრიალი,
ღამეა თუ დღე არი...
აღბათ ჭაგვავაძესაც,
აი, ასე ესმოდა,
თბილისიდან თოფივით
პოემა რომ ესროლა...

პ ე რ ხ ე ე ბ ი

ინტიმარგაუტესლები
დგანან ბებერი ვერხვები.
მთვარეში
მთვარეულივით
მივალ და
მკერდზე ვემთხვევი...
ინტიმარგაუტესლები
დგანან ბებერი ვერხვები.

უიმათობით
ოდესმე
ნეტამც თუ დავიფერფლები...
ინტიმარგაუტესლები
დგანან ბებერი ვერხვები.
მთვარეში
მთვარეულივით
ფიქრის ფიფქებში ვეხვევი...

მე არვის ვუთვლი სამღურავს

სიკვდილის ბრტყალებს დახსნილი,
მე არვის ვუთვლი სამღურავს;
იმასვე ავწევ თასივით,
რამაც დამწვა და დამბუგა...
ჭარმაგობაში ნაშოვნო,
ახალთახალო მაგიდავ,
შენთან მცირე ხანს მაშრომა,
სხვა არაფერი არ მინდა...
თუნდ ერთ წელიწადს დამინდო
პაწია კალმის რაინდი,

არ ვიგრძნობ თავს უამინდოდ
თავად ვარ ნაღდი ამინდი...
ცას შევაბერდე, არ მინდა,
ყორანიც ცოცხლობს ორას წელს;
მე ყაბულსა ვარ, მაგიდავ,
რასაც იმ ერთ წელს მოვასწრებ...
სიკვდილის ბრტყალებს დახსნილი
მე არვის ვუთვლი სამღურავს,
იმასვე ავწევ თასივით,
რამაც დამწვა და დამბუგა...

უ ლ ე ლ ი

იყო უღელი ურმის,
იყო უღელი ფარცხის;
კაეშნის მრუმე ღრუბლით
იბურებოდა კაცო...
იყო უღელი გუთნის,
იყო უღელი კვერის,
ხარის და
კაცის სუნთქვით
კლდეს უღღვებოდა მკერდი.
ებლა უღღვების რიცხვი,
ვხედავ,
კლებულობს უკვე;
ცხოვრებისეულ სირცხვილს

დრო
გუნდრუკს აღარ უკმევს...
მაგრამ უღელი ერთი
მანცა რჩება უღელად;
სხვა არაფერი გვეთქმის,
ერთგულად ვზიდით უნდა!
ამ უღელს
თვითონ ცხოვრების
მძიმე უღელი ჰქვია...
არ გასწევ?!
არცა სცხონდები,
ისე ჩაჰყვები წყვდიადს...

ლირიკული პოეზია

შენ გაზაფხული ხარ? იყავი გაზაფხული!
იანვრის სუსხისგან არც მე ვარ

დაზაფხული...

მე შემოდგომა ვარ, დავრჩები შემოდგომად,
საწუთროს შემოდგომის ფერებით
შემოვლობავ.

მაგრამ არ გეგონოს, ჭიშკარს არ დავატან,
იქნება სტუმრებმა იმატონ თანდათან...
სიცხის და სიცივის სმისაგან დამთვრალი
ჩვენს შუა ტრიალებს ზაფხულიც,
ზამთარიც.

ქარს მოაქვს ღრუბლების ფერადი აფიშა,
და ჰცივის წარწერა: გათიშვა! გათიშვა!
მე რაში მჭირდება ამგვარი საექტაკლი,
არ ვიცი ღმერთმანი, არ ვიცი ღმერთმანი...
ზეცაში მალღდება ეს ჩემი გულისხმა,

გაიგე, გაიგე, თუ გაზაფხული ხარ!..
შენ ელვა აელვე, ცა შესძარ ქუზილით,
რომ ქვეყნის წუხილი ქრებოდეს
მწუხრივით.

შენ ელვა აელვე, მომაპყარ შტოსავით,
მე ჩემი მამულის აგავსებ მოსავლით...
მე ჩემი წილ-ხვედრი ზაფხულიც მეყოფა,
ოღონდაც შენ მეჯდე ამ ბალში
დედოფლად.

მე ჩემი წილ-ხვედრი მეყოფა ზამთარიც,
ოღონდაც შენ მყავდე სიცოცხლით
დამტკბარი.

შენ გაზაფხული ხარ? იყავი გაზაფხული!
იანვრის სუსხისგან არც მე ვარ
დაზაფხული...

იელვე.. ელვაზე იელვონ ფერებმაც,
ზაფხულთან ზამთარიც ჩვენ მოგვეფერება!..

უფლისციხის კლდინი გზები

სანამ არსებობ, იარე-მეთქი,
იარე-მეთქი, უფლისციხის კლდინი გზებით,
შენ უნდა იჯდე უძილობის ნაცრისფერ ცხენზე
და ძალლი უნდა მოგდევდეს ყვფით.

როცა ჩამოვა ბურუსი დაბლა,
შენ გაათენებ ჰერალდური მხეცების გვერდით,
სხივს გამოჰყვება დილით პირიმზე
და შეგეხება პირიმზის კერტი.

იქ წინაპრები იქნებიან, ხმელი ბალახი
ააშრიალებს იმათ სახელებს,
მკითა და თიბვით მოღლილ მიწას გადაივლიან
და ყველა თავის მტვერს დააყენებს...

შენ მოგდევს მტვერი?
საით მიდიხარ?
თუ შენმა ცხენმა თვალი მილულა?
რა დაინახე მზის ბრწყინვალეობით
დაბრმავებულმა და თვალებილულმა?

შენს გაჩენამდე ვით ჩაისახა,
შენს სულში მათი სიდიადე ვინ ამოშანთა?
ო, გარდასულით გაღვიძებული
იქ დროშასავით ფრიალებს სული,
გაღვიძებული სული დროშაა!..

შენ უნდა იჯდე უძილობის ნაცრისფერ ცხენზე
და ძალლი უნდა მოგდევდეს ყვფით,
სანამ არსებობ, იარე-მეთქი,
იარე-მეთქი, უფლისციხის კლდინი გზებით...



ჩვენ ისევ მინდვრებს ვუბრუნდებით,

დავეშვიდობეთ

თბილისს და გაქრა თბილისი და გაქრა დიდუბე.
სალამოს ექვსი საათიდან ყოველ პარასკევს
მატარებელი გვარწევს, გვანჯღრევს, გვალაპარაკებს,
სანამ მცხეთაში შევიდოდეთ, მორბის ზაპესი
და მზე იცინის დამსხვრეული ლიანდაგებში.
შეჩრებული, როგორც ბოლო სტრიქონი ლექსის,
მატარებელი მატარებელს დაუცდის ძეგვში.
მერე მიჰკივის აშვებული ქართლის ხეობებს,
იქ, სადაც ჩვენი წინაპრები მოსახლეობენ.
და დადუმებულ მინდვრებიდან ყველას თავისი
ემახის მიწის სიყვარული და ატავიზმი...

• • •

არავინ იცის; სად მიიწევ, ალბათ, არავინ,
გადაიარა შენმა ჩრდილმა ზღვარი გალანის.
სეპტიცხოველო, რას მიელტვი, რა სასუფეველს,
რა დაგისველებს სიხარულის ცრემლით უპეებს...
სულო, ტანჯულო მარტვილობით,
მარხვით ნაგვემო,
ო, ნება მომეც, დაღლილს ხელი რომ შეგაგებო.
და მხოლოდ ზოგჯერ შორიახლო რომ აგედევნო,
მზის ნაბიჯებით მიმავალო წმინდა კედელო...

ოქროს თავეზები

სულში იშლება უგაზაფხულოდ
მოკრძალებული და თავბედური,
გაურკვეველი და გარკვეული,
ნებადართული და აკრძალული,
სუსტი და მძაფრი სურვილის ყლორტი.

შენ არ გსურს, სურვილს რომ ემსახურო,
შენ ვერ იქნები სურვილის მსხვერპლი,
ვერც შენ გაუძლებ და ვერც ვერაგინ ძღვევამოსილი
სურვილის უღელს.

ო, გვედრები, უთხარ უარი!
შესძელ და უთხარ, მრავალ სურვილს უთხარ უარი!
ო, გვედრები, განთავისუფლდი!
შესძელ და მიდი სურვილის ზღვასთან დაუბრუნე
ოქროს თვეზები...

მე გაგიხსენებ უეცრად,
 თუ შენ ჩემამდე წადი,
 იენისის პირველ კვირაში,
 რომ აყვავდება ფშატი.

და თუ მე წავედ შენამდე,
 კასრზე დალიე ლუდი,
 სხვებს უთხარ, ისე გიყვარდი,
 რომ სიყვარულით გძულდი.

ჩვენი ღიმილი ბრწყინვაა
 მზეზე დაგდებულ ცულის

და ფანჯრებივით გამოდის
 გარეთ სინათლე სულის...

რა არის ჩვენი სიკვდილი
 და გამარჯვება მისი,
 ან რისი დასასრულია,
 ან რისი დასაწყისი!..

რა მცირე ხანი გასულა!..
 ჩვენ დაგვრჩა გასასვლელი
 ერთი სიცოცხლე და კიდევ
 მულაზანზარის ველი...



ანდრო თევზაძე

ო რ ლ ე ს უ ლ ი

რომანი

ნაწილი პირველი

შახანიძელს სტუმარი

„თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი ვაზარებელი და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი... დიაღ, სანამდი სოფელში ვიზრდებოდი, სრულიად ბედნიერი ვიყავი.“
აკაკი

აქარა-ახალციხის მთების კალთებზე მწვანე ხეივნებში ჩაქარგულა სოფელი კეთილსურს. იქაურ მცხოვრებთა შორის კეთილამყები კარბობენ. არავინ იცის, კეთილსურს ვაშო ვაჩნდა კეთილამყთა გვარი, თუ ამ უკანასკნელთა სიმრავლით დაერქვა სოფელს ეს სახელი.

აი, ვიწყებ ამბავს კეთილსურს: შემოდგომის თბილი დღეა, შეთრთვილულ მთებს მზე აბრუნებული დაჰფენია. გაზაფხულსაც კი შეშრდებოდა ასეთი დარი. აბა, ამ დროს სახლში რა გაჩერებს ადამიანს, მით უფრო თუ შემოდგომის სამშაოები ეძახის! ხალხი გაქრფილა კიდეც მინდერებსა და პლანტაციებში სამუშაოდ. ეზოებში კი, აქა-იქ, წვრილმანი საქმიანობით ვართულ მოხეტეებს თუ დაინახავ, ფსდუსებენ და ბებერ ძელებს ითხოვენ მზეზე-სირქზე სუფევს ყველგან, თითქოს მზის სხივების ჩახახიცი ისმის.

სოფლიდან ცოტა მოშორებით, მთის კალთებისაკენ მიმავალ ბილივს დინჯად მიჰყვება უცხო მგზავრი, მისი გარეგნობიდან ჩანს, რომ საქმით მანძილთ ვაშორებია სიკაბუკეს, ხოლო ხანდაზმულობიდან ჟერ კიდე შორსაა. მგზავრს მხარზე მოკლებულ ფოტოაპარატის თასმისათ-

ვის მოუჭვდია თითები და უხალსოდ მიანბიყნს. ზოგჯერ შეჩერდება, თვალებარბად გადახედავს არემარეს. უფრო დაბეჭითით კი ერთ ადგილს აცქერდება ვინმემ რომ დაინახოს, უთუოდ გაიკვირვებს, — ვინ უნდა იყოს, ან რაზე მოსულაო, — იტყვის, უცხოისთვის რა არის აქ საინტერესო, ამ უკაცრიელ და უდაბნოქვეულ მდამოებშიო.

მავრამ იყო დრო, როცა ამ გორაკებზე გაუვალის მუხნარი შრიალებდა. მონადირენი ხელდამშვენიებულნი ბრუნდებოდნენ მისი წიალიდან. ამ უცხო მგზავრსაც ბევრჯერ უნადირნია აქ სიკაბუკეში. აჰ! როგორ აღგვილა მიწის პირისაგან ის შრილა ტყეები და წალკოტის მსგავსი მდელოები. კლდეებზე მოჩხჩხუხე წყაროებიც დამშრალან, ხალხი მანც სადღა წასულა? ნუთუ ყველა ისე ათწედა, ნაშიერიც აღარავის დარჩა? ასე რამ გააქრო ერთ დროს სიცოცხლით სავსე სოფელი?

მზე თითქმის სიშუადღეოზე აიწეკრა. მგზავრს მხრებში სიციხე ისრებოვით ემშვეია. შეჩერდა. პიჯაკი გაიხადა, შემსუბუქდა ოდნავ, თითქოს მამე ტვირთი მოხსნოდეს. საათს დახედა, თორმეტი დაწყებულყო. ქუდი მოიხადა და

ცხვირსახოცი შებლი შეიშრია. სადღა მისი წაბლსფერი ბერცხალა თმა? მოთბულ მინდორივით შეერთებულა შებლი და თხემი, მხოლოდ კედზე და ყურებთან შერჩენია ცოტა. წითური სახე ენერგიით საესეა, მხოლოდ შებლს ჰარბად დასტყობია კმუნევის ნაოჭები. ღრმა ამოსუნთქვას იხერაც თან ამოაყოლა და იმ ერთ მინიშნებულ ადგილს უფრო დაბეჭდვით დაუწყო თვალთვლი. მოგონებებმა გაიტაცეს. დიხანს იღვა ფიქრებში წასული. მეგრად დიდობა იგრძნო. წუხელ მატარებელშიც არ მოუსტეგნია რიგბანად, ამ დილით საბარგო მანქანამაც საკმაოდ დაბეჭვა.

ნაღვლიანი მზერა ისევ ხევეს გაღმა, გორაკის ჩამოფრდებულ, გადართულ ზეგანს მიაპყრო.

ასეთი როდი იყო ეს არეზარე ამ ოცდაათი წლის წინათ...

თვალწინ წარმოუდგა ცადატყორცნილი, ლაღად მხარგამლილი, ასწლოვანი მუხა, რომლის ფოთლები, ნიავის ოდნევი რხევაც რომ არ ყოფილიყო, მისეც შროალებდა და მისგან მოხანებური სით სიამეს მგვირიდა ადამიანს. მუხის ახლოს, მსგებრემორავდულ, ხაერდოვანი მართით აბაბინებულ ეზოში ისლით დახურული ფიცრული იღვა. ოთხევე მხარეს დაჯართლიყო ტოტავილილი ხილნარი. სახლის გვერდით, ეზოს ბოლომდე, აღადსტურის ზვარი ბინივებდა. აღადსტური ჩატმასნებოდა მალად ხევისაყ, ტოტების ჯოჯაებში ჩალასტულიყო მისი მხვიარა ლერწები და შემოდგომით, სწორედ ამ დროს, მყვალთვით შავ მარცვლებს გამოაოთავებდა ხოლმე მწვანე ფოთლებიდან ვენახის გასწვრივ, წიფლების გადაჭდობილ ტოტებქვეშ, მოჩუხჩუხე წყაროსთან, საჭურე თილარი იყო გამართული. თითქმის წლის ყოველ დროს შეგეტლოთ ტოტებზევე მოგწვევითა ნაირ-ნაირი ნაყოფი და გეგემნათ მისი სიტყბი.

ამ ამწვანებულ ეზოში გაატარა თავისი უღარდელი ბავშვობა ამ უცხო კაცმა. აქ ისმენდა დედის ტბილ იავნახას, ლაღდებოდა ბებიის მშობლიური ზრუნვითა და ბაბუას აღერსიანი მფარველობით. აქედან მიწვდა მისი თვლი გაღმა, ა იმ პოეზს, ცამდე რომ აყუდებულან, რომლითაც ისაზღვრებოდა მამის მიხატვის მთელი სამყარო.

კარგად ახსოვს, ბაბუა რომ დილაობით წახაკუნდებოდა წიფლის ტყეში, ეზოს ბოლოზე, და ყალიონის ერთ გაცლაში, გარეულ ქვრდელს ამოიტანდა. ისიც აგონდებდა, ბებიამ პირველად რომ წიყიყანა იმ ტყეში სოკოს საკრეფად. რა ლამაზები იყენენ ხმელ ფოთლებში პატარა ჭოლგებივით დასკულებული წითელი სოკოები.

...მედიდ-რეა წლის თუ იქნებოდა მამის, რო-

ცა ბაბუა საირიდანმა პირველად დასვა ჩორჩალა ურეშე და წისქვილში წიყიყანა.

— ბიჭო, სანდრო, ბაბულ კირიმი, ხელი მაგრად მოსკიდე ურმის ხელნარს, არ გადმოვარდე, არ დაშლივო! — თითქოს ხეყწით ეუბნებოდა შეილიშვილს მოხუცი.

სავე ტომარაზე წამოშდარი ბიჭი უღელში შებმულ ხარებს გამოცდილ შეურბესავით შესაბოდა: — ეში, ხარო, ეში, გენაცვალე, პო..

ხარები ვაჭირეებთ მიიზლანენებოდნენ სოფლის შეუკამი. ბაბუა საირიდანს სარქე ეჭირა და ურემს მიუძლოდა. ხანდახან კოფოზე კერდღელივით დასკუებულ ბიჭს მოხედავდა, არ გადმოვარდო, გააფთხობლებდა კიდეც და ისევე გაქანავდა თოკს. არ უშველა პაპის ვაფრთხილებამ. ურემი მოხრდილ ქეას წამოყოლო, შემბობიდა, ჭეხე აგრებულ ინხეყკად აყირავდა და პატარა სანდრო ძირს გადაისროლა. მისმა მოულოდნელმა შეკვილებამ თავხარი დასცა მოხუც საირიდანს. კეკაინმა ხარებმა ხიფათი იგრძენს და უცებ შეჩერდნენ. ვეულნაგბენივით ელდინაცუა საირიდანს მამინევე მოვარდა ხარის თეხებთან ტალახში მოყუნტულ ბიჭს. ურმის თვლი პირდაპირ თავზე გადაუვლიდა, ერთი ნაბიჯითაც რომ წაწეულიყენენ ხარები წინ. მოხუცმა მამინევე ხელში აიყვანა ბაბუა, მგერარში ჩაიყრა, სინჯვა დაუწყო.

— ხომ არაფერი იტყვი, ბაბუ გენაცვალის, არ გეუბნებოდი, მავრად მოკიდე ხელი-მეთქი! ღმერთი დააქცევს ამ გზას, საშველი არ დაადგა მის შეეეთებას...

საირიდანის მამინდელი შემკრთალი ხმა თითქოს ახლაც ესმის სიჭაბუკეს გადაცილებულ შეილიშვილს.

„მთის ჩორჩალა ურემში საწყალი ბაბუას ტრანსპორტი... რა შორს წაივდა ცხოვრებამ, როგორ სწრაფად შეიცვალა უცვლელიც!..“

მოგონებათა სიღრმეში ჩორჩალა ურემს თითქოს თეთრი ნისლი გადაეფარება, ბერეში საოცარი ზოიადი ვაისმის, ვიგანტური ლიწენრა ურეგრად შეტოვდება, ალბათ, პერის ცარიელ სიღრმეში შეიჭრა.

ურჩნალის ფურცლებს დაწაფებული თვალის გუგუბში დაწვარასთან ჩამოქროლილი ღრუბლის ჩრდილი გაიბრუნს.

— ათი ათას მეტრზე აესულვართ, — გოცეებით ამბობს ერთ-ერთი თანამგზავრი, რომელიც კაბინის კედელზე მიმაგრებულ ალტიმეტრს აკვირდება.

— აბა, ამას უცქირე! ეს ფანქარი თბილისში დეაყენეთ ასე და ხედავ? მას აქეთ არც კი შეჩბებულა! — ალტიმეტრს ვერ ფარავს მაგიდასთან მჭდომი აბალკაზრდა. ყველა მისეც მიიხედავს. მაგიდაზე წაფილული ბოლოთი მართლაც უძრავად დგას ფანქარი. მერე ფანქრიდან მოსკოვის ცათამბეჭენები და კრემლის ტაძრების მოკაფე გუმბათები გამოჩნდებიან...

ისევ წასლით დაიბურება ყველაფერს და ბურუსში კვლავ სოფლის შუკა, ჩოჩილა ურკბი და შეშინებული სარიდანი გამოისახება...

მოგონებებში ჩამირული კაცი უცერად გამოერკვევა, ირგვლივ მიმოიხედავს, არსაიდან ტაქანება სულეერისა. ამჩარებელი ნაბიჯით წავა იქითაცნ, სადაც წინათ დიდი მუხა და ბაბუა სარიდანის ფიცრული იდგა.

იმ ადგილს კი, სადაც ახლანან იმყოფებოდა, მუხის, წიფლისა და წაბლის ტყე იყო. ამ ტყეში ბევრჯერ მოუგრობებია წაბლი თუ წიწიბო, ჯიბეებსა და უბეში რომ არ ჩაეტეოდა, ჭუნდაც აივს იყენდა, შამშვეისს კაბჭებით და თაისგვარ ჩიტთა ელურტულთ აღტაცებულ დაჯდებოდა ჩრდილში და ბალღურ ოცნებებში ვაფრინდებოდა. დაახლოებით მოისახრა, სად უნდა ყოფილიყო ის ბილიცი, ბაბუა სარიდანის ეზოს რომ აერთებდა სოფლის საურმე გზასთან. იმ ბილიკით ბევრჯერ წაყურებულა იგი სკოლისაყენ ჩანთავადკიდებულში.

ახლაც იმ ბილიკითა თუ ნაბილიკარით წაივდა ნასახლარისაყენ და დიდი დროც არ დასჭირებია იქ მოსასულად. თუმცა რა გამოვიდა?

„ოღნაიე კვალიც აღარ დარჩენილა!“ — გაფრთხილდა გულში ფიქრი.

„შენს მესხიერებაში ხომ დარჩა?“ — ფიქრმა ფიქრი გაჩინა.

„იქ, ჩემი მესხიერება!.. ჩემი მესხიერება ცხოვრების საემოად გრძელი გზითა და შრავა-ლი ტანჯვითა დაეკალა, — ახლა თვითონ უნასუნა ფიქრებს, — იქნებ ბევრსაც კი ვიპოვნე იმ ნასახლარის თუ ჩემი დასწვობის კვალის!“... მაგრამ ყრმობის შთაბეჭდილებანი ხომ ყველანზე ძლიერად ახსდება ადამიანის სულს და მესხიერებაც წარუშლელად იჩინავს.

ამ უსიტყვო ბაასში მივიდა კიდევ „ასწლოვან მუხასთან“. „ფიცრულისაყენ“ შებრუნდა და ერთხანს უცქირა გამჭრალ წარსულს.

მერე „ფიცრულის“ „უკანა თვალში“ შევიდა. აქ ცეცხლი ენთო, აქ სახლის კედელი იყო. პატარა სარკმლიდან უყვარდა ცქირა გუნათლის გორის მიღმა, ცის უსაზღვრო ლავიერდებში გადვრნა მზერისა. პო, აქ იყო ნამდვილი!

... მაშინაც ასეთივე შემოდგომის დღე იყო, აი, აქ, სახლის გვერდით იჭდა, მაღალი მსხლის ქვეშ, მუხლებზე წიფნი ედო და გაკვეთილს სწავლობდა. ხევის გაღმაც კი ესმოდათ მისი ხმა მერობლებს: „ღამე მთაში“, „ღამეში კეფა ფშაველისა“:

„დაღამდა... წერონი ვარსკვლავნი
აყუადუნენ, დასხდუნენ ცაზედა;
მთავარე კი — ჯერ არსადა სჩანს,
ჯერ დავნათოსთ თაუზედა.
ჯერ თუ არ გაუღვიძნია,
ისევ თუ სჩინავს მკლავზედა!

ჯერ გამარჯვება არ უთქვამს
შემომჯღარს გორის ფხაზედაც
სხიენი არ დაუგზავნია
პირის სპანანდ წყალზედა...“

გამბულად კიბულობდა, მერე თავს ასწევდა და ზეპირად იტყოდა, იმეორებდა, ზეპირათვის კარვალ უნდა სცოდნოდა.

გაკვეთილის სწავლაში შემოაღამდა. შემოდგომის სინესტემ ოდნავ უბნინა. სახლში შევიდა, წიფნი შეინახა. სიხუმეში მარტობა ივარჩნო და შეეშინდა. ბებია და დედა დაბამი იყენენ ბაზრობაზე, ბაბუა სარიდანიც არ დაბრუნებულა ქალიდან. „ყანას დაზევდაც, ხარებსაც მოეპალახებო“, ასე დაუბარა დილით ტერების, თავად გაიგონა, ჯერ კიდევ ლოგინში მწოლავე სანდუმამ, მოსწავლე დას ჩააბარეს ოქახი. და აი, ყველანი იგვიანებენ. სანდუმა ახლა მესამეკლასელია, ტოლუმში ვეკავობს კიდევ, მაგრამ ჯერ სახლში მარტო არ დარჩენილა. შიშმორეული ბიჭი გაფაციკვეთით ავჯირდება ვაღმა ტყიდან ეზოსაყენ მომავალ ბილიცს, მაგრამ არსად ჩანს მისი ფფრთხი დაი.

ქათმებში დაიბურდეს. ეზოს ბოლოდან ძროხის ბღავილი მოისმის, ბებიას უხმობს, მაგრამ ბებია და დედა კი არსად ჩანან. იქნებ დამაც ევლარ მთაღწიოს სახლამდე. მან ხომ ტყის ბილიკზე უნდა გამოიაროს და ვადაღვრება მგლებსა და ტურებს? (მისი ოფიცედა). მერე, იქნებ, ის მგლები და ტურები აქაც მოვიდნენ... (მისი ცრემლებად ჩამოვარდნა ლოყებზე). უკვე სიბნელე ეუფლება არემარეს. ვაღმა ტყე კუნარს უმსგავსება. ძროხის ბღავილი ისევ მოისმის. ატარებული ბიჭი სახლის კარებს ჩარახავს, ეკრისათნ ჩამოუჭდა პატარა სკამზე, ლია სარკმელს მიჩერებდა. სარკმლიდან მხოლოდ ვენათლის გორის შავი სილუეტო მოჩანს. მის მიღმა ცის კაბადონი ოდნავ ანათებს. სადღაც, ტყის გულში, ჭოტი აყენსდა (ბიჭი ხმაყულალ ტირილზე ვადაღის). კარები თუმცა დაკეტლია, მგელი და ტურა აქ ევლარ შემოვა, მაგრამ დას ხომ შეეპაწა? შიში იზრდება, იზრდება სარკმელში მოცქერალი ცის სინათლეს. მაგრამ სინათლემი ხომ უფრო მოაგნებენ სახლს მგლები და ტურები და სარკმლიდან ისკუებუნენ. უნდა მიხეროს სარკმლის ყაფაზა, მაგრამ სიბნელეში როგორ გაჩერდეს? სარკმლიდან ოდნავი სინათლე მაინც შემოდის იმედად.

ცა კიდევ უფრო განათდა მთის ზურგთა; ცოტათი აღისფერიც შეებარა. შეპარახლებულმა ცამ ბიჭის ყურადღება მიიპყრო. ვენათლის მთაც უფრო გამოჩნდა. ის ანათებს მის თუ ცა ანათებს მას, ძნელი გასარჩევია. არა, ცა ხომ იმ მთაზე დაბეჭენილი და სულერთო არაა, რომელი რომელს ანათებს? სინათლე იყოს ოღონდ, სინათლე იმედია. სინათლემი დას არ

გაუქირდება ტყის ბილიკზე სიარული და იქნებ დროზე მოვიდეს, დროზე უშველოს შემინებულ ბიქსს.

ეს თითქოს მიხვდა მის სურვილს და აი, უმატებს შუქს, უფრო იჭაბბლება, ცეცხლის ფრეკები მძლავრობენ თანდთან. გენათლის მთის ზურგი ისე განათდა, უკვე მაღალ ხეთა ლანდები შეიმჩნევა. რალცანიარად მშვენიერდება ტყე, თითქოს ვერცხლისფერებში იძირება აირეშარე. უფრო მკვეთრი ხდება განსხვავება ცხა და მთას შორის. ჩანს, ეს არ არის გენათლის გორაკზე დაბეჭენილი, უფრო შორის არის. სინათლე სწორედ გორის გადაღმა მჭრიდან მოიწვეს ხევით. მოიწვეს, მოიწვეს და აი, მთვარის წყერმაყ ამოჭრა მთის პირიზონტის ბნელი ხაზი, ამოჭრა და პირდაპირ თვალუბში ჩაქურტი ცრემლიან ბიქუნას, ჩაქურტი და თითქოს ყურშიც ჩასჩურბლა: ნუ გეშინია, მოვლივარ შენს მოსაშველებლად! წუთიც არ გასულა და გაბადრული მთვარე სწორედ ისე შემოჭდა მთის ზურგზე, როგორც წელან კითხულობდა:

„ჯერ გამარჯვება არ უთქვამს შემოჭდარს გორის ფხაზედ“.

ნამდვილად ისე შემოჭდა. „სხივნი არ დაუგზავნია პირის სახანად წყალზედა...“ აი ახლა დაგზავნის, უთუოდ... და, ბუნების ამ სილამაზით მოყადოებულ ბიქს მართლა მოეჩვენა, თითქოს მთვარის სხივები ჩავიდნენ ქვემოთ, წიფლების ძირში, წყაროზე და პირი დაიხანეს. პირდახანელ მთვარეს წყაროს წინწლები დაახანდა სახეზე, ახლა უფრო ანათებს, უფრო მეტად აშუქებს ქვეყანას. როგორც აელვარდა არეშარე, შარავანდედით შეიმოსა ტყის ზოლები, უფრო გამჭვირვალე ვახდა ეს, ნამდვილად ისე ამოჭმედდა ყველაფერი, როგორც იმ ლექსში კითხულობდა. რა კარვად უამბობს ხეად მასწავლებელს გაკეთილს, ერთი სიტყვაც არ შეეშლება; იმ ლექსს კი არა, აი, ამას, ამაღამდედელ მთვარის ამოსვლას უამბობს, და ეს ხომ იგივე იქნება?!

იმ ღამის მოგონებამ ნასახლარზე მოსული კაცი ისე გაიტაცა, მის თვალში თითქოს აღარც ანათებს საშუადღეოზე აღწეული მზე და მხოლოდ იმდენად მთვარით გაბრწყინებულ ღელამოს ხედავს...

მოგონებაში წარმოსახული მთვარის ამოსვლის სურათი ვრძელდება. პატარა სანდრემა სულგანახული შესცქერის მთვარეს, თითქოს მისი ხმაყ კი ემისი, აი შემოსტინა კიდევ. მე-ჩრ მთვარის სახეზე ყაბაღახმობეფული ხაბბუა სარდიანიყ გამოისახა.

უკვე ჰიმერის ჭრიალი გაისმა. ვარდომ და ტერეზომ თითქმის ერთხმად დაიბახეს:

— სანდრემა! ამ სიბნელებში მარტო ხარ, შეილო?

დღესა და ბუბიის ხმამ მთვარეს სიმშვენიერით დატყვევებული ბიქვი გამოაფხიზლა:

— აქა ვარ, დღესა — იმედმოცემული შეეხამურა, სწრაფად გაალო კარი და ჩაბნელებულ სახლიდან გამოვიდა.

— ის გოგო სკოლიდან არ მოსულა?

— აი, ჩვენი მოვედით! — ეზოს მეორე მხრიდან ძია ლაზარეს ხმა მოსმა. სანდროს დაი სკოლაში მეორე ცვლაში დადიოდა. მასწავლებელს რალაც დაეღება მოუცია და დაგვიანება, შებინდებულში ტყის ბილიკებით მარტოს წამოსვლა შემინებია, ბიძასთან გამოუღვლია და თან წამოუღვანია.

ამასობაში კომპარს დასარქული ხარებიც მოაღვა. სარიდანმა პირუტყვი დაამინავა და შერევათ ბიქის მარტობის ამბავი. უსიამო წუთები ლაზარეს სტუმრობამ და მხარულმა ბასმა შესცვალა. იმ ღამეს სანდრემასაც არ დაუძინია დიღხანს, ბაბუა სარიდანისა და ძია ლაზარეს ალადასტერის ნელინელ მსმთან შეყოლებულ ტუბლ მასლაოს უგვებდა ყურს...

„ეჰ, საწყებუბო! ისე დამთავრდით, ვერაფერში გამოგადექვით!“

ნასახლარზე მყოფი კაცი ისევ მთვარის ამოსვლისა და „ღამე მთაშის“ სურათებმა გაიტაცეს.

„აი სიმშვენიერეს ვანა შეგვებდი სანდრე? ქვეყნად ათსავარი მშვენიერებაა, ათსანიარია მთვარის ამოსვლაც, მთვარე ყველგან ღამეზია, მაგრამ...“

მართლაცდა სად არ უნახავს ამ კაცს მთვარისანი ღამე, მთვარის ამოსვლა თუ ცაზე დარბაისრებდა მისი დაბრახანება, მთასა თუ ბარში, მდინარებებსა თუ ზღვასთან, ბახმაროს მთებში და ალაზნის ველზე, არაგვის ნაპირებთან და თუ გნებავთ, მდინარე ჩარტლუკას ხეობაშიაც კი, აი, იქ, სადაც თვით ამ ბრწყინვალე ლექსად იქცა ბუნების ეს ღიღებელი სურათი, მაგრამ მაინც არსად ყოფილა იმეფარად მომეფადოებელი მთვარის ამოსვლა და მთვარისანი ღამე, როგორც მაშინ იყო, სწორედ მაშინ, შორეულ ლი მოგონებთაყ რომ ატკობს ძველ ნასახლარზე მოსულ ადამიანს...

„ფიკრულიდან“ გამოვიდა და მუხის „ჩრდილისაყენ“ გაეშართა.

ახლა, სახხრეთით წიაღტბნის მაღალმა მთამ მოსტაცა მზერა. იგი მართლაც ცის წიაღშია შეჭრილი. ბავშვობაში ძლიერ უყვარდა მისი ცქერა, რა დიდებულად ჩანდა აქედან. ის ხან იმ სპილოს მოაგონებდა, „ღდაც ენაში“ რომ ვახტა, ხანაც დაწოლილ კამერას ამსვავებდა. კალთებზე ამჩრიალებული კომჩორა ტყეების ნიორ-ნაირობა, მის ბავშვურ წარმოსახვაში ზოგჯერ მონადირესა და გაქცეულ ბრემს დაუყენებდა თვალწინ. წიაღტბნის მთა ზამთრის თვე

ეშვი იყო განსაკუთრებულად ლამაზი; როცა ვერ კიდევ თოვლის ჰაერზე სხვაგან არსაით ჩანდა, მისი კალთები თეთრად შეიფუთებოდა ხოლმე. ზოგჯერ ნისლი მოებურებოდა მის შვენიერ კალთებს და ის მოჩვენებითი ირემიც, თვალთავან მიედარებოდა იმ თოვშემართულ მონადირეს. რა მშვენიერი იყო წილენბნის მთა, ბუნების სიდიადისა და ძლიერების წარმომსახველი. ახლა სადღა აქვს ის სიმშვენიერე, აღვივლა მის კალთებზე მოშრიალე ტყეები. აღბათ, ის წყაროც დაშრებოდა, აქ რომ ლაკოვებდა, დიდი კაკლის ჩეროში.

გუმონდულ ამბავსავეთ ვახსენდა, ბაბუა საოიდანს რომ ახლდა ერთხელ მთაში, ხარების ჩამოსაყვანად. იმ წყაროსთან შეისვენეს, ცოტა ხნით ზაფხულის ცხელი მზე მოივრჩეს. ვერას-გზით ვერ შესწლო ერთი ჰიქა წყლის ბოლომდე დალუვა, კინაღამ კბილები დახრა, მერე ხელის დაბანისას ლამის თითები გაეყინა. აღარც ის კაკლის ზე ჩანს, გამელოტებულა დიდებელი წილენბნის მთა, ქვეყანა კამეჩს დამსგავსებდა.

ახლა სიბრაზეც ვაჩნდა გულში. თავი მიანება კაკლის ხესა თუ წყაროზე ფიქრს. წასასვლელად შემობრუნდა, მხრიდან „ფედის“ თასმა ჩამოეცურა.

„რა უშეშად წამოვართიე?! აღარაფერია გადასაღები ამ უკაცრულ და უღაბობოცეულ ადგილებში, ან ამ მოგონებებს ასახავ სურათზე?! ისინი ზომ სადღაც, შევინო, გულის ღრმა კუნტულში იმალებიან, ჩემად მიუყვლენი, რომელთაც ზემოდან ფარავენ შემდგომი დროის განცდანი, ზოგი შწარე, ზოგიც სედიანი, უფრო ნაყლებად მხიარული, საერთოდ კი, მძაფრი და მღელღარე. მაგრამ სულ მცირე მიწეზია საჭირო და ერთბაშად წამოიშლებიან, გრძნობებად ამოტივტივდებიან და სულსა და გულს მზივდ მოაწვებიან“.

თბილისიდან წამოსვლისას „ფედის“ თან გამოიყვლა, ფიქრობდა, ზოგ რამეს გადავიღებ და ჩემს ალბომებს დაეამშვენებო, მაგრამ ვერ გამოიყვინა. დღეს დიდი ჩამოვიდა, მამიდასთან უნდა ვაატაროს შეებულება. საშუხაროდ, არავეს დახვდა შინ.

აღარც მამიდის ძველი სახლი დახვედრა სახდროს. დიდი ოდა წამოუტივავს „ანანოს ბიჭს“ — მირიანს. ბევრი სხვა სიახლაც იგრძნო დიდი ხნის უნახავ, მაგრამ მისთვის მაინც კარგად ნაცნობ ეზოში. აივანზე ავიდა, ხელბარგი და მირიანის ბავშვებისათვის წამოღებული სათამაშოები სკამლოვინზე დააწყო. ჩამოყდა, არუმარე შეათვალე, მეზობლების კარმიდამოებსაც გადახვდა, მაგრამ ვერაინ შეინშნა. მერე ხევის გაღმინდა სიმღერა მესამე, პატარა გოგონებები თხებს მწვემსავდენს, ერთი ყვირინა და მხიარულება ჰქონდათ.

აღბათ, ერთი საათი გავიდა. რა გრძელია

აქური ერთი საათი, თითქმის მთელი დღის ტოლია. თბილისში კი დრო თვალის უსწრაფესად გარბის. რამდენი საქმე გქონდა? დე ნახევარიც ვერ მოასწარა, ზვლისათვის ბევრი დავარჩა, „ხვალსაც“ ხომ თავისი საქმეები მოაქვს და ასე გაუთავებლად ვარბიან და გამოარბიან. თუცა შენზე უფრო საათის ისრები ვარბიან, თითქოს მანქანებს, ავტობუსებს, ტროლეიბუსებს ეჭიბებოდნენ, და ეს პატარა ქინძისთავენი სჯობნიან კიდევ სისწრაფეში ხალხით დატვირთულ ვაგონებს. ასე ზანტად თუ იარაქ დრომ, რა გაძლებს სადამომდე? რა ძველია უმასპინძლო სტუმრობა! სახლის კარები მაინც იყოს ღია, ასე უსაქმოდ როგორ დააღამოს? იქნებ ახლამ არც კი მოვიდნენ? საღ ან ესთთან წავიდეს? აღბათ, ვეღარავეს იცნობს; თითქმის 25 წელია არ ყოფილა აქ; ისიც ისე შეიცვალა, როგორც აქურობაა უსცვლელი. სოფლის მსვერებებიც უთუოდ ახალგაზრდები იქნებიან. თანამგზავრებიც ვეღარ იცნო დღეს ავტომანქანაში.

თეთონაც ხომ აქურია, მაგრამ რაღა აქური ეთქმის, თუ ვეღარავეს იცნობს და ვეღარავეს იცნობს? ვარდასულა ეამი ხსოვნისა! რა გრძელს ყოფილა 25 წელი, მეოთხედი საუკუნე. 33! მშობლიურ სოფელშიც ვეღარ გცნობენ. ეს არის საქმე?! რა ბედუნაა შენი სწავლავანათლება, კაი კაცობა, თუ მშობლიური მიწა-წყლისათვის უცხო ხარ?! ნათესავეები და მეზობლები თუ ვერ გიხილავენ და სხვად მივიჩნევენ?

მარტობის თავისდასაწვეად მშობლიური უბნისკენ ვავლა იჩნია. ყრობის ადგილებს მაინც მოვიხატებოდა, — ვაიფიქრა და ვასწია კიდევ. გადაიარა პატარა სტრა და... აი, ახლა აქ არის, მის „საკუთარ“ ეზოში, ეზოში კი არა, აეზოვარში, ნახალარზე...

... ბაბის ეზოდანაც ვავიდა. ახლა აღარ ეძებს, საღ იყო ის ბავშვობისდროინდელი ბილიკი; სულ ერთია, ყველაფერი ვასწორებულა, ერთფეროვანი გამხდარა ყოველივე, ის დიდი ქვებიკი, აღბათ, დავარება წაიღეს...

ორიოდე წუთში მივიდა ნასოფლარის წინანდელ გზასთან, საიდანაც გენათლის გორა იწყებდა. აქვე იწყებოდა ის მუხნაროც, მთვარისანი ღამის მოგონებები რომ შრილებდა წელან.

იგი ახლა მშობლიური სოფლის სრულად დანახის სურვილმა შეიპყრო.

ნახებობა თავისთავად წაიყვანა მთის ზურგისკენ.

რამდენადაც მალა ადის, იმდენად დიდებდა მორიზორტი და პატარავდება გულს მოწოლოლი სევდა. აღმართში ტანის სიმძიმე იგრძნო, ხელედი თემოზე შემოიჭლო, აი, ისე, ბაბუა სარინდამა რომ იყოდა აღმართზე ასვლისას.

ყოველი ნახიცი აქ უფრო ხევიანი ჩანს, ფეხის თითოეულ გადადგმაზე, ქვეყანა უფრო ფა-

რთოდებმა, სინათლე ემატება არემარტს, მთუ-
ბიც ზევით მისწრაფიან და მრავლდებიან. ეს
ამაღლებს კი აშშ-ში და ალაღებს სულს.

დიდი დრო არ დასჭირდება და ჩვენი „სტრუ-
ქტურა“ გენათლის გორას ზურგზე მოექცევა, აი, იქ,
წყლან რომ პორიზონტის ხაზი იყო გაულებუ-
ლი, ოდესღაც რომ პირდაპირი მთაზე შე-
მოქდა. რა დიდი ჩანს აქედან ქვეყანა. ბევრგო-
ბამიც ასე ვრცელი ჩანდა, ასე მომაქადლებე-
ლი იყო ეკამისფერო მალაღი მთების ახოვა-
ნება და მათი, ზოგჯერ ნისლმობვეული, და-
თვლილი შუბლი. მაშინ ვერ წარმოედგინა,
რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმ მთებს იქიან,
იქ თავდებოდა ქვეყანა თუ კიდევ ვრძელდებო-
და? ახლა ყველაფერი იცის, იცის, სად რამე-
ლი მთაა და იმ მთის იქით კიდევ რა არის, მა-
შინ ხომ ქვეყნიერება მარტო ამ სოფლისოდენ-
ია ეგონა, მხოლოდ წიაღუნისა და გენათლის
მთებით შემოფარგლული.

აეღა თუ არა მთის ზურგზე, შეჩერდა. არა,
კი არ შეჩერდა, გააქვეა იმ სიღამაზემ, რაც
ჩრდილოეთით წარმოისახა: უშვენიერესი რი-
ონის ველი, ლიხის ქედებიდან ვიდრე შავ ზღვამ-
დე. რიონი ზიგზაგით გადასერავს ამ დაბ-
ლობს, დიდი თევზის ზურგივით დაბლაქებს
აქა-იქ, ალაგ-ალაგ ხეობა კორთმებს თუ კბოდე-
ვით ეფარება. ზემო მხრისკენ იგი ტბასავით
შეტბორებულა და ბროლის სარკესავით კრი-
ალებს; ეს ის ადგილია, ყვირილია რომ უერ-
თდება რიონს. დასაყლებითაც ასეთივე სარკე
იქცობება ცისკენ. ეს კი ცხენისწყლის შესარ-
თაფია, მდინარეები ერთდებიან, შეტბორდებიან,
მივ ვარსკვლავებმა რომ ადვილად ჩაიხედონ
და ზღვასავით ვადაჭიმული რიონის ეყე ორ-
ლი თვალთ მისჩერებია ცასა და შალად მთებს.

რა წარმტაცად მოსჩანან კავკასიონის მთა-
გრებილები, ჩრდილოეთით რომ ერთქვიან რი-
ონის ველს. გვირგვინებივით ამშვენებენ თეთ-
რულსის და უშვას ელვარე შწვერვლები, ცა
რომ გაურღვევიან და ნისლებს ზემოთ აჭრა-
ლან. უფრო ახლოს, მარად მდუმარე ხეამლის
მთა ვაღმომდგარა, ზეპარებში გაგონილ დევის
კბილებად რომ ეჩვენებოდა ბევრგობამი. შალა-
ლი საყვარლები აღმართულა ხეამლის მთის
ძირას, მწიანებში შერეული თეთრი ოპოქუფხე-
დები კრიონ თითქოს. ის საქართველოს ძვე-
ლი ისტორიული ქალაქია, დიდი თამარის ნა-
ტახტარი და სოლომონ მეფის სატახტარო...

ტახტის მფლობელთა გახსენებამ შაბუა სარი-
დანის ნაპბობი მოაგონა, რომ კეთილად სო-
ლომონ მეფეს დაუსახლბოდა. ეს ტყიანი და
უკაცრიელი ადგილები უმიწაწყლო ჭარისკაც-
ბისათვის უბოძებია თურქეთთან ერთ-ერთ
ბრძოლაში გამარჯვების ჭილდოდ. ის ჭარისკა-
ციები გელათის სამონასტრო გლეხები უოჭი-
ლან. ერთი იმათგანი ამ კაცის წინაპარი იქნე-
ბოდა, ალბათ, შაბის შაბის მამა. შაბუა სარი-
ბ. „მნათობი“, № 3.

დანსაც უამზნია თავისი მამის ნათქვამი: სიჯ-
ბუცემი მამანგუს ხელბიჯარ გელათის ახლოს,
ნათესავეები და იმ დიდ საურხარში წირვა-
ლოცვა მომისმენიაო.

კეთილადრის იმ პირველმა მოსახლეებმა
თურქე გელათის ტაძრის სანაცვლოდ პატარა
ველესია ააგეს, რომელიც გენათლის გორიდან
ყელმშამართული გედივით დიდხანს გადასცემ-
როდა რიონის ველს.

შედაგრებით ახალგაზრდაა ეს სოფელი. არ-
სად ერთი ისტორიული ციხე-კოშკი არა დგას,
არც მისი ნანგრევი ამშვენებს სადმე გორაკის
წვერს, ასე გასინჯეთ, საფუენოვან ხეებსაც
ვერსად შეხედებით. ერთი დიდი ცაცხვი იდგა
სოფლის შეაგულში და, შგინი, ისიც მოუტ-
რიათ...

ერთბაშად მოავლო თვალი მთელ მის სო-
ფელს, უწინ რომ ერთ დიდ თემს წარმოად-
გენდა, ახლა კი რამდენიმე სასოფლო საბჭოდ
და კოლმეურნეობად არის დაყოფილი.

მისი შშობლოერი სოფელი ისევე იქ არის,
წიაღუნის მთისა და გენათლის გორას შუა
ჩაუჩხებელი. ერთი მხრით რიონის ველს შე-
ერთებია, როგორც მდინარე ზღვას. ვადასხვი-
ფერებულა, გამოცვლილა, ბევრი რამ ახალი
შექმნილა. რიცა აქედან ბავშვობისას ვადაუ-
ხედავს, მთელ სოფელში მხოლოდ ისლიანი
ქიხები ჩანდა, ისეთა, ბაბუა სარიდანს რომ
ვდგა, უფანჯრო, მიწის „იბატაკით“ და ჩე-
ლტის სტვენით „დამშვენებულა“. ახლა ორ-
სართულიანი ოდა სახლები წამოუტიმავთ ყველ-
გან და სიმწვანეში თეთრად, ან წითლად კია-
ფობს მათი სახურავები. ზოგჯერ მებთანო-
ღივით მიუბეჩნია ცისთვის რადიოანამები. სოფ-
ლის ცენტრში, სადაც უწინ სათემო საბჭოს
სახლი იდგა გვიანტრო შენობას საუკრე გეშვით
ვატურია. ეს უთუოდ დაბლა სოფლის კოლმე-
ურნობის კულტურის სახლია.

„წელში გამართულა სოფელი, ბარაქით ავსე-
ბულა კოლმეურნეობა! ამ ჩემს უბანს კი რა
ღმერთი გაუწყრა, ერთიანად რომ ვახვეტი-
ლან? ისეთ ადვილს სად აპოვნინდენ. შრომა
არ დასჭირვებოდათ? შრომით ხომ აქაც ყვე-
ლაფერი იყო!“

შეშობლოერი მიწა-წყლის ნახვამ, ცოტა არ
იფოს, გუნება აუფორიაქა შინდამრუნებულ
ქალაქელს. ველის სიღრმეში სინანულის შაგე-
სი ტკივილი იგრძნო, შავრამ თავი წაართვა ქა-
რად მოსუელ მოგონებებს და, თითქოს ხელა
ჭკეკო, უცებ დაეშვა დაღმართზე.

წიგნების შიხ

გენათლის გორის კალთები ჩამოათავა თუ არა,
ისევე ძველ ნავაზურს დაადგა.
ნავაზურმა თუ ნაბილიკარმა პატარა ბორცუ-
ზე გადაატარა, საღდანაც მთლიანად მოსჩანს

კეთილადეთა უბანი. აი ანანო მამიდას კარმი-
დამო. მის ვასწავრე კი დიდი მინდორია. რამ-
დენჯერ უთამაშია იმ მინდორზე ტოლ ბიჭებთან,
მირიანთანაც ბევრჯერ დაუღლია სირბილით
იქაურობა.

სანდრო და მირიანი თითქმის ტოლები იყვნენ,
ორიოდე წლის განსხვავება ვერ თამაშად მათ
ბალდურ ფიქრებს. კაცისა თუ რიკტაფელას
ტანამის შემდეგ ტბილ შესაფხში შერჩებოდნენ
ხოლმე იმ მინდორს. მერე მთავარ გადმო-
დგებოდა გენათლის გორიდან და ყმაწვილებს
სულ ავიწყლებოდათ შინ წასვლა.

დღი დრო გავიდა მას შემდეგ, ოცდაათ წე-
ლიწამდე შეტე და თითქოს გვიწინ იყო. კარგა
ხანა მირიანიც არ უნახავს. ინსტიტუტის დამ-
თავრების შემდეგ მირიანი თავისივე სოფლის
სკოლას დაუბრუნდა, ზანდახან თუ ჩავიდოდა
თბილისში.

მირიანიც მამით ადრე დაობლდა. დღი გა-
ჭირვებით გამოზარდა ანანომ ერთადერთი შვი-
ლი, რომელიც ახლა უკვე ვაჟკაცი, ოჯახისა
და ერის კაცი, ცოლ-შვილითა და საზოგადო
საქმეებით დატვირთული. მირიანმა საყვედურის
წერილებით აავსო სანდრო: „ერთხელ მაინც
ჩამოდი ბიჭო! არა გრცხვებია, სულ რომ და-
ვიწყე შენი გამზარდელი მათელი? მამიდაშენი
გახოვს, ნუ მომიკლავ შენს უნახავადო...“ შე-
კაცი, თბილისში ეის არ უტყობია, მაგრამ
განა სხვა ყველაფერი დაგიწყნია? და აჰა,
შეტსრულა ნათესავს თხოვნა, ჩამოვიდა, მაგრამ
სახლში რომ არავინ დაუხვდა?

„მოდი, ჩამოვადები ცოტა ხანს“.

ჭაბიდან გაზეთი ამოიღო. მიწაზე დააფინა და
დაქდა.

მომხბობლავი სიმშვენიერე გადაეშალა თვალ-
წინ: ერთიმეორეზე შემდგარი სერები, ფრთა-
ჩაბეფული ხეები და მკლავებგადაძვლებილი ქე-
ლები; ტალღებივით აფორებულ კალთებზე მწვანე
ხეივანებში თავშერგული სახლები, ერობებში
ანაბრებით ასვეტილი აფის ხეები, კორიუმებს
შეფარებული ბაღნარები, მზეს მიფიცებულა
ეენახები და ჩაუვითლებული ყანებით აფერა-
ლებული მინდვრები.

გზები სალტებივით შემორტყმია მთის კა-
ლთებს. ცის დასალიერზე ნებბერეკე გაჭოლი-
ან ღრუბლის ქულები, თითქოს ნიავის ამო-
ჭროლებს ელოდებინან, ჩათა ატემაჯე მომთა-
ბარონ და ცის ნამი მოაბკურონ შადლიან დე-
დამიქას.

ეს თვალსაზრისი საოცრად ხიბლავს ქალაქის
ხმაურით დაღლილ ადამიანს, თითქოს არასოდეს
ვიხნოს იგი და არ დამტკნაბიყოს მისი სილამა-
ზით. მერე თბილისის მიდამოებს მოავიწყდა,
ოახისებრით აშწანებული ბაღები, მოჩუჩუ-
ხე შადრევნები, მხრებგანიერ ქუჩებში მოსრია-
ლუ მანქანები, ჭადრის შრიალა ხეივანები, ნირ-
ნარი შენობები და არქიტექტურული ანსამბლე-

ბი, სივრცეში გაფანტული კვამლის ღრუბლები,
ხილვები, შავისტრალები, აჩქარებულ რატმს და-
მორჩილებული მოძრაობა და ტანდრეხეცმიმდ-
ნარე ხალხის ნაქადები, სხვა დიდ ქალაქებზე
გახსენა, მოსკოვი, კიევი, ლენინგრადი, ცის
შეტვორცნილი გემბათებით; პეტერგოფის შად-
რევნები, აჭრიალებული ზარები და ახუხუნე-
ბული საყვირებმა...

„ხელოვნება ჭარბობს იქ. აქ კი ყველაფერი
ბუნებრივია, თავისთავადი, უშუალო. ხელოვნე-
ბა შეჭიბრებაა ბუნებასთან. უკანასკნელი ჭობ-
ნისა.“

კარგა ხანს იყო ამ ფიქრებში. მშობლიური
მთების სილამაზეს ვანიცდიდა, ტყეებოდა მათი
იდილიური მყუდროებით. მერე უხმო სიტყვე-
ბად მოუვროვდნენ ახრები და მისივე გონებაში
გაიფანტნენ:

„ყველან ლამაზია საქართველო და ადამი-
ანი თუ შეძლებს ზელოვნებისა და ბუნების შე-
ერთებას, ეს ამაღლებული მშვენიერება იქნება
მამინ მიენიჭება სულს მტერი ძალა და წინსვლის
ხალისა“.

„ეს შენა ხარ, სანდრო? ნამდვილად ვერა
გცნობ, ღმერთიანი! შენ ხომ ვძულდა აქაურობა?
ახლა კი მავიროვებს და თან მახარებს კიდევ
შენი მომარტუნება...“ — თითქოს უერში ჩასაძა
ვიცდიდა. ეს ხმა მირიანის ხმას ჰგავს. სწორედ
რომ მისი ხმაა, მაგრამ აქ რომ არავინ არის?!
არა, ეს მირიანის კი არა, თავისივე გულის ხმაა.
ბა, რა არის აქ უცნაური, კაცი თავის გულს
არ გამოლაპარაკებია?!

ბუნებრივ თუ ხელოვნურ მშვენიერებაზე და-
ფიქრებულ კაცს ანაზღად თვალი მოსტაცა
ერთმა წერტილმა, რომელიც თანდათან ვადი-
დდა. ვაკრეველ სახედ გამოიკვეთა და სკოლის
შენიშნად იქცა.

„ჩემი სკოლა... — გამოეჭყა ფიქრი ბავებებს.

ლუკაფანგრებიანი, კობტა შენობა ისევ დგას
მინდორის შუაგულში, ოღნაე ამაღლებულ ბო-
რტყვე, სწორედ ამ სკოლის დირექტორია მი-
რიანი, მისი ნათესავი და სიყრმის მეგობარი,
ანანო მამიდას იმედი და სიხარული. თუმცა რა
მნიშვნელობა აქვს, ვინ არის დირექტორი? ვინც
უნდა ის იყოს, გინდ ახლა ნათესავი, გინდ
სრულიად უცნობი. ამ სკოლის სიყვარულში
მას ვერავინ აჯობებს. ვერავინ ეტყვის, მომრძა-
ნდი, სტუმაროო ვინ არის სტუმარი? სტუმარი
კი არა, ნამდვილი მასპინძელია ის ხომ უფრო
ადრე სწავლობდა ამ სკოლაში, ხომ უფრო ადრე
გაიბრინა ამ კედლებში მისმა ლამა და უღარ-
რდელმა ბავშვობამ? მერე მასწავლებლადაც
იმთხეა იქ მოიხდ წელი. არ ვაბედაოთ და სტუ-
მარი არ უწოდოთ მძურად მიიღეთ და ყვე-
ლანი მასპინძლები იყავით. ასეთ შემთხვე-
ვაში შეიძლება მხოლოდ სიყვარულში შეზი-
არება. სკოლა მზის მსგავსია, რომლის სხივები
ყველას ეყრფა და ყველას გულს ვაათბობს.

სკოლის დანახვამ ბევრი ტყბილ-მწარე მოაგონა ყოფილ მოწაფეს. მის გონებაში ერთმომორბის შეენაცვლა ყრობისა და სიბავშვის დღეები.

პირველი დღე ყველაზე შორეულია, ოდნავ ნისლიმომხვეული. მთიან ვარკვეთილ მსახება პირველი სექტემბრის შვიანი დღია. ბაბუა სარიდანს მოთვთრო ცხენზე შემოუსვამს ჩანთავადკიდებული პატარა სანდროს და სკოლაში მიჰყავს. რვა წლის იქნებოდა მაშინ: ვადაციცხეული შეპყრებდა მყორიამძლე ყმაწვილებს. წერ არასოდეს ენახა ერთად ამდენი ბავშვი. სარიდანი მასწავლებელს მიესალმა.

— გიორგი ბატონო, ბიჭი მოგოყვანე, თქვენნი იმედი მაქვს, რომ კარგად გამიზრდით.

— არაფერს დედალებ, ოღონდ მომავლება იფარებო!... რაკი ჩვენს სოფელს სკოლა ედობა, თავს არ დაეზოგავ! აბა, ჩემთან წამოდი, ყმაწვილო! რა გქვია სახელი?

— სანდუშა... — ძლივს ამოაღულღულა შეტუნებულმა ბიჭმა.

— სანდუშა კი არა, სანდრო! ამირიდან შენ უკვე მოწაფე ხარ და ასეთი სახელი აღარ შეგეფერება. დღეობა სანდრო იქნებო! — მასწავლებელი თავზე ხელს უსვამდა სიმორცხვით დასხეულ ბიჭუნას.

— აი, ამ ოთახში ისწავლი, აქ დაქლები, წიგნებსა და ჭურღს აქვე შეინახავ. ახლა კი ზარის ხმას დაელოდე! — მასწავლებელმა ერთხელ სიღვე მოუაღერა და ოთახიდან გავიდა. მერხზე დაარჩენილი ბიჭი შეშინებული თავლებამუცქეროდა ყველას და ყველაფერს. ამ ოთახში შედარებით სიწყნარე იყო, მეორე ოთახიდან კი განწყვეტილი ჟრიაშილი და მერხების ტაკუნა ისმოდა. მერე ფანჯრისაკენ გაიბრუნდა და დაინახა, როგორ აღემშვიდებოდა მასწავლებელმა ბაბუა სარიდანი და რა ჩქარა წაიყვანა ცხენმა წიაღუნის მთისაკენ.

ამასობაში ზარიც დაიკრეა. რა წკრიალა ხმა ჰქონდა სკოლას ზარს! აქამდე მხოლოდ სოფლის დიდი ზარის ხმა თუ გავგონია. ის უფრო ბოხია და ელრიალა, ახლოს თუ ხარ, შეგაშინებს კიდევ. სკოლის ზარი კი სასამოვნოდ წკრიალებს. ნეტავი არ აჩუქებენ ამ ზარს? ბაბუა სარიდანს თხოვს, ასეთი ზარი გაუკეთოს.

ზარის ხმა რომ შეწყდა, ყველგან თანდათან მიწელდა ჟრიაშილი. დარბაზში მასწავლებელი შემოვიდა და პოი, საოცრება, რამდენი ახალი იწყინა შემობრუნა. მერე მასწავლებელმა ბავშვების გვარები ამოიკითხა.

„აქ ვარ“, — ისმოდა სხვადასხვა ადგილიდან. მასწავლებელი „აქ ვარს“ ახალ წიგნს აძლევდა.

— დარბაზზე სანდრო! — დაიძახა მასწავლებელმა. სანდუშა მივიდა, რომ მას ეძებინ, მაგრამ აქ ვარ! ელარა მოახერხა. გიორგიმ ვადა ხედა ამ ადგილს, სადაც წელიან სანდრო დასვა.

— აბა, აქ მოდი! — და ზელი დაუქნია.

სანდროს მორცხვად მივიდა მასწავლებელ-

თან, წიგნი გამოართვა და თავის მერხს დაუბრუნდა. ო, რა ლამაზი იყო ის ცნაფერყლიანი წიგნი. დიდი ასოებით ეწერა ყდაზე: „რელიგია“. მის ქვეშ კი პატარა ბიჭი იყო დახატული, სტეპელს ეპარებოდა მინდორზე. ბიჭოს, ეს ბიჭი ხომ მას ჰგავს! ეინ დაახატა ნეტავ ამ წიგნს მისი სურათი? ან რა აწერია ასე დიდბრინი ასოებით? დ... ე... დ... ა... ე... ნ... ა... მარცვალამოკიდებით კითხულობდა ერთი თავის შემდეგ...

„გიორგი მასწავლებელი... ახლა ღრმა მოხუცი იქნება, ალბათ, პენსიაში გავიდოდა. ძალიან კი გაუჭირდებოდა უსკოლოდ, უბავშვებოდ!“

გიორგი მასწავლებელს განსაკუთრებით უყვარდა ნიჭიერი მოწაფე დარბაზზე. ის მოწაფე ახლა მეცნიერების კანდიდატია, ახლა მათ შორის სტრიაზელი და მეგობარული საუბარს შეიძლება. ნახავს, აუცილებლად ნახავს და მადლობას გადაუხდის, ცოდნას რომ დააწაფა, შრომას რომ შეაჩედა, საშობლო რომ შეაყვარა.

...მოგონებებს თანდათან ეცლება ბურუსი: ახლა კომკავშირულ მოსწავლეთა კრებობს წაჩრდილდა: ცამეტე წლის ყმაწვილი იყო მაშინ, ზერიანად: არც კი იცოდა, რა იყო კომკავშირი, რატომ იკრიბებოდნენ ზოგჯერ, გაკვეთილების შემდეგ, უფროსი კლასის მოსწავლეები და ახალგაზრდა მასწავლებლები. იმ კრებებს პატარა ქეთონია გიგომვილიც ესწრებოდა. ქეთონია ყველაფერს ერიოდა სანდუშას, ყველას კი არა, საკუთარ თავსაც ერიოდა. უფთხუნა, თუთრბაუთიან და პრეტუკიანი გოგონა... თავს კი ერიოდა, მაგრამ ახლოს არ ეკარებოდა, დანახვისთანავე იმალებოდა. მხოლოდ შორიდან უცქერდა მალულად და გულში უხაროდა.

რადგან ქეთონია კომკავშირის წევრი იყო, სანდრომაც გადაწყვიტა კომკავშირში ჩაწერა და მართ მასწავლებელს, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანს, გაუმხილა თავისი სურვილი.

მიიღეს. კრებებს ყოველთვის ესწრებოდა. დაბავითებით უფლებდა უფროს სიტყვით გამოსულ კომკავშირლებს, ყველაფერს დამამსოგრებას ცდილობდა, მაგრამ ერთხანს ვერ ურკვეოდა, თუ რაზე მსჯელობდნენ უფროსი კლასელი ამხანაგები. კენჭის ყრის დროს კი აღარ იცოდა „ეინ არის მომხრეზე“ აუწია ზელი, თუ „უნ არის წინააღმდეგზე“. მაშინ თვალს ვააპარებდა მეორე მხარეს მჭდომ ქეთონისაკენ, და თუ იგი მომხრეზე სწყევდა ზელს, სანდროც მთის ამშერბდა, თუ არა და ისიც „წინააღმდეგი“ იყო.

რა დიდ აღზრთოვანებას განიცდიდა მაშინ... კომკავშირი ყველაფერი იყო მისთვის. სიცილე, სიყვარულიც; როგორ ადვილად შეეძლო თავის განწირვაც. საყვარელი მართ მასწავლებელი... თუმცა სანდროს კლასს არ ასწავლავდა, მაგრამ სხვა საგნებს განა ჩამოუყვარდებოდა ის, რასაც მართ მასწავლებელი კომკავშირში მუშაობით უნერგავდა? რა კარგი ზელმძღვანელი

იყო, როგორც ვატყობთ საქმიანობდა, თავიდაც უყვარდა და მოსწავლეებსაც აყვარებდა კომპაქტშირულ მუშაობას, სასოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ამზადებდა, მთავრდაცავდა ქვეშა-რიტებისავე სწრაფებას, სამართლისათვის ბრძოლას. ვიორგი ყუბანეიშვილი და მარო შირაშენიძე, — აი ორი ადამიანი, რომელთაც მის ყმაწვილურ ვულში წარუშლელი კვალი გააუღუს. მას შემდეგ ამ კვალს მიხვევბა სანდრო დარბაიძე და არცთუ აცდენია ვხას.

რამდენმა წყალმა ზაიარა მას შემდეგ. ახლა მარო მასწავლებელს თბილისის ქუჩებში ზედება ზოჯერ სანდრო, უკვე ხანდაზმულს, ჭიდაზ-შერეულს, შეიღვივლებს დასერივნებს ზოლზე სკეპტრებში. სანდრო ახლას ზაუღლის და ძლიერ წყნს, რომ საყვარელი მდივანი ველარ ცნობს იმ წიბლისგერთიანი აბიუსს, რომლისთვისაც ხშირად ალერსით გადაესვამს თავზე ზელი და კომპაქტშირული დავალებმა მიუცია...

ბურუსი მთლიანად გაქრა. ახლა სხვა სურათმა მიიპყრო მისი გულისყური. ეს უფრო გვიან იყო, ამ სკოლის დამთავრების ოთხი წლის შემდეგ. თმცა დღისათვის მიიწვ შორეული.

ვიორგი მასწავლებელი საკლასო ოთახში შეუძღვა ჰაბუე სანდროს.

— ბავშვებო, ეს იქნება თქვენი მასწავლებელი, სანდრო დარბაიძე, ამ სკოლის ყოფილი მოწავლე, ჩემი მოწავლე, ახლა კი მეგობარია. თუ იცდებთ და არ გაუგონებთ, იცითო, მეც დღად მაწყენინებთ!

ვიორგიმ ალერსიანი ღიმილი შეაგება ახალბედა პედაგოგის გაუბედავ გამოხედვას და საკლასო ოთახიდან გავიდა...

მოვრება გრძელდება. იცვლებიან დღეები. მასწავლებლის საქმიანობასა და მოსწავლეთა ერთმანეთში თეგებში მიჯრინიანენ.

დადგა მეორე წელი. სკოლის ახალი დირექტორი დუნიშენს. მაქსიმე ვაშაძე, ცხვარითი ჩემი, მიმიტი და ზედმეტად გულბრყვილო. ვიორგი მასწავლებელი კი ჩრდილში მიადგეს, თმცა მაქსიმეს ჩრდილი პატარა იყო მის დასაფარად. ვიორგის ებრალებოდა ახალი დირექტორი. — „არა უშავს, ჭერ ახალგაზრდაა, გა-მოიკლებაო“. — იტყოდა ზოჯერ და სხვების შეუზნეველად გულწრფელად ასწავლიდა კიდევ. თუ როგორ წარემართა სკოლის საქმიანობა.

მაქსიმე იქვე, სკოლის მახლობლად, ერთი გოგონის ოჯახში დაბნადა. ძალიან წყნარი კაცი იყო. დიასახლისი ვერც კი იგებდა მას წასვლი-მისვლას. სკოლაში აღამებდა, მუდამ იმის ფიქრში იყო, რა ვაეცთებოა კარგი და სასარგებლო, მაგრამ მოფიქრებასა და ვაეცთებას ხომ სხვა უნარად სჭირდებოდა?!

ვახაბულის ერთ მშენებერ დილას მაქსიმე მოულოდნელად ვაადვიდა სკოლის დარბაზი: სტუმრებმა მოვიდნენ, თქვენ გიოთხულობენ, რვეიზია უნდა იყოსო.

ისარბარავიეთი წამოვარდა მაქსიმე ლოგინი-დან, ხეირიანად მიჩიდა არ დაუბანია, თითქმის წილივად გადაბრინა სკოლაში. „რვეიზია! რა უნდა ამ გამთენიისას! ვინ იქნება-სტუმარი!...“ თავისთავს ეკითხებოდა გზაში. კიოხების ნიშანი მალე გასწორდა და ვაკეირვების დიდ ნიშნად იქცა, რომლის წინ განათლების განყოფილების გამგე შიო ბოცვაძე და ორი სასკოლო ინსპექტორი იოდა.

— ოოო... ჩვენს მაქსიმეს ვაუმაროს! — რიხიანად მიესალმა შიო და ჩასუქებული ტანი ძლიერ შეაჩხია ზელის ჩამოსართმევად. — ანუ დილაადრიან არ მოგველოდა, ხომ?

— კო, დიას, უცებ ვერ წარმოვიდგანე, მაგრამ რა უშავს, პატივცემული შიო! — თითქმის ოთხად მოიკეცა დირექტორი.

— წიაღუნის სკოლაში ვიყავით, წუხელ მაგრად დავაჯივრეს. ამ დილით საუზნეს აღარ დავუცადეთ, ისე გამოვეშურეთ თქვენკენ. ამა, ახლა შენ იცი, ამ ამზანაგებთან სირცხვილი არ მაქამო, იციან ჩემი დანიშნულ რომ ხარ დირექტორად... — რიხიანად ჩაიხიბობთა შიომ და კობრის მსგავსი ტუჩები ურებამდე ვაკეცა.

მაქსიმე მწეეარიით ვაიზნიქა: — ზოღიში, ამ წუთის ვეახლებითო, — უთხრა სტუმრებს და თავისი ბინისაკენ გაქანდა. რა ქნას ახლა უბედურმა მაქსიმემ, რა საუზნე მოუშინდოს ამ ვაითენებამდე რვეიზიაში?! საცლა ბავშვებიც მოგროვდებიან სკოლაში, მასწავლებლებიც შეიკრიბებიან. ახლა რვეიზორების საუზნეზე იფიქროს თუ სკოლის მუშაობაზე?

სულ რაკოდე ნაბაქი თუ იქნებოდა მისი მის-ბინძლის ეზომდე და კაცი ოღუში ვაიწურა.

— ქალბატონო, მიშველე! — სულმოუთქმე-ლად მიმართა მაქსიმემ სასარგებლოსთან მგლომ დიასახლისს, — რვეიზია დამეცა, ნამ-თვრალეები ვართო; ბოღიში, მაგრამ, აქნებ, რამე საუცებთო საუზნე მომიშინადო, ვაკეთი-ლების დაწყებამდე რომ მოასწრონ ცოტა დანა-სრება! — მერე კომპირისაკენ ვაიქცა: იქნებ, სკოლაში მიმეველ მასწავლებლებს მოჰქრას თვლი, თაქნ მოულოდნელ ვასაქირს ვაეც-ბინებს. მათაც მოიფიქრონ რამე, რვეიზიის პა-ტივსაცემად რიგვანი საილი მოამზადონ, და მერე თუ ვინდ მთელ ქაბივრზე აიღებს ზელს.

ღიასახლისი მაშინვე მიხედა მაქსიმეს ვასა-ქირს. რაც უნდა მშვიდი მოსულოყო, თავად არასოდეს იტყოდა, საილი მიწადა, მუნეგით დაჯდებოდა თავის ოთახში, სანამ დიასახლისი არ მიიწვევდა, ან იქ არ შეუტანდა ოქრას. დიასახ-ლისი უშალვე შეტრიალდა სამზარეულოში და მვირცხლად შეუდგა საქმიანობას.

ოვი წუთით არ იქნებოდა ვაგულა. მაქსიმე დაბნეული სახით ისეც მიადგა, სამზარეულოს. დაილოცოს ქართველი ქალის მეოჭებობა! რა სწრაფად გაუშინაღებია გემრიელი საუზნე; ცხე-ლი მშადები, ვახაზუბლის ყველი და მწი-

ლი ქალაქში გაეხვია დიასახლისის და სამზარეულოს კარებშივე შეიგება დირექტორს. ისიც მაშინვე სკოლისაკენ გაქანდა.

ამ სახელდაბელო საუბრისთან ღვინის საჭაროებაზეც გაეფიქრა მაქსიმემ, მაგრამ იმავე დღიქმ დაეწვია: „ღვინის როგორ დაღვევენ ამ დილთ, გავეთილები... მოსწავლეებმა...“

სკოლის ეზოში შეხვედრილი მოსწავლე წყაროზე გაქცია.

მაქსიმე კაბინეტში შევიდა, სტუმრების წინ, მაგიდაზე საუბრე ვაშალა. პატრეცემულ შიოს კმაყოფილება მოჰგვარა ცხელი შვალის მიდის აღმჭარებლა სურნელბამ და პირველმა იწყო „სმა-ქმა დიდად შესაჯი“. ამ დროს მოწყვეტა ტუჩმოკეპული სველი დოქი შემოიტანა. მაქსიმემ დოქი და ქივა მაგიდაზე შემოდგა. შიოს მხლებელმა ინსპექტორებმა თანაუვარძნე თავისი უფროსს.

რამდენიმე ჩაღყემების შემდეგ, წინაღმის სითვრალით გულგახრებულ შიოს სასმელი მოუნდა, ხელი მოავლო დოქს და, რადგან მის მადასთან შედარებით ჩაის ქივა პატარა ეხვერა, დოქი პირდაპირ პირისაკენ ვაჭანა, შინაურებში ვარ და ვინ დამპირავსო. შიოს კობრისებური ტუჩები მადიანად მოეკიდნენ დოქის ეიწრო პირს და მალა შედერებულ ყელის კუნთებიც სასიამოვნოდ ამოძრავდნენ. მაგრამ კუნთების მოძრაობა უცებ შეწყდა, შეღერებულა ყელიც გასწორდა; კობრი მოწყდა დოქის პირს და აღშფოთებით წამოიდრიალა: — ეს არის შენი ვაჭკაობა?! — და მოულოდნელად დოქი ძირს დანარცხა. ინსპექტორები სახტად დაირჩნენ... მაქსიმეს კი, მიწა გაუსკდაო რომ იტყვიან, ვინაღამ დამბლა დაეცა. დაბნეულმა და ენაჩაყარდნილმა დოქის ნატეხების შეგროვება დაიწყო. მერე მიხვდა, ამის დრო არ იყო ახლა, შეგროვები ნატეხები მაგიდის ფეხთან მიყარა და კაბინეტის კუთხეში დაქილ მოწყვესავით აიტუხა.

შიომ ჩაღყემა განაკროს, მაგრამ მალე მიატრევა, რადგან მას ღვინო უფრო შიოდა, ვიდრე საქმელი.

— აბა, დაეწყეთა გავეთილი — საქმიანი ცილოთ მიმართა კობრმა გაჯიორებულ დირექტორს.

— ბატონო შიო, ჯერ 15 წუთი ავლია! — ძლივს ამოიღულღულა მაქსიმემ.

— შენი ბატონო არ ვიცი მე, ახლავე ზარი დარეკე!

მაქსიმე ისევ წელგახანტილი წალასლასდა სამასწავლებლოსაკენ და მოთხივე მასწავლებელს ზარის დარეკვა დაავალა.

დირექტორი რომ გავიდა, შიომ თავის მხლებელს ჩაუღპარაჯა:

— აბა, თქვენ იცით, რაც შეიძლება მაგრად... — ეს სიტყვები თავად გაავიანა სანდრომ, რომე-

ლიც სწორედ იმ დროს შემოვიდა დირექტორის კაბინეტში რაღაც საქმისათვის.

...„დიდებულ“ ჩატარდა გრეგორიანული გოგოური საბჭოს სხდომის მეცხრი ტონი საღამოთი ცოტათუნ შეარბოლა ვაშმაშე წარმოთქმულმა მადალფარდოვანმა სადღეგრძელოებმა. თუმცა ამაოდ დამგრენ მასწავლებლები, უქმოდ შეისვა ქარვისფერი ცოლიყური, ტყვილად შეეწირა მაქსიმეს დიასახლისის გოქ-ქოშები განათლების საქმის გაუმჯობესებას. ერთი კვირის შემდეგ ბრძანება მოვიდა: „ახალ მასწავლო წლიდან გადაყვანილ აქვს...“ ხოლო სკოლის დირექტორად სხვა გამოვარდნენ.

„მე, როგორი ხელმძღვანელის ხელში იყო ზოგან ახალგაზრდობის აღზრდის საქმე! ლეონსაბ ბოცეაძის მოვჯარე შინც არ ყოფილყო, მცირე რამ სცებოდა მისი; ოი, წინაპართა დიდებულთა დეწლო...“ — ცოტა-სობრანვე შეეტყო მოგონებებში ჩაძირულ სანდრო.

„ნეტავ ახლა სად ბრძანდება ბატონი შიო ან ის საყოფადი დირექტორი? შიო მასწავლებლად უნდა მუშაობდეს თბილისში. სახალაო მისი მოწყალები... მაგრამ, ვინ იცის, მას შემდეგ დღი დრო გავიდა, იქნებ კარგი პედაგოგი დაედა. თუმცა კარგ ხარს მოხვრობისა ეტყობა...“

მოგონებებში მაქსიმე და შიო ახალი დირექტორის ვეება ტანმა დაეფარა.

მაშინ სოფლის მასწავლებლები ხელფასის მისაღებად რაიონის ცენტრში მიდიოდნენ. ახალი დირექტორი ბახუსის მოტრფილყო იყო და დღიი სახელიც ქქონდა გავარდნილი სმა-ქმის მოყვარულ ადამიანებში. ბახუსის მოტრფილემ სანდროს წიგნების ჭია შეარქვა. ზოგჯერ ვტყობდა ვიდრე: წიგნების კითხვის ღვინის სმა გერჩიოს, ხომ გავიგონია ბრძნული ნათქვამი „ოტრეკლა, სინეჩელა, რასაც შექამ, ის შევარჩება!“

იმ დღესაც ხელფასი მიიღეს თუ არა, სანდრომ ჩვეულებისამებრ წიგნის მადახას მიამტრა, წიგნები დაათვალიერა და თავისი ბებლიოთეკისათვის ილია ჭავჭავაძის ახლად გამოსული ათტომეული შეიძინა. რა კარგი გამოცემა იყო, ლურჯ ყდაში ჩასმული, ფაქიზად აინძვლო, სუფთა შრიფტით ნაბჭვილი. რა დღიი სხარულით მიჰქონდა შინ. თითქოს მთელი ქალაქის სიმდიდრე შეეძინოს. სანდროს ახლაც აქვს ის ათტომეული. მას შემდეგ რამდენჯერ გამოვიდა ილიას ნაწერებმა, ყველა შეიძინა თითქმის, მაგრამ ის გამოიტემა მაინც ყველაზე უფრო უჯვარს, თითქოს იქ ილიას ნაწარმოებები სხვაგვარი შენაარსისანი არიან.

სიღამო ხანს სოფლისაკენ მიმავალ გზას დაადგა სანდრო, რა თქმა უნდა, ფეხით, ერთადერთი ტრანსპორტი მაშინ ეტლი იყო, მაგრამ ეტლით მგზავრობის საფასური წიგნებში დახარჯა. ბოროანს რომ მიუახლოვდა, ეტლი წამოეწვია, რომელშიც ბახუსზე ნალოცა დირექტორი და

მისი მეინახენი ისხდნენ. ხმაილა მღეროდნენ. ბორანზე იკადრეს ძირს ჩამობრძანება და ორთაყვირის ახლოს, ჭელსკამზე ჩამოსვენება.

— რა გიყლია, სანდრო! — ილიაში ამოჩრალ ამანათს თითუბით წაეტანა დირექტორი.

— წიგნები ვიყიდ, ილია ჰავეჭავაძის აბტომეული — კმაყოფილებით მიუგო სანდრომ.

— კმა მოგვლია შენს! — ჩაიციხა ვეგვამ, ბორანი გავიდა გაღმა ნაბირზე, სიჩქერას მესობტენი ეტლში ჩაბრძანდნენ, ფეხით შიშაველ სანდროს ირონიულად გადმობედეს და ეტლის ევენების ეღარუნს არეული სიმღერა ააყოლეს.

... ერთხელ, ახალი დირექტორის მოღვაწეობისას, ვინათლების კომისარიატიდან რვეიზორი ჩამოვიდა: ახმაი კაცი იყო, პირხველი. სანდროსაც დაესწრო გაცეითილზე. თავად ეკითხებოდა მისწავლებებს. როგორ გააზარეს ახალგაზრდა მასწავლებელი იმ ეტლსავე გოგობიკებმა. ბავშვებმა მეტი ცოდნაც კი გამოამტყვევნეს, ვიდრე მეოთხე კლასელებს მოეთხოვებოდა.

— თურმე, ნუ იტყვი, ილია ჰავეჭავაძის „პარდილიც“ კი უსწავლებია, პროგრამაში არ არის და მაინც უსწავლებია! — რას ვაცხ ეს! — ასეთი „წამახლისებელი“ სიტყვებით შეამკო პელსაბუქის სხდომაზე ახალგაზრდა მასწავლებელი ცენტრიდან მოვლინებულმა.

სანდრომ შეეპათება სცადა, მაგრამ ვეგვა დირექტორი მკლავზე წედა მაშინვე:

— კაცო, უფროსმა სადაც ვითხარას, იქ უნდა დააბა ცხენი. ჰავეჭავაძისათვის ვინდა ახლა ამ ოქრო სტუმარს აყენებინო!

— მე შეგინებე არ გახლავარ, მე მასწავლებელი ვარ და საკეთარი აზრით ვამაჩნია! — სანდროს ყელში მოგებინა გული.

— შენი აზრი სახლში შეინახე! აქ ჩვენი აზრით უნდა იმუშაო! — და დირექტორმა ფანჯარი ჰქიპს მიარაკენა.

... შემდგომი სასწავლო წლიდან ძირვესვიანიად გადაეცეთა პროგრამები, ილია და სხვა კლასიკოსი მწერლები სრულად შეიტანეს შიგ. ასე გახიწყით, დიდი მწერლების იუბილეებიც კი იმართებოდა.

უფროსის ცხენის დამბმელ დირექტორს ერთხელ მოხსენება დაეკლეს ილია ჰავეჭავაძის შესახებ. წიგნები დისკირდა და სანდროს მიამურა.

— თუ კაცი ხარ, ილია ჰავეჭავაძე მათხოვე, მასალები უნდა ამოვიწერო მოხსენებებისათვის.

სანდრო გაცეცხლდა: — მე არა მაქვს ილიას წიგნები!

— როგორ, ამას წინათ არ იყიდე აბტომეულია!

ახლა კი ვეღარ მოითმინა სანდრომ, პატრიცემულ დირექტორს გაბარაზებით ჩახედა თვალბში, სწორედ იმ თვალბში, ბორანზე რომ ირონიულად დასცქეროდა, და ენამ მხოლოდ

ის სიტყვები გაიმეორა, რაც მაშინ ყურამ მონისმინა:

— კმა მოგვლია შენს! — ვეგვა დირექტორი გოცებით დაწვეულმა სანდროს.

— როგორ, წიგნს არ მათხოვებ, კაცო!

— წიგნში ფულს იხდიან, როგორც ღვინოში და ეტლთ მგზავრობაში!

დირექტორი მიხედა, სანდრომ ბორანთან შეხედარა რომ გაიხსენა. ცოტა უხერხულობა იგრძნო.

— კარგი, ვნახოთ! — ვეგვა უმაღლესად „წიგნების ჭიას“.

ეს შემთხვევა შემდეგ მათ შორის დიდი ინტრიგის საფუძველი გახდა, რის გამოც სანდრომ სამუდამოდ მიატოვა მასწავლებლობა, თავი მიანება სოფელს და საოცნებო თბილისის მიაშურა სწავლის ენწეროში ასასვლელად.

— „ეჰ, მრავალ აზრან ჭირინი მართალთანი!“ — ჭველ მოძღვართა ეს ბრძნული სიტყვები ღრმა ამოხერხას თან ამოაყოლა და განელილ დღეთა სურათებიც გაქრა.

წიგნების იბილია

დარბიანე წამოვდა. მერაზე დაიხედა. საათის ისრებს თითქოს სიზანტე შეპარვით, სამს თხუთმეტი აკლდა.

დღმართის დაქანებას დანებდა. მის თვალში ჩახატულმა არემარემ შემიცრება ოქრო. თანდათან შევიწროვდა პორიზონტი. ორიოდ წუთში სულ დაბატარავდა დიდი სოფელი, სახლები და მწვანე ეზოები გაუჩინარდნენ, დიდი მთებაც კი პატარა გორაკებს ამოგვარანენ. სანდრო მდინარე ბუქნარას ზეობას გაჰყვა. ვეგვა, აქ მაინც დააღწიოს თავი უსიამოვნო მოგონებებს. მაგრამ ვანა არის ამ მიდამოში ერთი გოციე შიწისა, რომელიც გაფრინელ ბავშვობასა და სიჭაბუკესთან არ აჯავშობებდეს!

თუნდაც ეს ზევი, მთებან კალთებით შემორავეული და ცის გრძელი ნაჭრით დახურული, დიდრონი ქვეებით, ზაბოებითა და ნატბორალი ხრამებით სავსე. მაგრამ მდინარე? მდინარე ბუქნარა სადღა? რამ გაქრო მასი დაუდგრომელი დენა და ხმაური, ქვეზე შეუწყვეტელი ხტომა და აჭაფებული ტალღების ხორციში? იმის ჩხრილის ვარეშე რაღაა აქაურობა? რამ ჩაყლამა გულანკარა და სოფლის მაცოცხლებელი მდინარე? სათავე თუ გადაუგდეს სხვა მხარეს! იქნებ, ელსადგური იაშენეს და საქმე გაუჩინეს? მაგრამ ელექტროფიკაციის ევალი არ ატყვია სოფელს. უთუოდ დამრა ის ტალი! დაშრებოდა, აბა, რა იქნებოდა, ტყეები სულ მოუღპიათ და ტყე ხომ მდინარის დღაა. ბუქნარა წიაღუნის მთიდან გამომდინარე წყაროებით სანდრობდა. ახლა აღარც ტყეა, აღარც წყაროები და მდინარე ბუქნარა საღა იქნება!

„საქმე გაუჩინეს...“ — რატომ გაიფიქრა ასე? ვინა უქმად მიედინებოდა იგი ამ ხეში? არავისთვის არ იყო სასარგებლო? როგორ არა! ის ამ სოფლისთვის დიდად სასარგებლო რამ იყო: მდინარეებს ზრდიდა, ნახირს არწყულებდა, ჰაერს სააზოდ ავრდიებდა და სიამოვნებას ჰკვრიდა ადამიანს. რა გემრიელი თევზი იყო: მდინარე ბუქანამ! ბუქანა გობი აუვისა ვერცხლისფრად მობარჩხალე თევზებით. მაინც რამდენი იყო ის დალოცული, ქაშაყი, წვერა, ღორაჭო, კობრიც გამოვრყოდა ზოგჯერ, ხანდახან ორავუღიე კი ამოჰყოლია ბადეს. როგორი თევზი არ უგებნია შემდეგ — არაგვის კალმახი, ხრამის ცოცხალი, კასპიის ლოქო თუ შავი ზღვის ბარაბული, მაგრამ ბუქანასნაირი გემრიელი თევზი არც ერთი არ ყოფილა.

მდინარე ბუქანა სხვა სიეთვისად უწვევდა სოფელს: წისქვილებს აბრუნებდა. წისქვილი ხომ აუცილებელი ადამიანისათვის. იგი პირველი მერცხალია ცივილიზაციის გარიყრაზე.

წისქვილის გახსენებამ სანდროს ხალხურა ლექსი მოაგონა:

„ეს ჩემი გული რასა ჰკავს?.. წისქვილს ჰკავს მიწილი-მოწილილა, სათავე გადაგდებულს“.

სანდროს ძლიერ უყვარდა წისქვილში სიარული, იმ წისქვილში, აქ რომ იდგა, ამ ჩამონგრეულ ბუქანთან, როგორ გამჭარალა მისი კვალი! სწორედ ის წისქვილი იყო მისი ყრმობისა და სიუბაუვის ოცნებათა თავშესაფარი. პატარა წისქვილი მხოლოდ ახლომახლო მცხოვრებლებს ემსახურებოდა. დაყრიდა სიმინდს რომელიმე მეზობელი, სარეცლას ზომავზე დაეყენებდა, კარს მიხურავდა, წყლის ღარს შეათვლიერებდა და შინ წავიდოდა. იცოდა, რამდენი ღრო დასქირდებოდა მისი სიმინდის ჩამოქვას და ისიც სწორედ მაშინ ჩამოაკითხავდა, როცა ხეივანში ოქროსფერი მარცვალი თავდებოდა.

სანდრო მაშინ დადიოდა წისქვილში, როცა ეჭ არავინ ეველებოდა. პატარა ტომრით საფქვს მოტანდა, დაყრიდა, ერთხანს სარეცლას ზრუნვას დააკვირდებოდა და ამ დღეულადი კაუჭა ჯიხის საქციელზე ელიმებოდა: ენატარა-ლა კაცივით გაუთავებლად მოხურტყუნეს, დახე, როგორი ზომიერების დაცვა შეუძლია არც ერთ მარცვალს არ მოსცეს წინ გაქცევის უფლებას. რააა უდროოდ არ ჩახტეს ქვის ყბაში. ნეტავ ზოგიერთ კაცს შეეძლოს ზომიერების ასე დაცვაო, — გაურბენდა ფიქრი. მერე გამოვიდოდა გარეთ, ღარის თავში ჩამოქდებოდა და წყლის ჩხრიალს უსმენდა დიდხანს. ხის მბრუნავი ფირფიტებიდან ასხურტილ შხეფებს თვალს არ აშორებდა. შხეფები პატარა ევრცხლის მტკერივით იფანტებოდა და პატარა ცისარტყვლებს წარმოქმნიდა. ამ შხეფებსა და ცისარტყვლებში ესახებოდა ყმაწვილს მომავალი ცხოვრების გზები. შემდეგ შხეფები და ცისარტყვლები ზღაპრებში

გაკონილი ამ წიგნებში წაკითხული ამბებზე ცოცხალ სურათებად გადაიქცეოდნენ.

სანდრომ ამ წისქვილთან იგარანო ძლიერი რჩენი გელისა, რომელიც შემდეგ მთელ ქოროჩებაში არ განშორებია. აქ დანახა პირველად ის გოგო, მასაც საფქვევი ჩამოეტანა. შოლტრით მოქნეული ტანი ჰქონდა, სიშავით მავალს დაჩაჯავდა მისი თვალში, მათხახის ღველებით ეკლავებოდა შავი ნაწნავები ბუქანზე. შიით დამწვარ მალალ კანებს მუხლამდე ეერ ფარავდა ჩიძის კაბა. საკვირველია, ასე რად გაუხარდა სანდროს იმ გოგონას ნახვა?

მოუხშირა სანდრომ წისქვილში სიარულს, საფქვევიც რომ არა ჰქონოდა, მაინც ჩამოდიოდა. წიგნს ჩამოიტანდა და ღარის თავში ამ ბუქან დავებებულ მორზე ჩამოქდებოდა; კითხულობდა, ხან ფიქრებში ჩაიძირებოდა; ზოგჯერ თვალურნებელი გაეცეოდა იქით, სიდანაც შეიძლებოდა ის კანკებმალი გოგო გამოჩენილიყო. ო, რა წარბეცო იყო ოცნება ამ იდილიურ მუედროებაში — სიმშვიდე, მარტობა, ირგვლივ ჩიბების მოუწყინარი სტვენა-გალობა და წყლის ჩქრილობა შეწყობილი წისქვილის ბანი

აქ ამ მუედროებაში წაიკითხა პირველად ახლაც მისი საყვარელი წიგნი — გეე ლონდონის „მარტინ იდენი“. საოცრად მოხიბლა მეზღუდრას ნებისყოფამ. თავისი თავი მარტინად იცეენებოდა, ხოლო რუფი იმ მავალთვალება გოგოს მკავდა. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ რამდენი იცნებდა მომავალ ცხოვრებაზე, სწავლახე-ლექსიც კი დაწერა ერთხელ. ჩემად ელაპარაკებოდა თავისთავს სარითმო სტრიქონებს. მერე იმ რვეულს საიღუმლოდ ინახავდა, არავის უხმელდა გულის ზრახვას. იმ გოგოს კი წაიკითხებდა, თუ საფქვევი ჩამოიტანა და ცოცხანს დანახა მასთან. როგორმე ჩაუტრიას საუბარში ლექსს, მერე მეგობრულად თხოვა: „მხოლოდ შენ იციოდე, ელვარა, სხვას არ უთხრა, თუ გიყვარდე“!.. ელვარა გაიკინებს, თოვლის კბილებს შეანათებს სანდროს და მორცხვად უქაშუებებს. „არა, არავის არ ვეყვივ“!.. მაგრამ ბედი არ გინდა? ახლა უფრო ხშირად ელვარას მამს ჩამოაქვს საფქვევი წისქვილზე.

...ადრე ეიცოდით, რომ სანდრომ მასწავლებლად დაიწყო მუშაობა თავისი სოფლის სკოლაში. დასვენების დროს სამასწავლებლოს ფანჯარასთან უყვარდა დგომა, თვალს ადევნებდა ეზოში მოყრიამულ ბავშვებს. მოწაფე გოგონები განცალკევებით დადიოდნენ, ეროდებოდნენ მობურთავე ბიჭებს, გატაცებით საუბრობდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს ეკამათებოდნენ. კარგები იყენენ ყველაში, მაგრამ ის ერთი მაინც ყველაშიავე გამოირჩეოდა. არა, მზით დამწვარი აღარ იყო მისი კანები, კაბაც უფრავდა მუხლებს, ნაწნავები ისეე მაორხუნივით ერბოდა ბუქანზე, თვალები უფრო მომხამეველი გახდომოდა. როგორც კი ელვარა დაინახავდა სა-

მასწავლებლის ფანჯარასთან „შეთთხვევის“ მასწავლებელს, იღუპილად შეერთებოდა და სხვაგან გადაიტანდა შურისას.

იმ წლის შემდეგ დიხანს არ შეხვედრია სანდროს ის გოგონა. თეთიან ზომ თბილისში წვიმდა სწავლის გასაგრძელებლად. სოფელში საშუალო სკოლა გახსნეს და გოგონამაც იქ განაგრძო სწავლა. თითქოს შესხივრებაში მიჭრა მისი ნათელი სახე, გუჩინარდნენ მთავლისფერი, ფუფუნა თვალები, ცხოვრების მორჩევნი ჩაიძირა წყვილი ნაწნავიც, მაგრამ წისქვილთან შეხვედრისი ჩიხისკაბიანი გოგონა მიიწი იმალებოდა გულის შიგნით, პატარა, უჩინარ ენქულში.

და, აი, ეს გულის ენქულში მიმალული, თითქოს გუჩინარებულ გოგონას სახე უეცრად თბილისში შემოეფეთა სანდროს, უნივერსიტეტთან, ჰატარებს ჩრდილქვეშ.

თვალებს არც კი დაუქვრა, როცა დაინახა მისკენ მიმავალი, წითელკაბიანი გოგონა. დააკვირდა, მიუახლოვდა.

— სალაში, პატრეცემულო, მასწავლებლო! — წითელი კაბის ანარეკლი კიდევ უფრო აწითლებდა გოგონას სახეს.

— ელვარა, ეს შენ? გამაჩრბობს! რაოდენა გაზარდილხარი როდის ჩამოხვედი! უნივერსიტეტში აიარებ? — ცრთმანეთს მიაყოლა კითხვები სანდროს, — კარგია, უნივერსიტეტი რომ აიარაჩვივა. უნივერსიტეტი სხვაა მაინც, იგი ყველა შეცნირების ღედაა! — შეკითხვებიდან დაღმტყაზე გადავიდა.

— დაახ, იქ გადავწყვიტე, საბუთები უნდა შევიტანო! — ელვარა მოკრძალებით დაემშვიდობა „პატრეცემულ მასწავლებელს“ და უნივერსიტეტის ეზოში შევიდა.

სანდროს ტრამეის ვაჩერებისაკენ უნდა წასულიყო, ასე ფიქრობდა წუთის წინ. ახლა კი ჰატარებს ველარ ვაშორდა.

„რატიმ ვაწითლო! ნუთუ მიხვდა, რომ ვაჩინარდა მისი შეხვედრა? იცის, რა არ იცის! მისი ბავშვობიდანვე ეშმაკია! აბა, რატომ ერთბოლად და უტებ აცილეთხდა თვალს სკოლის ფანჯარას, როცა მე გამოვინდებოდი!“

ტრამეის ეგონები დროდადრო მიჭროდნენ მარჯვნივაც, მარცხნივაც, მაგრამ სანდრო ვერ აჩინევდა. მისდაუნებურად ვაყუვა გზას და ისევ უნივერსიტეტის ეზოში გაჩნდა. თვალი ვადავლო ქვეთ-ქვეთად მოსაუბრე აბიტურიენტებს, ვერსად დაინახა. მერე ფოიერი შევიდა. განცხადებების მისაღებ სარკმელთან მოჰყრა თვალი. რა კარგია, რომ სარკმელთან რიგია. მივა, საბუთებს გამოართმევს, მერე მეკარე ძია მოსეს შეხვედრება და როგორმე შევა უნივერსიტეტის კანცელარიაში. მდივან ქალს თხოვს საბუთების რაგვარეში მიღებას.

ვითომ შემთხვევით დაინახა რიგში მდგომი ელვარა. საბუთები გამოართვა. ძია მოსემ იმ დღეს ყველაზე კარგი კაციბა გამოიჩინა და ნაც-

ნობი სტუდენტი — „ჩვენი ბიჭი“ უკრეყოლ გაატარა.

მდივანი ქალისთვისაც „ჩვენი ბიჭი“ ყველაწანდრო, უფროსი კერძის სტუდენტებთან მუდამ შეგობრულად არიან ფაქულტეტის მდივანი.

— ჰატუშა, თუ და ხარ, ეს საბუთები როგორა. მე რიგვარეში მიიღე, ნათესავია, ძალიან ენქარებას!..

მატუშმააც არ ვააშბილა, საბუთები გამოართვა, გადაათვალიერა. ზედ დაკრულ სტრატის რომ მოჰყრა თვალი, ეშმაკური ლიმილით ამოხვდა სანდროს:

— რა ნათესავია, ბიჭო, შენი ეს გოგო?

— პო, ნათესავია, ჩემი სოფელისა!.. —

შეშინებულვით უბასუხა სანდროს, თითქოს რაიმე დანაშაულში დაეკიროთ.

...სწავლის დაწყების შემდეგ სანდროს ზეპირად იცოდა პირველკურსელთა ლექციების ცხრილი და შესვენებებზე იმ აუდიტორიასთან გაჩნდებოდა ხოლმე, რომელშიც ელვარა ეგულეზობდა.

როცა „ბავშვობიდანვე ეშმაკა ქალმა“ იგრძნო, რომ სანდრო მხოლოდ მის შესახებდად ისწრაფოდა მისი აუდიტორიისაკენ, თეთიონაც ზარის დარტყვისთანავე დერეფანში გამოიჭრებოდა და თვალი იქით გაექცეოდა; საიდანაც სანდრო უნდა გამოჩენილიყო.

მერე სოფლის ამბებზე საუბარი, სეირნობა და ენოფილუმების ერთად ნახვა, ზეგერ სოფელშიც იტოვდა მგზავრობა. მაგრამ არასოდეს სიტყვა არ წამოსდენიათ იმ გრძნობის გასამქლავებლად, რომელიც თავისთავად და სხვათა შეუშინებლად დევიდებოდა მათ გულში...

ახლა ბევრი რამ ავონდება და თვალწინ ესახება სპოცხლის შუა გზაზე მიღწეულ დარბაზიძეს, რამდენი ტანჯა-წყალებუბა გადაიტარა მას შემდეგ, რა მწუხარებასა და დარდს ვაძლავა. ბევრჯერაც ხელი ჩაუქვევია ცხოვრებაზე. „ვეველაფერი უარობაა, ამოვლ ფაფხურობენ ადა-მაინები, იღებებს ებიღებია; ვანიღლებას ებლა-უბებიათ, იტაცებენ და ისაყუთრებენ სიმიდირუს, სტევის მიმართ მოშურნეობენ და ერთ მშვენიერ დღეს გათანაბრებულნი ეკუდებთან გზას სამარადისო ბნელეთისკენ!“.. ამგვარ უამურ არბებს ზნორად მოუყავს მისი გული. მაგრამ ამისდა მიუხედავად, ცხოვრების ერთადერთ მიზანს სიყვარულში ხედავდა მხოლოდ: „სიყვარულია ადამიანთა ბედნიერების საფუძველი; სიყვარული მწუხარებისა და სიხარულის ერთად ვანცდა, მის სიტყვა არ სჭირდება, იგი მწამებშიაიც გამოსჭვივისო“.

უსიტყვო იყო სანდროსა და ელვარის სიყვარულიც, ზოგჯერ მართლაც წამწამებით თუ ვაქსაუბრებოდნენ ერთმანეთს.

...ერთხელ, ელვარა და მისი აშხანაგები საჯარო ლექციას ესწრებოდნენ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში. წამწამებმა აქა-

მონახეს ერთმანეთი და ლექციის დამთავრების შემდეგ სანდრო და ელვარა, მეგობარ ქალიშვილებთან ერთად, პროსპექტზე გამოვიდნენ. მთაწმინდის ნიაშმა, ელექტროშუქის სიყაყაშემ და გელის ტილის სიახლოვემ უჩვეულოდ გაახალისა სანდრო.

მაგრის თეატრამდე ფეხით გასივარინეს. რა გობს ახლა გაჩინადებულ პროსპექტზე სიბრტულს? მაგრამ ელვარას მეგობარ ქალიშვილებს თვალები ისე ეშმაკურად უციმიციმებთ, საეჭვოა, წამწამების საიდუმლოს მიხვედრილი არ იყვნენ. უნდა დამჭირდეს მათთან დამშვიდობება! — ელვარა სტუდენტთა ქალაქში ცხოვრობს, დანარჩენები ასოლიმბალო ვაიფანტებთან. ამის გაფიქრებისთანავე, სანდრო პროსპექტზე მიმჭროლავ ტაქსის გადაუდგა. მუხრატეების ღრქვალმა ხანძალივით გასჭრა ღამის მყუდროება. მანქანის კარები სწრაფად გამოაღო და ქალიშვილებს ჩასვლიდა სათვალავი.

მანქანა გადვინდა, მიუხე-მოუხვია, აღმართ-დაღმართს გადაეცვლო და მეგობარი ქალიშვილები თავთავიანთ ბინებთან დასტოვა. მანქანაში მხოლოდ ორი დარჩნენ — ელვარა და სანდრო, რომლებიც აქამდე რაღაცაზე მინც საუბრობდნენ, ახლა კი ორივე დამუნქდა. მანქანა მიქართის და ამ საამო მგზავრობის მანძილს სწრაფად მოკლდება. სანდრო ოცნებამ გაიტაცა:

ეთომც მძღოლს ანიშნებს და მანქანა შემობრუნდება; უკან რჩება უნივერსიტეტი, მეღიქიმვილის შენა, რუსთაველის ძეგლი, შემდეგ რამდენიმე უესახვევი და იმ ალყავითან ჩერდება, სადაც სანდროს ცხოვრობს. მანქანიდან პირველად მოვია, მძღოლს ვასამრჯელს მისცემს და პატარა კბებს ელვარასთან ერთად აივლის. ოთახში შექს ანთებს. მეზობლები მიხვდებიან ფეხის ხმაზე, რომ სანდრო მარტო არ მოსულა, და მათ რომ სხეანარიად არ იფიქრონ, მამინვე გააღვირებენ ყველაზე ახლოდღე მეზობელს — დეიდა ვაროს, ბოდვის მოუხდის და ერთი წუთით გამოსვლას სთხოვს. დეიდა ვაროს გაუკვირდება, ამ შუალამისას რად შემახის სანდროით? სანდროს თხოვნა ძია მიხოსაც გაუკვირდება, მაგრამ მასაც ხომ შეილივით უკვარს იგი. თუ საჭიროა, ვაროს კი არა, თვითონაც არ დიზარებს ადგომას.

დეიდა ვაროს ნამძინარე თვალებს არც კი დაუჭერებს, რომ სანდროს ოთახში ანგელოზი შემოსულა და მორცხვად შესცქერის ვაყვირებულ მუხრატელს.

სანდრო მოეხვევა დეიდა ვაროს და მოკრძალებით ეტყვის: — როგორც საყუთარ დედას, ვთხოვ, ამაღამ აქ დარჩე, ეს გოგო ჩემი საყოლვა; ჩვენ ძლიერ გვიყვარს ერთმანეთი. მინდა შეილივით ჩაგაბარო. მე ამხანაგთან დავიძინებ, ხელო კი მეგობრებთანად მოვალ!

დეიდა ვაროს ძალიან გაეხანტება სანდროს ნათქვამი, გულში ჩაიკრავს ელვარას...

უღარესად ბედნიერი სანდრო არ მოეროდება უახლოესი მეგობრის ზურაბის ვაფიქრებლას: ყველაფერს უამბობს, ზურაბსაც ქლიერს გაუხეხებლს საყვარელი მეგობრის სიხარული. მეორე დღეს სხვა მძაყავებიც აფესფესდებიან, ცოტაოდენ ფულს შეაგროვებენ და სახელდახელო პურ-ღვინით დატვირთული სანდროს ანგელოზის ვასაცინობად წამოვლენ. ძია მიხოს, როგორც უხუცესს, პირველად დაალოცვინებენ ნეფესა და მარატქალს, იქვიფებენ, იოხუნებენ, სანდროსაც ვაგახარებენ და თავდაც ვაიხარებენ...

მაგრამ ვაითუ ვაჭარვებს ელვარა? ვაითუ უთხრას მძღოლს, მე სტუდენტთა ქალაქში ეცხოვრობ, აქეთ საით მიდიხარო. მაშინ რალა ქნას შეყვარებულმა კახუქმა? თუმცა არა, ელვარა ამას არ იტყვის, არც რამეში დაეჭვდება. საითაც უნდა, იქით წაივდეს მანქანა, სანდროს ყველგან წაყვება, ყველგან ენდობა; ბოლოს და ბოლოს ერთხელ ხომ უნდა მოხდეს ასე?! არა, ელვარა არ იტყვის, აქეთ რატომ მივდივართო, არავითარ შემთხვევაში არ იტყვის ეს წამწამებში ამოუკითხავს სანდროს.

ახა, რალს უყურებ, ბარემ უთხარი მძღოლს, შემობრუნდის მანქანა, ხომ ხედავ, გზა თავდება... ჩასაბის იღუშალი ხმა სანდროს, მაგრამ აჭერად მძღოლმა დაასწრო:

— მოველით!
მანქანა სტუდენტთა ქალაქის კარიბჭესთან გაჩერდა, ელვარამ გამოცილებისათვის მძღოლმა გადაუხადა სანდროს და მტრეცივით შეფრთხილდა სტუდენტთა ქალაქის ცოლი.

კლდარტყმულივით დაიბნა კაცო, ველარც ის მოახერხა, მანქანიდან ჩამოსულიყო და ცოტაზე მინც გაეცილებია თაივად მინწეული ანგელოზი.

მძღოლმა მანქანა შემობრუნა.
— ახლა საით, ხაზეინჯარ!
— სულერთია!

ალარც კი ასხოვს სანდროს იმ ღამეს მანქანით მივიდა შინ თუ ფეხით, ან საერთოდ მივიდა კი?..

ახლაც კი ჩასწყვიტა გული იმ ღამის ვახსენებმა. როგორ ვერ გამოიჩინა მტეტი სითამამე და ვერ უთხრა მძღოლს, მანქანა შემობრუნდო, როგორ ვერ განახორციელა მისი ღამაზი ოცნება ელვარასთან შეუღლებისა? რა ბედნიერი იქნებოდა? ხომ ასცდებოდა შემდეგში შეხვედრილ მრავალ უბედურებას?! საბარალო დედაც ვაიხარებდა და მშობლიურ სოფელსაც არ მიწყედებოდა ასე...

სანდროს ბხლა სხვა, უფრო მწარე ამბებიც მოაგონდა:

...იტიმად ასპირანტურაში სწავლობდა. ზაფხულის არდადეგებზე დედასთან ჩამოვიდა. ერთადერთი მხოლოდ დედადა იყო მაშინ ბაბუა სარდლანის კარიბდამოხე. მართალაა, მოხუცია, მაგრამ ბებერი ქორივით დასტრალებდა მაინც

შვილის მამაბაბულ სახლ-ქარს, ცდილობდა დოვლათიანად დაეხვედრებოდა „ბალანასათვის“ ნაჯათარი ოქახი, ერთი უკვრდა მხოლოდ, მისმა ვაჟმა უმადლესი განათლება მიიღო და კიდევ სწავლობდა...

— ნეტავ სწავლის საზღვარი არ აქვს?! — იტყოდა ზოგჯერ ვარდო და სხიარული წარმოდგენდა იმ დღეს, როცა მისი შვილი „სწავლადამთავრებული“ დაბრუნდებოდა შინ, ცოლ-შვილს მოეკიდებოდა და შეიღიშვილს ჩაუგო-რებდა კალთაში.

ღელის ამ გულწრფელმა ნატვრამ მზაკერული სურვილები აღძრა სანდროს ერთ შორეულ მოყვარეს — შინაბერა დაფინოს.

ბედს ღამდურებული ნაქელაირის ქალიშვილი, დიდი ხანი ვათხოვების მოსურნე, მაგრამ ჯერ მიზანმიუღწეველი და საქმადი ასაკგადაცილებული დაფინო ნებეირიმე პირადი ცხოვრების შესაძლებელზე უკეთ მოწყობის წადილმა ეგოისტური ქინით გამსჭვალა.

„მე თუ არა, ნურც სხვას მისცეს ღმერთმა კი ბედი? სხვაზე ნაყლები, ღმერთო კი მომკალი, რით ვარ, რომ არავინ იხედება ჩემკენ? რადგან ანა, ნურც მე და ნურც სხვას!“ — დაბეჩქოთებით დასკენიდა ხოლმე გულბოროტი დაფინო, როცა ვისიმე ვათხოვების ან ცოლის შერთვის შეიტყობდა, ანდა თუ რომელიმე ქალ-ვაჟის სოციარლის ამბავს მოჰყავდა ყურს. მერე გულდაწვევითაა ნამად გამო-ქონავდა თვალბნე: „უველანი თხოვდებიან, ქმარიან ტუბებიან აქვეყნითი ნეტარებით, მე კი აუხდენელ სიზმრებში უნდა ვაგლიო ჩემი წუთისოფელი“.

ცხოვრებაზე გააქარებულ დაფინოს გულის წინასწარმა მოიწოდებდა სანდროს გაჰყარა და ფიცარი.

„არც ისეთი ახლობელია... მაგრამ, ეპ, შე რად ჩამავდებს, ჩემზე ახალგაზრდაა, ნასწავლი: აღბათ, თბილისელ ვოკოტებშია ვართული...“ მერე უიმედობას რაღაც იმედიანი განწყობა შეეცვლიდა: — „თუმცა, ვინ იცის, შეიძლება ისე დაეუბლათათი ცხოვრების გზები, აქეთ შე-მეჭვურს კიდევ...“

ვარდოს დედობრივი სურვილი შვილის დაო-ქახებაზე დაფინომ თავისი ვიზრახვების აღსას-რულებად გამოიყენა. ფარსეულური გულბოდ-გინებით შეუდგა სარბლოს აღმოჩენას; მაგრამ სწორედ აქ იყო სიფრთხილე საჭირო: სარბლო არ უნდა ყოფილიყო ისეთი, რომელიც ოსტა-ტორად გამბულ ქსელში ობობას ადვილს თა-ვად დაიჭერდა... თუმცა იცის დაფინომ, რო-გორც მოიქცეს, ბედმართობამ განა ფიქრებ-ში ცოტა ბადე მოაქსოინა?..

და ობობამ ქსელის მთავარი ძაფის გამო-სამბელი წინწყარტი მონაბა, შეძლებული გლე-ხის სიღიბისტრო უშეკრების ქალიშვილი — სალომე, მაგრამ ყველაფერი ეს გულის სიდრ-

მეში მიმაღა უსიტყვოდ, თითქოს დაეწყებინა მისცა.

იმ ზაფხულს დაფინომ სანდროს ოქახში სა-არულს მოტეხშირა. შორეული მოყვარობა ახლო ნათესაობად აქცია. სანდროს მიმართ განსა-კეთრებულ მზრუნველობას იჩენდა. ვარდოს კიდევ სიამოვნებდა, მის შვილს რომ ხშირ-ხშირად პატივებდა დაფინო ოქახში, აცნობდა ნათესავეებსა და შეგობებებს.

— ვაიაროს, ვაერთოს!.. მუდამ შინ ქდომა როგორ შეიძლება, სულ წიგნს კითხვა სად გა-გონილს! — და სანდროც უარს ვერ უტუნე-მოდა, უკადრისობად არ ჩამომართვან თანა-სოფელლებმაო.

მით უფრო, მისი ტრფიალი იმ ეჟამდ დე-ღულეთში იყო წასული და ზაფხულს ზღვის სანაპირო სოფელში ატარებდა. ელვარი ისე-ნებდა, სანდროს ველო კი მოუხვეწნობამ შეიპ-ყრო, თუმცა ეს შეუძნეველი იყო ახლობელ-თათვის.

ამიერიად, სულ ლხინ-ქვიფში მიდიოდა ზა-ფხულის დღეები, ან რა იყო აქ დასაძრახი? ასირიანტი კაცი, შხესთან მოთამაშე ქაბუცი ზაფხულის არდადეგებს თუ ნათესავ-ნაცოტებ-ში პერ-ღინით სავსე სუფრებზე ვაატარებ-და, ქალებს ღამებ კალამბურებს სტყორცნი-და, იმღერებდა, იცეკვებდა და პატარა წელილს ბახუსსაც მიუზღავდა.

მაგრამ...

ხომ დაკვირვებისარ, მეთხველო, შხე რო-ცა ამოდის და თავის უხვ სხივებს საამოდ მოჰფენს ქვეყანას, ჩრდილებიც მაშინ ჩნდე-ბიან სწორედ, და რაც უფრო ნათელია შხე, მით უფრო მეტია მიწაზე ვართხმული ჩრდი-ლიც. დაახლოებით ასე დაემართა ქაბუც სანდ-როს, მაგრამ ამაზე შემდეგ, ახლა კი ობობას ქსელს დავებრუნდეთ.

— შენ, ახლა, სალომია, უკვე გასათხოვარი ვოგო ხარ, არ გინდა კი ბიჭს შეგერთო?! — ეტყოდა ტოლსმონატრებულ ქალიშვილს და-ფინო, როცა მართლ ჩაივდებდა ხელში და საიდუმლო საურბებით გაიტაცებდა. ერთხელ ისიც თუ შეაბარა სალომეს:

— იცი, ვოგო, ვის უნდა მივათხოვო? ო, რა ბედნიერი იქნები... მაგრამ არა, წამოგე-დება სანდმე! ვინმემ თუ გაიგო, ვათყვია; აღარ შესრულდება!

— არსად არ ვიტყვი, დაფინო დეიდა, დე-დას ვადეციები! მითხარი, შენი ჭიარბე! სიამ-რედ გადავიქცევი! სიტყვასაც არ დავძრავ! მხოლოდ გულში ვატარებ ჩემდა!

დიდი მუღარისა და ფიცის შემდეგ დაფი-ნომ გაანდო „კეთილი“ განზრახვა, რომ თუ სალომე ამ საიდუმლოს შეინახავს და ყველა-ფერი მას დაუჩერებს, სანდრო ღარბიძის ცოლი გახდება.

სანდროს ხსენებაზე კინალამ თავებზე დაეხა

საბრალო გოგოს, პირველად არც კი მიიჯარა გულს ეს ახარი:

— მე როგორ შემირთავს, დაფინო დეილა, სანდრო! არა ხომ ჩემზე უფროსია, ნასწავლა, ლამაზი! არა, მე მაგის შესაფერი არა ვარ! ეს საქმე არ შესრულდება და ტუფილა...

— მაგის შესაფერი არა ვარ! — ყბამოქცეულით გააქაჯრა დაფინომ, — სულელო, საქმე სწორედ ისაა, შენზე უკეთესი ჩაიგდოს ხელში, თორემ შესაფერი თავადაც იქნება არ შესრულდებაო? ეს მე მკობზე მაგ საქმის მოწყობა ჩემზე იყოს, აღონდ შენ ხშირად იარე ჩემთან, რაც ვითხრა, დამიჯერე და არავისთან არაფერი წამოგეცდეს!

დაფინოს საუბრებით გოგონებულ სალომე ფიქრებს ხშირად სანეტარო ზმანებში ვადამაყვდა. ელვიდა თუ ენინა, თვალწინ სულ სანდრო ედგა, ალერსით შეჩერებოდა და მთელი არსებით მისკენ მიიწევდა. სიყვარულის თავბრულდამბევება ბურუსში მოიცვა იგი და მისთვის ახლა დაფინოზე ძვირფასი ქვეყანაზე არაფერი იყო.

ამგვარად, ობობას ძაღუს ერთი ბოლო მაგრად მოხუცია ეშვერიობის გამოუცდელ ქალიშვილს.

...იმ დღეს სანდრო ნებზეირძეების ოჯახში იყო სტუმრად. სხვა ნათესავეებსაც მოეყარათ თავი და გვარიანი პერობა გაჩაღდებინათ. სწორედ მაშინ, როცა სტუმრები ლბინის ტალღებში შეცურდნენ და ბახუსის სიყვარულმაც ფრთები შეისხა, დაფინომ დაიგინა, ნათლია სილაბისტროსთან წავიდეთ, დამატყებელი ვართო. ამ სურვილს სხვებმაც აუბეს მხარი და ჭეიფის მადანზე მოსულ სტუმრები წამოიშალნენ.

პაერზე გამოსვლამ და თანამგზავთა სიცილი-კისკისმა, შეჭიკიკიებული სანდრო საოცრად მზიარულ გუნებაზე დააყენა. სულ ენად გადაიქცა, ყოველ ფრაზას ფრთიანი სიტყვამიგებით პასუხობდა. სტა დროს იშვიათად თუ გამოუჩინებდა ასეთი ენამახვილობა: ხან სოფლის რომელიმე პირვეულ კაცს, ან ახვია დედაკაცს გააჯარებდა, ხან კრებაზე გამოსულ ენაბლერ მომხსენებელს წარმოსახებდა, ერთი სიტყვით, სიხარულის ფრთები შორს მიაფრენდა.

სტუმრებს ხალისიანად შეხედნენ სილაბისტროს უშვერიობის ოჯახში. სუფრანზე მიიმატიეს ახალმოსულნი და ყველა აფგლო მოუჩინეს. სანდროს მეტი პატივისცემით მოეპყრნენ, როგორც პირველად მოსულ სტუმარს. სავანგებო ადგილი შეურჩიეს და ყოველ გემბიულ ერთს მის ახლოს დგამდნენ. ოჯახის ერთადერთი ქალიშვილი სიხარულისაგან შემკრთალი, ნაბლაღვეო სითამამით დასტრიალებდა სუფრას.

მოკვიფვე სტუმარ-მასპინძლები სანდროს ხშირად თავაზობდნენ დიდ სასმისებს, ისიც

აღარ შედრკა და გატაცებით მიეძალა ჩაის ქუჩებს, ლამაზ სიტყვებსა და ხმაშეწყობულ სუნდერებს, ხოლო მისით მიზიბულელი სალომე მოჭადლოებული და თავბრულდამბეული მიჩერებოდა სანატრულ სტუმარს. დაფინოს მეტმა არაფერ იცოდა, რატომ ეცვლებოდა საწყალ გოგოს მალიმალ ფერი ლოყებზე.

მაგრამ როგორც მალა ატორცინდი სხეული, ზენიტში ასვლის შემდეგ უკუსვლას იწყებს, სანდროსაც სწორედ ასე დაემართა, დღევანდელმა თავშეუკავებელმა დენის სმამაც თავის ზენიტს მიიღწია და... ედებ უკლ გუნებაზე დაღდა, უჩვეულო თავისტიკიული იგრძნო.

სტუმარ-მასპინძელთა ურთიერთობის ავანჩაინი — დაფინო მაშინვე სანდროსთან გაჩნდა, როგორც კი საერთო მზიარულებიდან გამოითიშა შეამჩნია.

— რა მოგეძადა, შემოგველე! არ შემარცხინო ამ ძვირფას ოჯახში, სიმთვრალე არ შეგაშინოთ! — მზრუნველად ჩასტრჩულა შეწუხებულ მეგობარს.

— ცუდად ვარ, დაფინო! ნამეტანი დამჯანსღერე, თავი მისკდება!

— ცოტა ხანს წამოწევი მეორე ოთახში და მალე გამოეთდები. შენ ხომ ნასვამი მოხვედი აქ და არაფერი დავძრაბავს.

სანდრო უსიტყვოდ დაემორჩილა მზრუნველ მეგობარს.

სიმთვრალით მოღლილ ქაბუცს ძლიერ ესამოჭრა წამოწოლა და პოქაის კი არა, ფუნსაცემლების ვახდაზეც არ გაუწევია წინაღმდეგობა დაფინოსათვის. მერე მზრუნველმა მეგობარმა წიბიდან ცხვირისახოცი ამოთღო და შებლყელი შეუშრალა, პერანგის საფვლიც გაუხსნა, სამაფრებში შეუღალდა და ქაბრის მოშვებთაც შეახალვათა მთერლო კაცი.

საამოდ მოსვენებული სანდრო ბუმბულივით გაფრინდა ძილის უსასრულო სამყაროში.

ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, დაფინომ ისევ ინახულა უქეიფოდ მყოფი მეგობარად და, რაღა ტბილად ეძინა, სულ გახადა ტანსაცმელი, ფრთხილად დაახურა სახანი და ოჯახის დედაქალს დაუბარა:

— ნათლია აგრაფინა, აბა თქვენ იცით, როგორ მოუვლიათ!

— რა სათქმელია! პირველად ხომ არაა ჩემს სახლში სტუმარი?

— პო, ჩემვან არ ვესწავლება, მაგრამ ისე ვთქვი. — მიღლიშლა დაფინო სალომეს დედას, მერე სტუმრებთან ვავიდა და თავისიანებს შეგონება დაუწყო: აწი წასვლის დროსო, სტუმარ-მასპინძლები უკვე ტუნებში კოცნაზე იყვნენ გადასული და ახალ საღდეგრბეულნი მკლავგაყრდინი სეამდნენ. მაგრამ დაფინოს შეგონებამ მაინც გასჭრა და კარგა შეღამებულში სტუმრები მზიარული ზორხოციით წავიდნენ თავთავიანთ სახლებსიკვენ.

უშვერიძის ოჯახში დარჩა მხოლოდ დიდი-ლი დედაქალი, მთვრალი სილიბისტრო, მძინარე სტენიანი და აბრთვლებული გული უსაზღვროდ შევკრებელი ქალიშვილისა.

შეადამე მოახლოვდა, სოფელში არსად აღარ ანათებდა სინათლე, არც აღამიანის ხმა ისმოდა საიდანმე. მხოლოდ შორიდან ძაღლის ყვფა თუ ვამოსჭირდა ბნელი ღამის თითქოს შედედებულ ჰერსს...

„ჩანდაბას ის დღე!“ — თითქმის ხმაილდა წამოილაპარაკა სანდრომ. გული ჩაწყვიტა მისთვის სავადმსოგონებელი დღეების გახსენებამ და რაც უფრო შეეცადა არ ეფიქრა მასზე, მით უფრო თვალწინ წამოეჩინა.

...იმ დღეს დაფინო დაბრუნებისთანავე შეუდგა ახალი ამბავის გავრცელებას: დღეს ვაზოდოს ვაჟმა სილიბისტრო უშვერიძის სალომე შერთო და იქვე დარჩა კიდევო. სოფლის ენაყრილ დედაყაცებს შვტა რაღა უნდოდათ? ბუნებრივად გუნდოვით გადაუფრინა ქორწინებულ სოფელს, ბევრს გაუჭირდა, ბევრს არ სჭეროდა, ზოგი მოწონებით შეხვდა, ზოგს ეწვინა კიდევ. ერთი სიტყვით, ყველამ სხვადასხვა აზრი გამოთქვა, როგორც ეს ყოველთვის ზღბდა ხალხზე. ასე იყო თუ ისე, სოფელში ხმა დაიბნა, სანდრო დარბაიძე ზედსიქედ შევიდა სილიბისტრო უშვერიძის მდიდარ ოჯახში.

ეს ხმა საბედისწერო გამოდგა სანდროსათვის. რამდენი უსიამოვნება და წუხილი ვანაცდევინა დაფინოს ამ ნალაყბეში, აღარ იცოდა, როგორ მოეშორებინა აბუზარი ხალხის შეკითხვები და შოლაყვები. უშვერიძის ოჯახზე უშუარაცყოფნად იმოქმედა ასე ფართოდ ვახაურებულმა ქორამ. შეეცადნენ ერთი, სინამდვილე ქვეყლიყო ზღამარი, ბოლოს მუჭარბუნდაც გადაეცდნენ, მაგრამ... არ სჩენელი არ იქნების!

ამის გამო დიდად შეიღბა სოფელში სანდროს სახელი. საეჭვო გახდა მისი ვაყაცობა და პატრონება, რადგან შეუძლებელი ყველას სათითოდ დაუმტყიცო საქმის ნამდვილი ვითარება. უთავბოლო ქორამა და უშვერიძის ოჯახის უსაფუძვლო მტრობამ ქლიერად დაარბია ვახუცი სანდროს მგრძნობიარე გული, ველარ და ველარ ვაყარა თავის საოცნებო რჩეულს. ვანუზომულ სირცხვილსა და შინში ჰგვარიდა ელვარას გახსენებაც კი.

უცნაური ხასიათი ჰქონდა სანდროს, უსაზღვროდ გულითადი იყო; სულ პატარა რამე აღფრთოვანებდა და ასევე პატარა მიზეზი მთლად ჩაუფრთხვებდა გულს. იმ ზაფხულს მომზადმა ამბებმა კი სულ ერთიანად განანდგური კაცი, თითქმის მართლა დიდი დანაშაული ჩადენის სილიბისტროს ქალიშვილის, ანდა ელვარას წინაშე. მისთვის უჩვეულო ავადმყოფურმა თავმოყვარებობამ შეიპყრო და არც კი ცდილა უსაფუძვლო ქორები გაეფანტა. ახლა ბევრს

ნანობს მაშინდელი უნებისყოფობის გამორჩენასათვის, მაგრამ სიზაბუეც რალს არგება სიზარმაისე გამოცდილებას!

„როგორ შეხვდეს, ან როგორ დაეყურო, ჩემ ასეთი სულელური ქორის ბაღეში უნებურად ვაყები. რა ჩემი სულიერი შეგობარი იყო ქორიკანი დაფინო, ან სხვა დროს როდის ვიყავ ასე ღვინოსვადავალიო?! ახია ჩემზე!“ — თავისთავს ტუქსავდა სანდრო გულში.

სათაყვანებელი არსებენ უნებური დაქარვეიო გამოწვეულ სეუდას ცეცხლზე ნავთის დასხმასავით დაემატა დედის მოულოდნელი ვარდაცვალება, რამაც მთლიანად ამოძარცვა სანდრო მშობლიურ სოფლიდან, სამუდამოდ შეფულდა იქიურობა, თავისი სოფლის ხალხი დასანახავდაც კი ეზარებოდა. ყველაფერი იქაური მის ავბუღითობას აგონებდა და თავის მომავალზე ფიქრარეულს გული სხვაგან ვაურბოდა.

იმ წელს, თითქმის სავანგებოდ, ყველა სამხედრო ვალდებულს არმიამი იწვევდნენ. სტუდენტებს და ასპირანტებსაც მოეხსნათ შეღავათი. სანდროს ემა კიდევ საქართველოდან წასვლა იქნებ, ეხედრულ ცხოვრებას ვადავარა მისთვის გულმწოროლი სეუდა-ნალეო. მაგრამ ვარბუდა აქაც უმტუნა, სავამულო ომი წამოეწია და წამოუდგენელი ბრძოლების ქარცეცხლი ვაიარი. მტრის ტყვეობამიე მოხვდა და ენით გამოუტყველო ტანჯვა ვადიბანა.

ომის შემდეგ, ტყვეობიდან განთავისუფლებული სანდრო ისევ უნივერსიტეტს დაუბრუნდა და ასპირანტურაში შეეადინეობა ვანახლა, თუმცა თვითონ ეელარ ვანახლდა. გულჯახობილი ვახდა, თითქმის ყველასავან ვანაიარდა, შეეადინეობასაც არ ეტრვოდა ჭვალეებრდა; ყველაფერზე გული აუტრეუდა; ვითომ დისერტაციამე მუშაობას შეუდგა, მაგრამ კეის ღევესა უფრო ვაუდა მისი საქმიანობა. ზოგჯერ გულში ვაურბენდა სეუდიანი კითხვები, თუ რალსათვის დაბრუნდა სავშობლოში? აღარც დედა, აღარც ოჯახი, არც ვინმე სათაყვანო... ძველ ამბავებს თითქმის არ ევარბოდა. ახლებსაც იშვიათად ეშვბდა; ასე ევარა, ვეარეიან ვაურბებდა და ვეარდში არეინ ამოუდგებოდა. „მხოლოდ შენი თავის იმედი უნდა გქონდეს, სხვისი იმედი ზღაპარსა ჰვავს, მოსასმენად საბოლო, შესასრულლებლად კი შეუძლებელიო“ — ფიქრობდა თავისთვის.

ღროთა სვლამ, რომელიც ყველაზე უეებარი მყერნალია ნალვლიანი გელისათვის, შეგობარების შეძახებამ და პარფესორ-მასწავლებელთა რჩევამ თავისი ვაიტანა. თუმცა ის ვახუცი აღარ იყო სანდრო, რომლის გამოჩენას სიზარული შეპქონდა ხოლმე აშანავებებში, მშობლიურ სოფლისაკენდა არ გამოსწია აქამდე გულში...

ამდენი სეუდიანი მოგონება რალა იყო ახლა?! სოფელში ვანა იმისათვის ჩამოვიდა, რომ დადარდალდეს? მაგრამ ნაყვინარ მიწაზე ცრემ-

ლიც ტყბილია, მწარე ამბების გახსენებაც ერთგვარი შეგების მომცემია თითქოს, რაღაც ანგარიშის წარდგენას ჰკავს თავისთავად.

ანტაე რასა იქმს ახლა ელვარა, როგორ ცხოვრობს, ნუთუ სადმე არ შეშხედდება? ახლაც არ სჯერა, რომ მოლაღატე არ ვყოფილვარ?! სანდრომ ამ კითხვებს ვეღარ უპასუხა, წყრომით ვიქნინა თავი და ნაწიისქვილარიდან ზემოთ მიმავალი ბლივი განავტრო.

დანართული ეპოსისიის გალაგანა

სანდრომ პატარა ფერდობი აირბინა და სოფლის შეუგულისავე მიმავალ გზას დაადგა რომელიც შეორე მხრიდან შედიოდა იმ უბანში, სადაც მისი მამიდა სახლობს და საიდანაც დღეს თავისი ნასახლარის ნახვის სურვილია გაიტყუა სოფლის დასაწყისამდე ასიოდე ნაბიჯი თუ იქნებოდა დარჩენილი, დასაწყისამდე კი არა, უფრო სწორია იქნება თუ ვიტყვი, სოფლის დასასრულამდე, რადგან ამ მხარეზე მდებარეობს იმ კუთხის სასაფლაო. სასაფლაოს დანახვას სანდროს ერთბაშად თვალწინ წარმოუდგა მძიმე მწუხარება, დედის გარდაცვალებისას რომ განიცადა.

სასაფლაოსაკენ გადაუხტა. აღარ არის ის პატარა ეკლესია, მის მახლობლად სოფლის კლუბად რომ გადააქეთეს, რომლის სტენზე მრავალჯერ უთამაშია მოწიფეობისას. სასაფლაოს მინდორიც გატიალუბულა, გარდაცვილითა ყოველგვარი ნიშანი წაშლილა თითქმის. მშობლების საფლავს მაინც მიაგნო.

ლამის ყველაფერი აღუგვია ვამთა უსასრულობის ამ მკრანე მონაკვეთს. უბრალო ღობე, სანდრომ რომ შემოავლო დედის საფლავს, დამპლა და ჩარდევულა, ჩანგრეულა საფლავის მიწაც და შექება და ველურ ბალახ დაუფარავს. მხოლოდ ის პატარა დიუნის ბუჩქი არ გამშხარა, რომელიც სანდრომ თავისი ბაღიდან მოიტანა და დედის თავთან დარგა პირიქით, უფრო ვაზრდილა და გატოტებულა. სანდრომ ქუდი მოახადა და მდუმარედ დაიკვირდა მშობლების სამარეს.

შეა არ ახსოვს, პირველ მსოფლიო ომში დაღუბულა; სანდრო ერთი წლისაც არ იქნებოდა, მაშინ. ბაბუა სარიდანმა მამის მავიერობაც გაუწვია ამიტომ მისთვის ერთი და იგივე იყო მამისა და ბაბუის საყვარულის გრძნობა.

... ახლადმოახებულ იყო სარიდან დარბაიძე, როცა აქ საყდარი ააგეს და ეს სასაფლაოც აერთიბეს. ბედმა სარიდანის ოჯახს არაგუნა ახალ სასაფლაოზე პირველი სამარის გაშენება. ერთი წლის ბიჭი წაართვა სიკვდილში დასაფლავების დღეს სამარის გასათხრელად წასულმა ვაცებმა საყდრის ცარიელ ეზოში სა-

ერთხვევლის ახლოს შეარჩიეს ადგილი. პირველ სამარეს მაინც ცნობისმოყვარეობით უყურებდა ყველა გამგელები. ერთ შურთან მუზობლეს უთქვამს, თურმე: *სარიდანმა ჩიქარი ადგილი დაუსაკუთრებია ახალი სასაფლაოს ეზოშიო...* შეილის სიკვდილით გულდათოქველი სარიდანის ამის გაგონებაზე კინილამ გაფიქრებულა და იმ მუზობლის საცემრად გაქცეულა, მაგრამ არ გაუშვიათ. ტარეზი ბეზინასაც სამუდამოდ შეუძღვებია დმერთი და საყდარი, მე ანგელოზი შეილი მომიტოვა, ამ ხარხსა და ბორბოს კი ქვეყანას აბილწებინებსო, არც ზიარება მიუღია და არც მღვდლის ლოცანი მოუსმენია. ასე ურწმუნონი გარდინდნ ბოლოს წუთისოფელს და საუკუნოდ განისვენეს მათი პირველი სიხარულის — პატარა ბიჭის გვერდით.

მაშინ ბაღლი იყო სანდრო, მაგრამ მაინც ბუერი იტარა, როცა მისი ლამაზწერბიანი ბაბუა თეთრ კუბოში მძინარე, ხალხმა შილა აღმართულ ხელზემდ დასვენებულა გადაიყვანა ეზოდან. იცოდა, რომ აღარ დაბრუნდებოდა მისი საყვარელი, მუდამ აიღრისიანი და ყველა სურვილის ამსრულებელი სარიდან ბაბუ, მაგრამ ყმაწვილის ამბავი ხომ მოგვხსენებთ, ადვილად გადაიტანა მწუხარებაც, ობლობაც.

სანდროს ბაბუას გარდაცვალების შემდეგ ტარეზისაც აღარ უცოცხლია დიდხანს და სარიდან დარბაიძის მთელი ოჯახის სიმძიმე მართებულა ვარდოს დააწვა მხარებზე.

იმ ხანებში სანდრომ სკოლაში „მავდანას ლურჯა“ ისწავლა. მავდანას მავიერ თვალწინ სულ დედამისი ედგა.

... დიდი შიმშილობის წელიწადი იყო. სოფელში ხმა დარბა, საბჭოთა მთავრობამ სიმინდი გამოგზავნა დარიბებისა და ქვრეც-ობლუების დასახმარებლად. ვახარებულმა მავდანას ორეულმა ბავშვებიც კი წაიყვინა სოფლის თე-მალმასკომში. მართალი გამოდგა სიმინდის ამბავი, მაგრამ თემაიმასკომი ხალხით აღყამე-მორტყმული დახვდა ვარდოს. აღმასკომის შენობის პარზალიდან ჩიქურ ერეკებოდნენ ხალხს მამინდელი ახალთაობის ადგილობრივი ყვარყვარები.

— სიმინდი ჯერ რევოლუციამაში მონაწილეებს დაუბრუნდებოდა! თუ დარჩა რამე, შემდეგ მიეცემა ღარიბებს! — ხმამალა ვამოცხადა ერთმა ყვარყვარეობამა. ამ სიბრძნის გაგონებაზე ხალხი აყავანდა. ზოგმა შესიტყვებაც კი ვაბედა, მაგრამ ყვარყვარემ საიამყით წაითხელი წელზე ჩამოხმულ, ერქვანისებურ რევოლუციისაკენ — ხომ არ ვინდა ახლავ ნაობატში ჩაგაბრძნაო.

გარდომ ბავშვები წინ გაიძლილა, თემალმასკომის შენობის პარზალს გვერდიდან მიადგა, სადაც ნაცნობი თანასოფლელი, იარაღით შესაღრტელი ივანე ზაბოა იდგა. იმედოვნებდა,

ივანე უფრო შემობრალეხსო, ბავშვები პარმალ-
ზე შეწყა და თვითონაც სვეტს მოეჭიდა ასას-
ვლელად, თან უმორჩილესი თხოვნის კალთათა
ნიმართა:

— ივანე, ძმაო, დამეხმარე, რომ ჩემმა
ობლებმაკი მიიღონ ცოტა სიმინდი ადენ ვაე-
კაცებში მე რას გავხდებდი მოისხი ჩემი შეი-
ვლების მადლით.

— ჩადი ძიარს! — თვალები დაუბრიალა
ივანემ.

— რატომ ჩავიდე? — ცოტა მრისხანე
სახე მიიღო ვარდომ, — სიმინდი ჩვენ გამო-
გვიჯანა მთავრობამ, უქვენ კი...

— ვის გამოუგზავნი, ეს ჩვენ უფრო ვიცით,
შენ ვინ გვიკოხება. დედაცაცო! — და ივანემ
ძალემად უბინჯა სვეტთან მდგარ ვარდოს,
ქალი დაბარბაცდა და ზურგიით ჩავარდა დაბ-
ლა თემაღმასკომის შენობა ფერდობ ადგილ-
ზე იდგა და აივნის ის მხარე დიდად არ იყო
ამაღლებული, მაგრამ მძიმე შრომით დაქანცულ
ქალს, თან ტკვილიდავან, თანაც სირცხვილ-
საგან თვალთ დაუბნულა. სიმწრით წამოდგა,
ხელი მოავლო კალთაზე მოხვეულ ატირებულ
ბავშვებს და საბრაზისაგან ძალმოცემულმა მავ-
რად შეაფურთხა პარმალზე მდგომ ივანეს
— ტყუილ შენს კაცობასო!

შეფურთხება როგორ ვაუბრე მთავრობის
კაცსო, მაშინვე მისცივდნენ ერქვინანი ყვა-
ყვარებები და თვალცრემლიანი ვარდო ძალით
შეივინანეს თემაღმასკომის თავმჯდომარესთან.

— ახლავ ბოდიში მოუხადე შეურაცხყო-
ფისათვის!

— ქალს ძალდიც არ უყვარს! დახმარება
ვთხოვე, ის კი უსინდისოდ მომეცედა, ხელით
შემეხეო და ბოდიში მე მოუხადო? — ზე ვე-
ფხეცითა გააფთრად ვარდო.

— არა და მთელი დანიშნ დავაბატომრებ! —
ბრძანა თავმჯდომარემ.

მწირედ ავირდება სანდროს იმ დამის გათე-
ნება თემამასკომის შენობაში, „მთავრობის
წინააღმდეგ მოქმედებისათვის“ მსჯავრდადე-
ბულ მოქალაქე ვარდო დარბაიძეს, როგორც
ქალს, პატრეი სტეს და ნება დართეს, ნაობა-
ტის საცვლად მდინის კარდა ოთახში ყო-
ფილიყო, ბავშვები თან ჰყოლოდა.

მგონი, ახლაც ცოცხალია ის „რევოლუციო-
სათვის თავდადებული“ ივანე ჩიჩუა, რომე-
ლიც დიდხანს უფროსობდა სოფლის ყვარყვა-
რეთა გუნდს. ბოლოს პარტიის რიგებიდან გა-
ძევეს და ცოტა მოუსავლად წლებში კოლმე-
რანობის კანტორაში თავად დაბრძანდებოდა
ტრომით ხელში სიმინდის ავიზის მისაღებად,
მაგრამ რევოლუციაში დამსახურების მიუხედა-
ვად, ზნობად რჩებოდა ვაჟბალებული.

...საწყალი დედა! ვინ მოთვლის, რამდენი
ასეთი წვალება უნახავს, რამდენი უძილო დამე
გაუთენებია და მშვიტი დღე დაუღამებია. იმე-

დონებდა, მალე ბიჭი წამომგზავნება და წამო-
მეშველებაო, და ავე, წამოეშველა კიდევ...

საფლავიც როგორ უპატრონოდ მოიტოვე,
თითქოს არავინ დაჩენილდეს შემკვიდრე, მარ-
თალია, ვარდოს ქალიშვილიც ჰყავდა, მაგრამ
ქალი ხომ სხვისი კერის ნაცარია, მან იმ ოჯა-
ხის კირ-ვაარამს უნდა შეუდგას მხარი, რომე-
ლიც ბედს შეიყვანს. სანდროს კი რომელი
კერის ნაცარი უშლის ხელს?

— „უსინდისო, უღირსო შვილო!“ — უხმოდ
დატყქსა თავისთავი აცრემლებულმა სანდრომ.

მერე როგორ უყვარდა დედა! სახლში თუ
იყო, მუდამ კატის კნუტივით ეხალხლებოდა
ფეხებში, გვერდიდან არ ცილდებოდა, ეალე-
რსებოდა, ევლერტულებოდა. ცოტა რომ წა-
მითხარდა, შრომამდე შველოდა. თუ სკოლა-
ში იყო, ან სოფლის მინდორზე ტოლებებთან
თამაშობდა, მუდამ სახლსაკენ ეკვირა თვალ-
ყური, მოსვლისას, ენოს კარებიდანვე, მძიმე-
მყოვარა ბაღლის სიხალისით დაამახებდა
„დედა!“ ბავშვობისა კი არა, მოწიფული ქა-
ბუკიც კი დედის კალთას ძნელად შორდებოდა.

„ეს, ჩიტი უფრო ბედნიერია დედაზე: დაბ-
რდის, გადააფრენს ბარტყებს და თვითონაც
ფრენს თავსკეცა. დედა კი შვილებს დააფ-
რენს და ვაყვად მარტო რჩება სამუდამოდ!“

სანდროს ტრანჯავს ახლა ყოველი ასეთი გა-
ფიქრება, ეცოდება ქმარშვილში გუხარელი
დედა, რომელსაც ოდნავადაც ვერ გადაუხა-
და ამავე სამარეც კი უპატრონოდა მიტოვე-
ბული. „სოფელი არ შეიძლო, — შვილო, ქა-
ლაქმა გუნება არ გამოგიცვალის, არ დაგიფ-
წყდეს შენი აღმზრდელი მიწა-წყალი. სწავლა
და კიკაცობა ჭერ აქ უნდა გამოიჩინო, შენს
საყუთარ მტერ-მოყვარეში... თითქოს ხელახლა
გაიგონა დედის მამინდელი დამრიგებლური
სიტყვები. ისიც გაახსენდა, ბავშუ პარიზში
ერთხელ სასამისით რომ დალოცა პატარა შვილი-
შვილი: „ისეთი გამეზარდე, მთელ ჩვენს სო-
ფელს სასახელოდ გამოდგამოდეო“.

ხედავ, როგორ გამოაოდა თავის სოფელს?
ოც წელზე მეტია, არც კი მოპკარებია აქაურო-
ბას. ეთომცე აქაურმა ხალხმა დღემდე რამე,
ან ამ მიწა-წყალში რა გუფუქა?!

...ბრძენს უთქვამს, დიდი მწუხარება ცრე-
მლს უშრობს კაცს, დიდი გრძნობა ყოველ-
თვის უტყვიაო. სწორედ ასევე უსიტყუო და
უცრემლო იყო სანდროს განცდები იმ უმწარეს
დღეებში, რომლის მოგონება გულღვიძლს
უძრავს დღესაც. უტყვ მწუხარებაში შეგვბე-
ბულმა ცრემლმა ერთხანად იცის წამოსკდო-
მა, თუ სადმე მარტო დიხელთა ადამიანი,
როცა არავინ გიკვირს, ტირილიც მაშინ აბის
ნამდვილი.

აქ მოუვიდა იმ დღესაც, რომლის შემდეგ
არც კი წამოსულა აქეთ. დედის დასაფლავე-
ბის მერე ერთ ხანს თავს დასტრიალებდა მამა-

მაველ სახლ-კარს, რაღაცას ჩაღიზბდა, ვითომც მშობლების სამარხს უვლიდა, თითქოს რაჟანშიც შრომობდა, მაგრამ თავადც არ იყო-და, რას აკეთებდა. ბოლოს აქაურობისადმი სიძულელი იგრძნო და გადაწყვიტა შორს გადაეარგვა.

სწორედ ის უქანაკნელი დღე იყო სანდროსთვის მეტად მძიმე, ყველაფერს გულისდაწყველი სინანულით ეთხოვებოდა, ბავშვობის ბედნიერ წლებთან დაკავშირებულ აღფრთხილებს შორბობდა, სტოეებდა უსაყვარლესი ადამიანების საფლავებს. მაგრამ ცნობილია, რომ გაქირვება და მწუხარება აწრთობს ადამიანს, გამძლეობის უნარს ჰმატებს. კაბუტური მხენთა გამოიჩინა სანდრომ მაშინ, მთელი ძალონე მოიკრიბა და ვითომც აქ არაფერიყო, უსიტყუოდ დაეშვიდობა ახლობლებს და გზას გაუდგა.

ღარდებამილი კაცი აჭაბუბული მიდის და ცდილობს არ იფიქროს დაკარგულ სიკაბუტეზე. თითქოს ზუსტმაგარდ მიზნებებს და ლაშობს დაძლიოს გულს მოდებული წებობის უმძიმეს ტვირთი. რიონის დაბლობს გასცდეს როგორმე, როგორმე რკინიგზის სადგურამდე მიადწიოს, იქ ხალხის ერთმულში ეთუოდ მოიშორებს მწარე ფიქრების კორინტოსს. მაგრამ გზა განგებ არ თავდება თითქოს.

სიტუა ხანს ვზიდან გადაუხვია, მახლობელ ხის ჩრდილში შეისვენა, სული მოთქვა, მერე თვალი მოაეღო არემარეს, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გაქნებულ აჭარა-ახალციხის მთებს, მართლაც ქლივისფერად შენისლულთ, ყველაზე უფრო წიაღუნის მთამ მიიპყრო მისი მზერა. იგი ამაყად დგას და თითქოს უგრძობს, შორიდანაც რომ გამოირჩევა სამხრეთ კავკასიონის მოაჯრებელ ზოლში. ბავშვობაშიც დაუნახავს აქედან ეს ლაზი მთა, მოსწონებია და შთაგონებამი თავისად მებუნებია, მაგრამ ახლ... ახლა იგი მხოლოდ სინანულს ჰგერის. იმ მთის კალთებზე მღებარეობს მისი შობლიური სოფელი, რომელსაც ამიერიდან აღარ ნახავს. იმ მთის ძირასაა სასაფლაო, სადაც მთელი გვარეულობა განისვენებს, სადაც ახლანდ საყვარელი დედა მიიბარა სავარეს. იმ მიწაში უნდა ჩადნეს მისი ტკბილი ძუძუები, იქ უნდა ჩაღბეს მისი თბილი კალთა, მუდამ დამილით ანთებული სახე და დედური აღერსით ავსებული თვალები. აი, ის დედა, რომელსაც კაბუტი სანდრო ჰშირად მყერდებოდა და ბაღლივით გაიტრუნებოდა.

ახლა კი იფიქრებს მწუხარებისაგან ვამზრალმა თვალებმა და დიდი ხნის შეგუბებულ ცრემლს გზა მისიყს. როგორც უარლესად მშვიდი მდინარეც კი წყალდიდობის დროს ამპურდება ზოლზე, ისევე ამპურდა ნიაღვ-

რით წამოსული ცრემლი და უდანბნო მდინარეც ბედლივით მარტოყოფი კბუტი ხმამაღლა ატირია.

— ეიპ, რომ აღარავინ მყავს ჩუტლანს მცხეთაში ბობი და აღარავის დეწვევა ჩემზე გული... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიღულღულა ცრემლმორეულმა კაცმა.

იტარა, დიდხანს და გულიანად იტირა. როგორც იქნა, დაიწურა ცრემლის გუბე, დამშვიდდა მღელვარე მდინარე და ადამიანს თითქოს შეუძსუბუქა სევდის ტეკათი, რომელიც გულზე აწეა და სულს უხეთოვდა...

მაშინ კი არა, ახლაც ამოუქდა გული დედას საშრესთან მგლომ სანდროს, შეგუბებულმა ცრემლმა ისევე იმოყა გზა და უსიტყუოდ გამოასყვა გულს ნადები ფიქრი.

„სიბილე დედის სიყვადლის შემდეგ იწვება მხოლოდ: უმამო კაცი გადაბეილ ხესა ჰგავს, უდედო კი — ფესვებზე გადაბრილ მცენარე. ჩემი ფესვები აქაა ჩამარბული, ეს მიწა: ჩემი მშობლების სისხლითაა გადენილი, ჩემს სხეულსაც მათი სისხლი ასულდგმულებს. მე და ეს მიწა ერთი ვართ. შეუძლებელია ჩვენი დაშორება... ყველა სამარეს თავისი კირისუფალი უნდა, ყველა მიწას თავისი მცენარე უნდა, ყველა კერას თავისი კვამლი უნდა. მტარდა ვინ მოუვლის სამარეს? ვინ დარავს მცენარეს? ვინ დაანთებს ცეცხლს?“

...დანგრეული ეკლესიის გაღავანში ქუდ-მიხდილ კაცს თვალი მოჰკრა სოფლის შარავზახზე მიმავალმა მოხუცმა. ბერიკაცს გაუყვარდა, ვინ არის ნეტავ, მგლოვითარ სახით რომ დამდგარა ასე მარტო.

ცნობისმოყვარეობამ მოხუცი სასაფლაოს ეზოში შეიყვანა. ჭერ შორიდან სცადა გაეხსენებინა, ვინ იყო იქ დამარბული, სადაც უცნობი იდგა. პირველად ვერ მოიგონა, მაგრამ მიახლოვდა თუ არა, მაშინვე მიხვდა, ვის საფლავთანაც იყო მისთვის ჭერ კიდებ უცნობი ადამიანი.

მოხუცმა ჭერ ვერც კი იცნო სანდრო. მაგრამ შეჰდგვ იახრა. ვინც იქნებოდა, და კმაყოფილების ღმილით მიმართა:

— შენ, ჩვენი სარიდამის შეილიშვილი არა ხარ? სანდრო ხარ, ხომ? ბიჭო, როგორ გამოცვლხარ, როგორ დაეყვარებულხარ!

სანდრომ მაშინვე იცნო მოხუცი, მიმიდა ანანოს მეზობელი — გოქასპირ კეთილანე, თავაზიანად ჩამოართვა ხელი.

— ყოჩაღ, ბიჭო, კიდევ რომ გახსოვს მშობელი დედა და შენა წინარბები, ახლაც გაყრემლებს მათი მოგონება? ეპ, ჩემო ბიძა, ჩვენში ისე წახდა ხალხი, მკვდარს კი არა, ზოვიერთი ცოცხალ დედასაც არ აქცევენ ყურადღებას.

— კი მახსოვს, გოქასპირ ბატონო, მაგრამ

მარტო ხსოვნა თურმე არ კმარა. გული ჩამოწყდა, რომ ასე გაპარტახებული აქაურობა.

— ეილას სეილა, ჩემო შვილო, სასაფლაოს მოსაძლელად, სოფელში კაცი აღარაა. ვინც წერა-კითხვა ისწავლა, ყველა ქალაქში გაიქცა. დარჩით ეს უღონო ბებრები და ჩვენ რაღა შეგვიძლია? სასაფლაოს მოვლა კი არა, სამუშაოებს ვეღარ აუღვივართ. — აბუღუნდა მოხუცი.

— შენ სულ დაიკარგე ამდენ ხანს? შენს კუთხეში ხანდახან მაინც არ უნდა ჩამოხვიდე?! ახლა შენი მშობლების ვაცოცხლება არაა ეს, აქ რომ დადგომიხარ თავზე და ცრემლებს ღერი? ხშირად უნდა ჩამოხვიდე, ბიძა, ხალხს უნდა დაანახო, რომ შენი მშობლების სიცოცხლე ვრძელდება!

მოხუცის სიტყვები გულზე მოეცია და სანდროს. — ხალხს უნდა დაანახო, რომ შენი მშობლების სიცოცხლე ვრძელდება! — ითქმის ზღაპროვითად გაიგონა.

— ახლაც რა გვაკეთე, რომ ჩამოვედი? მხოლოდ დარდით ავიცხე!

— სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარო, ხომ გავიგონია, ბიძა, შენ უფრო კარგად გეცოდნება, ნასწავლი კაცი ხარ. შენი სამშობლო, დარდიც შენად უნდა მიგაჩნდეს და სიბარულოც, მშობლიური ქუთხის მიტოვება არაა მოსაწონი ნასწავლი ყველა თუ იქ დარჩა. სადაც ისწავლა, მაშინ რა ქნას სოფელმა, მუღამ ასე ბნელში ვიყოთ? თუმცა შე და ჩემსათნა ბებრები აქი მალე გავემგზავრებით. ჩვენთვის სულ ერთია, მარა გული შეწყდება, რომ სულ გაპარტახდება ჩვენი ოფლით მორწყული მიწა-წყალი. ჩვენს შამაპაებს რომ ახლანდელი ახალგაზრდებივით ეფიქრათ, ვანა ეს ქვეყანა ჩვენამდე მოაღწევდა?!

გოჯასპირის სიტყვები ფტურებებით ჩაფრინდნენ სანდროს გულში. ესამოვნა, რომ ამ ღრმა მოხუცის, ქვეყნის ავარგზე კიდევ გული შესტყობა.

სანდროს კარგად ახსოვს, რა გონიერ კაცად ითვლებოდა ეს მოხუცი, რა საქმეც უნდა ჰქონოდა სოფელს, საერთო თუ კერძო, გოჯასპირ კეთილადის ვაჟებზე არ გადაწყვეტდა, ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამდა მის დაუკითხავად, წარმოსდგა დედაცი იყო, შეეწვერულვანა, მხრებგანთიერი, მისი დამფრთხელი და აღერსიანი თვალბა მოგზიბლავდა, ქართულ ჩოხას იცვამდა. როცა მოწადეობისას სანდრომ უაზბეგის ახვისბერი გონა* წაიკითხა, თვალწინ სულ გოჯასპირი ედგა, სადაც კი ეს სანდრონი და მამოხიდელი კაცი შეხედებოდა, მამოხიდე ხევისბერი გონა ვახსენდებოდა. ამიტომ მის თავის გულში გოჯასპირ-გონა შეარქვა.

ახლა კი გული დაწყდა, რომ გოჯასპირ-გონა ძველებური ომბახანობით ვეღარ გამოიყურებდა? წლებს თავისი გაუტანია, ეტყობა, ცხო-

ვრებასაც წიხლი წაუტარეს. მაინც დიდად ესამოვნა მისი ნახვა, ასეთ, ცხოვრების გრძელ-გზამოვლილ კაცთან საუბარზე, მაშამიღ იქცა ფიქრებაფორიკებულ სახდროსთვის.

შე უკვე დასავლეთის ჰაზრონტს მიუახლოვდა, მთების კალთებზე ჩამქონდნენ შემოდგომის ფერები. დარბაისელ მოხუცთან საუბარმა სანდრო მოგონების უღრანიდან გამოიყვანა და მზის მკრთალ სხივებს თვალი გაუსწორა. თანასოფლელები ნელი ნაბიჯით გამოვიდნენ დანგრეულ ცეცხლის გაღვივნიდან.

— როგორ გუბარდებოდა შამაპაშენს შენი ჩამოსვლა, თავისი შვილი ხომ ჰყავს, მაგრამ უცელთავის შენ გფიცულობს, ჩემს შვილში არ გამომგრჩევია, აშბოხს, მით უფრო ერთადერთია ჩემი გვარის გამგრძელებელი! — წამოუწყო გოჯასპირმა მღუმარედ მიმავალ სანდროს.

— არ დამხვდნენ სახლში. დიდახან ეიცადე. მერე ჩემი ძველი უბნის ნახვა მომესურვა. მაგრამ ნეტავ არ წავსულიყავი მაინც რა მოხდა, გოჯასპირ ბატონო, როგორ უდაბნოს დამსგავებია იქაერთობა! ხალხს რა მოუვიდა, სად გაიქცენენ?!

— ბებრები დაიხოცნენ, შამაპაშელებმა ზურგი აჩვენეს მათს მიწას, ოღო საქმეებს მიაშურეს. დაბლა, კოლმეგრეთობაში საუკეთესო საყანა მიწები საყარმოდამო ნაკეთებდა დაწაფილს. საავტომობილო მარაგზე იქვეა და აქედანა ქანთეხებაც მოფრთხა ისწავლეს, იქ გადასახლდნენ. აქ კი, როგორც უფრო გინახავს, წინაბებრის გამენებული ბაღ-ვენახები მიატოვეს და, ხომ იცი, კარ-მიღამოს შრომელი კაცის ხელი თუ არ დასტრიალებს, რა მალე იცის განაჩევა?

— ეს იმ ანდაზისა ჰყავს, ბროხა რომ სხეებზე აიყვანეს დასაკლავად, რადგან დანა იქ ჰქონდათ შენახული, არ აქოებდა, სოფელს თავად გავეცუთებია საავტომობილო გზა და მანქანები აქ ამოუყვანათ?!

— მაგას მოსაზრება და მოთავე უნდა, ჩემო კარგო, უმეთაუროდ ხალხი ფხას გავს, ერთ-მანეთის წამხედურობით უბრალო ჯოხსაც არ გასდებენ ღელზე, რომ მშვიდობით გაიაროს მგზავრში. ყველა თავის გამოჩენას ეძებს მხოლოდ. გაიძახიან, ცხოვრება წინ მიდის, ეთარდება და იცლებათ.

— ეგ მართალი თქმაა, გოჯასპირ ბატონო. მაგრამ ცხოვრების განვითარება და ცვლა როდი ნიშნავს სოფლის დანგრევას. პირიქით, ცხოვრება უნდა ვარდაქმნას და განვითარდეს სწორედ იქ. სადაც ის არის, სოფელი თუ მოსახლე, ხალხი აიყარა და წავიდა, ეს რა ვარდაქმნა და განვითარება იქნება?!

— ო, ცხონდეს შენი გამზრდელი, მაგას კი კაცი უნდა, ერთგული მეთაური. როგორც გითხარი, ვისაც ცოტა თავში უყრია და დაეჭვებ-

ბა, გადაკარგულნი ხართ და აქ დარჩენილებმა არ უნდა ღმერთს!

— თქვენ მუღამ დაკვირვებული კაცია ბრძანდებოდით, მოწინავე, რატომ ვერ უშეთაურეთ ჩვენი სოფლის წინსვლას? აქაორობა ისევ ისეა და ზოგი რამ უარესადაც, ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინ რომ იყო. ნუთუ ცხოვრების საკრთო მდინარება აქ არ შემოვიდა?

— ხომ იცო, ჩემო ბიძიო, როგორც მზე ვერ ჩაწვდება ყველა ზეეს. ალბათ, ჩვენი სოფელიც ასეა. ყოველ საზოგადო კარგ საქმეს შექმნა უნდა, აქ კი პკონიათ, მხოლოდ პირი უნდა დალო და დაუცადო, როდის ჩავივარდება ლუკმა. მერედა, ჩემსათანა კაცს ახლა ვინდა დაუთმობს მეთაურობას. ვანა ჩვენ, მოხუცებს რაიმეს ვეიყვრებენ? მოვა ზოგჯერ გუმზინდელი ბაღლი, შე რაიკომის ინსტრუქტორი ვარ, მე მიწვანის აგროტექნიკოსი ვარო და სიმინდის თონხანაც კი გვასწავლიან... შედეგი კი ის არის, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში გრამი მარცვლიც არ ნაწილდება ზოგჯერ...

გოჭასპირმა ახლა საუბარის სხვა მხრივ წარმართა.

— რამდენ ხანს დარჩება, ბიძიო, აქეთ, ამ შემოდგომაზე ხომ იქნები ჩვენიან?

— ერთი თვის შევებულემა მაქვს; თუ გავძელო, მინდა აქ გავატარო მთლიანად.

— ერთი თვე რაღა ვასაყფობ? თუ გავძელო? ხო, როგორ გძლებს სოფელში, აქ ფუტბურთის თამაშს ვერ დავსწრები და უფლებბურთოდ რაფერ შეიძლება ახლა ცხოვრება! — ძველებურად ჩაყრა ხუმრობის კვესი გოჭასპირმა.

— ფუტბურთის დიდად მოყვარული არა ვარ, მაგრამ უსაქმოდ როგორ გავძლებ-მეთქი, ცხოვრებამ ვადაამჩნეა დასვენებას.

— ახლა სად მუშაობ, რა დარგში ხარ, შენზე ამბობდნენ პრადისორობას: სწავლობსო და, არ ვიცი, მოასრულე თუ არა.

— პროფესორობაზე ბევრი მაცლია, გოჭასპირ ბატონო, მაგრამ ჩემი დიდი გვირგვინისა და აფორიანებელი ცხოვრების შემდეგ, მინც შეეძლო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მპოივება, ინსტიტუტში ვმუშაობ ლექტორად.

— პო, მია კიი საქმეა, მაგრამ თუ ევლარ გიბილავთ, რაღა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის? ეკ, ჩემო ბიძიო, შენთვის იყავი კარგად და ჩვენი სოფლისათვის სხვა ვინდა ფიქრობს? შენ ერთმა კიდეც რომ იფიქრო, რას ვააწყობ?

— ვითომ რომ ვიფიქრო, გამოვა რამე?

— რა ვიცი, მაგას დაკვირება უნდა... ავე მამილაშენას სახლიც; თუ კიდეც არ არიან მოსულნი, ჩემთან წამობრძანდი, აქლამ ჩემსას დასვენე.

— დიდი მადლობა! მე მგონია, მოსულნი იქნებიან. ჩემს ჩამოსვლას მოხედებოდნენ და რომ არ მივიდე, შეწუხდებიან. თქვენ ამ დღე-

ებში აუცილებლად გნახავთ, თქვენთან საუბარი ყოველთვის სასიამოვნო იქნება, ჩემთვის. ერთმანეთს გამოემშვიდობნენ, სანდრომ მუკამი ჩაუხვია, გოჭასპირი კი ისევ მთავარ გზას გააყვია.

„მარტინი ილენი“

ჩაუხვია თუ არა სოფლის შეყაში, ისეც მართო დარჩა თუ არა თავის თავთან, სანდრომ საოცარი დაღლა იგრძნო. მშობლიურ გორაკებზე მთელი დღის ზეტიალმა და განვლილ დროთა გახსენებამ თითქოს ცხოვრების ბალასი წარმოუდგინა.

ბალასი? ვითომ გათავდა ყველაფერი?! უკვე შედგა ცხოვრების ბალასი?! არა, ვერ კიდეც დიდა გზაა წინ, კიდეც შეიძლება მისი წარმატებითიერად წარმართოს და ბალასს დიდად მოგებულ წარმოსდგეს...

ფიქრები და გზა ერთბაშად გადაკვეთა რკინის ტიშკარმა. სანდრომ თითქმის შეუძრნეულად გამოაღო ტიშკარის მომცრო კარი, მაგრამ დახურვისას მინც გამოისცა ტყავინი, რაც არ გამოპარვია ოდის აიგნებე მყოფ ანასის. იგი ვერ გავიყრებული დააქცარდა ეზოში ჩამოსულს, მაგრამ უმალ მოხვდა, ვინც იყო.

— ა, ხომ ეახობდი, ჩემი სანდროშა ჩამოსული-მეთქი! — სიხარულით წამოიძახა ანასომ, კიბე ჩაირბინა და მკლავებგაშლილი მიეგება ამიშვილს. — ჩემოანა რამ ვნახე, მაინცე მივხვდი, შენ იქნებოდი, ჩემო დაკარგულ ბიჭო! — და პატარა ბავშვით ჩაიყრა გულში დიდი ხნის უნახავი, შეიღიფთ საფიციარი სანდრო. ისეც მოეხვია დედასავით ტბილ მამიდას, მხარზე თავი დააღო და ვაიჩინდა, რადაც თბილსა და ტბილის გამოუტყმელმა განცდამ მოიცვა. მერე თუალებში ჩაუხვდა ერთმანეთს, ორივეს ცრემლები მოარეღათ.

— საკოდავი დედაშენი... ახლა რომ შენთვის შეეხვდა, ხომ ვადაჩრეოდა სიხარულით?! ღმერთი არ გაახარებს შენს მტერსა და ორგულს! — მაგრამ რაღა სულ ვადაკარგე, შეილო, ასე ახოვთ შეიძლება, შენს მტერ-მოყვარეს არ უნდა ეჩვენო ხანდახან?

სანდრომ ვერაფერი უპასუხა, ცრემლები მოიწმინდა მხოლოდ.

— მართალია, მამის თვალი არ გავქვს, მაგრამ ესეც ხომ შენ თვახია, ნახევრად აქ ხარ ვაზრდილი. ნუთუ აქამდე არ მოგნატრა მშობლიური ეტობე? — დამიღნარევი საყვედურით უთხრა ანასომ.

მამიდას სიტყვებმა ნაღველი გაუორკეცა სანდროს, ევლარც კი დამა ენა. ანასომ მტრებზე ზელო მოხვია და სახლისაკენ წაეიდრენ. უხმოდ აიარეს კიბე და აიენის ეტობეში სკამლოკინზე ჩამოყდნენ.

— როგორ ხარ, ჩემო მამიდა, დამიბერდი?! ულარა მოგებალა? — სახზე დააკვირა, —

არა, ისევე ყოჩაღად გამოიყურება; შეილიშვილებმა ხომ არ დაგდალეს?

— ეკ, შეილო, ცხოვრების ქაბანწყვეტამ მე კი არა, როსტომ მეფე გააძლიარავ! შეილიშვილები კიდევ მღლიან და კიდევ მახარებენ.

— მირიანი საღ არის, გულნაზი ან ბავშვები საღ არიან?!

— ჩვენ ახლახან ბიჭი შეგვეცინა, ჩემი რბალი გულნაზი სააქადმყოფოდან თავისახლს წაიყვანეს მშობლებმა, ჩვენ ბებრნი ვართ და ბავშვებს უფრო მივხედავით. ახლა მოსავლის აღება და მუშახელი არ ყოფნის კოლმურერნობას. შინ არც გული გვაჩივრებს და არც ბრივადირი დაეყენებს. მირიანიც დღეს თავისი მოწაფეებით იყო წასული კოლმურერნობის დასამხარებლად. მერე ჩემ ბიჭს ენახავო და სიმამრისას გაეშურა. შენი აქ ყოფნა რომ იცოდეს, ფეხდაფეხ გამოიძეოდა. რა ექნა ახლა, ხელომდის ეღვრა გვაგვებინებს; ხელო ერთხელ კიდევ უნდა წავიკითხო ბრივადის ფართობში, პირთბა მივცეცი. მარტო უნდა დაგტოვო, საღამოს მირიანიც აქ გაჩნდება და მერე არ მოვშორდებით, ჩემო საყვარელო ბიჭო!

— აბა, ბიჭით ძალიან გახარებული იქნება მირიანი; ჩემი გოგონები მაშინ შემეფარდებოდა, ბიჭიც რომ შეყოლებოდა, იხუმრა ერთხელ თბილისში ჩემთან ყოფნისას, და აბა, ასრულებია წადილი და ეგ არის.

— ბიჭის გაჩენამ მართლაც ძალიან გავგებარა. სხვა არის მაინც ჩვენი კაცისათვის გვიარსი გავრძელება, თორემ ისე ბიჭი და გოგო სულერთი არაა? ოღონდ დიზირადონ და კარგები გახდნენ! — მერე ანაო სახეში ჩააქცირდა მისი შეილი, — შენ რას შერებები, შეილო, ასე უნაყოფო ფოთლოვითი სანამ გინდა იფრიალო? ბოლოს და ბოლოს ერთი ქალი რავე ვერ მონახე იმხელა ქალაქში?!

არც მყურებლები და რჩინილან უკმაყოფილო. საღამოს მეზიკოს მთავარ ქუჩებში „რაფორმისა“ და „ინსტრუმენტსზე“ საოცარი სანახაობი, მოწმე გაცხდით, თითქმის ორი მილიონი მექსიკელი მონაწილეობდა ამ სტაქიურ ზეიმში. თვითუღელი მანქანის თავზე ხეთი-ათი კაცი მანდი იჭდა. მწელი დასადგენი იყო, მოფერი სილიდან იხედებოდა. ისინი ყვიროდნენ, აბრახუნებდნენ, მექსიკის ეროვნულ დროშას აფრიალებდნენ. ერთმანეთში იჩიოდა მანქანების, საყვირების, დოლების, ტაშტების, ქაბის სახურავების, სირენებისა და აღაშიანების ხმა. „მეზიკა—რა—რა—რა“. ყვიროდა რი მილიონი კაცი, ყვიროდა ახალგაზრდა და მხოცუკ—ბავშვი და დავრდობილი, ქალი და კაცი. ქუჩებში ტყეა აღარ იყო. როგორც კი შეგვაცხოვრდნენ, რომ უცხოელები ვიყავით, იმავე წუთში წრას შემოგვარტყამდნენ და იწყებოდა გაუთავებელი „ალავეო—ალავეო“... იძულებული ვხდებოდით ჩვენი ხმაც შეერთებოდა ამ საერთო ზრიალსა და გუგუნს.

რაც უფრო წინ მიიწევდა მექსიკის ნაკრები, მით უფრო მატულობდა გულშემატკივრების სიკეთე, და არ ვიცი ქალაქში რა მოხდებოდა, იტალიელებს რომ ზღვარი არ დაედოთ მათი წარმატებისათვის. ყოველი ასეთი აღღუმის შემდეგ ვაზუთები აქვეყნებდნენ ცნობებს, თუ რამდენი აღაშიანი დაიხოცა და დაშავდა ამ უთავბოლო, სივრცეზე მისულ ზეიმს გამო. ციფრები საკმაოდ დამიდევრებელი იყო. საბოლოო ცნობით, როგორც ჩემმა თარჯიმანმა წამოაცხა, 40 აღაშიანის სიცოცხლე შეეწირა მექსიკის ნაკრების გამარჯვებებს. აღარაფერს ვამბობთ, რამდენი კაცი დაშავდა და რამდენი ასეული ავტომანქანა დაიღწია.

ჩემპიონატის წინა დღეებში მეზიკოს მსოფლიოს მრავალი ფირმის წარმომადგენელი ეწვია. გამოცდილმა კომერსანტებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ჩემპიონატის დღეებში, როცა მთელი მსოფლიოს ყურადღება მექსიკისკენ იყო მიპყრობილი, შეიძლებოდა დიდი რეკლამისა და ბიზნესის გავითება.

უწინარეს ყოვლისა, ამ ჩამოვიდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტული ფორმების „აიდიასისა“ და „პუმას“ წარმომადგენლები. ამ ფორმების მფლობელები დიდილი შიშით არიან, მაგრამ კარგა ხანია სამეკლაროსის სპორტულად გადავიდნენ ერთმანეთს. მთელი მსოფლიოს სპორტულ მოედნებზე ძირითადად ამ ფორმების სპორტული საქონელია გაბატონებული. ფირმის აგენტები ხელშეკრულებას დებენ ცალკეულ ფეხბურთელებთან და უხდიან ღირს ფულს, რომ მოედანზე მათი ბუციებით გამოვიდნენ. რაც უფრო წინ მიიწევენ გუნდი, მით უფრო გაცივდა სპორტული სამყაროს ყურადღების არეში და მით უფრო მატულობს ვასამარჯლოც.

საერთოდ „აიდიასი“ ყოველთვის გამარჯვებული გამოდის „პუმასთან“ ბრძოლაში, მაგრამ მექსიკაში „პუმამ“ დამარჯობა ძლიერა მეტოქე-ფეხბურთის მეფე პელე ფინალურ მატჩში „პუმას“ ბუციებით გამოვიდა. ამის სანაცვლოდ ბრაზილიის გუნდის ლიდერმა 5000 დოლარი მოითხოვია.

როგორც უკვე ვთქვით, ფირმის აგენტები ფეხბურთელებს უხდიან ღირს ფულს, ხელშეკრულება კი მხოლოდ ერთ მუხლს ითვლის-წინებს, ფეხბურთელმა ჩაიცივას ამ ფირმის ბუციით, თუ მეტი, არც ნაყოფი. მათ ისიც უყოფნიან, არც მთელი სპორტული სამყარო ტელევიზორის ეკრანზე ან ქურჩალ-ვაზუთებში გამოქვეყნებულ ფოტოსურათებზე ფირმის საქონელს ამოიცივონ.

ერთი შეხედვით ადამიანს შეიძლება სიცივედ მოეჩვენოს ფირმის მერს აქლენი ფულის გადაყრა თითქოს და არაფრის მოშტან რეკლამაში. აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი ფული დახარჯა ჩემპიონატის 32 მატჩში, რამდენი წყვილი ბუცი, სპორტული ტანსაცმელი და ხელჩანთა დარჩენა სამეტრად, მაგრამ ფირმაში იცის თავისი საქმე, რეკლამა მაინც აკეთებს თავისისა. ადამიანთა გონებაში თანდათანობით, მაგრამ საიმედოდ ჩაიბეჭდება ამ ფირმითა სხეულები. შემდეგ იგი ყოველთვის იტყვიან შესცქერის სხვა ფირმის გამოშვებულ საქონელს.

„აიდიასი“ და „პუმა“ არ ერიდებიან ფულის ხარჯვას, ამით მართო საფეხბურთო საქონელს როდი უკეთებენ რეკლამას. ისინი უშვებენ სპორტულ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს თუ იარაღებს სპორტის ყოველგვარი სახეობისათვის. გამაგებულად ამიტომ იზრტვიან მსოფლიოს სპორტულ ბაზარზე გასაბატონებლად. ყველა სერიოზულ შეჯიბრზე დამარჯობა ფირმისა ვაჭინი, მოხერხებული აგენტები. ისინი ყოველგვარი ხერხით ცდილობენ მეტოქე ფირმის დამარჯობას, არ ერიდებიან უმარაგი ფულის ხარჯვას, ოღონდაც მთელი სპორტული სამყაროს შეგნებაში ღრმად ჩაქედონ სპორტულ თავისი ფირმის სახელი.

ჩემპიონატის დღეებში მეხიკოს ესტუმრნენ აგრეთვე დასავლეთგერმანიის სააგენტოებილია 8. „მნათობი“, № 3.

ფირმის „მერსედეს-ბენცის“ წარმომადგენლები „მერსედეს-ბენცმა“ ფრანგულ სპორტოვითან“ ერთად ღიბი კონკურენცია ვაუწყია ამერიკულ მანქანებს ევროპაში. აღარაფრს უკანონო გერმანულ ფირმა „ფოლქსვაგენზე“, რომლის უზარმაზარი ქარხანა მექსიკაშიც კი ვნახეთ პუცელას გარეუბანში.

„მერსედეს-ბენცის“ მესვეურები ევროპას აღარ სჯერდებიან. ახლა ისინი ცდილობენ ამერიკაშიც გაბატონდნენ. ამისათვის სათანადო რეკლამა იყო საჭირო და ეს შემთხვევაც მიეცათ. ფინალური მატჩის შემდეგ ფირმის წარმომადგენლებმა მსოფლიო ჩემპიონებს — ბრაზილიელებს უკანასკნელი მარჯის „მერსედეს-ბენცები“ შესთავაზეს, ოღონდ ერთი, მხოლოდ პირობით — 1970 წლის განმავლობაში სამშობლოში ისინი მხოლოდ ნაიუჯარი „მერსედეს-ბენცის“ საჭეს უნდა მისხდომოდნენ.

ახა მგონია, ბრაზილიელებს უარი ეთქვათ ამ საიუქარზე.

ათასმა ფირმაში მოითხო ხელი მექსიკის ჩემპიონატზე, მაგრამ კოკა კოლამ, როგორც იტყვიან, ყოველგვარი რეკორდი მოხსნა. ფირმის მესვეურებს არც ერთი შემთხვევა არ ვაუწყიათ ხელიდან, რომ რეკლამა არ ვაუწყებინათ. ასევე ათასობით დიბეჭდა და სტადიონებზე უფასოდ დარიგდა ჩემპიონატის ცხრილები, ვარაუდები. რასაკვირველია, ათასი ყოველთვის დიდი ასობით იყო დაბეჭდილი „სვი მხოლოდ კოკა კოლა“.

მეხიკოში ექვსი სატელევიზიო არხი მეშობს. აქლენი ოთხი ერთი მილიონერის საკუთრებაა. სწორედ მან შეისყიდა ჩემპიონატის ყველა მატჩის გადაცემის უფლება. სწორედ მისი მეორე და მეოთხე პროგრამები მთლიანად ფეხბურთის ჰქონდა დათმობილი (ჩემპიონატის ყველა მატჩი ჩაწერილი იყო და პერიოდულად იმეორებდნენ).

ეტყვიან, კოკა კოლას ფირმა ტელევიზიის პატრონს უამრავი ფული გადაუხადა, რადგან მატჩების გადმოცემის დროს ყოველ დაბაბულ მომენტში ეკრანზე ჩნდებოდა წარწერა — „სეთი კოკა-კოლა!“ წარწერას თან მოსდევდა დიქტორის სათანადო შექაბილი.

ჩაწერილი მატჩების გადმოცემის დროს ხომ საშველი აღარ იყო, — ყოველი გატანილი გოლის წინ აუცილებლად უნდა გაეშეათ სხვადასხვა ფორმების რამდენიმე საწიუთიანი სატელევიზიო ფილი.

იმ 26 დღის განმავლობაში, რაც ჩვენ მექსიკაში დავყავით, მხოლოდ ათამდე ასეთი სატელევიზიო ფილი მეორადებოდა. და ჩვენ „ბედნიერება გვექნა“, თვითველი მათგანი ორასჯერ მაინც გვეჩხა. სანიმუშოდ მოვიყვანით ერთი მათგანის შინაარსი. ამაოდ წვალობს დაბალი ვაჭი, ფეხის წვერებზე ღდება, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მისწვდა საკოცნელად მაღალ, ქვარ ქალაშვილს. „აბა მისწვდი, აბა მისწვდი, აბა მისწვ-

ლი! — ისმის დიქტორის ხმა. ეს ხმა თანდათან მატულობს, სასოწარკვეთილებაში გადადის. მაგრამ ვაჟი მაინც ვერ სწვდება ჭალიშვილის პაგემს. უცებ დიქტორის ხმას საზეიმო ინტონაცია შეემატა. ვაჟი ზემოდას დასწერებია ჭალიშვილს და მშვიდად დაიბრუნა საკონცერტო კინოობიექტივი დაბლა ეშვება და მსხვილი პლანით მოიხსნა კინადური მალაქტუსლიანი ფეხსაცმელები. ისმის დიქტორის შეძახილი „ესტუ-მრეთ ფორმა კინადას!“

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს შედარებით ყველაზე ნიჭიერად, გადაღებული საბუკლამო ფილმი იყო იმ ათიოდე ფილმს შორის, რომელსაც ყოველდღიურად გვიჩვენებდნენ. მე არ ვიცი, ტემპერამენტური შექსიკელები როგორ უძლებენ ამ სადისტურ, შერსაკმყოფელ სარეკლამო ბიზნესს. ჩვენ კი დაწვევებზე გვჭონდა ნერვები.

თვით „პლასა დეს ტაროსზეც“ კი, კორიღის დაწყების წინ, არენის შუაგულში, დგას სამი მეტრის სიმაღლის კოკა კოლას ბოთლი. საზეიმო ცერემონიალის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ბოთლი ამოძრავდება, არენას ვარს შემოუვლის, და უზარმაზარ კარებში გაფრინარდება.

აღარაფერს მოგახსენებთ იმ მართლაც და დიდულ რეკლამებზე, რომლებიც ქალაქს ამშვენებს ღამ-ღამობით.

საექტომობილო მაგისტრალეებზე ზომ ყოველ უზარმაზარ ქვაზე თუ ფრიალო კლდის ქიშკე მიიხმს წარწერა „სეთი კოკა კოლა“

ჩვენს შეგებაში, რატომღაც კოკა კოლა, არაკლი ამაშითის გამოთქმა რომ ვიხმართ, ერთგვარ ბურჟუაზიულ სასმელად ჩაიწერა. უნებურად დიმილი მერეოდა და უჩვეულოდ შეჩვენებოდა, როცა ინდიელების მივიარდნილ, ღარბ-ღატაკ სოფელში, კუჭყში ამოსვრილ ჩამოძინელ მიჭუნას ზღში ჩაიკებულ კოკა კოლას ბოთლი ეჭირა ხოლმე.

არც გაზეთების მუხატარაონები იყვნენ გულზე ხელდაკრედილნი. უზარმაზარი გაზეთები ცდილობდნენ მაქსიმალური რაოდენობით მიეღობინათ სარეკლამო შეკვეთები, თანაც არაფერს არ ზოგავდნენ, რომ ძალზე ოპერატიული ყოფილიყვნენ და ფირმების გულსწყრომა არ გამოეწვიათ.

გაზეთები კი მართლაც საოცარი ოპერატიულობით გამოდიოდნენ: „აქტუკანდა“ სასტუმროში მოსვლას საათი და ოცი წუთი ეუნდებოდნენ, და ვესტრიბულსა თუ ლიფტში უკვე გასასყიდად იყო გამოფენილი გაზეთები, სადაც მთელი 5-6 გვერდი ჰქონდა მიძღვნილი იმ თამაშს, რომელსაც ეს-ეს არის ვუყურეთ, აგრეთვე იმ მატჩებს, რომლებიც პარალელურად ტარდებოდა გედალახარაში, ლეონსა თუ პეტელაში. სტატიები უხვად იყო ილუსტრირებული ფოტომასალით. მართალია, შიგთავსში შეცდომებიც ემა-

რებოდათ, მაგრამ ასეთი ოპერატიულობა მაინც ძალზე გასაოცარი და უჩვეულო იყო.

ფიზულად იყვნენ ჩვენი სამშობლოს მტრებიც, ყოველგვარ შემთხვევას ეძებდნენ, რომს მიყენების კბილი გაეჭიათ, ურუგვეისთან მარცხის შემდეგ ასეთი სათაური გამოჩნდა ჩვენდამი არც თუ მიგობრულად განწყობილ გაზეთში — „ურგუვა — ნახევარფინალში, აფონინი — ცემბინში“.

ერთი სიტყვით, ყველა თავისებურად ცდილობდა ხელი მოეთხო ამ ჩემპიონატზე.

საუჩუბურთო ფიგურა კი ის-ის იყო იწყებოდა!

5

მექსიკელებთან მატჩის შემდეგ ჩვენს ფეხბურთელებს ვესტმარე. ისინი დაბნეილებულად იყვნენ ძალზე მუდროდ და კომპია სასტუმრო „ესკარტში“. მიუხედავად იმისა, რომ ჩემბიონატი კარგად დაიწყეს, უმრავლესობას (მე ვგულისხმობ ქართველ ფეხბურთელებს), არ ჰქონდათ წარბაქების იმედი. ამას ყველაზე აშკარად მტრთაზ ხერცილავა გამოხატავდა, რისთვისაც ერთხელ მივრთხელებმა უსაუბოდტრეს ცილებე. მტრთაზ ხერცილავას სუბტივიზმს ჰქონდა ნიადაგი. უკვე ჩატარებული იყო ჩემპიონატის პირველი მატჩი და გუნდის შემადგენლობა საბოლოოდ არც კი იყო გარკვეული. მხოლოდ ერთი რამ იყო მტკიცედ „გადაჭრილი“ და „დადგენილი“ — ის, რომ მეტრეველი არ ითამაშებდა. იგი არც ერთ მატჩზე სათადარიგო შემადგენლობაშიც კი არ შეუყვანიათ. ასეთივე ზედი ეწია პარკუთამსაც, თუმცა, როგორც შემდგომში გამოირკვა, მას მაინც ჰქონია გარკვეული ფუნქცია ნაკრების შემადგენლობაში.

გაერად კანალინი მიმართავდა ყოველ ფეხბურთელს, რასაკვირვებლად, საიდუმლოდ, რომ შეედგინა თავისი ნაკრები. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის დასაწყისში ყველაზე ნაკლები ხმა მიიღეს შესტრინიოემა და ბიშოვეცმა, ფაქტურად იმ ფეხბურთელებმა, რომლებმაც ჩემპიონატი კარგად ჩაატარეს. ვაცილებით დიდი იმედო ჰქონდათ ლაგოფეტისა და პუჩანისა, მით კი პირაქით, ძალზე უხეიროდ ითამაშეს.

გივი ნოდია პირველ მატჩზე ფეხმტკიანი გამოვიდა, თანაც მისთვის უჩვეულო, მარჯვენა გარემარბის ადგილზე. თუ დაეუმატებთ იმასაც, რომ პირველი თამაში საერთოდ დაბალ დონეზე ჩატარდა, ეს საქმარისი აღმოჩნდა, რომ თბილისელი ფეხბურთელისათვის საბოლოოდ გამოეცხადებინათ უნდობლობა. ურუგვეისთან მატჩის დროს გივი ნოდია სათადარიგო სკამზე იყდა, როცა მტრთაზ ხერცილავა გამოეცალეს, იგი გასახდულადაც კი მოეშვადა, ეს ბუნებრივად იყო. თამაშის ბოლო წუთებში, როცა საყიბო

ანგარიში ხელს არ გააძლიერებდა, მცველის შიგნით
 რად მწვრთნელებს თავდასხმელი უნდა შეეყ-
 ვანათ, მაგრამ მის იმედს გატყუებდა, სტარო-
 სტინმა ლოკოფეტს გადასძახა, მოეშალა. ეს
 ყოვლად უაზრო შეცვლა და ასევე რამდენი-
 მე წუთის წინ კახი ასათიანის ყოვლად გაუგებარ-
 ი შეცვლა კისელოვით, დღესაც აუხსენლი
 რჩება ჩემთვის. თუმცა, კაცს რომ თქვას, ამ
 თავსამტკრეთი არაფერია. ჩვენს მწვრთნელებს
 თავიდანვე დაეუფლათ პანიკური შიში და სწო-
 რად ამ შიშის გამო იყო, რომ კახიანმა ნელა-
 ნელა დათმო თავისი ერთმნიშვნელო მოხიბვლა.
 ჩვენმა მწვრთნელებმა ყველა თამაში დაცვაზე
 ააგეს, თითქოს მხოლოდ ასეთი ვარჯიშით
 აოხრდ ჩვენს კარში ბურთი არ გავიდეს, წინ
 კი იქნებ ბიშოვეცმა ან ხმელნიციმ როგორმე
 ერთი ბურთი გაიტანონ. საკმარისი იყო რომე-
 ლიმე მცველი წინ წასულიყო, რომ იმავე წუთ-
 ში ესმოდა მწვრთნელთა პანიკური შეშახილები,
 ახლავ უკან დაბრუნდო.

როდესაც საბჭოთა ფეხბურთელებმა ბელგიის
 გუნდი გამანადგურებელი ანგარიშით—4:1 და-
 მარცხეს, მეხვიოში ასეთი აზრით კი გაერყელ-
 ლა, საბჭოთა ფეხბურთელებმა შესაძინებლეს პა-
 ტრიკ გაცეს და თამაში არ მოგვიგეგოს. ამ მატ-
 ჩზე მე ცნობილ ფეხბურთელთან, ვალენტინ
 ივანოვთან ერთად ვიჯექი. მიუხედავად ასეთი
 დიდი ანგარიშით მოგებისა, ე. ივანოვი თამა-
 შით მაინც უცმაყოფილო იყო. რა უნდა გქონ-
 დეს სასაყვედურო გუნდთან, რომელმაც ოთხი
 ულამაზესი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის
 კარში?

მართლაც უცნაური სპორტია ფეხბურთი, ხან-
 დახან კარში 30-ჯერ მაინც დაარტყამ და არც
 ერთი ბურთი არ გავა. ხანდახან კი ოთხჯერ და-
 არტყამ და ოთხივეჯერ გავხვევა ბადეში.

— ხმელნიციის აფერჩ ჩიყაყენზე მსავლეს სი-
 ტუაციაში და ვნახათ ერთხელ მაინც თუ გაი-
 ტანს ასეთ ბურთს! — თქვა ივანოვმა, როცა
 ხმელნიციმ პაერში კამარა შეგჭრა და ულამა-
 ზესი ბურთი გაახვია ბელგიელთა კარის ბადეში.

ეს რამ მართლაც ასე იყო, ნათლად გამოჩინ-
 და სალვადორის უსუსტეს გუნდთან თამაშის
 დროს. საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობას
 და ფეხბურთელებსაც ძალიან უნდოდათ ურუ-
 გეულებს შეხედროდნენ. იმედი ჰქონდათ, რომ
 ურუგვაის ნაკრებს ტრადიციულად მოუგებდნენ.
 გადა ამისა, თუ ურუგვაელებთან მოუხდებო-
 და თამაში, ისევ მხეცაკოში რჩებოდნენ. ამისა-
 თვის კი საჭირო იყო, სულ ცოტა, სამი ბურთით
 მოგება. ეს სალვადორთან არც უნდა გასჭირვებ-
 ბოდათ, მაგრამ რატომღაც ისევ შიში, ისევ და-
 ცვიით ვარიანტი, წინ ისევ ორი თავდასხმელი.
 უცხოელი ეურნალისტები და სპეციალისტები
 ძალზე გაოცებულნი იყვნენ საბჭოთა ფეხბურ-
 თელების უღამდამო თამაშით. მატჩი ძლივს მო-
 იგეს ორი ბურთით. დასახული ამოცანა ვერ გა-

დატრეს და მთელი იმედები პარტუიანის იღბლიან
 ხელზე გადაიტანეს.

მართალი გითხრათ, ჩვენი ნაკრები დიდი
 იმედი თავიდანაც არ მქონია, მაგრამ სასლვადორ-
 რის სუსტ გუნდთან თამაშის შემდეგ უკვე ყვე-
 ლაფერი ნათელი იყო.

ურუგვაისთან რაც მოხდა, ყველაფერი ძალზე
 ლოგიკური იყო. ახლა ბერეს ლამაზაკობენ ურ-
 უგვაელთა მიერ ჩვენს კარში ვატანოდ ბურთზე-
 თავი დავანებოთ იმას, ბურთმა ვადაპყვეთა თუ
 არა მოუღწის ხაზი. ვთქვათ მსაჯს ის ბურთი არ
 ჩაეთვალა, მერე? განა ამით რამე გამოვიდოდა?
 განა მარტო პარტუიანის იღბლიან ხელზე იყო
 აგებული ჩვენი ტაქტიკა?

სანუკერძოდ ისა დავტრჩა, რომ ასაშვიეტედ
 პრესის კორესპონდენტის მერი კრისტინა ანე-
 ლოს მიერ შედგენილ მსოფლიოს სიმპატიურ
 ნაკრებში კახი ასათიანი და ანატოლ ბიშოვეცი
 შეიყვანეს.

ამ შატის შემდეგ ერთა რამ კი თქვა სწორი
 საბჭოთა ფეხბურთის ფედერაციის უფროსმა
 გრანატკინმა — სამწუხაროა, რომ ასეთი ბურთი
 გავიდა ჩვენს კარში, ახლა მხოლოდ ამ ბურთის
 დაბრალებენ ჩვენს წარუმატებლობას და არ
 გაიკრებენ ის ნამდვილი მიზეზები, რომელმაც
 დამარცხებად შეიყვანაო.

მართლაც და ვთქვათ, ჩვენს მწვრთნელებს არ
 მოსვლოდათ ეს შეცდომები, ვთქვათ, ყველაფე-
 რი ისე წასულიყო, როგორც საჭირო იყო, უნდა
 გეტოლოდა თუ არა წარმატების იმედი?
 არაერთად შემთხვევით!

ჩვენ უკვე ელამარაკით, რომ მექსიკაში საბ-
 ჭოთა გუნდი ვერ გამოვიდა ისე, როგორც სა-
 ჭირო იყო. მის შექმლო გაცილებით უკეთ ეთა-
 შაშნა. მაგრამ ეს სულაც არ კმაროდა დიდი წარ-
 მატების მისაღწევად. ჩვენი ნაკრები მსოფლიოს
 უძლიერეს გუნდებს საფრთხილად ჩამორ-
 ნება როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად.

ჩვენში ბერეს წინა ტექნიკურ ფეხბურთზე-
 ყოველ სტატიაში თუ ინფორმაციაში ხოტბის
 ასხამენ ღამაზე, მაღალტექნიკურ ფეხბურთს, მა-
 გრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, მოედანზე
 ისევ ძალისმიერი ფეხბურთელების გამოყენას
 ამჯობინებენ ხოლმე. ასე იყო წინათ, ასეა ახ-
 ლაც.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ
 ჩვენს პრესაში ისევ გაჩაღდა კამათი. ისევ ბე-
 რი ქომავი და მორტილია გამოფინდა ტექნი-
 კურ ღამაზე ფეხბურთს. მაგრამ საქმეს მინამდე-
 არაფერი ეშველება, სანამ ჩვენი შსაყები გულ-
 ცივად უყურებენ, თუ როგორ უსწორდებიან მა-
 ლატექნიკურ ფეხბურთელებს ყოვლად პრიმი-
 ტიული, მაგრამ ჩამნაგარი ანტიფეხბურთელები.

აქვე მინდა დავძინო კიდევ ერთი რამ. როდენ-
 საც მექსიკიდან დაებრუნდა, ჩვენი მთელი საბო-
 რტული პრესა გადავთვალე, სადაც ვაშე-
 ქებული იყო მსოფლიოს მე-9 ჩემპიონატი. მე
 გავიკრებულნი დავრჩი იმ ვაზვიადებულ ფაქ-

ტებით, რომლებიც ზოგიერთი ჩვენი ეურნალის ტის წყაროებსა და ინფორმაციებში წავეციხებეთ. ზოგიერთ სტატიასი იგრძნობოდა რაღაც პანიკური ტონი „სამხინელი მექსიკური სიციხის“, ავლიმატიზაციისა და სიმაღლის მიმართ. არავითარი განსაკუთრებული სიციხე მექსიკაში არ გვივარკვეია. ჩვენ ხშირად სტადიონზე პიჯაკუ-ზითაჲ ე დავდიოდით. შედარებით ცხელადა ამ შატჩებზე, რომლებიც დღის 12 საათზე იწყებოდა (28⁰ ჩრდილში), მაგრამ არაფერი იმაზე უჩვეულო არ ყოფილა, რაც თბილისში, ბაქოში, ან ტამყვეტში გვიცხახებდა.

არც ამ უბადალებელ სიმძლესს მოუხდენია რაიმე სამხინელი გავლენა ჩემპიონატზე. შატჩების აბსოლუტური უმრავლესობა იყო სწრაფი, ახარტული, სპორტულად საინტერესო. ფაქტიერთა, არც „სამხინელი სიციხეს“ და არც „თუხარტადმეგვი სიმაღლეს“ ხელი არ შეუშლია მექსიკის ჩემპიონატისათვის ყოფილყო ყველაზე წარმატაცი და დამაბული ოქროს ქალმერთის მოსამოკველად ჩატარებულ ყველა ჩემპიონატს შორის.

ზოგიერთი ეურნალისტი, კერძოდ, საკდესის კორესპონდენტი ან. კახალაივი, რაღაც შეშფოთებულად წერდა „ურტუგვიის ნაკებებს წინა აქვს 600 კილომეტრისი მომქანცველი მოგზაურობა“ (ივლისსმება მანძილი მეხიჯოდან ვადა-დახარამდე, როცა ურტუგველი ფეხბურთელები ვადალხარამი გვიმგზავრენენ ბახალიელებთან შესახებრად). ზოგი იმასაც კი წერდა, მექსიკის მოედნებზე ჰაერი გაიშვიათებუღია, ბერთი უფრო სწრაფად მოქჩაობს და ფეხბურთელებს თამაში უქირთო.

ასეთი სტატიების ავტორები მეტეოროლოგიური, გეოგრაფიული თუ კლიმატური პირობების მიმართ ჩატომ მაშინ არ არიან ასეთი მგრძნობიარენი, როცა სხვა პირველობა, თუნდაც საბჭოთა კავშირის პირველობა ტარდება რატომ მაშინ არ აგონდებათ, რომ ჩვენი ფეხბურთელები ყოველი შატჩის წინ არამც თუ 2000, არამედ 2000 და მეტ კილომეტრს ფრენენ რატომ მაშინ არ ითვალისწინებენ კლიმატურ თუ გეოგრაფიულ პირობებს, როცა სამხარეთელი ფეხბურთელები ჩრდილოეთში ყინვასა და ქარბუქში თამაზობენ მოყინულ მოედნებზე, ან პირბით?

პრესას, ობიექტურ, საქმიან წყრილებსა და სტატიებს არანაკლები წვილილი შეაქვს ფეხბურთის ვანეითარების საქმეში. სკობიი ნაკლებ გულახდილად ვილაპარაკოთ და სინამდვილეს თვლი ვაუტსწოროთ. ჩვენს წარუმატებლობას და დეაბარალებს მექსიკის ვაიშვიათებულ პაეცას.

მექსიკის მიეწყებული ცივილიზაციების ქვეყანას ეპიხიან. ხშირად მას ათასი საიდუმლოების

მხარედაც ნათლავენ. მართლაც, ძნელა მსოფლიოში იბოვო მეორე ისეთი ქვეყანა, რომლის ისტორია საკვირველებითა და საოცრებითა ვსეთ ბერტსში იყოს ვახვეული, როგორც მექსიკა.

ჩვენი ავტობუსი მიქრის შესანიშნავ გზატკეცილზე. სულ რამდენიმე თეული კილომეტრი გვაშორებს ამ საოცარ ქალაქს, რომელსაც აცტიკების ცივილიზაციამდე ტეოტიხუაკანი ერქვა. ეს იყო ცენტრალური ამერიკის ცივილიზაციის უდიდესი ცენტრი.

ტეოტიხუაკანის ცივილიზაციამ იარსება 7 საუკუნეს და დაიღუპა მეშვიდე საუკუნეში ჩრდილოეთიდან ბარბაროსული ტომების შემოსევის შედეგად. ტეოტიხუაკანის ცივილიზაციის ნანგრევებზე შეიქმნა ჯერ ტოლტეკების, შემდეგ კი აცტიკების ცივილიზაციები. აცტიკების ცივილიზაცია იყო უმანასწელი ცივილიზაცია, ხოლო დღევანდელი მექსიკელები თავს აცტიკების შთამომავლებად თვლიან.

ავტობუსს სამხრეთისაკენ იღებს კერსს. აქეთიქით მექსიკური სოფლებია ჩამწყრივებული. შემდეგ მომისვლებუღი, სიციხისაკენ ვადახრუკული ველი. გზის ვასწერივ უხვად გვახდება სხედასხვა ჯიშის კამეტუსები.

მაღე პირიბონტზე მწვანელ შეფერილი მთები წამოიპართა, ხოლო ამ მწვანე ფონზე თანდათან ვამოკვეთა პირამიდების ნაქრისფერი კონტურები.

აი, უკვე ვარკვევით მოიანს ორი უხარამბარი პირამიდა.

— პირდაპირ მთვარის პირამიდა, — გვიხსნის გიდი, — მარჯვნივ კი მზის პირამიდა. ვინც მზის პირამიდაზე ავაღმერთად იქმნება. მე გგონი, არცერთი თქვენთავანი ხელიდან არ ვაუშვებს ამ შემთხვევას.

სამხინელი სიციხეა, მაგრამ მე უკვე შევეღრქე პირამიდის დამრეც კედლებს. ერთი სული მაქვს, ხეშოდან როდის ვაღმოვიხედავ, დრო და დრო ვჩრტლები, ღვარად მომსკიდარ ოფლს ვიწმენდავ და ვგარანობ, ამ დეკანებულ კიბებზე ჩჭარი სიარტლისაკენ როგორ მკაცნაკლებს მუხლები. თვალს ქვემოთ ვაპარებ, მინდა დავინახო, რა სიმაღლეზე ამოვიღი. მინდა ხეშოდან ვაღმოვხედო უბეველესი ქალაქის ნანგრევებს. ქვემოთ თვალწარმატაცი სანახაობა იშლება, მაგრამ თვალს ვარიღებ. არ მინდა ნელნელა შევეჩვიო მის მშვენიერებას. სამხინელი სურვილი მაქვს სულ მაღლა ავიდე, პირამიდის სამხსერამლობე, და ერთბაშად დავინახო მთელი ეს სილამაზე.

და აი, უკვე პირამიდის თავზე ვარ. გრილი ნიავისაკენ პერანგი სასიამოვნოდ იბერება. სული მოვიტყვი და ქვემოთ ვაღმოვიხედე. ჩემს წინ საოცრება ვადაიშალა.

განადირობული მოედანი ტარებითა და შენობებითა შემოფარგული. მოედნის ერთ თავეში მთვარის პირამიდა დგას, ხოლო მარჯვენა მხარეს მზის პირამიდა. მთელი ეს ნაგებობანი

ერთ მთლიან, დიდებულ არქიტექტურულ ან-სამბლს ქმნის. პირამიდები თვითმზნურად რა-ღა აგებული, ან მათი სიმაღლეები ნებისმიერად როდია შეჩრეული. ყოვლად შეუძლებელია თეთი გაუთეთინობიერებელმა თვალმაც ვერ შეინშნოს ის საოცარი ზურთომოძღვრული პარ-შონია და მასშტაბურობა, რომელიც ძველი ტე-რტიხუაჟანის ნანგრევებში შეგონს.

ჩვენ ღმერთების სამსხვერპლოზე ვიძღვით, სა-მსხვერპლოზე, სადაც ადამიანების სისხლი ნაჟა-ღულეზად მიედინებოდა. ახლა აქ უცხოელი ტურისტების სიცილი, აღტაცების შეძახილები და აპარტების ჩხაყენი ისმოდა. ყველა ცდილო-ბდა სურათი იქ გადაეღო, სადაც ქურუმებს მსხვერპლისთვის გული უნდა ამოეგლიჯათ.

მსხვერპლად ადამიანის შეწირვა თავიდანვე იცოდნენ მებციოს პლატოზე მცხოვრებმა ტომე-ბმა. გამაჟურთებით ეღმობელი იყვნენ იტე-კები.

უდიდესი ამერიკელი მეცნიერი, არქეოლოგი და ლინგვისტი სილვანუს მორლი ასე აგვიწერს ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რიტუალს: „ამორჩეულ მსხვერპლს გააშიშვლებდნენ, ცის ფრად შეღებავდნენ, თავზე სპეციალურ წოწილა საბურველს დაახურავდნენ და სამსხვერპლოზე მიიყვანდნენ. სამსხვერპლო ან ტაძრის ეზოში იყო, ან პირამიდის თავზე. იქიდან, უპირველეს ყოვლისა, ავ სულებს განდევნიდნენ. შემდეგ ღმთაებრივი ცისფერი საღებავით საურთხე-ველს—ამოზურტულ ქვასაც შეღებავდნენ და მსხვერპლს ზედ გულბაში დააწვენდნენ. ოახი „ჩაჟაიკი“ (ქურუმი) ტანს ცისფრად შეიღებავ-და და მსხვერპლს ხელებს და ფეხებს გაუჟავე-ბდა. შემდეგ წინ გამოვიდოდა სხვა ქურუმი „ნაჟომი“, რომელსაც ხელში სამსხვერპლო და-ნა გვირა. იგი მსხვერპლს დანას ნეყენებუა, პი-რღამირ მარცხენა ძუძუსთან გაურქობდა, თი-თებს ჭრილობაში შეუყოფდა, მკერდიდან ქერ კიდვე მოფართხალე გულს ამოიღებდა და უპი-რღველეს ქურუმს გადასცემდა. გულის სისხლს კი იმ კერას წასცებდნენ, ვის სადიდებლადაც სწირავდნენ მსხვერპლს. თუ მსხვერპლს პირა-მიდის თავზე ჰკლავდნენ, მაშინ „ჩაჟაიკები“ გვამს ძირს, ტაძრის ეზოში ისროდნენ. იქ უფ-რო დაბალი რანგის ქურუმნი მსხვერპლს ტავს გააძრობდნენ. იმ ტყავით „ჩიღანა“ შეიმოსე-ბოდა და მაჟურბელთან ერთად სარიტუალო ცეკვას ასრულებდა. გვამს მხოლოდ ტერფებზე და ხელისგულზეზე არ აძრობდნენ ტყავს. გულს ქურუმები ჰმადნენ. თუ მსხვერპლად შეწირუ-ლი მამაკაცი შემობარი იყო, მის სხეულს ხანღახან ღიდეზულები და სხვა მაჟურბელები იწაწილებ-დნენ და ჰკმადნენ. ამ შემთხვევაში ხელები და ფეხის ტერფები „ჩიღანს“ ერავებოდა. თუ მსხვერპლად შეწირული სამზებრო ტყავი იყო, მამის მისი დამატყვევებელი შემობარი გამაჟყე-ვის ნიშნად მსხვერპლად შეწირულის რამდენი-მე ძეალს ატარებდა ხოლმე. ქალებსა და ბავშ-

ვებსაც ისევე ხშირად სწირავდნენ მსხვერპლად, როგორც მამაკაცებს“.

მაის ტომები ყველაზე ლამობდნენ იყვნენ მაის ტომებთან შედარებით ტულუმევესქო უფრო მაჟაცი დისციპლინა მეფობდა. ისინი თავს სისხლის მოსურნე ღმერთების ჰეომრებად თვლიდნენ. ატრეკები, როგორც უკვე ვთქვით, უღმობელი იყვნენ, მათ მასხვერპლოზეზე ად-ამიანების სისხლი ნაჟაღულეზად მიედინებოდა. ომის ღმერთს ისინი მსხვერპლად სწირავდნენ ტანმოსულ ჰაბტუებს, ცეცხლის ღმერთს — სა-მზებდრო ტყვეებს. ნაჟოფიერების ქალღმერთს მსხვერპლად ქალიშვილებს სწირავდნენ, ხოლო ადამიანთა მფარველი ღმერთის პატრესაცეზად ქურუმები უმწიფილებს ცოცხლად აძრობდნენ ტყავს. ჩვეულებრივი ამბავი იყო ბავშვების შე-წირვაც. ბავშვებს უფრო ხშირად წვიმის ღმერთს სწირავდნენ. ეს ძირითადად გვალვის დროს ხდებოდა. ბავშვებს მანინაც სწირდნენ თავებს, როცა სიმინდი ტანს აყრებდა. ხოლო სიმინდის მომწიფების პერიოდში ქურუმები რამდენიმე ბავშვს სარდაფში ჩაეტრავდნენ და შიშნითა ხოცავდნენ.

უბისკოპოსო ლანდა მსხვერპლად შეწირვის კიდევ ერთ წესს აგვიწერს: „მსხვერპლად შესა-წირ ადამიანს ქერ ისრით განგზირავდნენ, ვა-აშიშვლებდნენ, ცისფრად შეღებავდნენ და თავ-ზე წოწილა საბურველს დაახურავდნენ. შემ-დეგ სამსხვერპლო ბოძს ცეკვა-ცეკვით გარს უვლიდნენ და მსხვერპლს ზედ შიაკრავდნენ. სარიტუალო ტანსაცმით შემოსილი ქურუმი მსხვერპლს (ქალი იქნებოდა თუ კაცი) დანას მუცლის ქვედა ნაწილი გაუყრებდა და სისხლს ვამოუშვებდა. შემდეგ სისხლს კერას წოცებე-ბდა და მოცეკვაეებს ნიშნს აძლევდა. ისინი მსხვერპლს ცეკვა-ცეკვით ჩაუვლიდნენ და მკერ-ღზე, წინაწარ თურთად შემობახულ წრეში, რიგ-რიგობით არქობდნენ ისრებს. ამგვარად, მხვერ-პლის მკერდი ისრებით დახუნღულ სანიშნე ფერს ემსგავსებოდათ.

ყველაზე ბარბაროსული მაინც ტყვეების ცეცხლში შეყრა იყო. საცოდავები ქერ კიდვე ცეცხლში იყვნენ, სატებზე რომ წამოაგებდნენ, ცეკვა-ცეკვით კოკონს გარს შემოვლდნენ და შემდეგ მოუსწრაფებდნენ სიცოცხლეს.

მეცნიერებმა იანგარისეს თუ წლიურად რა-მდენი სიცოცხლე ეწირებოდა გაუმაძღარ ღმერთებს. შემაჩრუნებული ციფრი გამოვიდა. აღმოჩნდა, რომ ყოველწლიურად 30 ათასი ადა-მინის სისხლი ინთხოდა ატრეკების იმპერიამი. როგორც ცნობილია, მსხვერპლად ძირითადად სამზებრო ტყვეებს სწირავდნენ. ამის გამო მე-ზობელი ტომები არასოდეს არ ეშურებოდნენ ერთმანეთთან მეგობრობას, რადგან მაშინ ხომ დაეზობოდათ ტყვეების მოპოვების წყარო.

შეიძლება კერძოზულად მოგვეჩვენოს, მაგ-რამ ატრეკებს და ტლანსტალაკებს შორის უი-

რადი ოპი კი ხდებოდა ამ ომის მიზანი იყო, როგორმე ხელში ჩაეგდოთ ტყვეები, ისინი ვრთ-მინეთ ესხმებოდნენ, ეპოდავებოდნენ, რომ როგორმე არაპაჯობილად შემართო შეებო-ქათ და მერე ტყვედ წაეყვანათ. მეტი გამოსა-ვალი არ იყო, სისხლიანი ღმერთები მსხვერპლს ითხოვდნენ.

თეთი მონტესუპას დროსაც კი, ატტეების იმპერიის უკანასკნელ წლებში, შვილებს სამს-სხვერპლად ვაჩენა ბევრმა მშობელმა ვიხიხდა შემოსავლის წყაროდ. ისინი შვილებს ახენდნენ და შემდეგ ქურულებზე ჰყდიდნენ.

მაგრამ შიას და მათ მეზობელ ტომებს ჰყავ-დათ აეთილო ღმერთიც. მას კაცალყოატლი ერ-ქვა.

„კაცალყოატლია შექმნა სამყარო“, — ამბო-ბდნენ ძველი ტოლტეკები, როგორც ვაღმოცე-მებიდან ჩანს, კაცალყოატლი ტოლტეკების მშვენიერა ქალაქის ტოლანის გამგებელი იყო. იგი ძალზე ჰქვიანო და გულუხვი ადამიანი ყო-ფილა ამირტმავე გამხდარა უპირველესი ტოლ-ტეკების ღმერთებს შორის.

კაცალყოატლი აღმოსავლეთიდან მოსულა. მას ხელში ავლია მთელი ძალაუფლება და თურმე უდილობად ადამიანთა გონება და საქმიანობა მხოლოდ სასიყვითოდ წარმოართა. მას შემოულია კანონები და დაუნერგია ქვეშაობატი რწმენა, რა-თა შევზღუდა ადამიანთა მიწიერი ღატოლვანი.

ტოლტეკები მრავალ ტომებს აგებდნენ კე-ცალყოატლის სადიდებლად, სერაფად, რომ სწორედ მან შექმნა პირველი ადამიანი. ტოლ-ტეკებს მტკიცედ სწამდათ, რომ კაცალყოატლი ერთადერთი ღმერთი იყო, რომელსაც ადამიო-ნის სხეული ჰქონდა. ეს მამინ, როცა სხვა და-ნარჩენი ღმერთები უსხეულონი იყვნენ.

კაცალყოატლის ავლტი შემდგომში ტოლ-ტეკების კულტურის გეოგრაფიულ და ტერიტო-ლოგიურ მიწებს ძალიან შორს ვასცდა, ხოლო მისი ემბლემა „ფრთოსანი გველი“, მთელს მექ-სიკოში გახდა ცნობილი (ჩარლზ ვალენკამპი).

ბოლოს კაცალყოატლი შერაინმა ომის ღმერ-თებმა განადგვეს მექსიკის ველიდან. წასვლის წინ კი დუბაბებია, ოდესმე დაბრუნდები, მი-შინ ყველა მიიღებს ჩემს მოძღვრებას და ჩემი შვილები დაეპატრონებიან იმ მიწებს, რომელ-თა გამო თქვენ და თქვენი შთამომავალნი ბევრ ქირსა და ეარამს გაიღოთო.

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ კაცალყო-ატლი იმავე ვხით წასულა და გაუჩინარებულა, სიდიდანთ თავდაპირველად გამოჩენილა ზოგი-ერთი თქმულებით იგი დღევანდელი ვერაკრუ-ხის მახლობლად, ზღვაში გამქრალა. ზოგიერთი თქმულება კი ამბობს, რომ კაცალყოატლი ცაში აჭრალა და ცისკრის ვარსკვლავად შექცეულა.

კაცალყოატლის განადგენის შემდეგ სამინე-ლი მიმშვილობა დაწყებულა, არც კაცობამიობა უოფილა უცხო ხელი. მდიდრები ამყარდ ასუ-ქმბდნენ დასავლეთ მიწებს. ხშირად დასუქმებუ-

ლი მიწებით ვაჭრობდნენ კიდევ.

მას შემდეგ ვაიქდა საუკუნეებო დაღუღმა ტოლტეკების მშვენიერა ციფილსაყუყუ და მსქ ნანგრევებზე აღმოცენდა ატტეების ახალი ცი-ვილიზაცია, მაგრამ თქმულება კაცალყოატლის განადგენისა და მისი მეორედ მოსვლის თობაზე დაეწყებას როდი მიეცა. ატტეებს სერაფადი, რომ ვაიქიდა და რი კაცალყოატლი ისევე მოვიდოდა მექსიკის პლტოზე.

და აი, 1517 წლის 3 მარტს, თითქმის ცხრა საუკუნის შემდეგ, იუკატანის ნახევარკუნძუ-ლის სანაპიროზე მოდარაფე ინდიელებმა პორი-ზონტზე შენიშნეს პატარა შავი წერტილები. სულ მალე წერტილები იქცა უზარმაზარ მყე-რავ სახლებად, ხოლო გემბანზე ვარკვევით ვა-არჩიენ ადამიანები.

ალბათ ყველას გონებაში ერთბაშად აღდგა ძველი თქმულება კაცალყოატლის მეორედ მო-სვლის თობაზე.

მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ეს არ იყო კე-თილი ბრალად და ღმერთი კაცალყოატლი. გე-მები, რომელთაც ერნანდეს დე კოლუმბა მე-თაურობდა, მონებზე სანადიროდ იყო გამოგზა-ვნილი კუნის ვუბერნატორის ველასკესის მი-ერ. მათ კურჩი აღებული ჰქონდათ გუენახასის ქუნტლისაყენ, მაგრამ ძლიერმა ტროპიკულმა შტორმმა ძალიან შორს ვაიკაცა ვეშები. ესევე მათ სრულად უცნობი მიწა დაინახეს. უსპანე-ლთა სიხარულს საზღვაოი არ ჰქონდა. თანდათან უახლოვდებოდნენ ნაპირს და თეაღს ან უქრე-ბდნენ. მათ წინ აღიმართა პირამიდები და სასა-ხლები. ახალი მიწის აღმოჩენა არ ყოფილა ისე ვასაოცებელი მათთვის, როგორც დღემული ქალაქის დანახვა. მინამდე ხომ ისინი მხოლოდ ნახევრადმიშველ ველურ ტომებს ჰვდებოდნენ.

ინდიელები დაუპატიებელ სტუმრებს სიხა-რულით როდი შეხედნენ. მეორე დღეს კორდო-ბა მიიპატრონა კიდევ ნაპირზე, მაგრამ გულში სულ სხვა გეგმები ჰქონდათ. კორდობას სულ-მა წასძლია და ესპანელები ორი ნავით სანაპი-როზე ვადავიდნენ. ინდიელებმა სტუმრები მო-ედანზე მიიპატრეს. ესპანელების თეაღწინ გა-დაიშალა საოცარი სასახლები, რომლებიც დე-მშვენიერული იყო გველების, დრაკონებისა და იავგურების ქანდაკებებით. ამ დროს ატტეცა ყვრილია და ინდიელებმა ვადამთიელებს ის-რები დაუშინეს. ესპანელებმა თოფებით უპა-სუხეს, რამდენიმე ათეულმა ინდიელმა იმავე წეუთში ვანტრევესტული. ინდიელები შედრენენ. ასეთი რამ მათ აღრე არასოდეს ენახათ და ვა-ყვით. ბირი იბრუნეს და ვაოქცენ. ესპანელებმა დროებით ერთ-ერთ ტამპას შეაფარეს თავი. მათ წინ დიდებული სანახაობა ვადაიშალა. მონუს-ხელებიკან იდგნენ და შესწერებოდნენ უძვირ-ფასეს ქანდაკებებს, სრულად უცნობ წარწე-რებს, უთვალავ სიმდიდრეს, მაგრამ წუთიმწე მოსალოდნელი იყო ინდიელების თეადგასისა და სასწრაფოდ გემებს მიასურეს. თუმცა კორდო-

მა არ ჩაირობდა, ცდილობდა, კარგად შეესწავლა უცნობი ხმელეთის სანაპირო. 15 დღის განმავლობაში ცურავდა იუკატანის სანაპიროზე, ბოლოს, რიკა უწყალი შემოაღწადა, ღრუხა ჩაუშვეს კიდევ ერთი უცნობი ღმრთული ქალაქის მახლობლად და მებრძოლები ნაპირზე გადასახეს, ვაიმართა სისხლისმღვრელი ომი. მთავს ლევიონებმა სძლიეს კორდობას მებრძოლებს, კორდობა იძულებული გახდა იჭაურობას ვასკოლდა და გვი კუბისიკენ აეღო. უკან დაბრუნებულმა კუბში ზღაპრული ამბები ჩამოიტანეს. თვითონ კორდობა მალე გარდაიცვალა ისრით მიყენებული ქრილობისაგან. კუბის გუბერნატორმა სასწრაფოდ გაგზავნა გემები უცნობი ხმელეთისაკენ ხუანდე გრიხალვას მეთაურობით.

გრიხალვა პირველად აღმოაჩინა კოსუმელს მიადგა იუკატანის აღმოსავლეთ სანაპიროს მახლობლად.

ესპანელებს ყველგან ზედმეტი შალაი ცივილიზაციის კვალი, ეს უმთავრესად არქიტექტურაში იჩენდა თავს. უზარმაზარი ქალაქები, იტყობოდა სულ ცოტა ხნის წინ აყრილი ხალხი. ისინი საიდუმლოდ უთვალავლებდნენ ვადამთიელებს.

ქალაქ ჩამოტოვნი ესპანელები გაოცებულნი ათვლიდნენ კირის ხსნარით შედგენულ ნიღბისაგან ნაგებ სასახლებს, ქანდაკებით შემკულ ტაძრებს, უზარმაზარ ქვის ჭრებს. საოცარია, რომ ჭვარის გამოსახულება ქრისტიანობაზე გაიკლებით ადრე იყო აღწერილი უცნობი და მთავს ტომებშიც. ინდიელებს სჯეროდათ, რომ ჭვარზე შვის უმაღლესი კაცი მოკვდა (1).

ჩამოტოვნიდან დასავლეთით გრიხალვას ექსპედიცია მიადგა მდინარე ტამასკოს შესართავს, იქნადა კი ორი პატარა ხომალდი აღმა ბუყვანი და სულ მალე ინდიელების რკალშიც აღმოჩნდნენ. ესპანელებმა დამხედურებს შუშის მრეკები და იმპერატორ დონ კარლოსის მორჩილება შესთავაზეს. ინდიელებმა უცნობ იმპერატორზე უარი თქვეს და მივიწყეს სანაპიროდ ესპანელებს შემწეარი თევზი, შინაური ფრინველი და მსოფლათვის უცნობი სიმინდისაგან გამოძიკება ქაღები მთავრებს. შემდეგ ჭილოზე იშვიათი ხელოვნებით ნაკეთები ოქროს სამკაულები დაწვეს. ინდიელები ესპანელებს ეზნებოდნენ, შორს, ქვეყნის შუაგულში ბევრი თქარა არის და თან იმეორებდნენ: „კოლუა, კოლუა. მეხიკო, მეხიკო“. ესპანელებს მანამდე არც კი გავიონათ ეს სახელები.

დაქნულმა გრიხალვამ ვერ გახედა მექსიკაზე გალაშქრება. აცტეკების იმპერიის განადგურება ისტორიამ ავანტურისტს ერწინადა კორტესს არგვანა წიაღს.

1519 წელს კორტესი დაიძრა აცტეკების იმპერიის შუაგულსაკენ. აცტეკების იმპერატორი მონტესუმა უკვე ებოდა ამ შემოტევას; ორ-

ავლებმა ვადამთიელების გამოჩენა ვერ გადევნა უწინასწარმეტყველეს. იმპერატორმა დაიქრა, ინდიელოა საყვარელი ღმერთი კუკულკან კიატლ-ინაბურნადო და ტახტიდან გასაყვამა კი გადაწყვიტა.

ეს კი ის მონტესუმა იყო, რომელმაც თავისი ვადამთიელების დღესასწაულზე 12 ათასი კაცი შესწირა მსხვერპლად. იგი დღემო ოთხჯერ იცდიდა ტანსაცმელს, ერთხელ ჩაცმულს კი მთლიანად არასოდეს ვაეკარებოდა. იმპერატორის ყოველი სადღი 300 თავიკერძისაგან შედგებოდა. ურჩვეული იმპერატორი მთავან ორიოდეს თუ მოისურვებდა.

კორტესი სწორედ აღმოსავლეთიდან მოვიდა, როგორც ამას ორავლები წინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ის არ იყო ინდიელოა სანატრელი ღმერთი, კეკალკიატლი, მან სისხლში ჩაახშო აცტეკების ძველამოსილი იმპერია.

თ სწორედ ამ იმპერიის ნანგრევებს დაეკვეროდ ზემოდან. რა ძალია შექნა, რა ხელმა იაგო ეს საოცარი ქალაქი? მაგრამ აქ განა მხოლოდ ეს არის საოცრება? პირამიდები ბევრგან გვხვდება, მე მინახავს რომელია მიერ უფრო ადრე აშენებული და უფრო მშვენიერი ქალაქები, როგორცია პალმირა და ბაალბეკი. მექსიკაში მივიწყებულ ცივილიზაციებში სხვა საიდუმლოებანი გვიხიდავს, საიდუმლოებანი, რომელია ახსნა მექსიკურებს დღემდე ვერ მოუხერხებია.

ისტორიამ აღარაფერი შემოგინახა სამხრეთ ამერიკაში ინკების, ცენტრალურ ამერიკაში კი მთავს, ტეოტიუაკანის, ტოლტეკებისა და აცტეკების ცივილიზაციებზე.

ესპანელთა მონობამ და ჩაგვრამ ნელნელა შეთანქა ამერიკელი ინდიელების ცივილიზაციაც და ისტორიული წყაროებიც.

ყველზე დიდ ბარბაროსობა მაინც ესპანელმა ეპისკოპოსმა, ახალგაზრდა ფრანკისკელმა ბერმა დეგო დე ლანდამ ჩაიდინა. იგი 1549 წელს ჩავიდა იუკატანში და სადაც კი გასწვდა, ყველგან მოსპო წირმართული კულტურის დამწერლობანი, ბოლო ქალაქ მანში ერთაერთი ტამარნი აღმოჩნდა უკმათავი ზღნაწერი მოვლანზე გამოატანინა და ეცხლს მისცა.

ოცი წლის შემდეგ ლანდამ იგრონო სინდისის ქვეყნა და გადაწყვიტა თვით დაეწერა მთავს ისტორია. მან უზარმაზარი შრომის შედეგად დაწერა კიდევ მონუმენტური გამოკლევა მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შრომა ვერ შეცვლიდა უთქრფის ხელნაწერებს.

ქნებ ინკებს ხელნაწერები მაინც დავხვდებოდა ამერიკის მივიწყებული ცივილიზაციების გამოკლევაში, მაგრამ თითქმის ისტორიამ მოიხრძოდა კავშირებისათვის საიდუმლოდ დავტოვებინა ამ საოცარი ხალხების ბედი. ერთხელ თურმე ინკების იმპერიას რაღაც სწორი ებოდებოდა მოედო, ერთ-ერთმა ორაველმა იწინასწარმეტყველა, ეს საშინელი სენი მანამ არ

დაგვეხსნება, სანამ ყველა ხელნაწერს არ მოეპოვებოდა. ასე განადგურდა ინკების დამწერლობა.

1572 წელს ესპანელებმა მიანიც იგდეს ხელთ მზის ტრიაში დაიკავეს რამოდენიმე ხელნაწერი, რომლებიც იქ დიდად საიდუმლოდ ინახებოდა, მაგრამ ხელნაწერებმა მიანიც ვერ ჩააღწია ესპანეთში. ერთობა, ვეში ზღაპრი დაიღუპა. ამჟამად მსოფლიოს მხოლოდ სამი ხელნაწერიღა შემორჩა ინდიელთა ცივილიზაციებისა.

მაიას ტომები ფლობდნენ უზარმაზარ ასტრონომიულ და მათემატიკურ ცოდნას. საოცრებას წარმოადგენს მაიას კალენდარი, რომელიც წლების მილიონიანი ციკლებისაგან შედგება.

მაიას ქურუმებმა იცოდნენ, რომ დედამიწა და სხვა ციური სხეულები სფეროებს წარმოადგენდნენ. ისინი პლანეტებს ბურთებად გამოსახებდნენ, რომლებსაც ღმერთები ათამაშებდნენ.

მაიას ასტრონომებმა გამოიანგარიშეს, რომ წელიწადი, ე. ი. დედამიწის წრიული ბრუნვის ხანგრძლივობა უდრის 365, 242, 129 დღეს. შევადაროთ ეს ციფრი დღევანდელ უზუსტეს გათვლებს — 365, 242, 198 დღე. ცოთბილება მხოლოდ ერთ წამზე ცოტა მეტია წელიწადში. დრეზდენის მუზეუმში ინახება მაიას ტომის ერთ-ერთი ხელნაწერი იმ საზიდან, რომელიც დღეს მსოფლიოს შემორჩა. მას მაიას კალენდრის უწოდებენ. სწორედ ამ ხელნაწერებში მოცემულია პლანეტა ვენერას ფაზების პერიოდულობა. მაიას ასტრონომებმა დაადგინეს ამ ფაზების განმეორების დრო — 583, 935 დღე. თუ ამ ციფრს შევადარებთ დღევანდელი უზუსტესი გამოთვლით მიღებულ ციფრს, აღმოჩნდება, რომ მაიას ქურუმები სულ რამდენიმე საათით შემეცდარიან (0,015 დღით).

ეს მით უფრო გასაოცარია, რომ ქურუმებს არავითარი ასტრონომიული ხელსაწყო არ გააჩნდა.

ეს ყველაფერი მაიას ტომებმა იცოდნენ პირველ საუკუნეში, მაშინ, როცა საბჭოთა მეცნიერის ა. ჯობბოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეგვიპტელი ასტრონომიმა გრძელი და ტანჯული გზებით მიდიოდა მეცნიერულ კვლევებთან შეცნობისაკენ. ეს გზა საუკუნობრივ ცოთბილებათა და ინკვიზიციის კოცინთა წიად მიემართებოდა. ამასთან, ჯობბოვსკის ბრუნომ, ვალილიემ და სხვებმა ასეთ კვლევებებს მიაყვალეს, რომლებიც დიდი ხნის წინათ ჩვენთვის უცნობი წყაროებიდან იცოდნენ ინდიელებმა. ეგვიპტელებმა და ამერიკელმა ქურუმებმა“.

თავისთავად საოცრებას წარმოადგენს მაიას კალენდარი. იგი ყველაზე რთულიცა და ყველაზე ზუსტიც ძველი სამყაროს კალენდარია შორის. იგი შედგება რამდენიმე დამოუკიდებელი „ბორბლისაგან“, რომლებზე დროის ერთ-მანეთთან დაკავშირებულ ციკლებს აღნუსხავდნენ. მაიას წელიწადის გამოთვლის 2 სისტემა ჰქონდა: „ციკლინი“, ანუ 260 დღისაგან შემდგა-

რი წმინდა წელიწადი და საერთო წელიწადი — „ხააბი“, რომელშიაც ო-ოც დღიანი თვითმეტე თვე ითვლებოდა. მას ემატებოდა „ხუტლუანი“ დამატებითი თვე. ყველაფერი ეს უნდა შედგენდა 365 დღიან წელიწადს. „ხააბი“ ჩვეულებრივი კალენდარული წელთაღრიცხვისათვის იხმარებოდა, „ციკლინი“ კი რელიგიურ წეს-ჩვეულებებთან იყო დაკავშირებული. ყოველ დღეს და თვეს თავის საკუთარი სახელი და იეროგლიფი ჰქონდა. მაიას კალენდარის ძირითადი ერთეული იყო დღე, ანუ „კინი“. ოცი კინი ერთ „ვინალს“ — თვეს ადგენდა. „ვინალიდან“ დაწყებული კალენდარი შემდეგ ციკლებად იყოფოდა: 18 ვინალი (5 დღის დამატებით) = 1 ტუნი; 20 ტუნი = 1 კატუნი (7200 დღეს); 20 კატუნი = 1 ბატუნი (144.000 დღეს); 20 ბატუნი = 1 პიკტუნი (2880.000 დღეს); 20 პიკტუნი = 1 კალატუნი (57600.000 დღეს); 20 კალატუნი = 1 კინჩილტუნი (1 152 000 000 დღეს); 20 კინჩილტუნი = 1 ალატუნი (23 040 000 000 დღეს).

ყველა ციკლს თავისი ნიშანი ჰქონდა. იეროგლიფზე დათვლილი ციფრები უჩვენებდნენ, რომ ეს ციკლი უნდა გამარაგებულიყო შესაბამის რიცხვზე.

ამის გარდა იყო კიდევ დამატებითი ნიშნები, რომლებიც მთვარის კალენდრის დანახოვებს აღნიშნავდნენ.

თავისთავად მაიას კალენდარი, როგორც ბარელიეფი, ძალზე საინტერესოა და ეგი უმარტველეს სუვენირად ითვლება მექსიკაში.

მაიას კალენდარში ერთ-ერთ უბირველეს პრობლემად რჩება იმ საწყისი წერტილის პოვნა, — წერს ჩარლზ გალენკამპი, — საიდანაც ისინი იწყებდნენ თავის წელთაღრიცხვას. აუცილებელია დადგინდეს მაიას კალენდრის მომართება ჩვენს გეოგრაფიულ კალენდართან. როგორც ვიცით, გეოგრაფიული კალენდარი დროს ტრისტეს დაბადებიდან აღნუსხავს. მაგრამ ეს ამბავი როგორ უნდა შევეთვასოთ მაიას ქრონოლოგიას? კალენდრის წარწერების შესწავლით დადგინდა, რომ „საწყისი სერის“ ყოველი ციკლი აღიწერება საიდუმლო თარიღიდან „4 ახუ 8 კუმბუ“. როგორც ჩანს ეს უნდა იყოს მაიას ქრონოლოგიის საწყისი წერტილი. ეს თარიღი „ნულად“ აღინიშნება და დაახლოებით ჩვენს ერამდე 4 ათასწლეულს განეკუთვნება. სპინდენის ბრითი იგი შეესაბამება 3.373 წლის 14 ოქტომბერს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ვუდმენის, მარტინესისა და ტომპსონის კორელაციური სისტემის მიხედვით კი ეს თარიღი 3113 წელს ემთხვევა. რავინდ საოცარიც არ უნდა იყოს, ეს თარიღი 3.000 წლით აღემატება ჩვენთვის ცნობილ მაიას „ლეიდენურ ფირფიტებსა“ და ვამაკტუნის „სტელაზე“ აღნიშნულ თარიღებს. ამიტომ აჩქოლოგები მივიღენ იმ დასკვნამდე, რომ „4 ახუ 8 კუმბუ“

უფრო ლეგენდარულ ამბავს უნდა აღინიშნავდეს, ვიდრე არაღრმ ისტორიულ ფაქტს.

მორალის აზრით, შაია ამ თარიღს საწყაროს შექმნას, ან თავიანთი ღმერთების დაბადებას უკავშირებდა. სწორედ ამ საწყისი წერტილიდან დაიწყოთ დროის აღრცევა ქურუმ-ასტრონომებს.*

ამ აზრს არ იზიარებს რუმინელი მეცნიერი ზორია მატეი. იგი წერს: „მეცნიერებისათვის ყველაზე თავსატეხ და საკამათო საგანად მაინც უკანასკნელი კითხვა რჩება — შაიას ქრონოლოგიის პირველი თარიღი, შათი კალენდრის პირველი დღე. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ეს დღე 3300 წელს იდგა ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ხოლო ვაშაეტუნში აღმოჩენილ ყველაზე ძველ „სტელაზე“ კი 328 წელია (ჩვენი წელთაღრიცხვით) აღნიშნული. ამგვარად რჩება 36 საუბუნეზე მეტი განსხვავება და შაიას მკვლევარ არქეოლოგთა და ისტორიკოსთა მეშინაბა ერთი მიზნისკენ არის მიმართული—ამოავსონ ეს უცსკრულო.“

საცხებით ბუნებრივია, რომ ასეთი ჰიპოთეზაც წაომოიშვა: ეს, 3300 წლის წინანდელი დღე შაიას ისტორიაში თითქმის არავითარ მოვლენას არ აღნიშნავდა, ჩვეულებრივი დღე იყო, მაგრამ ამ ჰიპოთეზას ეწინააღმდეგება ის, რომ მსოფლიოში ყველაზე ზუსტი კალენდრის მფლობელი შაიას ხალხი თავის „სტელებზე“ მნიშვნელობას მოკლებულ, შემთხვევით თარიღებს არ ჰქვეითავდა ხოლმე. ესეც არ იყო, ისტორია გვიდასტურებს, რომ არც ერთ ხალხს არ დაუწყია თავისი წელთაღრიცხვა არც ძველად და არც შედარებით ახლო წარსულში, ალაღებდნენ და სახელდახელოდ, მაგალითად: მაჰმადიანური კალენდარი მუჰამედის მეშვიდან ვედნიში გაჭყევის დღიდან იწყება (ეს გასაუთ ჩვენს წელთაღრიცხვით 622 წლის 16 ივლისს), რომაელთა კალენდარი, რომლის დაარსების დღიდან იწყება (753 წ. 21 აპრილი ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ინდური „საკას“ კალენდარი ვახაფხულის მეორე დღიდან (78 წ. 3 მარტიდან ჩვენი წელთაღრიცხვით) და ა. შ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ შაიას კალენდრის პირველი დღე — 4 ათე 8 კუმზე, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3300 წელს შეესაბამება, შაიას ისტორიის რაღაც მნიშვნელოვან თარიღს უნდა აღნიშნავდეს, ოღონდ ესაა, რომ კოპანის, პალენკის, ვაშაეტუნისა და ჩიჩენიცის ძეგლებზე თვალდათხილ არქეოლოგებსა და პალეოგრაფებს ჭერაც ვერ ამოუხსნიათ ეს საიდუმლო*.

ამავე აზრს იზიარებს საბჭოთა მეცნიერი ა. გორბოვსკი. იგი უფრო შორს მიდის და შაიას კალენდრის საწყისს წარლენას უკავშირებს.

„შეიძლება იმასაც ვედილიყავით, — წერს ა. გორბოვსკი, — რომ უფრო მეტი სიზუსტით დავადგინა კატასტროფის თარიღი. ცნობილმა მკვლევარმა იულიუს ოპერტმა ბრიტელში გაზართულ ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე ამ

ასიოდე წლის წინათ აუწყა მსმენელებს, თუ რა უცნურად ემთხვევა ერთმანეთს სტადასხვა სისტემის უძველესი კალენდრებიც და ადრეველად დასაწყისები.“

მეცნიერებანი
ძველევამბებურ შხის ციკლში 1460 წელი შედიოდა. ცნობილია ერთ-ერთი ციკლის გასრულების თარიღი (1322 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) თუ ამ წლიდან 7 ციკლს გადათავალით, მივიღებთ 11542 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ძველასირიულ კალენდარი 1805 წლიან შთვარის ციკლთან შედგება. ერთი ამ ციკლთან ჩვენს წელთაღრიცხვამდე 712 წელს გასრულდა. გამოირკვა, რომ შეიძლება გადათავალით 6 ციკლი და მივიღებთ წელანდელ 11542 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ლოგიკური იქნება იმის ვარაუდი, რომ ხსენებულ ხალხთა წელთაღრიცხვას საფუძვლად რაღაც აღმნიშვნელოვანი მოვლენა დაედო. ამას ორი სხვა კალენდრის, შაიას და ინდუსების კალენდრის შებირისპირებაც ადასტურებს.

ძველ ინდოეთში შთვარისა და შხის საცალენდრო ციკლი 2850 წელს შეადგენდა. „სკალოუგას“ საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3102 წელს დაწყებულა. ამ თარიღიდან სამი ციკლი რომ გადათავალით, მივიღებთ 11652 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

შაიას კალენდარი დაიწყო 3373 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. კალენდრო ციკლი 2760 წელს შეადგენს. 3373 წლიდან სამი ციკლი რომ გადათავალით, მივიღებთ 11653 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ინდური და შაიას კალენდრების დასაწყისი ერთი წლით რომ განსხვავდება, ადვილად ასახსნელი ამბავია: უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე ერთ წელს დაიწყო, მაგრამ თვეები იყო სხვადასხვა.

ამრიგად ხელთ გვაქვს ორი საფულისხმო თარიღი. ამ თარიღებთან ხომ არ არის დავაშორებულ კატასტროფა?

110 წლის სტეაობა 11652 და 11542 წლებს შორის შესაძლოა იმით აეხსნათ, რომ დროის ეს მონაკვეთი გავიდა კატასტროფის დაწყებიდან შის დასრულებამდე*.

შაიას კალენდარში ბევრი რამ ამოიცნეს მეცნიერებმა. მაგალითად, დაადგინეს რას ნიშნავს 52 წლიანი ციკლი. პოლონელი მეცნიერი ზენონ კოსიდოვსკი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი 52 წლიანი ციკლი ატკეკება აღნიშნუ 1507 წელს, 12 წლის შემდეგ კი ესპანელებმა შემუსრეს ატკეკებას იშპებია. ციკლის დასასრულს, დეკემბრის მიწურულში, შხის ჩასვლისას ქურუმები ადიოდნენ მეზიოოს ველზე მდებარე ველკანის თავზე. ხალხი ადიოდა კლდეებზე, მთებზე, სახლის სახურავებზე და ელოდნენ სამყაროს დასასრულს. ქურუმებს ყველაფერი შხად ჰქონდათ კოცონების გასაჩაღებლად და ეს ავეირებდოდნენ. პოლოტკ კი რომელი-

დაც ვარსკვლავი მიადევნდა ზენიტს და სამყარო არ დაიღუპებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ 52 წლიანმა ციკლმა მშვიდობით წიააზა. ამის შემდეგ იწყებოდა დღესასწაული და კარნავალი.

მაიას კალენდარში ყველაფერი როდეს დადგენილია და გარკვეული, მაგალითად, ამოუხსნელი საკითხების რიცხვს ექვემდებარება ციკლი, რომელიც შედგება 7200 დღისაგან (კატონი) აგრეთვე 44 000 დღიანი ციკლი, რომელიც მაიას კალენდრის არცერთ ერთეულზე არ იყოფა. გუგუბარია აგრეთვე მნიშვნელობა „დიდი ციკლისა“ და „უდიდესი ციკლისა“ (57 600 000 დღე). მაიას ტომები თავიანთი კალენდრის ტიპებაში მოექცნენ და ყველაფერს მის უმორჩილებდნენ. ყველაფერს რაღაც გარკვეულ ამბებს უკავშირებდნენ, მაინც რა მნიშვნელობა აქვს ამ ციკლებს? ან რა მოვლენით აღინიშნებოდა ეს 44 000 დღე, რომელიც არცერთ კალენდარულ დაყოფას არ შეესაბამება?

როგორც ვხედავთ, აქაც ათას საიდუმლოებასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ფაქტი ერთია, — ყოველად შევძლებელია ასეთი კალენდარი შევადგინა ერს, რომელსაც არ გააჩნდა უდიდესი მათემატიკური ცოდნა. მაიას ქვრტომები ფლობდნენ ოცინშია (1) რიცხვებს, ანგარიშობდნენ მზას დაბნელებას და მრავალ ასტრონომიულ მოვლენას. მაგრამ მაიას ტომების ყველაზე დიდ მიღწევად მათემატიკაში ითვლება „0“-ის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ ნული — ეს აბსტრაქტული მათემატიკური ცნება — არცერთი ქვეყნის მათემატიკოსებმა არ იცოდნენ. იგი „ძველ სამყაროში“ (ასე ეძახდნენ მსოფლიოს ამერიკის აღმოჩენამდე) ინდოელებმა გამოიყენეს და მერე თანდათანობით გავრცელდა ევროპაში. მაგრამ მაიას ტომები გაცილებით ადრე იცოდნენ ნულს, ვიდრე ინდოელი მათემატიკოსები.

ესამაგლების გამოჩენამდე, მრავალი საუკუნით ადრე, ინდოელებს მოყავდათ ოცამდე მნიშვნელოვანი საკვები მცენარე. გარდა ამისა, მოამინაურეს ინდური, ლამა, იბვი, ფუტკარი. ანდების მცხოვრებლებმა დიდ წარმატებას მიიღწიეს შედარებაში, ჩასწვდნენ ნარკოტიკების ხმარების საიდუმლოებას. იუთებდნენ ისეთ რთულ ოპერაციას, როგორც ტრანსპლაცია. ავალმოყვს თავის ქალიდან მულის ნატეხებს უღებდნენ, რომ შეემცირებინათ მისი დაწოლა ტვირთზე.

და ეს ყველაფერი ხდებოდა მაშინ, როცა მაიას ტომებმა არ იცოდნენ რა იყო ბორბალი, არ იცოდნენ რა იყო მუშასაქმონდი და გუთანი, არ იცოდნენ ლითონის გამოყენება. მართალია, შედარებით ვიანდელ ისტორიულ პერიოდში ცენტრალურ ამერიკაში და ანდების მთიან მხარეში გვხვდება ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და ბრინჯაოს ნაყოფიანობა, მაგრამ ისინი ამ მეტალებს მხოლოდ და მხოლოდ სამკურნელად იყენებდნენ. ერთი სიტყვით, სიღინეს

მორღის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მათ იცნობდა და იყენებდა მხოლოდ სურსათის ცხელების მოპოვება, მიწათმოქმედება (გ. ფ.) და ზუსტ მიღწევებთან (ციცხლის მოპოვება, მიწათმოქმედება ცხოველის გამწვევ ძალად გამოყენება, ლითონის იარაღების შექმნა და ბორბლის გამოგონება — გ. ფ.), რომლებიც ცივილიზაციისაგან მიმავალი კიბის საფეხურებს წარმოადგენენ. ამ დროს ძველი ვეგეტატივები, ქალღვეულები, ბაბილონელები, ასურელები, სპარსელები, ჩინელები, ფინიციელები, ეტრუსკები, ბერძნები და რომაელები დაუფლებულნი იყვნენ ცივილიზაციის ზეოთვე მონაპოვარს, მაიას გარდა მხოლოდ ეამპოჯის ქიშკრებმა და ქუნძულ აივას კლდესი ნაკვეთი ტაძრების მშენებლებმა შექმნეს ნესტიან ტროპიკებში მაღალი ცივილიზაცია. მაგრამ ისინიც იყენებდნენ თავიანთ უკუდღღღურ შრომადი კავშირობის იმ ხელ მონაპოვარს. ღველ სამყაროში მაიას კულტურული განვითარების დონის ანალიზი რომ ეობოეთ, კავშირობის ისტორიის სიღრმეში, ნეოლითის დაპაწყისში, ქვის იარაღის ხანაში უნდა ჩავეშვა, როცა აღნიშნულ ცოდნაც და ტექნიკაც ერთნაირად ღარიბი იყო მხოლოდ და მხოლოდ განვითარების ამ პრიმიტიულ დონეზე შეიძლება ერთმანეთს შეეადარათ მაიასა და ძველი სამყაროს ცივილიზაციები. და თუ მოვხვდნენ ასეთ შედარებას, აღმოჩნდება, რომ ძველი სამყაროს არცერთ ხალხს, რომელიც განვითარების ასეთივე საფეხურიდან დაიწყო, ამ მიღწევით იმ სიმაღლეებისათვის, რასაც მაღლმა ცენტრალურ ამერიკაში მაიამ“.

მაგრამ ეს როდია განსაკვივრებელი. აქ უფრო ნათლად უნდა გამოვყოთ მთავარი საოცრება. ინდოელმა ქურუმ-ასტრონომებმა, რომლებსაც ჰქონდათ ამდენი ცოდნა, რომელთა განვითარებითაც ავებდნენ უზარმაზარ ქალაქებს, პირამიდებს, ტაძრებსა და გზებს, არ იცოდნენ რა იყო ბორბალი ან ლითონის ზღლსაწყობი, არ იცოდნენ რა იყო გამწვევი ძალა, პირველად, როცა აუტყვებმა ესამაგელი ცხენოსანი დიანახეს, შიშის ზარი დაეცათ — ცხენოსანი კაცი ერთი მთლიანი არსება ეგონათ.

მაგრამ არც ესაა ყველაფერი. უმოთაგრესი საოცრება კიდევ სხვაა. — მაიას ცივილიზაციას არ ჰქონია განვითარების ეტაპები. მათ თითქოს თავიდანვე იცოდნენ ყველაფერი, არ ყოფილა მაიას კალენდრის წინაპარი კალენდარი, რომელიც თინდათან დაიხვეწა და მიიღო საბოლოო სახე. მათ თითქოს თავიდანვე ჰქონდათ მზამზარეული ცოდნა, მომწიფებელი ცივილიზაცია.

„როგორ შესძლო მაიამ, — წერს ამერიკელი მეცნიერი დოქტორი ჯეიმზი — შეენარჩუნებინა მაღალი დონე თავისი ცივილიზაციისა, რომელიც დაზადებისათვის საფუძვლით მომწიფებული იყო? სად უნდა ევბოით მათი აქტივობა ტერორისა და ქატივობის ფესვები? სადა ის პრიმიტიული წარმოდგენები, რომლებიც საფუძვე-

ლად დაედო ასტრონომიისა და მათემატიკის დარგში უფრო სრულყოფილ გამოგონებებსა სადა უნებში სქემები, რომლებიც შემდეგ გარდაიქმნა მათ არჩევნულუბრივად როდღე კონკრეტულად, გარდასული და მომავალი დროის მილიონობით წელთა გამოთვლა რომ ძალღეს? ანდა სადა ის უმარტივესი ნიშნები, რომელთა საფუძველზე მაიას ქრონომეტრი შექმნეს იეროგლიფური დამწერლობა? პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა მიგვეგნო ისეთი ფაქტობრივების, რომლებიც ამ დარგების თანდათანობით განვითარებას ვეხვეწებოდნენ, განვითარებას, წინ რომ უძღოდა მათ აუცავებდას. როგორც ჩანს, მაიას ცივილიზაცია რომელღაც უცნობი წყაროდან აღმოცენდა.

და მეცნიერთა გონებაში კვლავ ამოტივტივდა ატლანტიდან, დაღუპული კონტინენტის პლატონისეული მითი. ამას მოჰყვა მეორე მითი სხვა საიდუმლო კონტინენტისა, რომელიც ვინაოშიდა მდებარეობდა ოსტრადოგიოდან ჰავიას ენძულუბამდე. კონტინენტს სახელად „მუ“ ეწოდებდა. ეს აზრი პირველად ინგლისელმა მეცნიერმა ჯეიმს ჩერჩილარმა წამოაყენა. მისი აზრით, ამ კონტინენტის ნაშთებს წარმოადგენენ დღევანდელი პოლინეზიის კუნძულები. ჩერჩილარმა აზრით „მუ“ იყო ეველა მდელი ცივილიზაციის სამშობლო, კონტინენტი ჩადაც საიდუმლო კატასტროფის შემდეგ დაიღუპა მე-12 ათასწლეულში ჩვენს ერაზდე, — დასავლეთის ინგლისელი მეცნიერია, — რომლის შემდეგ მოსახლეობა შექსიკაში გადასულა და იქ შეუქმნიათ აუცავებელი კოლონიები.

არქეოლოგიურმა გათხრებმა დაამტკიცა ჯეიმს ჩერჩილარდის დებულუბათა უსუსურობა.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს არაერთხელ განუცხადებია აშკარად, რომ არა აქვს აზრი გამოსვლას, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობის ვაჟუნა ყოველდღე იზრდება და ღრმავდება მთელ ქვეყანაში. მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები მიმართავს ქალაქის ყველა ჯარისკაცს, მუშას და მოქალაქეს არ დაუჭიროს უხამს ხმებს ეითომცდა აქანების შესახებ და მოუწოდონ ერთიმეორეს მშვიდობისა და წესრიგისაკენ.

რაც შეეხება პროვოკატორებს, რომლებიც მოქალაქეთა სიმშვიდეს არღვევენ, მღებული იქნება ყველა ღონისძიება მათი სამარცხენი საქმეების აღსაყვათად.¹

ეს მიმართვა ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტის ზემომოტანილი განცხადების 12 დღის შემდეგ არის დაწერილი. შინაარსი საცესებით ემთხვევა მას და ამავე მიზანს ემსახურება.

ბაქოში, სადაც საბჭოებს ძალაუფლება ხელი ეყარათ, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერ ბლოკის წინააღმდეგ გადაწყვეტი შეიარაღებული შეტევისათვის მეტი ძალები არსებობდა. ბაქოს პროვოკატორი ხომ ამიერკავკასიის მასშტაბით უძლიერეს რევოლუციონერ ცენტრად განსახიერებდა. მაგრამ ბაქოში, ვიდრე მსახებს შეგნებაში მვეთარი გარდატეხა არ მოხდებოდა და ვიდრე წითელი არმიის ფორმირების პროცესი არ დასრულდებოდა, შეიარაღებული გამოსვლისაგან თავს იკავებდნენ და ძალაუფლების „უსისხლო“ დაკარგვის ტაქტიკას მიმართავდნენ. კონტრრევოლუციის ექსპრებოდა რევოლუციონერი ძალების გამოწვევა. მას მიანდა, რომ საკუთარი დაქირავებული ძალებით ამიერკავკასიაში რევოლუციას მოუვლავდა მანამ, სანამ საბჭოთა რესპუბლიკა დახმარების მოახერხებდა. სწორედ ამ დროისათვის საბჭოთა რესპუბლიკასა და ამიერკავკასიის შორის სამხრეთის კონტრრევოლუციის ფართო ზოლი იყო გაფოლილი. ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი კი ველუხე დახმარებას სთავაზობდა. ამრიგად, 1917 წლის ნოემბერში შეიარაღებული აქანების დაწყება კონტრრევოლუციის ძალთა ანგისზე უამოკებას წარმოადგენდა. ბოლშევიკები ამას გრძობდნენ და ფრთხილობდნენ შეიარაღებული გამოსვლისათვის ვითარების სათანადოდ მომწიფებამდე, რევოლუციონერი შეჯახების თვით მსახედიდან დაწყებამდე. სამოქალაქო ომის განალებისაგან თავს იკავებდნენ და ძალაუფლების მოპოვებას საბჭოების გადახალისების გზით ვარაუდობდნენ.

¹ ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში. გვ. 95

¹ Газ. «Известия Баксовета», № 207, 1917.

მენშევიკური პროვოკაციისაღმდეგ თბილისელი ბოლშევიკების ზემოთ ნახსენები დამოკიდებულება რომ ეტაპო ინიციატივა ყოფილიყო, ცხადია, იგი ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის სხვა წევრების, ზაქოს ბოლშევიკური საოლქო კომიტეტის მკაცრ შეფასებასა და გაკიცხვას გამოიწვევდა. იგი ამასთან კომუნისტიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ვ. ი. ლენინის ყურადღებისა და რეაგირების გარეშე არ დაარჩებოდა. ზაქოს ბოლშევიკური განუთებო კი თბილისის ამბებს რომ ეხმარებოდნენ, სამარცხინო ბოძე აკრედიან კონტრ-რევოლუციის ბლოს, რომელიც ბოლშევიკთა შეიარაღებული გამოსვლების შესახებ ბოროტ ჭრებებს ავრცელებდა და ამით ამიერკავკასიაში სამოქალაქო ომის ზანძარს აღვივებდა.¹

შეგნონი რთულ სიტუაციაში ამიერკავკასიელი ბოლშევიკების სიფრთხილე ბუნებრივი იყო. სოციალური საყრდენი, როგორც ცნობილია, აქ ყოველთვის მჭიდროდ იყო გადახარული ერთნაირად და ვითარების მკაცრი აწინადაწინის გარეშე, სოციალური ომის დაწყება ნაციონალურ ომად გადაქცევის საფრთხეს ქმნიდა. ზოლო ნაციონალური გათიშულობა და შეტაკებანი რეაქციის ზღვში ყოველთვის საიმედო იარაღს წარმოადგენდა რევოლუციური ბრძოლის წინააღმდეგ.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ 1917 წლის მიწურულისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის ტაქტიკა გამართლდება, თავისთავად რევოლუციური სიტუაციის უარყოფას ნიშნავს. ნამდვილად, რევოლუციური სიტუაცია აქ არაფერ შეიშია და საკითხი შეეხება მხოლოდ იმ ფორმებსა და მეორედებს, რომლებსაც ძალუფლების აღების საქმეში საოლქო კომიტეტი მიზანშეწონილად თვლიდა. რაც შეეხება რევოლუციური სიტუაციას, იგი როგორც საერთო, ისე უშუალო და კონკრეტულად, მომწიფებული იყო რუსეთის მთელ ნაჭრიაში. ძველი, დრომოჭმული კონტრ-რევოლუციური ძალების წინააღმდეგ, როგორც ყველგან, რუსეთის თვალუწვდენელი იმპერიის ფარგლებში, ამიერკავკასიაშიც გადააწყვეტილი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობდა. მაგრამ ამ შევსებების ცალკეულ უბნებში, დროის ცალკე, კონკრეტულ მონაკვეთში, ვითარების შესაბამის ბერებში და მეორედები სხვადასხვაგვარი იყო. განა რუსეთის ასობით ქალაქში, სადაც შეიარაღებულ აჯანყებას ადგილი არ ჰქონია და ძალუფლების მოპოვება მშვიდობიანი გზით მიმდინარეობდა, რევოლუციური სიტუაცია არ ყოფილა? ზომ ცნობილია, რომ პეტროგრადში ბოლშევიკების მიერ

ძალუფლების აღების შემდეგ, ადგილებზე საბჭოთა ზელისუფლების გამარჯვება ხდებოდა როგორც შეიარაღებული აჯანყებით ისე მშვიდობიანად — საბჭოების გადაარჩენებისა და მასში ბოლშევიკური უმრავლესობის მოპოვების გზით. რუსეთის 15 საგუბერნიო და მსხვილ ქალაქში საბჭოთა ზელისუფლებამ შეიარაღებული ფორმით გაიმარჯვა. დანარჩენ 69 საგუბერნიო და მსხვილ ქალაქებში — მშვიდობიანი გზებით! საბჭოთა ზელისუფლება მშვიდობიანი ფორმებით დამყარდა არა მარტო მსხვილ სამრეწველო ცენტრებში (ვლადიმირი, ივანო-ვო-ვოზნესენსკი, ლუგანსკი, ხარკოვი, ნიკოლაევი, ტულა), არამედ მრეწველობის მხრივ სუსტად განვითარებულ ქალაქებშიც (გომელი, არმავირი, ტურსკი, პოლტავა, სიბირსკი, ვოლოგდა, რიზანი). საბჭოთა ზელისუფლების მშვიდობიანი გამარჯვება მოხდა აგრეთვე იმპერიის ვანაშია ქალაქებში (ბაქო, აშხაბადი, არხანგელსკი, სამარყანდი, ხაბაროვსკი, იაკუტოვი, ჩიტა და სხვ.)²

არაბუნებრივი იქნებოდა საქართველოს ზელ-მტლანელი პარტიული ორგანიზებისათვის შეუდომად მიგვეჩინა ტაქტიკა, რომელსაც რუსეთში ვითარების შესაბამისად იყენებდნენ და რომელიც საქართველოში იმ დროს საპირისპირო ძალთა განლაგების ვითარებაში ყველაზე მიზანშეწონილი და მომგებიანი იყო. კონტრ-რევოლუციის გველეშაპს თავი პეტროგრადის 25 ოქტომბრის აჯანყებამ და იქ საბჭოთა მოაჯრობის შექმნამ მოჰყვება. იმპერიის სხვადასხვა ადგილებზე კი ამ გველეშაპის ცალკეული, ჭრ კიდევ ცოცხალი ნაწილების ლიკვიდირება ვითარებისათვის შესაბამისი მეორედებით მიმდინარეობდა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის ტაქტიკა 1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში მოკლებების ღრმა ანაღის ეფექტურობადა. ბოლშევიკებს, როცა ისინი კონტრ-რევოლუციის გამორევას ებრძოდნენ და შეიარაღებულ გამოსვლას გარკვეულ დროისათვის სდებდნენ, მშვეულობაში ჰქონდათ შემდეგი გარემოებანი:

1. კონტრ-რევოლუციის გვარდიისა და ფორმირებული ერთნაირი ნაწილების სახით ჰყავდა მზა შეიარაღებული ძალა. ბოლშევიკები კი თავიანთი შეიარაღებული ძალების ფორმირებას მხოლოდ იწყებდნენ.
2. კავკასიის არმია, მასში ბოლშევიკები გე-

¹ И. И. Минц, Победа социалистической революции на местах, журн. «История СССР», 1957, ст. 65.

² С. С. Хесин, О некоторых вопросах изучения триумфальной шестива социалистической революции, журн. «Вопросы истории»; № 4, 1968, ст. 208.

ღენის მიუხედავად, მყარ და საიმედო ძალის მინც არ წარმოადგენდა. ჯერ ერთი, ეს არმია ოქტობრის რევოლუციის დროს დაიშალა, რადგან ოქტობრის რევოლუციის დროს დაიშალა არ ყოფილა. მეორე — სხედისხე პარტიის დიქტატურა აყალიბდა ქარისკაცების შინაომის. მათამკვლევი სისხლის ღვრის გაჩაღების საშინაოებას ქმნიდნენ.

3. ამიერკავკასიის მეშენისა და გლეხობის დიდი ნაწილი შემთანხმებლობისადმი გულდანიდობის ეთარებაში იმყოფებოდა და პოლიტიკურად გაეთითცნობიერებული ჯერ კიდევ არ ყოფილა ოქტობრის რევოლუციის დიდი საქმეები მას გააზრებული არ ჰქონდა.

4. ამიერკავკასიის რევოლუციური ძალები აზოლკებელი იყვნენ, რუსეთის საბჭოთა რეპუბლიკისა და ამიერკავკასიის სამხრეთის კონტრრევოლუციური ზონა თიშავდა. ამვე დროს, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ძალების დასაბამებლად მზად იყვნენ, ერთი მხრივ, გერმანია-ოქტობრის, მეორე მხრივ, ანტანტის სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები.

5. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, ვ. ი. ლენინისაგან ამიერკავკასიის კომუნისტებს დაეყოფნებული შეიარაღებული გამოსვლის დირექტივა არ ჰქონიათ. ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის კომუნისტებს მედამ მოაგონებდა მახლონიდან თავი დაეღწიათ და ემოქმედათ კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

6. დრო რევოლუციის სასარგებლოდ მოქმედებდა. საბჭოთა ხელისუფლება ტრიუმფალურად მიივლევდა გზას. კონტრრევოლუციის აერები თანდათან ქრებოდნენ. თვით ამიერკავკასიაში რევოლუციური განწყობილება ყოველდღიურად იზრდებოდა და წითელი რაზმების ფორმირებაც წარმატებით მიმდინარეობდა. მალე ძალთა თანაწილობის სასწორი ამიერკავკასიაში რევოლუციონერთა მხარეზე გადაიხრებოდა, ამ დღის მოლოდინში ამიერკავკასიელი ბოლშევიკები გულზედაკრფილი როდა ისხდნენ. ისინი ხელისუფლებას მოპოვების მშვიდობიან ტაქტიკას ახორციელებდნენ. ეს კონტრრევოლუციის ძალთა მხილების, მასების გამოფხიზლებისა და არმიის აწინყებისათვის მოწინავეს პერიოდი იყო.

საოღო და თბილისის კომიტეტების მიერ აღებული ტაქტიკური ხაზის მართებულობის

ზოხედვად, მათ მიერ ამ მომენტში დაწყებულ იქნა სერიოზული შეცდომები. მთლიანად შეცდომა იყო სადღეუბლო კრებისადმი სათანადო ყურადღებობა, არსენალის ჩანარება. არსენალს ბოლშევიკური ნაწილი იცავდა. როცა ბოლშევიკთა გამოსვლის შესახებ ბურჟუაზიამ განგაში ატება, ხოლო ქალაქში სამხედრო წესები გამოაცხადა, ბოლშევიკების ხელმძღვანელ რაგანობს ამ უმნიშვნელოვანესი ობიექტის დასაცავად შეეძლოთ სასწრაფო ღონისძიებანი მიეღოთ ისე, რომ მენშევიკურ გარდაღის მახზე თავდასხმა ეერ გაებედა. არსენალს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ბაჟისა და თბილისში ფორმირებულ ბოლშევიკურ რაზმებს იარაღი სჭირდებოდა. თბილისელმა ბოლშევიკებმა კონტრრევოლუციის ზრახვებს დროზე ეერ აუღეს ალოო და არსენალი მატარა საბრძოლო ყვეფის ანაბარა აღმოჩნდა. ვ. ი. ლენინი თბილისის 28-29 ნოემბრის ამბების შესახებ კავკასიის საოღო კომიტეტის წევრის მოხსენებას ჩამენდა და საყვედურობდა, რომ არსენალი ბოლშევიკებს არ უნდა დაეზოთათო. შეცდომა იყო ისიც რომ ბოლშევიკები მენშევიკური საბუჟისა და კომისარიატის პროვოკაციებს იმთვითვე არ გამოვხმარებდნენ, ფართო ახსნა-განმარტებებით მისი გაქარწყლება ეერ უზრუნველყვეს. საშარეო კომიტეტის განცხადება თბილისის ამბების გამო გამოქვეყნდა მას შემდეგ როცა კონტრრევოლუციის ბოკს ასეენალი უყვე აღებული ჰქონდა. ამ შეცდომებზე თვით მიუთითებდნენ საშარეო კომიტეტის წევრები — ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ოთმეა მ. ორახელაშვილი ივეე აღნიშნავს, რომ ბოლშევიკებს საშარეო ცენტრი იმ მომენტში, აც ერთი შეცდომაე რომ არ დაეშვა, ოქტობრის გამარყების შეუტრებულ მკელელობას მინც ეერ უზრუნველყოფდა. ამ გამარყებებისათვის საჭირო გაბდა ძნელი და შემოსხველი გზების გაცლენა⁴

1 „რევოლუციის მატინაე“, № 2(27), 1927, გვ. 51-52.

2 ფ. მახარაძე, საბუებები და ბრძოლა საბუხელისუფ. საქართველოში, გვ. 95.

3 მ. ორახელაშვილი, ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციები, 1917 წ., „რევოლუციის მატინაე“, № 2(17), 1917 წ., გვ. 19-55.

4 ივეე, გვ. 55.

აკაკი ირაშვილი

პარტიულმა საბჭომ პარტიის სათავეებთან

მუშერ-გლეხური წითელი არმიის შექმნის შესახებ ლენინური დეკრეტის გამოქვეყნების უშუალო რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ ტიტანური ბრძოლა გააჩაღა ახალი ტიპის არმიის, ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის არმიის შესაქმნელად.

წითელი არმიის შექმნა იმთავითვე ინტერნაციონალურ პრინციპზე დაიწყო. პარტია სჭედდა და ზრდიდა მის ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, რადგან წითელი არმია ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის მშობის არმია უნდა ყოფილიყო. იგი იქმნებოდა კიდევ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა შეილებინაგან.

წითელი არმიის შექმნის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო კომუნისტური პარტია, ვლადიმერ ილიჩის ძე ლენინი.

ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხის შეილებთან ერთად, წითელი არმიის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველებმაც. ქართველი პროფესიონალი რევოლუციონერები, პარტიული თუ სამხედრო მუშაკები ჯალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებდნენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად შექმნილიყო პროლეტარიატის სამხედრო ორგანიზაცია, არმია, რომელიც გაუმჯობესდებოდა უკვე დაწყებულ უცხოეთის სამხედრო ინტერვენციას, დაიცავდა საბჭოთა ხალხის მშვიდობიან სოციალისტურ შრომას იმპერიალისტური ძალების ზღვროფისაგან.

წითელი არმიის შექმნასა და მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში დიდი მონაწილეობა მიიღო პროფესიონალმა რევოლუციონერმა, ლენინური გვარდიის სახელოვანმა წარმომადგენელმა ვლადიმერ გაბრიელის ძე

ჭიქი ამ. იგი 1918 წელს პეტროგრადის წითელ მეთაურთა კურსების პოლიტიკური კომისიარი იყო. მან მოამზადა წითელ მეთაურთა პირველი თაობა.

ჭიქია პეტროგრადში სწავლის დროს, 1913 წელს შედის რსდმ(ზ) რიგებში და იმთავითვე მტკიცედ და გადაჭრით დგება ლენინელთა პოზიციებზე.

ცარიზმის დამხობის შემდეგ ვ. ჭიქია ენერგიულად იბრძვის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარებისათვის. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს წითელი არმიის წინაპრის — პეტროგრადის წითელი გვარდიის შექმნაში, მის შეიარაღებასა და სამართლო ვაწყარანაში. ვ. ჭიქიას დედაქალაქის რევოლუციურ მანებში დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა მოხვედლი. იგი აირჩიეს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დემუტატების საბჭოს წევრად. აქ დიდ მუშაობას ეწეოდა პროლეტარიატის სამხედრო ორგანიზაციის მოსაწყობად.

ამ პერიოდში ვ. ჭიქია გრძნობს, რომ პარტიულ მუშაობაში მას ღიად უშლის ხელს სპეციალური სამხედრო განათლების ექონლობა. ამიტომ იგი, ჯერ თვით ეუფლება სამხედრო საქმეს. ამ მიზნით ვ. ჭიქია შედის კონსტანტინეს სამხედრო-სამეთაურო სასწავლებელში. სადაც გულმოდგინედ ეუფლება სამხედრო საქმეს და, ამასთანავე, მსმენელთა შორის ეწეოდა ფართო რევოლუციურ პროპაგანდას. მან რევოლუციურ საქმიანობაში ჩააბა სამხედრო სასწავლებლის ექონლობით; დავით ქილარჯიშვილი, გიორგი ლახარაშვილი, დავით დგებუაძე და პეტრი სხვა რომლებმაც ოქტომბრის გადატრიალების დროს თვალსაჩინო როლი შესრულეს რევოლუციის გამარჯვებაში.

ვ. ჭიქია 1917 წ. ოქტომბერში ამთავრებს

წითელი არმიის სათავეებთან.

კონსტანტინეს საარტილერიო სასწავლებელს, მაგრამ ვერ ამართლებს დროებითი მთავრობის იმედებს, მტკიცედ და გაბედულად ილაშქრებს სასწავლებლის კონტრრევოლუციური ოფიცერთა წინააღმდეგ.

3. ჭიჭია წითელგვარდიელი რაზმით აქტიურ მონაწილეობასღებულობს პეტროგრადის 1917 წ. 24 ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებაში, ხელმძღვანელობს კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებს. ოქტომბრის რევოლუციის ქარიშხალში 3. ჭიჭია დაიყენა ახალშობილი სოციალისტური სახელმწიფოს დაყვის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან პოსტზე.

1918 წ. 8 აპრილს იგი ინიშნება პეტროგრადის საოლქო სამხედრო სასწავლებლის კომისარად. ეს იყო ყოფილი კონსტანტინეს სამხედრო-საარტილერიო სასწავლებელი, სადაც თვითონ სწავლავდა. საბჭოთა მთავრობამ სასწავლებლის უფროსად დატოვა ყოფილი უფროსი — მეფის გენერალი ბეტრიკინი, როგორც სამხედრო სპეციალისტი. ეს ფაქტი კიდევ უფრო აათქვეფდა 3. ჭიჭიას პასუხისმგებლობას პარტიის წინაშე. 3. ჭიჭიას კარგად ესმოდა ძველი სამხედრო სპეციალისტების გამოყენების ლენინური პოლიტიკის სიძთული. ამიტომ იგი მთელი რევოლუციური ენთუზიზმით ჰკიდებს ხელს ახალგაზრდა საბჭოთა არმიისათვის სამხედრო ცოდნით შეიარაღებულ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებულ კადრების მომზადების უაღრესად პასუხისმგებელ საქმეს. მის უშუალო მონაწილეობით პეტროგრადში, ვასილის ტენძელბის რაიონში იქმნება წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო კურსები. წითელი მეთაურთა უაღრესად ერთი საათიც არ შეეძლო არსებობა სამშლიონიდან მუშურ-გლეხურ არმიის, რომელიც 1918 წლის გაზაფხულიდან იქმნებოდა 3. ო. ლენინის მითითებით.

3. ჭიჭიას ინერგიული მუშაობის შედეგად 1918 წ. შემოდგომაზე, როცა საბჭოთა რესპუბლიკა უკვე მტრის ალყაში იყო მოქცეული, და წითელი არმიის ნაწილებს უსწრაფესად შექმნას, მეთაურთა შემადგენლობით მის უზრუნველყოფას რევოლუციონართვის სპიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, გამოშვებულ იქნა პირველი 400 კურსდამთავრებული — საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წითელი მეთაურები.

თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა პარტია წითელი არმიის მეთაურთა მომზადების საქმეს, ჩანს 3. ო. ლენინის დებეზიდან, რომელიც მან 1918 წ. 18 სექტემბერს გაუგზავნა პეტროგრადის საოლქო კომისარს ვლადიმერ ჭიჭიას ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით დეპუტატი ნათქვამია: „მივესალმებო 400 ამხანაგ მუშას, რომლებმაც დღეს დამთავრეს წითელი

არმიის მეთაურთა შემადგენლობის კურსები და რომლებიც შედიან წითელი არმიის რეზერვში როგორც ხელმძღვანელები. რუსეთის რევოლუციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ენერგიით შეუდგებიან მუშები სახელმწიფოს მართვის და ეპოქტალის უღრეს დამხობისათვის მეომარ მშრომელთა და ექსპლუატირებულთა არმიის სარდლობას, ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ ოთხასის მავალითს მიზნადეს კიდევ ათასობით და ათათასობით მუშა, ხოლო ასეთი ადმინისტრატორებითა და მეთაურებით კომუნისტის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება“.

3. ო. ლენინის დებეზიდან აღაფრთოვანა და კიდევ უფრო შეუბოვარი გახდა 3. ჭიჭია მინდობილი საქმის სისახლოდ შესრულებისათვის ბრძოლაში 3. ჭიჭია, პეტროგრადის პარტიული და სამხედრო ხელმძღვანელობის მხარდაჭერითა და დახმარებით, აჭარბებს, ქალაქისათვის სამოქალაქო ომის უაღრესად კრიტიკულ მომენტში, ვაატაროს საყოველთაო სამხედრო სწავლება. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა პეტროგრადის დაყვის საქმეში. 1919 წ. გაზაფხულზე, როცა პეტროგრადს ოდენინის ურდოები შემოეჭრებინ გაზს, პეტროგრადის საბჭომ გამოაცხადა მობოლიზაცია ყველა მუშისა, რომელთაც საყოველთაო სამხედრო სწავლება გაიარეს. სამხედრო ცოდნას დაუფლებული მუშები ლომებივით იბრძოდნენ. ამ დროსვე აწინაურებენ 3. ჭიჭიას სამხედრო სასწავლებლების მთავარი სამმართველოს პეტროგრადის განყოფილების უფროსად.

პეტროგრადის შორეულ მისადგომებზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები იმართება. ფრონტის განსაცუელში ზავარდნილი უბნების დასახმარებლად იქმნება მშველი რაზმი. 3. ჭიჭია მეთაურებით ინიშნება ამ რაზმის კომისარად და 1919 წ. 28 აპრილიდან 1919 წ. 15 მაისამდე იმყოფება ფრონტის იაბურგის (კინგისები) ვეროვის და სიზრანის უბნებზე. 3. ჭიჭია იარაღით წინ მიედგოდა ჭარისკაცებს ბრძოლებში და თავისი გმირობითა და თავგანწირული შეუდრეკელობით აღაფრთოვანებდა მათ. 3. ჭიჭია შესანიშნავი სპორტსმენი და ფიზიკურადაც ნაწრთობი მათაური იყო. ეს მას დიდად უწყობდა ხელს შრომასა და ბრძოლაში. ამ მხრივ სინტერესთა ერთი ეპიზოდი, რომელიც 3. ჭიჭიას ფრონტზე შეემთხვა.

ერთდღე ფრონტის იაბურგის უბანზე კურსანტთა რაზმს, რომელსაც ბრძოლაში წინ 3. ჭიჭია მიუძღოდა, საკმაოდ დიდი რაზმი შემოეყარა. მისმა მეთაურმა, რომელიც ანარქისტულად იყო განწყობილი, ჭიჭიას წინადადება მისცა — დამნებდით, შეტაკება და სახსლის ღეროთიქმის გარღვევა იყო. ჭიჭიამ იპოვა გამოსავალი: მოდი, ერთმანეთს დაევიდოეთ და ვინც

მოერევა, რაზმიც მას დაეხმოს. ამხანაჟი ანარქისტს მოეწონა ე. წიქიას წინადადება. იგი ახსოვდებოდა დაწინაურებული იყო, რომ თეთონ გამარჯვებულა, ამიტომ წინადადება სიხარულით მიიღო და სთხოვა ჭიქიას გაეცნო რაზმისათვის მისა წინადადება და რაზმსაც უსიტყვოდ შეესრულებინა დადებული პარტია. ჭიქიამ თავის მხრივ ანარქისტს და მის რაზმს სიტყვა ჩამოართვა. ორივე რაზმის მებრძოლები სულგანებულ ელოდნენ თუ რით დაშთავრდებოდა ეს ამბავი. ამ წამოიწია ამხანაჟი ე. წ. ჭიქიასავე, კილიბანო დახლოვებული ქართველი ევაკაცი განზე გაუხტა მოწინააღმდეგეს. ანარქისტმა ხელები პერში გასაქაფა. ამით ისარგებლა ჭიქიამ, ელვისებური ნატომით ეცა ანარქისტს და წამოიღო კისრულით და მეთაური მიწაზე გაიშლარათა. ანარქისტის წამოღობამს შეეცადა, მაგრამ ამჟღად, ჭიქიამ უსისხლოდ შემოიერთა რაზმი და ბრძოლაში წაიყვანა. ე. წ. ჭიქიას ფიზიკური წრთობა და მოქნილობა სანიშნურო იყო წითელი მეთაურებისათვის და ისინიც გულწრფელად ცდილობდნენ ყოფილიყვნენ ისეთი, როგორც მათი საყვარელი მეთაური იყო.

ე. წიქიას ექრსანტების რაზმი, რომელიც მოქმედებდა VII არმიის 46-ე და 48-ე პოლკებთან ერთად, მოულოდნელად შეეგზა მტერს დიდი და პატარა ლუკის ახლას — იაბურჯის წარდილოებით. თეთრგვარდილებმა ვერ გაძლეს დარტყმას და გაიქცნენ მდინარე ლუკის გადაღმა ექრსანტებზე დაედევნენ მტერს და მწორ დარტყმები აეკმეს. ექრსანტების ფრონტზე, ბრძოლაში გაყვანას პარტია მიმართავდა როგორც უქიდურეს ღონისძიებას. როგორც კი ოდნავ გაეშორებებოდა ფრონტზე მდგომარეობა, ექრსანტებს ტოვებდნენ საწვავლებელ სწავლის გასაგრძელებლად. ამ ერთი დღე-მეტე: 1919 წ. 19 ივნისს, როცა პეტროგრადის ფრონტზე მდგომარეობა უკეთესი გახდა, ი. ბ. სტალინმა გაუქმა არმიის სარდალის განკარგულება ექრსანტების ფრონტზე გაყვანის შესახებ, დეპუტატი იგი წერდა: „ღლივიზის მეთაურს სხოლოდუნის: არმიის სარდალის ბრძანება ექრსანტების გაყვანის შესახებ, ჩემს მიერ გაუქმებულია... ვახოვთ სასწრაფოდ გადასცეთ ასლ ექრსანტთა კომისარს ჭიქიას. რეპუბლიკის თავდაცვის საბჭოს სახელით — სტალინი“.

საბრძოლო ოპერაციების წარმატებით ჩატარების შემდეგ, როცა მტრის ქარზე უკუდგებულ იქნა ქალაქის მისაღდგომებიდან, ე. წიქიანიწინა პეტროგრადის სამხედრო სასწავლებლების საოლქო სამმართველოს კომისარად. ამ თანამდებობაზე იგი კიდევ უფრო აქტიურებს და აქტიურებს წითელი მეთაურების მომზადების საქმეს.

1919 წლის ივლისში ფრონტის იაბურჯის უბანზე საფრონტო ვითარებაში ჩამოვლია პეტროგრადის სამხედრო სასწავლებლები საოლქო კომისარო, პეტროგრადის სამხედრო ოლქის სამხედრო კომისარო და ოლქის სარდალის მოვალეობის შემსრულებელი ე. წ. ჭიქია. მან ატესტატები დაურთვა ახალ წითელ მეთაურებს და მიმართა სიტყვით: „საბჭოთა ხელისუფლებასა ქერ კიდევ არასოდეს არ უწამრებოდა ასეთ ვაგრებობაში წითელი მეთაურების გამოშვება. წითელი დედაქალაქის მოედანზე, ამხანაგი მუშებისა და გლეხების მხიარული შეგახილებით როდი სწამრებებს ახლა ეს ცერემონია. თქვენ მხოლოდ მამივე ქვეშეხების გამყარებული მუხილი გესმით. აქედან ჩამდინებო ნაბიჯე წყანან ჩვენი დაჭრილები. დაძაბულ სიამარ ვითარებაში ვეიხლება ზეიმი... ყოველი მხრიდან შემოგვესივრე მტრები... მაგრამ გასოვდეთ, ამხანაგებო, რომ, რაც მერტა მტერი, მით უფრო გრანდიოზულია თქვენი ვირობა, მით უფრო განაცვიფრებელია მთელი პოლიტარული სამყაროსათვის თქვენი შეუდრეკელია, ისტორიაში თქვენი უბაღლო ვირობა და ვაგუტობა“.

ე. წიქიას სიტყვისა და რამდენიმე ექრსანტის გამოსვლის შემდეგ ორკესტრი ინტერნაციონალის ასრულებს... წითელი მეთაურები პარტიის ემბეზიან მტერთან სამკედრო-სასიციცლო ბრძოლაში.

პარტიული საქმიანობის პარალელურად ჭიქია დიდ მუშაობას აწევა წითელი არმიის სამხედრო მეცნიერების შესწავლა-განვითარების საქმეში, მეთაურთა პოლიტიკური და თეორიული ღონის ამამდებლად.

1919 წელს ე. წიქიამ დააარსა და 1922 წ. აპრილამდე რედატორობდა ეტრნალ „ქრსანი კომანდირს“. ეტრნალის ფერკლებზე ე. წიქიამ გამოაქვეყნა მრავალი სტატია და წერილი, სადაც იგი უფროდ ეწეოდა მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერებისა და წითელი მეთაურების მომზადებაში მიღწეული პრაქტიკული გამოცდილების პრობლემებს.

1921 წლის მარტი კონტრრევოლუციურმა ძალებმა გამოიყენეს სამხედრო კომუნისმის პოლიტიკით გამოწვეული უკმაყოფილება მშრომელი მასებისა და ამბოხება მოწვევს კრონშტადტში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. საერთაშორისო რეაქცია დიდ იმედებს ამყარებდა ამ ამბოხებაზე. ე. წიქია ბირველ რიგებში იყო იმათ შორის, ვინც პოლიტარული რკინის ხელით ჩააქრო ანტისაბჭოთა ამბოხება. ე. წიქიამ ექრსანტთა რაზმით იერშით აიღო უქიდურესი სიმაგრე, რომელიც სებათ შორის, ყინულით იყო გარშემორტყმული. ექრსანტების იერშით აღების ოპერაციის გეგმა პირადად ე. წიქიამ შეიმუშავა და სარდალობის

1 კრებული — „დოკუმენტი ო გეროინესკი ობორონე პეტროგრადი ე 1919 გოდუ“, გვ. 75.

1 ეტრნ.—„ქრსანი კომანდირი“, 36 3, გვ. 14.

თანხმობის შემდეგ ბრწყინვალედაც განახორციელა.

1921 წლის მარტში, ამბოხების ჩაჭრობის შემდეგ, ვ. ი. ლენინმა ბრძოლების მონაწილეთა ერთ ჯგუფთან სურათი გადაიღო. ამ სურათზე ვლადიმერ ჯიქია ღვსა ლენინის უკან, კ. ე. ვოროშილოვის გვერდით.

ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და თავდადებისათვის ვ. ჯიქია დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით. მან მრავალი საბჭოლო იარაღი, ნივთი და საბატო სიგელები მიიღო ჯილდოდ სამოქალაქო ომის ფრონტებზე წარმატებით ჩატარებულ ბრძოლებისათვის. მგერამ უვლახე მთავარი ჯილდო მიიღო ვლადიმერ ჯიქიასათვის იყო პეტროგრაფელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა, რომელიც მან დაიმსახურა თავისი შეთმული ვეჟაკობითა და ხალხისადმი უანგარო სამსახურით. 1922 წ., როცა ვ. ჯიქია საქართველოს სამხედრო და საზღვაო სპეცების სახალხო კომისარად დაინიშნა, იგი პეტროგრაფიდან გამოემგზავრა. მთელმა პეტროგრაფმა გამოაცილა მთა საყვარელი ქართველი გმირი. ექვანდამა „ქრანსი კომანდირა“ დაიქცა და ქრონიკა ჯიქიას საქართველოში გამოგზავრების შესახებ და ამით თანაგრძნობ შემოეწინა ერთ-ერთი ამბულეცებელი ვაცილები, რომელიც ლენინის ქალაქს თავისი საყვარელი გმირისათვის მოუწვია. იმ რას ვკითხულობთ ამ ქრონიკაში:

„ქრონიკა ან. ჯიქიას გამგზავრება“. ხუთმუხათს 20 აპრილს (1922 წ.) სამხედრო სკოლების პეტროგრაფის სამმართველო, ადგილობრივი მუშაკები და პეტროგრაფის ექრების ყველა სერჯანტი აცილებდნენ თავის ყოფილ უფროსს — ელ. გ. ჯიქიას, მის შიდადილს ან. პ. პ. ისაკოვს და სამხედრო ექრების სხვა მუშაკებს, რომლებიც მიემგზავრებნენ საქართველოში. ვაცილებმა განსაკუთრებულად საზემო იყო.

სანამ მატარებელი გვიდოდა, იარაღის ყველა სახეობის ექრსანტები ჩამწყობდნენ. თანხის ნახევარზე სადგურზე მოვიდნენ პეტროგრაფის სამხედრო სასწავლებლების უფროსი — ან. ნ. ექსინი, მისი მოადგილე ან. ვუსაკოვსკი, სხვა ამხანაგები და მათი ვაჟონის მხალთხლად გაიხსნა გამოსათხოვარი მიტინგი.

ბევრ სიტყვაში, რომლებიც წარმოათქვეს პეტროგრაფის სამხედრო სასწავლებლების ვაშლიელმა მუშაკებმა, აღინიშნებოდა დიდი მუშაობა, რომელიც ჩატარეს ან. ჯიქიმ და მისმა უხალკებმა თანამებრძოლებმა, რომლებიც ახლა რევოლუციის მოწოდებთანავე საბჭოთა საქართველოში მიემგზავრებნენ.

პეტროგრაფის სამხედრო სასწავლებლების პოლიტგანყოფილების უფროსმა ან. ბელაიკინმა თავის სიტყვაში შეაქმა ერთობლივად შესრულებული სამუშაო და მკუთითა იმ განსაკუთრებულ როლზე, რომელიც ამ საქმეში

ან. ჯიქიამ ითამაშა. პეტროგრაფის პირველი ქვეითი ჯარის სკოლის უფროსმა ან. ჯიქიამ ხანსკომ წაიკითხა მისი მუშა პეტროგრაფის ყველა სამხედრო სასწავლებლის სახელით.

სამასხრო სიტყვაში ან. ჯიქიამ მაღალმა გადაუხადა სამხედრო სასწავლებლების ექრსანტებსა და მუშაკებს და გამოთქვა იმედი, რომ პეტროგრაფის ექრსანტები ყოველთვის იქნებიან რუსეთისა და მთელი ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის აფანჯარები.

დაბოლოს ან. ჯიქიმ ექრსანტებს სთხოვი, სკოლების დამთავრების შემდეგ სწევოდნენ მის საქართველოში.

„ვაშს“ ხამაღალი შეძახილებისა და ორკესტრის გრაილში მატარებელი სადგურიდან გადის.

პეტროგრაფის ექრსანტები ასე გამოეთხოვნენ თავის საყვარელ უფროსს, ორგანიზატორს „პეშმირიტად დიდი ძალა ხალხის სიყვარული და ნამდვილად უსახლერო თავგანწირვა საქართველოს დამსახურებისათვის.

ვლადიმერ ჯიქიმ, როგორც საქართველოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარმა, დიდი როლი შეასრულა საქართველოს ეროვნული წითელი არმიის შექმნისა და გაქრფორნის საქმეში. მან, როგორც ამიერკავკასიის სამხედრო სასწავლებლების უფროსმა, ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეროვნული არმიებისათვის მეთაურთა კადრების მომზადებაში.

1928 წელს, წითელი არმიის ათი წლისთავზე ვლადიმერ ჯიქია, საბატო სიგელით იქნა დაჯილდოებული. „ვლადიმერ გაბრიელის ძე ჯიქიას — ვკითხულობთ საბატო სიგელში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ვაშის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ლენინგრადის სამხედრო ოლქში 1918 წელს საარტილერია ნაწილების ფორმირებისა და 1918 წლიდან 1922 წლამდე სამხედრო სასწავლებლების ორგანიზაციის საქმეში გამოჩენილი ენერჯიისა და თაოსნობისათვის, ვაქილდობით თქვენ მ/გ წითელი არმიის ათი წლისთავზე საბატო სიგელით“.

წითელი არმიის მშენებლობისა და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის საქმეში თვალახინი წელოლი შეიტანა შალვა ზურაბიძის ძე ელიკიამ.

პროფესიონალი რევოლუციონერის რთული, გელიანი ვაშ ვანგლო შალვა ელიკამ, ვიდრე წითელი არმიის ერთ-ერთი აქტიური მშენებელი და ხელმძღვანელი გახდებოდა.

რევოლუციური მოძრაობაში იგი საქართველოში ჩაება მგერამ მალე მის გულს პეტროგრაფი იტაცებს. აქ იგი ჩაება სტუდენტთა რევოლუციური მუშაობაში. აქვე შეხვდა პირველად რევოლუციის დიდ ბელადს — ვლადიმერ ლენინს,

რომელიც მასზე წარმოდგენილ შთაბეჭდილება მოახდინა.

შალვა ელიავე სამხედრო და, საერთოდ, ომის საკითხებში პირველად თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის მარტში დანიტრეტისა, როცა მას, როგორც ფოლოგდის მუშათა, გლეხთა და ჭარბსაყვანთა საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭომ დაავალა გამოსულიყო მოხსენებით თემაზე: „ომისადმი დამოკიდებულების შესახებ“. შემდეგ იგი კიდევ უფრო ახლო მივიდა ამ საკითხთან, რადგან ცოტა ხნის შემდეგ მონაწილეობდა პეტროგრადს გამართულ პარტიულ თათბარში, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, ომისადმი დამოკიდებულებისა და რევოლუციურ ძალთა ორგანიზაციის საკითხები იდგა. 1917 წლის ოქტომბრის დღეებში იგი, როგორც საბჭოების მე-5 ყრილობის დელეგატი, პეტროგრადში და თვით ლებულის ბრძოლებში მონაწილეობას. აქ მან უკვე მეორედ ნახა ლენინი ყრილობიდან დაბრუნებულმა ელიაევმ, 1918 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე აქტიური მონაწილეობა მიიღო ვოლოგდის გუბერნიის თორთვერდიული ბანდების განადგურებაში. იმავე წლის ივლისში ელიავე შეიყვანეს საგანგებო რევოლუციური შტაბის შემადგენლობაში, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა ვოლოგდის ანტი-საბჭოური ამბოხების ლევიდაციის საქმისათვის.

1919 წლის თებერვალში შალვა ელიავე, როგორც სრულიად რუსეთის ცაყის წევრი (აიჩნია საბჭოების მე-6 ყრილობამ) და სამხედრო საქმის კარგი მცოდნე, ლენინის წინადადებით დაინიშნა სრულიად რუსეთის ცაყის, რსფსრ სახკომსაბჭოსა და რკმ (კენტრალური კომიტეტის) სპეციალური ორგანოს — თურქესტანის საქმეთა განსაკუთრებული (დროებითი) კომისიის თავმჯდომარედ. კომისიის წინაშე იდგა უღირსად რთული საკითხები, დაკავშირებული იმასთან, რომ 1918 წლის ზაფხულში თურქესტანი სამოქალაქო ომის ოთხი ფრონტის მოქმედების ახედ იქცა.

კომისიამ ერთხანს თურქესტანში ვერ შეიღწია (გზები კოლჩაკის ბანდებს ჰქონდათ დაკავებული) და მუშაობა ქ. ორენბურგში დაიწყო აქ შალვა ელიავე პარტიამ დროებით წითელი არმიის მშენებლობაში ჩააბო. იგი დაინიშნა პირველი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად. სამხედრო საქმის კარგმა ცოდნამ, დაუღალავმა ენერჯიამ და რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთფულბამ შესაძლებლობა მისცა შალვა ელიავეს მტკიცედ აემაღლებინა პირველი არმიის ბრძოლისუნარიანობა, ვანმეტყვიებინა მებრძოლთა და მეთაურთა სამხედრო ღისციბლიანი. იგი წარმატებით ამართლებს ლენინის დიდ ნდობას. ახლა ერთობ აწინაურებენ ელიავეს. მას ნიშნავენ აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთის გვუდის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად.

ამ პერიოდში იგი სამსახურებრივ საკითხებზე ცხოველ მიმოწერას აწარმოებს ლენინთან.

წითელი არმიის მშენებლობის თქმულსაზრისით საინტერესოა შალვა ელიავეს ანგეჟდრმარტებში თურქესტანის კომისიის მიერ თურქესტანის საექსპედიციო არმიის საკითხის განხილვა. ელიავეს მოთხოვნით კომისიამ გადაწყვიტა საექსპედიციო არმიის ჩაერთობა უბრატესად მუშათა პოლკები და ყირაზუნთა საჯარო ნაწილები. კომისიამ ამასთან საჭიროდ ცნო ბაჭირული ნაწილების გამოყენება მხარვედითა და ღებურტირითა იმ ბანდების წინააღმდეგ, რომლებიც ფერგანის რაიონში მოქმედებდნენ.

1919 წლის აგვისტოში აღმოსავლეთის ფრონტს გამოეყო თურქესტანის ფრონტი, რომლის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად შალვა ელიავე დაინიშნა, ფრონტის სარდალ კი მიხეილ ფრუნზე. ფრუნზე, ელიავესა და ფრონტის სხვა ხელმძღვანელების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა დიდად აამაღლა ბრძოლისუნარიანობა, განამტკიცა სამხედრო ღისციბლიანი. ამან კი დააქარა ატამან დუტოვისა და ბელოვის ბანდების განადგურება. 1919 წლის ნოემბერში, კოლჩაკის ჯარების განადგურების შემდეგ, თურქესტანის კომისია (წევრები: ფრუნზე, კუბინშვილი და რუბინაქი) შალვა ელიავეს მეთაურობით თურქესტანს გაემგზავრა.

აღმოსავლეთისა და თურქესტანის ფრონტებზე შალვა ელიავემ თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა სამხედრო მოღვაწემ, წითელი არმიის გამოცდილი მშენებელმა, მტკიცე ორგანიზატორმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ.

1919 წლის სექტემბერში ლენინმა კრემლში მიიღო ელიავე და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან თურქესტანის კომისიის მუშაობის საკითხებზე. უკან დაბრუნებისას ელიავემ თან წაიღო ილიჩის წერილი. „ამხანაგ თურქესტანელ კომუნისტებს“.

1919 წლის 22 ნოემბერს თურქესტანის ფრონტის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ შალვა ელიავესა და ვალერიან კუბინშვილს ზელმოწერით გამოსცა ბრძანება, რომლის შესაბამისად ჩატარდა თურქესტანის ტერიტორიაზე მოქმედი საბჭოთა ჯარების რეორგანიზაცია. ამან დიდად შეუწყო ხელი ბასმიჩების საბოლოო განადგურებას.

1920 წლის ბოლოს შალვა ელიავე მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად დაინიშნა. იგი ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი იყო წითელი არმიის იმ ნაწილებში, რომლებიც დაეხმარნენ საქართველოს მშრომელებს მენშევიტური რეჟიმის დაშობაში. 1921 წლის თებერვალში ელიავე საქართველოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარად დაინიშნა. ამ პოსტზე მან დიდი მუშაობა ჩატარა წითელი არმიის ქართული ერთეული ნაწილების შესაქმნელად.

კონსპირაციული მუშაობისა და ბრძოლის მიმე კვლიანი გზა ვანელი პროფესიონალებმა რევოლუციონერმა, ლენინური გეარდიის ერთ-ერთმა ბრწყინვალე წარმომადგენელმა პეტრე ნიშნაძის-მე აღნიშნულმა, ვინემ წითელი არმიის მშენებლობაში უშუალო მონაწილეობას მიიღებდა.

წითელი არმიის წინაპრის — წითელგვარდიელი ნაწილების შექმნით დაიწყო პეტრე აღნიშნულიმა რევოლუციური არმიის შექმნისათვის ბრძოლა. 1917 წლის თებერვლის დღეებში იგი წითელგვარდიულ ნაწილებთან ერთად იბრძვის მეფის ტახტის დანაშობად, რომელთა შექმნისათვის მას ცოტა ოდელი რადი დაუღვრია, მრავალი უბოლო ღამე გაუთენებია. აღნიშნულს არც ამ რევოლუციური გამარჯვების შემდეგ ჰქონდა მისვენება. იგი ისევე ოდელში იწურება, ისევე ახალი რევოლუციისათვის რისხმავს ძალებს, იბრძვის მისი პოლიტიკური თუ სამხედრო არმიის შექმნისათვის. და აი, დაიჭრა „ავრორამ“. ეს დღე სიხარული იყო. ნამდვილი ბრძოლა არმიისა შემდეგ დაიწყო. შიშ უმეტეს, საქართველო და თითქმის მთელი კავკასია ისევ ბნელეთის ძალებს დარჩათ.

ზუსტად რევოლუციის მეორე დღეს აღნიშნული კავკასიაში სამხედრო სამსახურში გამოეზარენ. იგი დანიშნა თურქეთის ფრონტზე ქ. ტრაპიზონში კავკასიის მარჯვენა ფლანგის სახალხო კომისარათა საბჭოს რევოლუციური სამხედრო კომიტეტის წევრად. აქ იგი მუშაობდა ვერ რევოლუციური სამხედრო შტაბის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ ტრაპიზონის მთელი გამაგრებული რაიონის უფროსად. აღნიშნული დიდ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა ქარისკაცთა შორის, რასმავდა მათ ოქტომბრის მონაწილეთა დასაცავად, კავკასიაში რევოლუციის შრის ამოსაბრწყინებლად.

სამოქალაქო ომის დაწყებისას აღნიშნული დაველა თურქეთის ფრონტიდან რევოლუციური ქარის ნაწილების მოხსნა და მათი გადასროლა თურქგვარდიული ბანდების წინააღმდეგ, მან ეს დაეალება პირინთად შესაძრულა. აღნიშნულმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მენშევიკური რევოლუციის წინააღმდეგ აფხაზი ხალხის ბრძოლაში 1918 წლის გაზაფხულზე. აღნიშნული აქსოხუნის ოდეს რევოლუციური სამხედრო კომიტეტის წევრი და აქანებულთა ფრონტის სარდალი იყო და არა მარტო საომარ ოპერაციებს ხელმძღვანელობდა არამედ დიდ მუშაობას ატარებდა რევოლუციური ქარების გასაძლიერებლად, მათ შესაიარაღებლად და სამხედრო დისციპლინის გასამტკიცებლად.

1919 წლის ავგისტოში პეტრე აღნიშნული ვლადიკავკაის პირველი ქვეითი პოლკის მეთაურად ინიშნება. პოლკმა მძიმე დარტყმები მიიყენა თურქგვარდიულ კონტრრევოლუციურ ბანდებს ალაგირის, არხონისა და არღონის რაი-

ონებში. პოლკმა აღნიშნულის სარდლობით ასევე ისახელა თავი ყაბარდოს კონტრრევოლუციონერთა მეთაურის პოლკატემა სერგეი აკოვ-დუდკოვისა და სენეელ კანაკოვიცერთა შეიარაღებული ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბრძოლებში მოპოვებულმა წარმატებებმა შესაძლებლობა მისცა პარტიის სამხარეო კომიტეტს და ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობას უფრო ფართო სარბელი მეთეო აღნიშნულის სამხედრო ნიჭისა და რევოლუციური ენთუზიაზმისათვის. და აი, 1918 წლის 8 ოქტომბრის იგი ინიშნება თერგის რესპუბლიკის დეიზიის პოლიტგანყოფილება უფროსად და ვლადიკავკაის სამხედრო ოლქის სამხედრო კომისარად, ხოლო წლის ბოლოს — თერგის რესპუბლიკის ქარების ცენტრალური ჯგუფის სარდალად. აღნიშნული ამავე დროს პირადად სარდლობდა ვლადიკავკაის დამცველთა ქარებს.

1919 წლის იანვარში, შერასა და დეიზიის ბანდების მოსაგერებლად, ვლადიკავკაეში სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა სამი სამხედრო შენაერთი. ერთ-ერთი მათგანის სარდალად აღნიშნული დანიშნა. აღნიშნულის ჯგუფი, რომელიც ობი ქვეითი ათასეულისა, ცხენოსანთა ესკადრონისა, გროზნოს ლეგიონისა და ტყვიამფრქვევებითა და ზარბაზნებით გამაღურებული კომუნისტური რაზმისაგან შედგებოდა, მძიმე დარტყმებს აყენებდა შერას არხონისა და არღონის რაიონებში. 1919 წლის 2 თებერვალს, შერას ბანდების ვლადიკავკაეში შემოჭრის რეალურ საფრთხესთან დაკავშირებით, აღნიშნული დანიშნა ვლადიკავკაისა და მისი რაიონის დაცვის ქარების სარდალად. გახურებული ბრძოლების დროს აღნიშნული ცეცხლის ხაზის მოწინავე პოზიციებზე მიდიოდა, პირადად ესაუბრებოდა და ამხნევებდა წითელარმიელებს, გამარჯვების რწმუნის უნერგავდა მათ ვლადიკავკაის გვირგვინ დაცვის დღეებში აღნიშნული მოახერხა ქარებისათვის დამატებით მიეცა 12 ზარბაზანი, 4 ჯავშნიანი ავტომობილი და ერთი ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც, სარდლის უშუალო მონაწილეობით, ერთ დღე-ღამეში ააგეს ქალაქის რკინიგზის სახელოსნოების მეშვეობით. მაგრამ ერთობ მძიმე იყო მამინ ჩრდილო კავკასიაში საპოთა ქარების დამატებით მიეცა. „გროზნოელებმა, — ნათქვამი იყო აღნიშნულის მიერ სერგეი კოროვისაღმი გაგზავნილ დეპუტაში, — მარტვი ვანიცადეს და ჩვენთვის გოატისკენ დაიხიეს. დღეს თურქგვარდიელებმა დაიყავეს დოლაკოვი — ნანტივეო-ბაზორკინო-ნარზანი. გეკალო მტრის მიწოლის გამო სურბოთისკენ იხევეს და მშვედომ იხევეთოსა და ჩვენთვის გაზავაგვშინ ორჯონიკიძე გეკალოს ქარებთან იხევეთობდა. მიღებულია ყველა სპირთ ღონისძიება გეკალოსთან კავშირის აღსადგენად. წითელი

ლი სამხედრო ნაწილებს შექმნისათვის. კერძოდ ის დანტერესდა ჯავშნიანი მატარებლის შექმნით, რადგან მას სამოქალაქო ომის მინერალური ბაზალებში ერთობ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პერსპექტივა ჰქონდა.

ადგილობრივი რევოლუციონერებისა და კომუნისტების დახმარებით ლუკიანე თაბუკაშვილმა შესძლო ჯავშნიანი მატარებლის შექმნა. ამ მატარებელს „კოროსტენელი კომუნისტი“ დაერქვა. მის უფროსად და სამხედრო კომისარად ლუკიანე თაბუკაშვილი დანიშნეს.

„კოროსტენელმა კომუნისტმა“ პეტლიურელთა ჯარების წინააღმდეგ პირველსავე ბრძოლებში დაამტკიცა მისი პირადი შემადგენლობის დიდი ორგანიზებულობა, მაღალი რევოლუციური შემართება, მორალური სიმტკიცე და მზნეობა, სამშობლოსათვის, რევოლუციის საქმისათვის უსაზღვრო ერთობლება, მაღალი საბრძოლო ოსტატობა, ამიტომ იყო, რომ მალე მატარებლის პირად შემადგენლობას სარდლობამ მაღალი შეფასება მისცა და გადასცა ახალი, ტექნიკურად ბევრად უფრო სრულყოფილი და ბრძოლისუნარიანი ჯავშნიანი მატარებელი. ამან კიდევ უფრო აღაფრთოვანა „კოროსტენის კომუნისტის“ საბრძოლო გამწყობილება, დიდება და ავტორიტეტი მოუპოვა მის მეთაურს — ლუკიანე თაბუკაშვილს. სწორედ თაბუკაშვილის მხედრული ოსტატობისა და უსაზღვრო თავდადების გამო იყო, რომ იგი საბჭოთა ჯარების სარდლობამ 1919 წლის პირველ აპრილს ჯავშნიანი მატარებელთა კოლონის უფროსად დანიშნა. თაბუკაშვილის სარდლობას დაქვემდებარა უკრაინაში მოქმედი ყველა საბჭოთა ჯავშნიანი მატარებლის პირადი შემადგენლობა. ჯავშნიან მატარებელთა კოლონამ თაბუკაშვილის სარდლობით მრავალი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მტერს. კოლონა მოწინააღმდეგეს ყველგან შიშის ზარს სცემდა, იგი თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა წამლები რისხვას წარმოადგენდა. განსაკუთრებით ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლები გაიმართა პროსკოროვო—კოროსტენ—კიევის მიმართულებით. ამ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა და თავგანწირვისათვის მრავალი წითელანამიდილი და მეთაური იქნა დაჯილდოებული. მათ შორის წითელი დროშის ორდენით დააჩილოდეს ლუკიანე თაბუკაშვილი. რუსებზეტრის რევოლუციური სამხედრო საბჭოს 1919 წლის 25 სექტემბრის № 246 ბრძანებაში ამის თაობაზე ვკითხულობთ: „დაჯილდოებული არიან წითელი დროშის ორდენით: ... უკრაინის ყოფილი პირველი საბჭოთა არმიის ჯავშნიანთა კოლონის უფროსი ამხ. ლუკიანე შალანჩის ძე თაბუკაშვილი, ქვემოთ აღნიშნული დამსახურებისათვის: 1919 წლის 11 და 12 ივნისს პეტლიურელთა შეუპოვარი შემოტევის შედეგად

პროსკოროვოს უბანზე შეიქმნა ფრიალ შიშე მდგომარეობა. ჯარის ნაწილები უწყსრეოდ იხევდნენ უკან, ირგვლივ პანიკა სუფუფდნ. ჩვენნი ჯარის სულისკვეთების მსამართლებელ, გაიგზავნა ჯავშნიანი მატარებელი „კოროსტენელი კომუნისტი“. ამხ. თაბუკაშვილის სარდლობით, ხსენებულმა ამხანაგმა, უნდოდა რა მხოლოდ და მხოლოდ მას მიეპყრო მოწინააღმდეგის ყურადღება, გადაწყვიტა ჯავშნიანი მატარებელი 35—40 კილომეტრით წაეწია წინ ჩვენი ჯარის განლაგებიდან. თაბუკაშვილის ჯავშნიანის შესახებრად მოწინააღმდეგემ დასძრა სამი ჯავშნიანი მატარებელი, ვისი გასწვრივ კი მოქმედებდა 4 საველე ბატარია 6 ქვემეხის შემადგენლობით. ცხარე საარტყლერიო ბრძოლის დროს მოწინააღმდეგემ დადგინა მიტვინობრივი უპირატესობა გამოიყენა, ზურგიდან შემოუარა ჩვენს ჯავშნიან მატარებელს... ამყარა რკინიგზა და ზურგიდან ტყვიამტრქვევების ცეცხლი დაუშინა. მოწინააღმდეგის ერთი უძებარა მოხვდა უძებარებით საველე ვაგონს, რამდე გამოიწვია აფეთქება და დაიბანა ორთქლმავალი. შეიქმნა მძიმე მდგომარეობა. ჯავშნიანი მატარებელი ვარშემორტყმული იყო მოწინააღმდეგის ჯარში ძალუბით. უკან დახევის გზა კი მას მოჭრილი ჰქონდა. ზოგიერთ მიერყვე პარს სასოწარკვეთილება დაეუფლა ამხ. თაბუკაშვილმა მოაწყო სახელდახველი მიტინგი, სადაც აღფრთოვანებულმა შეზარბოლებმა გადაწყვიტეს: ცოცხლად არ დაინებზოდნენ მტერს. რაზმმა ახალი ენერჯით დაარტყა შეტევაზე ვადმოსულ მტრის რიგებს, მტრისა, რომელიც ცდილობდა ჯავშნიან მატარებელთა მიახლოვებას ფლანგიდან და ზურგიდან. ექვსათათანი შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მტერმა, რაიე დაინახა მისი მოქმედება ამიო იყო, ნელ—ნელა დაიწყო უკან დახევა. ამხ. თაბუკაშვილმა მაშინვე გასცა ვანჯარულება ვაეწმინდათ ვზა, რაც ენერჯიის განსაკუთრებული დაძაბვით იქნა შესრულებული. ჯავშნიანი მატარებელს კვლავ მიეცა შესაძლებლობა დაბრუნებულიყო სადგურ დერაინაში“.

1919 წლის ზაფხულში უკრაინის პირველი საბჭოთა არმიის ბაზაზე შეიქმნა მე-12 არმია. ლუკიანე თაბუკაშვილი თავისი ჯავშნიანი მატარებლის კოლონით ამ არმიაში ვადაეპანეს. ამ კიდევ უფრო მთელი სისხესით გამოავლნა ლუკიანე თაბუკაშვილმა თავისი სამხედრო ორგანიზატორული ნიჭი, რკინისებური დისციპლინა, სამართლიანობა და ვულს-სმიერება მებრძოლების მიმართ.

1919 წლის ავგუსტში ლუკიანე თაბუკაშვილი კიევის გამაგრებული რაიონის რკინიგზის კვანძის დამცველ საბჭოთა ჯარების უფროსად დანიშნეს. უკრაინის დედაქალაქისათვის ვაფთრებულ ბრძოლებში ახალი სარბიელი ჰყოვა

თაბუჯაშვილის სამხედრო ნიჭმა და ოსტატობამ. მას კვლავ აწინაურებენ. ახლა იგი მე-12 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს რწმუნებულად ინიშნება. აქ იგი ძლიერ დაიხმარეს და შეიყვარეს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოიხენილმა მოღვაწეებმა: დიმიტრი მანუილსკიმ და ნიკოლოზ პოდვოსკიმ. ეს უკანასკნელი მამინ რესპუბლიკის სამხედრო და სახლავო საქმეთა სახალხო კომისარს იყო. სწორედ მან უამბო ვლადიმერ ლენინს თაბუჯაშვილის ზღაბრული გმირობისა და მამაცობის შესახებ. ამ ამბებით დინტერესებულმა ბელადმა პირადად მოიხურვა მასთან საუბარი. ეს მოხდა 1919 წლის შემოდგომაზე, როცა თაბუჯაშვილი მოსკოვს ჩავიდა წითელი დროშის ორდენის მისაღებად. ლენინმა ლუკიანე იარაღსაბჭული მიიღო კრემლში (ეს უპრეცედენტო რამ იყო ამ დროისათვის). მის ადიუტანტ ნესტორ სიხარულიძესთან ერთად, და ზანგარძლივი, გულბილი საუბარი ჰქონდა მასთან. დიდმა ბელადმა, როგორც სიხარულიძე იგონებს, ერთგვარად კიდეც მოიზიდიდა. „ჩემდა სავალად, — უთქვამს ბელადს, — მე არ ვაპანიია თქვენი კახური ლენინო, რომ ვაგემასპინძლდეთ, მოგიხდებათ რუსული თეთრის ვასინჯა“.

ლუკიანე შემდეგაც რამდენჯერმე მიიღო ლენინმა და მას უბრალოდ „ლუკას“ უძახდა. წითელი არმიის რიგებში გამოჩენილი გმირობისა და ვაგეკუთრი ბრძოლებისათვის ლუკიანე თაბუჯაშვილი თითქმის ყველა საპატრიო ნიშნით იყო დაჯილდოვებული. ერთერთ ასეთ კილდოს — ოქროს სათის ეწერა: „მუშტერ-გლეხური არმიის პატიოსან მებრძოლს — ლუკიანე თაბუჯაშვილს რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან“.

წითელი არმიის ერთგული სამხედრო ფორმირების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო თენგიზ გიგოს ძე ელენტი. მან პროფესიონალ-რევოლუციონერის რთული და ეკლანი გზა ვაწელო. იმპერიალისტური ომის დროს შეიღის არმიამი გაწვეული თენგიზ ელენტი დიდ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ჯარისკაცებს შორის. იგი რაზმავდა და ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ამზადებდა რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებს. მესეს მთავრობის დამხობის შემდეგ ელენტი ჯარისკაცებმა ჯერ შერაფხანის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თავმჯდომარედ აირჩიეს, ხოლო შემდეგ, 1917 წლის დეკემბერში, იგი კავკასიის არმიის მეოთხე ყრბობაზე გაგზავნეს თბილისში შერაფხანის ვარნიზონის დელეგატად. ყრბობაზე თენგიზ ელენტი ენერგულად იბრძოდა ჯარის კონტრრევოლუციური ელემენტებისაგან გაწმენდისათვის. აქ იგი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად აირჩიეს.

1918 წლის შემოდგომაზე თენგიზ ელენტი უკრაინაშია, ელზავეტოვრადის (ახლა კიროვოვრადი) სამხედრო კომისარად, მან დიდი მუშაობა გააჩაღა წითელი არმიის ნაწილების ფორმირებისათვის. მაგრამ მალე იგი ოდესის სამხედრო-საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ გადაიყვანეს. ოდესაში თ. ელენტს რეკომის წევრად და ოპერატული შტაბის უფროსად ნიშნავენ. ოდესის ოლქში დენიკინელების შემოჭრის შემდეგ ფრონტზე მიდის და იბრძვის ინტრევენტისა და თეთრ-გვარდიელი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. 1919 წლის მარტში კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი დამფუძნებელი კონგრესის მუშაობაში ლებულოს მონაწილეობას. აქვე ეცნობა იგი ვლადიმერ ლენინს, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.

თენგიზ ელენტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ხელისუფლებისათვის ახერბაიჯანელი ხალხის ბრძოლაში. აქ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იგი საქართველოში ბრუნდება და ენერგულ მუშაობას აჩალებს მენშევიეკური მთავრობის რეკომის წინააღმდეგ. 1921 წლის მარტში ელენტი ისევ სამხედრო სამუშაოზეა. მას ნიშნავენ აჭარის რევკომის წევრად და ბათუმის ოლქის სამხედრო კომისარად. თენგიზ ელენტი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს ბათუმისა და ბათუმის ოლქიდან თურქი ოკუპანტების განდევნაში.

მალე იგი ჭარბული დივიზიის სამხედრო კომისარად ინიშნება და ენერგულად ჰკიდებს ხელს წითელი არმიის ქართული ეროვნული ნაწილების მშენებლობას.

მეფის სამხედრო სისწავლებელში მიღებული ცოდნა კარგად გამოიყენა წითელი არმიის ნაწილების მშენებლობისა და სარდლობისათვის პროფესიონალი რევოლუციონერმა ევსევი ევნატეს ძე ჩიქვანიძემ. ოქტომბრის შეარაღებულ აჯანყების მონაწილე ჩიქვანიძე წითელი არმიის შექმნის ლენინური დეკრეტის გამოკემის პირველსავე დღეებლიდან იწყებს ენერგულ მუშაობას რეგულარული სამხედრო ნაწილების ორგანიზაციისათვის. 1918 წლის ვაზფხელზე ვესევი ჩიქვანიძის, როგორც გამოცდილი, ნიჭიერი და დედამებულ კომუნისტს, ნიშნავენ ახლად შექმნილი განსაკუთრებული არმიის სარდლად. მალე იგი მე-3 არმიამი გადაიყვანეს. ჯერ არმიის შტაბის უფროსად, ხოლო შემდეგ თითო არმიის სარდლად. ამ პოსტზე ჩიქვანიძე დიდ მუშაობას ეწევა არმიის სამხედრო შერაფხანებისა და ნაწილების დასაკომპლექტებლად. წითელარმიელთა და მეათურთა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების

ასამალებლად. არმიამ შეგნებული, ბოლშევიკური რევოლუციური დისციპლინის დასაწესებად. ჩიქვანაია ენერგიულად, დედამღვიმეობის შედეგად მალე შესწრო არმიის ბრძოლისუნარიანობის შევითარი ამაღლება. ამან განაპირობა, ეს რომ მესამე არმია მძლავრ წინააღმდეგობას უწევდა უცხოელ სამხედრო ინტერვენტებს და შინაურ თეთრგვარადულ კონტრრევოლუციურ ბანდებს.

1918 წლის ზაფხულში სამხრეთის ფრონტზე, ცარიცინთან ვითარების მკვეთრად გაუარესებასთან დაკავშირებით, ვლადიმერ ლენინის წინადადებით იქმნება საჯოგოპოლოს ცარიცინის რაიონების კვანძის სამხედრო კომისიის პოსტი. ამ თანამდებობაზე ინიშნება ევსევი ჩიქვანაია. იგი 1918 წლის ივნისში ცარიცინში ჩანის, უკავშირდება ფრონტის სარდლობას, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, ხელმძღვანელების და მათთან ერთად რაზმებს ძალებს მტრის შემოტევის მოსაგერიებლად და გასანადგურებლად. 1919 წლის დსაწყისში, ოდესის ოლქში დენიკინის მომხრეების გამო და ქალაქის დაცვის გასაძლიერებლად, ევსევი ჩიქვანაია ოდესის დაცვის უფროსად დაინიშნა. იგი მრავალ ენერგიულ ღონისძიებას ატარებს ქალაქის თავდაცვის მოსაწყობად. ამაღლებს მის განკარგულებაში მყოფი წითელი არმიის ნაწილების ბრძოლისუნარიანობას, ნერვებს მტკიცე, მხედრულ დისციპლინას. მტრის ერთბაშად დასაძრავად გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში ჩიქვანაია პირადად ღებულობს მონაწილეობას. მისი პირადი მავალითი აფთრთვინებულა. წითელარმიელები და მეთაურები გამართულ წინააღმდეგობას უწევენ მტრის და ზოგიერთ უბანზე ამარცხებენ კიდევ მას. მაგრამ ძალების დიდმა სიჭარბემ და მძლავრმა შეიარაღებამ თავისი გაიტანა. ხანგრძლივი, შეუბოყარი ბრძოლების შემდეგ დენიკინელებმა ხელი იგდეს ქალაქი.

ჩიქვანაია არ გასულა ქალაქიდან. იგი, ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებთან ერთად, არილევალურ მდგომარეობაში გადავიდა და სათავეში ჩაუდგა გმირულ პარტიზანულ ბრძოლის მტრის ზურგში. ამ ბრძოლაში 1919 წლის შემოდგომაზე გმირულად დაღუბა კიდევ სრულად ახალგაზრდა, 26 წლის ასაკში.

წითელი არმიის მშენებლობის, მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა საბჭოთაქო ომის დევნიდაცულმა გმირმა, ყველასათვის ცნობილმა „ციმბირის პაპამ“ — ნესტორ ალექსანდრეს ძე კალანდარიშვილმა.

5. კალანდარიშვილმა თავისი სამხედრო ნიჭი პირველად გამოავლინა 1917 წელს ირკუტსკში იუნკრებთან ერთად მენშევიკებისა და ესერების მიერ მოწყობილი აჯანყების დროს.

დაციის დროს. ამ ამბოხების ჩასაქრობად კალანდარიშვილმა შეადგინა 1500 კაცისაგან შემდგარი რაზმი და ბრწყინვალე გამარჯვებასაც მიაღწია. შემდეგ „ციმბირის პაპამ“ შექმნა საკავალერიო დივიზიონი, რომელიც ირი ესკადრონისაგან შედგებოდა.

დივიზიონში შევიდნენ ტეხეინის ყოფილი რაზმელები, ირკუტსკის მუშები, რომელთაგან მნიშვნელოვან ნაწილს ჩერეშხოველი მუშახეტეები და რაიონების მუშები შეადგენდნენ. კალანდარიშვილის მახვილ თვალს ატე მუფის მთავრობის მიერ ციმბირში გადასახლებული რევოლუციონერები გამოარჩენია. ისინი ნესტორმა მათი სურვილისამებრ დივიზიონში ჩაიტყა. მალე და კატორღელებს მან სამხედრო ტანსაცმელი და თოვთიარული დეორეა. წითელი არმიის სხვა ნაწილების მსგავსად, ნესტორ კალანდარიშვილის მიერ შექმნილი დივიზიონიც თავისი შემადგენლობით მეტისმეტად ინტერნაციონალური იყო. აქერთმანეთის მხარდაშორ ბრძოლდნენ: რუსები, უკრაინელები, ბელარუსები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, თათრები, ყირგიზები, მონღოლები, კახაკები, ბურიატელები, ჩუვაშები, უნგრელები, ლიტველები და სხვა ხალხთა სახელოვანი შვილები.

დივიზიონმა პირველი საბრძოლო ნათლობა იმერბაიკალის ფრონტზე (ფრონტს სერგეი ლაზო სარდლობდა) მიიღო. აქ იგი კალანდარიშვილის სარდლობით გამანადგურებელ დარტყმას აუწევებს სემიონოვის ბანდებს მდინარე ონთან და სადგურებთან — ბურიატსკისა, მომოიტუსის და აგასთან. დივიზიონმა, შორეული აღმოსავლეთის პირველ სოციალისტურ რაზმთან ერთად, მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე, ცუხელის დაცვისათვის გამართულ ბრძოლებში. სისხლისმღვრელი შერყენების შემდეგ ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული სიმაგრე აღებულ იქნა. ამ ბრძოლებში ფრონტის სარდლები, ლევდარეული ლაზოს ყურადღება მიიპყრო კალანდარიშვილმა თავისი საოცრად გაბედული და ქვეყანი სამხედრო ოპერაციებით. ლაზომ კალანდარიშვილში იმთავითვე შენიშნა წითელი არმიის მეთაურისა და სარდლისათვის ერთობ ძვირფასი ნიშნები: სიმტკიცე და სიმამაცე, ბრძოლაში რაიონებური დისციპლინა, მებრძოლებისათვის თავგანწირვისა და უშიშრობის მავალითის ჩვენება: მტერზე გამაჩვენების ხელოვნების ღრმად ცოდნა, უსაზღვრო სიყვარული და თავდადება რევოლუციის საქმისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

1918 წლის მაისში ჩეხო-სლოვაკიის კორპუსის ამბოხებამ იფეთქა. ნესტორის რაზმი ახლა იქ გადაისროლეს. კალანდარიშვილის ავადღერისტებმა ახლა აქ გაითქვეს სახელი ჩეხო-სლოვაკიის ამბოხებელი კორპუსისა და

თუთრგვარდიელი ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში. პირველ ხანებში ამბოხებულმა კორპუსმა თუთრგვარდიელთა დახმარებით წარმატებას მიაღწია. საბჭოთა სარდლობამ ირეკტსკი დატოვა. ამბოხებულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით შეიქმნა ბაიკალისპირა ფრონტი. ფრონტის შტაბის შემადგენლობაში, როგორც გამოცდილი და ნიჭიერი სამხედრო მოღვაწე, სხვებთან ერთად ნესტორ კალანდარიშვილი შეიყვანეს. იგი ამავე დროს დანიშნეს იმ დივიზიის უფროსად, ირეკტსკიდან უკან რომ დახია (უკანდახეული საბჭოთა ჯარები იმ დივიზიად გავესეს). მალე კალანდარიშვილს ტროიკოსავსკის ფრონტის სარდლად ნიშნავენ. წითელი არმიის ისტორიაში უძრის ასოვნითაა ჩამოწერილი ნ. კალანდარიშვილის ცხენობანი პარტიზანული შენაერთების საგმირო საქმეები თუთრგვარდიელი ბანდებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში ბაიკალსა და ბურიატ-მონღოლეთში.

1919 წლის შემოდგომაზე ნ. კალანდარიშვილი ციმბირში ოლონკის, კარეგის, ზნამენსკისა და ვერხოლენსკის რაიონებში მოქმედი პარტიზანული რაზმების, გაერთიანებულ ძალებში შეიჭრა ირეკტსკში და შეუბოჯარ ბრძოლებში მტერი სასტიკად დაამარცხა. 1920 წლის 7 თებერვალს ადმირალი კოლჩაკი და მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე — პეპელიაევი დაზვარტლ იქნენ. 1920 წლის 23 თებერვალს კალანდარიშვილი ვერხოლენსკის ფრონტზე გაიგზავნა. აქ „ციმბირის პაპამ“ ბეერი ახალი ბრძოლა მოიგო. ვერხოლენსკის ფრონტის სარდლად ყოფნის დროს კალანდარიშვილთან ერთად იბრძოდნენ მიხეილ ასათიანი (კავკასიის კავალერიის პოლკის უფროსი), დავით თვალჭრელიძე (კალკე რაზმის უფროსი), იოსებ კილურაძე, ზაქარია ლომიძე, ნიკო ვაკაძე, მიხეილ წერეთელი და სხვები, რომელთაგან ბეერმა ვარკვეული წვაილი შეიტანა წითელი არმიის მშენებლობაში.

ნესტორ კალანდარიშვილის პარტიზანულმა შენაერთებმა დიდი როლი შეასრულეს კოლჩაკის წინააღმდეგ ბრძოლაშიც. ეს შენაერთები მოქმედებდნენ რა 1919 წლის ვახაფხულსა და ზაფხულში კოლჩაკის ზურგში, ქაქასავდენ მტრის ძალებს, ასუსტებდნენ მათ ბრძოლის უნარიანობას და ამით ხელს უწყობდნენ წითელი არმიის გადაწყვეტ შებრევებს აღმოსავლეთის ფრონტზე.

1919 წლის დეკემბერში პარტიის ირეკტსკის საგუბერნიო კომიტეტმა გააერთიანა ციმბირში ოლონკის, კარეგის, ზნამენსკისა და ვერხოლენსკის რაიონებში მოქმედი პარტიზანული რაზმები. პარტიის ირეკტსკის საგუბერნიო კომიტეტის გადაწყვეტილებით გაერთიანებული პარტიზანული რაზმების მთავარსარდლად ნესტორი ინიშნება. ამავდროულად კალანდარი-

შვილი ირეკტსკის ფრონტის სარდალიცაა. ირეკტსკისა და ვერხოლენსკის ფრონტებზე „ციმბირის პაპამ“ ბეერი დიდი დახმარება მოიგო. ამ ბრძოლებში მთელს სსსრ-ულთა გამოჩნდა კალანდარიშვილის, როგორც წითელი არმიისა და პარტიზანული შენაერთების ერთ-ერთი აქტიური მშენებლის გამოჩინა ვინება და ორგანიზატორული ნიჭი. მისი სამხედრო ტლანტი და კომუნისტური პარტიისადმი უსასვლერო ერთგულება, სწორედ აქ, ამ ბრძოლებში საბოლოოდ დამკვიდრა მან სახელი „ციმბირის პაპისა“, როგორც სიმბოლო ციმბირელი პარტიზანების წინამძღოლის სიბრძნისა, თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლისადმი პაპობის გაწვევისა. ხალხში კალანდარიშვილის სახელი პარტიზანული მოძრაობის სარდალიაგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახელია. ესაა ვერხოლენსკის, მანუჩრსკის და ტომალავსკის რეკომენდების საერთო დებემა, ვახაფხული აღმოსავლეთ ციმბირის საბჭოთა ჯარების სარდლობის სახელები: „სუკინელეზე (ერთ-ერთი ყველაზე მღიბრი თუთრგვარდიელი კონტრავოლუციური ბანდა იყო ციმბირში. ა. ი.) გამარჯვების და მათი სრული ლიკვიდაციის მომენტის დაწყება გამოწვეული იყო ვერხოლენსკის ფრონტზე მოქმედ ნაწილებში საბჭოთა ხელისუფლებისათვის დიდი ხნის მებრძოლის ადგილობრივ მოსახლეობასა და პარტიზანებში პოპულარული ნ. კალანდარიშვილია“ გამოჩენით; მან შესძლო, სუკინელეებთან გადაწყვეტ შებრევების მძიმე მომენტში, არა მარტო აემბლდენა ბრძოლებში მონაწილე ჯარების შემართება, არამედ, სამართს რეკვიზის წევრებმა ჩვენებით, იგი იბრძოდა რა უწყობლოდ ბიურულსკის მისადგომებზე, თავისი პირადი მაგალითითა და მტრის შემოტევით შემდრჯალი თანამებრძოლებს გამხმენებით შეისძლო შეჩერებინა უკვე დაწყებული უკან დახევა. რომელიც უთუოდ შევსლო გამოიწვევა ისეთივე სამწუხარო შედეგები, რაც ს. გარუზნოვსკისთან მოხდა. კალანდარიშვილმა შესძლო აემლდენა განწყობილება იმ ჯარებში, რომლებიც წარმატებაში დაიჭვდნენ, და გადაწყვეტი ბრძოლის წინ გააერთიანა ყველა — დაწყებული უბრალო რიგითიდან დივიზიის უფროსამდე“. ამ დოკუმენტს, როგორც იტყვიან, კომენტარი არ სჭირდება. ერთს კი მაინც ვიტყვი: ესაა ნესტორ კალანდარიშვილის დამსახურებათა სახალხო აღიარება. ზოლი ამაზე დიდი პატივი ძნელად წარმოსადგეწია.

1920 წლის მაისში კალანდარიშვილის მძლავრი პარტიზანული შენაერთები შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციური არმიის დასაბმარებლად იმიერბაიკალის ფრონტზე გაიგზავნა სემიონოველებისა

და მათ დასახმარებლად მოსული იაპონელი ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად. 1920 წლის მაისში გონგოტთან სამკედრო-სასიციო-ცხოლო ომი გაიმართა. მტერს უარყოფითი პაუზა მიეცა. ამიტომ წითელი მეგრძოლების გმირულ შემართებას გადაწყვეტი მიიღეს და დაიწყეს ბრძოლა. კალანდარიშვილიც სულერთთავად შემოიჭრა ჯარისკაცებს შორის ტრიალებდა. იგი პირადი მავალით აღაფრთოვანებდა მეგრძო-ლებს, თავგანწირვის ნიმუშსა და მავალით აძლევდა მათ.

გონგოტის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისათვის წითელი დროშის ორგანიზაციის დაჯილდოვდა 13 მეგრძოლი და მეთაური, მათ შორის მხიელი ასათიანი, რომელიც აქ კალანდარიშვილის დატერის გამო დროებით რაზმის სარდალად დანიშნა.

ელაღიშვილს ლენინის უკრძალვად მიიპყრო ნ. კალანდარიშვილის ლეგენდარული გმირობის ამბავმა. ბელაჯმა იგი 1920 წლის ოქტომბერში მიიღო კრებულში ზინეის სამხედრო მისიასთან ერთად. (1920 წლის აგვისტოში კალანდარიშვილი დანიშნეს შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის წარმომადგენლად ჩინეთის სამხედრო მისიასთან. მისიის მოსკოვში გამგზავრებასთან დაკავშირებით ნესტორი მის გამცემლად გააყოფა). ლენინს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან.

1921 წლის მაისში ნ. კალანდარიშვილი კომინტერნის აღმასკომში კორეის რევოლუციური რაზმების მთავარსარდალად დანიშნა. იმავე დროს იგი, როგორც საყოველთაოდ სახელმთხველი სარდალი და სამხედრო სტრატეგი, აირჩიეს კორეის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარედ. მანდატი, რომელიც ამასთან დაკავშირებით კალანდარიშვილს მისცეს, ნათლად აღსატრებეს, თუ რა დიდი სამხედრო სპეციალისტი და პოლიტიკური მოღვაწე იყო იგი, თუ რა დიდი ნდობით სარგებლობდა ჩინეთის თანამემამულე. ან, თვით მანდატიც: „წარმომადგენელი ამისა ნამდვილად არის შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიაზე კორეის მთელი შეიარაღებული რევოლუციური ძალების სარდალი — ნესტორი ალექსანდრეს ძე კალანდარიშვილი.

მას უფლება ენიჭება:

1. ჩამოყალიბოს ახალი და გააუმჯობესოს არსებული პარტიზანული თუ სხვა კორეის ნაწილები, სამხედრო ორგანიზაციები და დაწესებულებები...

11. სამხედრო მიზნებით დამოუკიდებლად გამოიყენოს კორეის რევოლუციური შეიარაღებული ძალები.

III ვადაყენოს, დაითხოვოს, მოხსნას და დანიშნოს თანამდებობის პირები მისდამი დაქვემდებარებულ ქაზმებს.

IV. მიიღოს მათ ინსტრუქციები, მოითხოვდეს,

განკარგულებები და მანდატები“.

კალანდარიშვილი პირნათლად შეისრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები. 1921 წლის ბოლოს იგი მოსკოვს ჩამოსდის, მეორედ ხელმძღვანელს და კორეის რევოლუციური ჯარების შექმნის შესახებ გაწეული მუშაობის ვრცელ ანგარიშს მოახსენებს.

1922 წლის დსაწყისში ნ. კალანდარიშვილი იაკუტისა და ჩრდილოეთის მხარის მთელი შეიარაღებული ძალების სარდალად დანიშნა და დაეცა გუბერნიის თეთრგვარდიელთა ახალი ავანტიურის ლიკვიდაცია.

1921 წლის 24 სექტემბერს ნ. კალანდარიშვილი რევოლუციის და რესპუბლიკის წინაშე დიდი დამსახურებისათვის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს.

აი რას ეკითხვობოთ რეალურად მისი დავალებების შესახებ: „ეკომბინის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების არსებობისათვის ბრძოლის მიმე წლებში ამხ. კალანდარიშვილი მისი მოიხრევა ერთობლივი შორეული აღმოსავლეთის ბრწყინვალე დამცველთა შორის. დაიწყო რა თავისი ქმედობანი მუშურ-გლეხური ხელისუფლების აღმოცენების უმაღლეს თანამდებობით იბრძვის სემიონოვის, ზოლო შემდეგ კოლჩაკის წინააღმდეგ. იმალებოდა რა ორი წლის მანძილზე მუშურებულ ტაივანში, ვაშელთა თავდასხმებით თავისკენ იქცევა კოლჩაკის არმიის მნიშვნელოვანი ძალების იერიშებს.

1919 წლის ბოლოდამ ამხ. კალანდარიშვილი ენერგიულად მისდევდა თეთრგვარდიელი არმიის უკანააღმდეგ ნაშთებს: 1920 წლის მარტში ვერხოლენსკის ტრაქტზე გაანადგურა გენერალ სუტინის რაზმი, ხელთ იგდო რა მდიდარი ნადავლი.

ორი წლის შეუძოვარა ბრძოლამ ვერ გატეხა სახელოვანი პარტიზანის ენერჯია. დასვენა და შეავსო რა თავისი რაზმი, 1920 წლის აპრილის ბოლოს ამხ. კალანდარიშვილი გაემგზავრა იაპონია-სემიონოვის ფრონტზე. იმავე წლის 12 მაისს გონგოტთან, „სარდალობდა რა ფეხოსანთა და არტილერიის გავრთიანებულ რაზმებს, ამხ. კალანდარიშვილი ლოყისა და ფეხში დაიჭრა, მაგრამ, ძლიერი ტყვიების მიუხედავად, თავისი პოსტი არ დატოვებია, რის შედეგადაც იაპონელები, დიდი მსხვერპლით, შეძლებული გახდნენ საღ. სოხორდომდე დაეხიათ. კალანდარიშვილის ენერჯიულმა მოქმედებამ მნიშვნელოვან წილად ხელი შეუწყო დროებითი ზღვის შეკვრას და იაპონელთა ჯარების აღმოსავლეთში გაყვანას“.

იმავე წლის ბოლოს, 28 დეკემბერს კალანდარიშვილის დამსახურებისადმი ღრმა პატივისცემის ნიშნად, რაზმის მეგრძოთა მოთხოვნით, ჩრდილოეთის მეორე განსაკუთრებულ რაზმს „პაპა კალანდარიშვილის“ სახელი მიეკუთვნა.

„ესპანეთის ქართველთა“ უკველესი მოხსენიება ქართულ მფარელობაში და მისი მნიშვნელობა

(რამდენიმე შენიშვნა)

აღმავანის თუ ერის ცხოვრების გაცნობიერება-გააზრებას ახლავს კითხვა, რომელიც ფრიად ნათლად ჩამოაყალიბა პოლ გოგენმა თავისი ცნობილი ნაწარმოების დედააზრად: „საიდანა ვართ, რანი ვართ, საით მივდივართ?“ ამ კითხვით იწყება ყოველი ერის ისტორიის ფილოსოფია. ძალიან ზვირად, როგორც ცნობილია, ასეთი კითხვები ლეგენდებში ჰპოვებს ახსნას: თვით ძველი ცივილიზაციის მქონე ერთა პირველადი ადგილ-სამყოფელის, ეროვნული გეონიმების, პირველ მეფეთა, სარწმუნოებრივი მოქცევის თუ სხვა ამ რიგის საკითხები უშუალოდ ლეგენდებით იმოსება. მაგრამ როგორი ხასიათისაა არ უნდა იყოს პასუხი, თვით ასეთი საკითხების წამოჭრა ერის ისტორიაში საზრისიანობის ძებნისაგან მისწრაფების ეტაპს ასახავს.

ჩვენს მიერ შემოიქონიებული კითხვაც ცალკეული აღმავანის მიერ ერის ისტორიის მიმართ პროექტირდება და მასში ეძებს უშთაერეს პასუხს; ერისათვის კი ეს კითხვა სხვა ზღნითა შორის თავისი ადგილის გარკვევას უკავშირდება ხოლმე. რასაკვირველია, ყოველთვის არსებობს წიდილი, რომ ამ საკითხებს ისტორიული დასაბუთება მოუძებნონ — ისტორიული წყაროების ჩვენებათა მიხედვით გადაწყვიტონ ისინი.

სწორედ ასეთ ინტერესებს ებასუხება ჩვენს ისტორიაში ძველთაგანვე არსებული საკითხი ესპანეთის იბერებთან ქართველთა ნათესაობის შესახებ. წყაროთა შესწავლის დღევანდელი ვითარების მიხედვით, ეს საკითხი ჩვენს მწერლობაში შემოსულ საკითხად ჩანს — ორიგინალურ ქართულ წყაროებზე უწინარეს მას არა-

ქართული წყაროები ეხება და არკვევს. ქართულ მწერლობაში ამ საკითხის შემოტანასწორედ ამ პერიოდს ემთხვევა, როცა განსაკუთრებით მომძლავრებულა ინტერესი წინარე ისტორიული წარსულის გაცნობიერება-გააზრებისა.

მინამდე მას დიდი ისტორია აქვს. ამ საკითხის მრავალი ასპექტი კარგად არის გამოვლინებული და შესაწავლილი იე. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ნ. შარის, ს. ყაუხჩიშვილის, გ. მელიქიშვილის, ლ. მელიქსეთ-ბეგის და სხვათა ნაწარმოებში, რომელთა შიშობილება ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

გავიხსენოთ მხოლოდ, რომ უძველესი ცნობა ამ საკითხზე მიეკუთვნება ჟერ კიდევ ძვ. წ. III ს-ის ბერძენ მწერალს მეგასთენეს, რაც დასტურდება იმით, რომ მისი თხზულებიდან შესაბამისი ადგილის ციტირებას ახდენს I ს-ის უბრაველი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი.

• • •

ორიგინალური ქართული მწერლობიდან, როგორც ცნობილია, ამ საკითხს პირველად ეხება გიორგი მთაწმინდელი „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“, რომელიც 1042-44 წლებშია დაწერილი. აქ ნათქვამია (მოგვეყვას კუპურებით): „შემდგომად თორნიკის მიცვალეზისა ვაზინრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოანე, რათა აღიღოს ძე თვისი დარავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდეს სპანიალ... რამეთუ ეს მიოდა, ვითარმე ქართველნი არამც ირედნი ნათესავნი და ერნი არიან მუნ“ (ძველი ქარ-

თელი ავტორიზებული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, V-XI სს., თბ., 1967, გვ. 54).

ი, ეს არის ყველაზე უფრო სრულფასოვანი ცნობა, რაც კი ორიგინალურ ქართულ მწერლობაში მოგვეპოება ზემოაღნიშნულ საკითხზე.

როგორც ვხედავთ, იოანეს გადაწყვეტილი „ესპანეთის იბერიაში“ გამგზავრება და იქ დამკვიდრება. მაგრამ ეს მიზანდასახულება ვერ იქნა შესრულებული იოანე თავისი თანმხლებლებით ქ. აბილოსში ჩასულა. ეს ქალაქი მდებარეობდა დარდანელის სრუტესთან, მცირეზღაბაში. იოანე აქედან ამირბედა ზღვით ესპანეთში გამგზავრებას. აბილოსის მამინდელი მთავარი იოანეს ნაცნობი და პატივისცემული ყოფილა. იგი შეუყოვნებლად და იოანესათვის გაუმედავანდა, რომ ერიდება ბიზანტიის იმპერატორის უნებართვოდ იოანეს გაშვებას. მართლაც, მიუშარათაეთ სამეფო კარისათვის, მაგრამ ამპერატორს იოანესათვის დარჩენა უთხოვია და იოანეც კვლავ გამგზავრებულა. ჩანს, ამის შემდეგ იგი კონსტანტინოპოლს მიუწვევიათ: „მრავალთა ქამთა დიდთა პატივითა დამპირეს და მერჲ დიდთა ქვენითა ძლით დაარწმუნეს მონატრიდევ შექცევად და დიდითა ბოძითა განუტევეს, და ესრეთ ეულად შეიქცა თესსავე მონასტერისაჲ“. — მოგვითხრობს გიორგი ათონელი (გვ. 55).

ინტერესი მოკლებული არ უნდა იყოს ამ ფიქტის ქრონოლოგიური ჩაჩაჩების დადგენა, რაც არაა ჯერჯერობით მოცემული სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ ინტერესს იწვევს თუნდაც ის, რომ მართალად წარმავტებელი, მაგრამ ესაა ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი ცდა იველ საქართველოში ესპანეთის იბერებთან დაკავშირებისა.

„იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ არის ასეთი ადგილი: ათონელმა მოღვაწეებმა „შემდგომად თორნიკის სიყვარლისა ივანდუკითოქსა მისცნეს მთასა ვასაყოფელად ლიტრაჲ ოცდარვა“ (გვ. 53), ე. ი. 13 (ივ) ინდიქტიონს ათონის ებოძა ესა და ეს განძიო, 13 ინდიქტიონი, კ. კეკელიძის გამოანგარიშებით, აქ უდრის 985 წელს (ეტ. II, გვ. 225). ამ დროს კი თორნიკე გარდაცვალებული ყოფილა.

ამ ხანებში უნდა მომხდარიყო იოანეს გამგზავრება, რადგანაც ამავე ნაწარმოების მიხედვით 985 წელი თორნიკეს გარდაცვალებასა და გამგზავრების შუა დღეს. ამასთანავე, თავის მხრივ, ეს გამგზავრება თორნიკეს გარდაცვალების უშუალო მომდევნო ფაქტად ვადადმოცემული ნაწარმოებში (შდრ.: ზემოთ სიტყვები: „შემდგომ თორნიკის მიცვალებისა განიზარაბა იოანე...“). უკანდაბრუნებულ იოანე მალე იეად ვახდა და აღარ მოაქონებულა, 1005 წელს გარდაიცვალა. იგი ავადმყოფობდა ძალიან დიდში (ამრავალთა წელთა სტედარასა ზედა

დავრდომილი მდებარე იყო“, გვ. 55). განსაზღვრულად, ეს გამგზავრება თუ უშუალოდ 985 წლის მომდევნო არა, X საუკუნის ბოლომდე მაინც უნდა მომხდარიყო.

აქ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ ერთ გარემოებას: „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ ჩანს, რომ იმ ქართველ წრეებში, რომლებიც ყველაზე უკეთ იყვნენ გაცნობილი ქართულსა და არაქართულ წყაროებს, და რომლებიც იყვნენ წარმმართველნი ქართული ლიტერატურული თუ საისტორიო აზროვნებისა, X ს-ის დასასრულს (რამდენადაც ამ ხანაზე მოდის იოანეს გადაწყვეტილება—გამგზავრების ესპანეთს) ესპანეთის იბერია და ქართველებს ნათესაობა აღიარებთარ ექვს არ იწვევს. (და ერთიც. ცხადია, მეტი საბუთი მოვაპოვებოდა ამისათვის გიორგი ათონელს, XI ს-ის დიდ ქართველ მწერალს და ბერძნული მწერლობის კარგ მცოდნეს).

ამის გათვალისწინება კი ხელშემწყობია იმ აზრის განთავსებისათვის, რომ აღნიშნულ საკითხს ქართულ მწერლობაში გაცილებით დიდი ისტორია უნდა ჰქონდეს, ვიდრე ეს დღემდე გვაქვს გათვალისწინებული.

დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენს საკითხთან დაკავშირებით განხილულია მხოლოდ ის თხზულებანი, რომლებიც ქართულ მწერლობაში შემოსულა არაუადრეს X ს-ის 80-იანი წლებისა. ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვთ ექვთიმე ათონელის თარგმანები, მაგალითად გრიგოლ დიდის „აღიადილონი“, Liber generationis (იხ. კ. კეკელიძე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული ვარარების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტ. I, გვ. 168-182) და სხვა. მაგრამ დაისძის კითხვა: გვაქვს თუ არა მანამდე ეს საკითხი ქართულ მწერლობაში? დღესდღეობით რომელი თხზულება შეიძლება ჩაითვალოს უძველესად, რომელშიაც ხსენებული არიან „ესპანელი ქართველები“?

ჩვენს ყურადღებას იქცევა ქრისტიანული კულტურის დიდი მოღვაწისა და მწერლის ბასილი კესარიელის (331-379 წწ.) ცნობილი ნაწარმოების „ექუსთა დღეთაჲს“ ქართული თარგმანები. ერთი მათგანი, უფრო მერმინდელი, გიორგი ათონელს ეკუთვნის და შესრულებულია XI ს-ის შუა წლებში (გამოცემულია შ. კახაძის მიერ).

ამგერად გვიინტერესებს „ექუსთა დღეთაჲს“ ჩვენამდე მოღწეული უფრო ადრინდელი თარგმანი. იგი კარგა ხნის განმავლობაში არ ყოფილა შესწავლილი. მოგვეპოვებოდა მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა მის შესახებ R. Blake-ის იერუსალიმის ქართული ხელნაწერთა კოლექ-

ციის აღწერილობაში. მისი ვარაუდით, ეს თარგმანი ეჭვითვე ათონელის მოღვაწეობას უნდა უსწრებდეს (*Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque a Jérusalem. 1924*). ამავე აზრს იზიარებდა კ. კეკელიძე. IX-X სს-ით ათარიღებდა მას ივ. ჭავჭავაძის (ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 130. ილია აბულაძემ, რომელმაც გამოაქვინა და გამოსცა „ექუსთა დღეთაჲს“ აღნიშნული თარგმანი, VIII-IX სს-ში გადმოტეხულად მიიჩნია იგი. ამასთანავე, თუ კეკელიძე, R. Blake, ლ. მელოქეთ-ბეგი ამ თარგმანს სომხურიდან მომდინარედ თვლიდნენ, ილია აბულაძემ იგი არაბულიდან მომდინარედ მიიჩნია (იხ. უძველესი რელიქვიები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „აკიცია აგებულებისათჳს“, X-XIII სს-ის ხელნაწერთა შიხედით გამოსცა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1964, გვ. 20). აი, ამ თარგმანში გვაქვს ძველ ქართულ მწერლობაში შემოსულ, დღეისათვის ცნობილ თხზულებათაგან უძველესი მოხსენიება დასავლეთის ანუ ესპანეთის ქართველებისა.

აღნიშნული თვალსაზრისით ეს ფაქტი სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა განხილული. შავლითისათვის შეგვიძლია შევეხოთ ლ. მელოქეთ-ბეგის ერთ სპეციალურ ნაშრომს, რომელიც ითვალისწინებს განიხილოს საერთოხან დაკავშირებული ყველა ცნობილი წყარო, ქართულიცა და არაქართულიც. ამის თაობაზე თვით ავტორი წერს, რომ მისი მიზანია: «представить в систематическом виде вес тот материал, который удалось ему собрать в древней литературе по вопросу о родстве между грузинами и испанцами» (стр.3).

ნაშრომში შემდეგ ჩამოთვლილია ყველა ის ავტორი, რომელთაც შეკვლევაჲს ყურადღება მიუქცევია; ესენია: ამეგასთენე, აბიღენი, სტრაბონი, იოსებ ფლავიუსი, დიონისე პერეგეტე, აბიანე, ევსევი, სოკრატე სქოლასტიკოსი, ევსტათი, მაქსიმე აღმსარებელი, — ერთსი მხრივ, მეორეს მხრივ, — ვარონი, პლინიუს უფროსი პრისციანი, მესამე მხრივ, — მარ-ამას-კატიანი, მოსე ხორენელი, სტეფანოზ ტარონელი, ვარდა ვარცხბერდცი, და ბოლოს, გიორგი მთაწმინდელი, — აი, ის ავტორები, რომელთა თხზულებებშიც ენახებოდნენ ჩვენთვის საყურადღებო ცნობებს ორივე იბერთა შორის ნათესაობის შესახებ» (Л. Меликсет-Бекоев, Родство грузин с испанцами по древним источникам, Тбилиси, 1911, стр. 15).

როგორც ვხედავთ, ბასილი კესარიელი არც აქა დასაბუღებელი. ახლა ვნახთ, თუ რას გვეუბნება „ექუსთა დღეთაჲს“ ადრინდელი თარგმანის ჩვენთვის საყურადღებო ადგილი. აქ

განმარტებული ბიბლიოტიკოსმოგონია და ნათქვამია, რომ თავდაპირველად არც იყო ზღუდა, რომელ არს გარეგან ლაღირაჲს და არცა შესაძრწუნებელი იგი სიღრმე, რომელსა ვერ მიჰკადრებენ მენავენი, რომელი — იგი გარე შოადეს მას ჭალაჲს ბრიტანიაჲსა და ქართველთა მათ დასავლეთისათა, არამედ მაშინ დაებადნეს და განაერცნეს“ (გვ. 57).

ბერძნულ დედანში, რამდენადაც იგი შეგვიძლია გაეთვითავლისწინოთ Migne-ის ცნობილი გამოცემის მხედვეთ, ეს ადგილი ასეა წერს მოდგენილი: „Οὐ γὰρ ἦν ἡ γῆ τῶν Βρετανῶν ἀπέλιπον τότε τὸ μέγα ἕκεινο καὶ ἀτόλητον πλάτηρι πέλαγος, τὸ τῆν Βρετανικῆν νῆσον καὶ τοὺς ἑσπερίους Ἰβηρας περιπεσοσόμενον. ἀλλὰ ἐνταῦθα τῆς εὐρυχωρίας τῆς προσημαίας τῶν τοῦθ' ἡμετέρας ἡμετέρας. ἢ ἀπὸ τῆν συσπένθη τῶν ἰβητῶν τὰ πλάτη“.

ამევე გამოცემაში ამ ადგილის ლათინურ თარგმანში ვცითხვლობთ: Neque enim erat illud quod est extra Gades mare, neque magnum illud et horrendum navigantibus pelagus, quod Britannicam insulam et occidentales Hispanos ambit: sed posteaquam Dei mandate instructus est locus amplissimus, tunc in ipsum se recepere aquarum copiae.

S. P. N. Basilii, Homiliae IX in Hexaemeron. Migne, Patrologiae Graeca, t. 29, col. 85-86.

მოცუვანილი ადგილის აზრი ამგვარია: თავდაპირველად ზღვა არ არსებობდა, ზღვა, რომელიც დღეს ლაღირის შიშის ირგვლივია; არც ის შემარწუნებელი უღსკრული იყო, რომელსაც შეზღავებები უფროსიან ხოლმე, რომელიც ევროპის ბრიტანეთის კუნძულსა და დასავლეთის ქართველებს, არამედ შემდეგში წარმოიშვა და განავრცო.

ასეთია ძირითადად ყველა ვარიანტის საერთო შინაარსი, მაგრამ მათ შორის არის განსხვავებები, რომელზედაც ჩვენ სპეციალურად შევიჩრდებთ ამთავითვე, სახან უმოავრეს საერთოებს განვხილავთ. კერძოდ, საყურადღებოა, რომ ბერძნული დედნის ამ ადგილს, სადაც ლაპარაკია „დასავლეთის ივერისა“ ზღვით მოცვაზე — „...τοὺς ἑσπερίους Ἰβηρας περιπεσοσόμενον“. ლათინურ თარგმანში ნსაცულებფრახა: „...occidentales Hesperos ambit“, ე. ი. „დასავლეთის იბერია“ შეცვლილია მხოლოდ ერთი ტერმინით „ესპანეთი“.

ასეთი გააზრება სხვა შემთხვევაშიც ვგვხვდებით. მაგალითად, გრიგოლ დიდის „დიდლოგონის“ ერთი ადგილის მიმართ გამოძეციელი შენიშნავს: „...hic iberia est Hispania (Migne, PL., t. 27, col. 381. შენიშვნა b; კეკელიძე, IV ს-ის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე, ეტ. VI, 1960, 13). ქართული მწერლობაც იცნობს ასეთ გაგებას. კ. კეკელიძე მი-

უთომეს X ს-ის თარგმანებზე, სადაც ბერძნულ დიდოს *Σπασίας* ქართულში ენაცვლება „საქართველო“. რამდენადაც ცალკე საკვლევა, აქ აღარ გამოიყვლება იმის ძიებას, თუ რა საფუძველზე ხდებოდა ასეთი მთლიანი შენაცვლება.

* * *

ბერძნულ თხზულებებში, ანტიკურსა და ბიზანტიურში, გვხვდება ტერმინი *Ἰβηριος* ეს ფორმა ვადასულია ლათინურსა და ჰელსუსურში. მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს მეორე ფორმა *Ἰβηριον*. პირველ მთავანს (*Ἰβηριος*), როგორც ცნობილია, შეესაბამება „ქართველი“. მეორე ფორმის (*Ἰβηριον* — იბერიტუ) მნიშვნელობა არაა საბოლოოდ დადგენილი, თუმცა მის შესახებ გამოთქმულია ვარკვეული მოსაზრება. მხედველობაში გვაქვს მ. კახაძის მიერ გამოთქმული აზრი; იგი წერს: „არაა სავარაუდო, რომ ეს ტერმინი აღნიშნავს არა ეთნიკურ სახელს „იბერიელს“ (—ქართველს), არამედ შიუთითებს ვიწრო, ტოპოგრაფიული გაგებით ივერთა მონასტერში მოღვაწეებს, ან არადა, ესპანეთის იბერიას. ჩვენ ვგვიკობოთ, რომ ეს ასე არაა და არ ჩატომ *Ἰβηριον* („იბერიტუ“) არის ნათესაობითი ბრუნვა სიტყვისა *Ἰβηριος* („იბერიტუს“), რაც ივერიელს (—ქართველს) ნიშნავს („ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, თბ., 1954, გვ. 88). ვამოდის, რომ „იბერიტუს“ ნიშნავს ქართველს. შევლევარი მიმოიხილავს Lambros-ის მიერ შედგენილ ათონის ბერძნული ხელნაწერების კატალოგის ცნობებს (*Catalogue of the Greek Manuscripts on Mount Athos, Cambridge, t. I, 1845, t. II, 1900*). აქ ასეთი ზედწოდებით „იბერიტუ“ მოხსენიებული არის რამდენიმე მწერალი.

რაცაღ მ. კახაძეს *Ἰβηριος* („იბერიტუს“) „ქართველად“ ესმის, ამ საბელწოდებით მოხსენიებულ მწერლებსაც ქართველებად სთვლის. ჩვენი აზრით კი, ეს საბეჭო უნდა იყოს. თავისთავად ბიზანტიურ მწერლობაში ქართველ მწერალთა არსებობა ჩვეულებრივია. ზოგადად ამ შემთხვევაშიაც შეიძლება მოსალოდნელი ყოფილიყო ეს, მეტადრე, რომ ეს მწერლები ათონზე მოღვაწეობდნენ, მაგრამ ექვს პბადებს სწორედ ზემოთდება *Ἰβηριος* („იბერიტუ“). ეს არ უნდა ნიშნავდეს ქართველს, ივერიელს ეროვნებით. რა საფუძველი გვაქვს ასეთი მტკიცებისათვის? ქართველს, ეროვნებით იბერიელს აღნიშნავდა სიტყვა *Ἰβηριος* („ივეროს“). მაგალითად მოვიტანოთ „ბალავარიანის“ ბერძნული ვადაქცის ვენეციური ხელნაწერის თავში დართულ წარწერას, რომელიც სწორედ იმავე პერიოდისაა, რომლისათვისა მ. კახაძის მიერ ვაიხი-

ლული ცნობები: „ბალავარიანი“ *ἰβηριος* „*μακαριος* *μενεις* *ὁς* *ἀπὸ* *τῆς* *Ἰβηρίας* *ἔρχεται* *τὴν* *ἐκκλησίαν* *ἡλθισαν* *ὅπως* *ἐκδημασθὶ* *μακαριος* *καὶ* *εὐσεβης* *τὸν* *λεγομένου* *Ἰβηριος*“.

ს. ყაბხიშვილის თარგმანით ეს ნიშნავს: („ბალავარიანი“) ვადაქცისათვის იბერიტა ენიდან ელინურ ენაზე პატრიკეული და კეთილსათნო კაცის ექვთიმეს, იბერად წოდებულის მიერ. (იხ. ბიზანტიური ლიტ. ისტ., გვ. 226). მაშასადამე, „ქართველობა“ ექვთიმესა აქ აღნიშნულია ტერმინით *Ἰβηριος* („ივეროს“). მაგრამ ხომ შეიძლება წარმოშობით ქართველს ეს ტერმინიც („ივეროს“) აღნიშნავდეს ეს გამოტყუ („ივერიტუს“)? თეორიულად და ეთნოკრიტიკული არაა, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ მათი განსხვავების პრაქტიკული საპირობა.

ასეთი საპირობა კი გამოწვეული იყო შემდეგით: ათონის ქართველთა ლავრას ეწოდებოდა „ივერია“. საპირო იყო აღნიშნულიყო ვარკვეული ტერმინით „ივერის“ მოღვაწე (როგორც ცნობილია, „ივერში“ ქართველებთან ერთად ბერძნებიც მოღვაწეობდნენ). ე. ი. ერთის მხრივ, უნდა განსხვავებულიყო „ივერიელი“ — ქართველი და მეორე მხრივ, „ივერიელი“ — ლავრა ივერისა მოღვაწე. ამის კვალობაზე მართლაც გვაქვს ორი ტერმინი: *Ἰβηριος* („ივეროს“) და *Ἰβηριος* — „ივერიტუს“; რაკილა პირველი დამკვიდრებული იყო „ქართველის“ აღნიშვნელად, დაგვიჩვენია ვიუიქროთ, რომ „ივერიტუს“ „ივერის“ ლავრის მოღვაწეს აღნიშნავდა. ამიტომ ამ ზედწოდებით მოხსენიებული პირებიც უცელობლად ქართველებად ვერ ჩითვლებიან.

აღორძინების ხანამდე ქართულ მწერლობაში არსად არ ვხვდებოდა ტერმინები „ივერია“ ან „ივერიელი“. არ იცის ის არც აგაოგრაფიულმა და არც საისტორიო თხზულებებში. „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი ადრეული თუ გვიანდელი ხანის თხზულებისათვის უცნობია ეს ტერმინი. თვით „ახალი ქართლის ცხოვრებაშიც“ არ ვხვდებოდა ის, თუმცა როგორც დაენიხნავთ ქვემოთ, ამ პერიოდისათვის იგი ჩვენში უკვე შემოსულია. არც ათონის ზვენიცის ცნობით მასალებში ის, თუმცა სხვაზე მეტად სწორედ აქ იყო მოსალოდნელი: ათონელსაც შეეძლოთ იგი ბერძნული მწერლობიდან შემოეტანათ (იხ. ათონის კრ.).

აქვე შევნიშნავთ, რომ თუ იქნებოდა ეს საბელწოდება ძველ ქართულ მწერლობაში, იქნებოდა ასეთი ფორმით „ივერია“ ან „ივერიელი“ და არა „იბერია“ და „იბერიელი“. საქვენიშნავია, რომ ბერძნული სიტყვა *Ἰβηρία* ანტიკურ ხანაში გამოითქმოდა, ეთარცა „იბერია“. ბიზანტიურ პერიოდში (IV-XV სს.) კი გამოიქმნა შეიცვალა და ამბობდნენ — „ივერია“ (სავე-

ლისხმობა, რომ სლავურ წყობებში გვხვდება ეს უკანასკნელი ფორმა). ქართულ ლიტერატურას კი შვიგნობრული ურთიერთობა ბერძნულთან ბიზანტიურ პერაოდთან აქვს. ამ პერიოდში კი შევძელით შეეთვისებინათ ფორმა „ივერია“, როგორც ეს რუსულ შწერლობაში მოხდა.

შინც რაოდენ გვხვდება ძველ ქართულ შწერლობაში ტერმინი ივერია?

ლ. მელქისედეკის ზემოხსენებულ ნაშრომში ამ თვალსაზრისით მითითებულია ვახუშტის (1676—1770) ერთ-ერთ შრომაზე, რომელიც დაწერილია არაუადრეს 1742 წლისა.

ჩვენის დავიერებით, ამ თვალსაზრისით შევიძლება მივუთითოთ უფრო ადრეულ ფაქტზე, რომელიც დღესდღეობით უკვე დაკარგულია ჩვენი ხელთ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს რუსული პროლოგ-სეინაქსის ქართული თარგმანი, რომელიც შესრულებულია 1700 წელს (ტრ. რუსაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული მართა ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 157). აქ გვხვდება სწორედ ეს ტერმინი. შემდგომში მისი ხმაზეა სწორდება.

მაგრამ ზომ არ არის მინამდვილ ქართულ ძეგლებში „ივერიის“ ხმაზე? ერთი შეხედვით, შეიძლება დავაფიქროს ერთი ფაქტმა, ზეგარამ, როგორც იტყვიან, მხოლოდ ერთი შეხედვით.

მხედველობაში გვაქვს შემდეგი ფაქტი: „აბიზოს ნეკრესელის მარტილობის“ ერთ-ერთი რედაქციის ხელნაწერის გლოსაში შეტანილია სახელწოდება „ივერია“. აი, ეს ადგილი: „მოვიდეს ბერძენნი და განასხეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქვეყანა ესე ჩუენი მიერითგან შეფეთა ჩუენთა და იქმნეს მპყრობელ სრულად საქართველოსა და იყო ყოველი ივერია ერთ სამეფოდვე (საბინანი, „საქ. სამთხვე“, პეტერბურგი, 1882, გვ. 214). იგი, ჯავახიშვილი ამ მონაცემის დაბოლოების გამო შენიშნავდა: „ეს წინადადების ნაწილი საბინანის გამოცემაში ბოლოშია მოქცეული უილაფო ალაგას ვადაშქერთა შეცდომის გამო და ამიტომ ვადაშქერთა“ და იქვე შესწორებულ ვარიანტს ვთავაზობდა: „მოვიდეს ბერძენნი და განასხეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქვეყანა ესე ჩუენი და იყო ყოველი ივერია ერთ სამეფოდვე და დაიპყრეს ქვეყანა ესე ჩუენი მიერითგან შეფეთა ჩუენთა და იქმნეს მპყრობელ სრულად საქართველოსა“ (ქართული ერის ის. I, გვ. 359). ჩვენ აქ ყურადღებას ვაქცევთ შემდეგ ვარაუბებს: ტექსტის საგანგებო გასწორებისა მიუხედავად მასში დატოვებულია „ივერია“ და „საქართველო“. აქვე გავიხსენებთ, რომ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, ეს ნაწარმოები არაუადრეს IX საუკუნისაა.

მაგრამ ამ ნაწარმოების შემდგომ გამოცე-

მეში აღნიშნული ადგილი ზემოწარმოდგენილი სახით აღარ შეტანიათ. პროფ. ილ. აბულაძემ სავანეებოდ შესწავლა უკვე მრავალი ხელნაწერი და მოგვამოდა „საქართველოს მოღვაწეთა შესახებ შექმნილი ძველი ნაწარმოებების, მათ შორის, „აბიზოს ნეკრესელის წაშვების“ ავადმიერი გამოცემა (1955 წელს). ამ გამოცემაში ისევე, როგორც სხვა ახალ შედგენილებაში, ტექსტში აღარაა შეტანილი აღარც „ივერია“ და აღარც „საქართველო“. „აბიზოს ნეკრესელის მარტილობის“ ზემოხსენებული ადგილი ილ. აბულაძის გამოცემაში ასეა გამართული: „მოვიდეს ბერძენნი და განასხეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქვეყანა ესე ჩუენი მიერითგან ერისთავნი იქმნეს მპყრობელ ქართლისა“ (ასურელ მოღვაწეთა ცხ. წიგნთა ძე. რედაქციები, გვ. 194).

ილ. აბულაძე ამ ადგილის გამართვისას ტექსტოლოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობდა; მაგრამ მის მიერ მიღებული შედეგით გავაზარტოთ თვით ტერმინის — „ივერია“ — ისტორიის გათვალისწინებით. ამ კუთხითაც შევიძლება ვთქვათ, რომ ეს ტერმინი არ შეიძლება ყოფილიყო „აბიზოსის წამების“ თავდაპირველ ტექსტში. მისი დათარიღება ახლა უკვეა ქვეული. კ. კაკალიის მიერ გამოთქმული ვარაუდით იგი XII ს-ის მეტაფრასტს ეკუთვნის. ივ. ჯავახიშვილი და ილ. აბულაძე მას IX საუკუნისად მიიჩნევენ, თუმცა მასში VI-VII სს-ის წყაროს გამოყენებას ვარაუდობენ.

რასაც ვივარაუდებოდა, თუ ამ უკანასკნელ თვალსაზრისზე დავდებოთ, მთლიანად გამოირიცხებოდა როგორც ერთი ისე მეორე ტერმინის არსებობის შესაძლებლობა („საქართველოს“, II ს-დან გვხვდება (ლ. მენაბდე), „ივერია“ კი აღმჩინების ხანიდან). ასევე ვერც XII საუკუნის ტექსტში ვივარაუდებთ „ივერიას“. გამოდის, რომ ეს ტერმინები ვერ გამოიყენება აბიზოსის წამების დასათარიღებლად. ამიტომ გარკვეულად უნდა დაზუსტდეს კ. კაკალიის შემდეგი განცხადება: „ქართულ ავტორის შეცდებულ საუკუნეში არ შეეძლო ეხმარა „ივერია“ და — „საქართველო“, რომელნიც მეთთვარამეტ საუკუნეზე ადრე არ გვხვდება ქართულ შწერლობაში“ (ქართ. ლიტ. ისტ. I, გვ. 142).

მაშასადამე, „აბიზოს ნეკრესელის წამების“ ერთ-ერთ რედაქციაში არსებული ზემოხსენებული გლოსა აღორძინების ხანის ჩანამატია და იგი ვერ იქმნებოდა თავდაპირველ ტექსტში, თუ გაეთვალისწინებთ ისტორიის ტერმინებისა „ივერია“ და „საქართველო“.

• • •
მაგრამ „პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ“. „ქვეყნის“ (იბერნი, resp. ივერნი). თარგ-

მანში გადმოცემულია სიტყვით — „ქართველი“. ერთის მხრივ, ეს ერთადერთი შესაძლებელი შენაცვლება იყო — სხვა სიტყვა არც იყო მოსალოდნელი აქ, თუ გაერთიანების წინაშე, რომ ამ პერიოდის ქართულმა ძეგლმა მწერლობამ სახელი იბერია არ იცის (კ. კეკელიძე, ეტ. VI, 264). მაგრამ, ასეა თუ ისე, ერთი ცხადია, რომ ქართველ ტომებზე ასე ერთიანად მსჯელობის საჭიროების გამო „ქართველი“ აქ ზოგადი მნიშვნელობითაა ნახმარი და არა საქართველოს ერთი კუთხის აღსანიშნავად, როგორც ადრე ხმარობდნენ.

ტერმინის „ქართლი“ — განზოგადების ერთერთ პირველ საფეხურად ივ. ჯავახიშვილს ის ფაქტი მიაჩნია, რომ „შემანიას წამებამა“ „ქართლიან იგულისხმება ჰერეთიც“ (ქართული ეროს ტტ., II, გვ. 30).

შემდგომი ხანის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „როდესაც სიტყვას „ქართლი“ ფართო და საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, უმატებდნენ ზოლმ „ყოველი“, ან „ერთობლივი“. და ამბობდნენ ხოლმე: „ყოველი ქართლი“, „ერთობლივი ქართლი“-ო; მაგ., უკვე „მოქცევაა ქართლისა“-ში ნათქვამია, როდესაც წა, ნინოს მიცვალების ამბავი შეიძვეს, „შეიბრნეს ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთაჲ და უფარჲ-ჲოა ყოველი (ჭელისსიგულითა — ერთობლივ) ქართლი“ (ივე). მაგრამ, ამ პერიოდისათვის ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ასეთივე ზოგადი მინაარსის მატარებელი იყოს ცალკე აღბეჭდილი სიტყვა „ქართლი“? ამ ვარაუდს შენაძლებელია დადებითად ვუმატებოთ, რამდენადაც ეს მინაშეწონილი იქნება ორიოდე მაგალითის საფუძველზე, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს. ვარდა შემოდსახებელი თარგმანისა, შეიძლება ვეაზიხნოთ „კოსტანტინს წამება“ (IX ს.): „იყო ვინმე ქუეყანას ქართლისასა, სანაბგმა ზენა სოფლისასა, კაცი, რომელსა სახელი ერქვა კოსტანტი, რომელსა ერქოდა კახა სახელად მამულისა მის ქუეყანისსა. კაცი ეს იყო წარჩინებულ ფრიად დიდად ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა“ (ძვ. ქართ. აგ. იოგ. ლტ. ძეგლები, I, 1964, გვ. 165). ხომ არ ეფარაუდოთ აქ ბარალერად ორი ტერმინის — „ქუეყანასა ქართლისასა“ და „ყოველი ქუეყანასა ქართლისასა“ არსებობა? ამ „სამეშაო“ ვარაუდს გამოთქმის იმიტომ არ მოკერძოდეთ, რომ მას მხარს უჭერს, თუ რასაკვირველია, გლოსა არ არის, სათაურიც: „ცხოვრება და წამება მწინდისა მოწმისა კოსტანტინს ქართლსა...“.

ამითანვე შეიძლება დავკავშირებინა ეპიფანე კვიპრელის ტრაქტატს — „სახომთათქს და საწყაღელთა“ — ქართული თარგმანი, რომელიც ამავე პერიოდშია შესრულებული (კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტ., I, გვ. 459, ს. ვახუშტიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავ-

ლო წიგნი, თფმ. III, 1923, 178—185), თქმულა ძნელია იმის დადგენა, თუ მოთარგმნელი რა აზრით ხმარობდა აქ „ქართლისა“ და „ყოველი“-ს; ძვირფასი თვლის იასპისის „შესახებ ნათქვამია, რომ „იშოვების ესე საზღვართა ქართველისათა, და გორგანეთს, და ქუეყანასა მას კასთა, სადა არიან ნათესავნიო“ (მოკვეყანს „გეოგრაფიიდან, ტ. I, თბ., 1961, 44).

ზემოვანაილილი მომენტების ურთიერთშეპირისპირებით შემდეგი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა იქმნება. IX საუკუნისათვის „ქართლის“ ზოგადი მნიშვნელობით ხმარება დასტურდება ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლების ჩვენებათა შესატყვისობის საფუძველზე. ეს კი, თავის მხრივ, ქნის შთაბეჭდილებას, რომ ახალი კვლევა და ახალი მასალების გამოვლინება „ქართლის“ ზოგადი მინაარსით ხმარების ხანის უფრო და უფრო უკან სწევს, აღრინდელ ხანაზე გადაიქცევა. დღესდღეობით კი დაბეჭდვით ეს IX საუკუნისათვის შევვიძლია ვთქვათ.

თუმცა აქვე შეიძლება ზოგიერთი „სამეშაო“ თუ წინასწარი ვარაუდის წამოყენება: ხომ არ ჰქონდა „ქართლს“ ასეთივე გამაერთიანებელი მინაარსი საუკუნეებით წინა ხანებშიც? ე. ი. ხომ არ შეესაბამებოდა მამინაც იგი პერტან მწიგანთა „იბერია“ ისევე, როგორც სხვა ზეუღლებრივია ყველა იმ წყაროში, რომელიც კი დღესდღეობით ხელთა გვაქვს?

გამაერთიანებელი ტერმინი „ქართლი“ შეიძლება, როცა სხვა (პოლიტიკური) საფუძველი არ არსებობდა, ქართველი ტომების ენიშნულ ერთიანობას დამყარებოდა და ამ მხრივ მონათესავე ტომთა საერთოობა აღნიშნა მსგავსად იმისა, როგორც იგი ესპანეთისა და აღმოსავლეთის იბერების ნათესაობას აღნიშნავდა ნათარგმნი თხზულებებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა შეიძლება ვივლუისებოთ ქართველთა საერთო სახელმწიფო ტერმინად? როგორც ივ. ჯავახიშვილი მოითხოვს, „შემანიას წამების“ მიხედვით „ქართლი“ საყოთრივ ქართლთან ერთად პერეთსაც გულისხმობს. მაგრამ დაისმის კითხვა: ნიშნავს თუ არა ეს, რომ იგი ქართლთან ერთად მხოლოდ პერეთს გულისხმობდა? ის მასალები, რომლებიც ჩვენ დღეს ხელთა გვაქვს, ამ საკითხებს ვერ გავარკვევს და ეს კითხვები კითხვებად რჩება დამატებითი მასალების აღმოჩენამდე.

უფრო გვიან ტერმინი „ქართლი“ „საქართლოში“ შეცვალა და ეს მოხდა არა XI ს-ში, როგორც მხოლოდ აღნიშნავდნენ, არამედ არაუგვიანეს მართისა (ლ. მენაბდე, რომელიც სუენონთან იხმარება ტერმინი „საქართველო“, ვაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1953, X, 8). ამასთანვე აღსანიშნავია, რომ „ქართლში“ ერთხანს კიდევ შეინარჩუნა ძველი შემტარებლობითი მნიშვნელობა“ (ივე). ეს კი იმით იყო

პირობადებული, რომ „ქართლის“ ფართო მნიშვნელობით ხმარებას დიდი ისტორია ჰქონდა და საკმაოდ განმტკიცებული იყო. ამ ისტორიის სრულყოფილად გასათვალისწინებლად ერთგვარი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მიერ განხილულ თარგმანის ჩვენებას. ერთი სიტყვით, „ქვესთა დღეთაჲს“ აღრიხდელი ქართველი მთარგმნელის მიმართაც ძირითადად, ვფიქრობთ, შევიძლია ვაგიჟოროთ ის სიტყვები, რომლებიც ჩვენს შეხილვებში გამოთქმულია უფრო გვიანდელი ძველის („ილარიონ ათონელის ცხოვრება“) შესახებ: „უკვე გადალაშქრია „ქართლისა“ და „საქართველოს“ ვიწრო ეთნოგრაფიული სახელები და „ქართლი“ ზოგადქართულ სახელწოდებადაა ქცეული“ (მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გავითარება, თბ., 1963, გვ. 279).



დასმის ასეთი საკითხიც: რამდენად შევიძლია ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი ქართველ მთარგმნელს „დასავლეთის იბერია“ და ქართველების ურთიერთობა? მათი ურთიერთობის შესახებ ანტიკური ხანის და შემდეგდროინდელ ისტორიკოსებმა მრავალგვარი აზრი გამოთქავეს. მათ ერთგვარ შეფასებას ვცაძლევს აბიანე (II ს. ჩვ. წ.) „მითრიდატიკაში“: „იბერებს, რომლებიც **იბრეა** ში არიან, ზოგი მიიჩნევს ევროპული იბერების წინაბრებად, ზოგი (ამათ) ახალშენებად, სხვები კი მხოლოდ თანამოსახლებად, რადგან არც ზნე აქვთ არავითრ მსგავსი და არც ენა“ (აბიანე, მითრიდატის ომების ისტორია, თ. ყუხჩიშვილის გამოც., თბ., 1959, გვ. 159). როგორც ვხედავთ, შესაძლებელ თვალსაზრისთა არჩევანი ფართო ყოფილა:

1. ბერველი მისაზრებთ, ესპანეთის იბერების წინაბრები ქართველები არიან. იველისხმება, რომ ესპანეთში შემდგომ არიან გადასახლებულნი; 2. ისტორიკოსთა მეორე ჯგუფი საპირისპირო აზრს გამოთქაქდა, რომ იბერთა საერთო წინაბრები ესპანეთის იბერებია და „ახალი იბერები“ შემდეგ არიან აქეთენ გადასახლებულნი; 3. სხვა ავტორები კიდევ, ამათგან სრულიად განსხვავებული თვალსაზრისის დასაბუთებას ცდილობენ: ეს ორი იბერია მხოლოდ და მხოლოდ თანამოსახლება, მათ მოართა არავითარი ნათესაობა არ არსებობს. ამის დასამტკიცებლად მიუთითებენ იმაზე, რომ არც ენა და არც ეროვნული ჩვეულებანი არ ანათესავენთო მათ.

რომელ თვალსაზრისს უმხრობოდენ ჩვენში? ორიგინალურ ქართულ მწერლობაში ამ საკითხის განხილვა არ მოგვეპოვება. საერთოდ კი, როგორც დავინახეთ, იოანე და შემდეგში გიორგი ათონელი იბერთა შორის მ-

თესურ კავშირს აღიარებენ. თუ ჯერ კიდევ X ს-ის მეორე ნახევარში ასეთი რწმენა საუკუნით დამკვიდრებულია, ჩანს, რომ იგი დიდი ხნის ტრადიციით უნდა იყოს გამტკიცებულ.

ვიანი (დაახლოებით XVIII ს. II ნახ.) ამ საკითხით დაინტერესებულა ტ. გაბაშვილი, იგი წერს: „აღმოჩენილია წერილთა შინა ჩუენთა, ეითარმედ ბერძელისაგან სპანთა ენაზე ვთარგმნეთ, ქართველნი მთარგმნელნი წყენ (ქართულთა უწესენ შპანიად), ამისათვის ვითარებდი ვეგენიოსს, ხოლო იგი ვანვეიშიარტედმა, ეითარმედ არის ჰველთა წერილთა შინა მღებარედ, ეითარმედ ქართველნი მოსრულან შპანიად და დამკვიდრებულან, და უწოდეს მღებთა შპანიისა ქართველი და კვალად შპანელნი წარსულან საქართველოსა შინა და მენ და მკვიდრებულან, ამისათვის ქართველთა და შპანიელთა ურთიერთთ სახელი ენაცვლებიან“ (მიმოსლეა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიონი და საძიებლები დაურთო ელ. მერტრეველა, თბ., 1956, გვ. 55. ამ საკითხზე ელ. მერტრეველის გამოკლევაში იხ. იქვე, გვ. 246).

ვფიქრობთ, რომ ქართველ მთარგმნელს, რომელიც იყენებს ტერმინს — „ქართველნი დასავლისანი“ (resp დასავლეთისანი), გააზრებული უნდა ჰქონოდა მათი ნათესაობა „აღმოსავლეთის“ ქართველებთან. იგი მიხვევბა აზრს, რომელიც მანამდე ფრიად ვაერცულბული იყო არაქართულ წყაროებში. ამდენად, ტერმინი „ქართველნი დასავლისანი“ ეხმარება — უკავშირდება თუ შეუპირისპირდება — ვაერცულბულ ტერმინებს: „ახიელი იბერები“ (აბიანე), „აღმოსავლეთის იბერებია“, „პონტოს იბერია“, ჩვეულებრივ — „იბერია“ და სხვა, ხოლო, მეორეს მხრივ, „ესპანეთის იბერები“, Liber generationis-ის Celtiberi (ს. ყუხჩიშვილი, გეოგრაფია, I, 1965, 15), და ა. შ.



ჩვენთვის საგულსხმბოა თვით ის ფაქტიც, რომ ბასილი კესარიელი ეხება ამ საკითხს მისი დიდი ავტორიტეტი ამ საკითხისადმი მოქლო საქონსტიანოს მწერლობის ვერადლებს მიიქცევი. მეტარედ, რომ „ეძუსთა დღეთაჲს“ ფრიად პოპულარული ნაწარმოები იყო უკვე აღრეული შუა საუკუნეებშიდანვე. მველ საქართველოში ის იყო ერთ-ერთი მთავარი სასწავლო წიგნი. მის გვერდით შევიძლია დავასწავლოთ: „სახისა სიტყუაჲ („ფიზიოლოგია“). ნემესიოს ემესელის „ზუნებისთავს კაცისა“, ვრიგოლ ნოსელინის „კაცისა ვებულებისათჲს“, ებიფანე კვიპრელის „ათორმეტთა თვალთაჲს“ და „საზომითავს და საწყაულთა“. და, ვანსაკონრებით, იოანე დამასკელის „წყარო კოდნისაჲ.

ამ უქანასკნელს გარდა, „ექუსთა დღეთაჲ“ აქველზე მნიშვნელოვან წიგნად ითვლებოდა აღმოსავლეთის საქრისტიანოში. იგი წარმოადგენდა ბუნებათმეცნიერების ერთ-ერთ მთავარ სახელმძღვანელოს. აქად, მ. ნ. ტიხომიროვი სპეციალურად ჩერდება რუსული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში «Шестоднев»-ის მნიშვნელობაზე. აქად, მ. ნ. სპერანსკის სიტყვებით, «Шестоднев» «сообщали всевозможные данные тогдашней науки. Эти данные почерпались, главным образом, из того наследства, которое средневековой Европе осталось от античного времени, в Византии, главным образом, от Греции, Востока» (Тихомиров М. Н., Русская культура X—XVIII веков, М., 1968, 129; М. Н. Сперанский, История древней русской литературы; М., 1921, 230. შტრ. ილია აბულაძის შესავალი წერილი „ექუსთა დღეთაჲს“ მისეულ გამოცემაში).

ზემოაღნიშნული საკმარისია, რათა გვეითვალისწინოთ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ ნაწარმოებს ძველი ქართული მწერლობისა და აზროვნებისათვის.

აქედან გამომდინარე ჩვენ ვეპარაუდებით, რომ ეს თხზულება ქართულ ენაზე უნდა არსებებულიყო ადრევე, ჩვენამდე მოღწეული ქართული თარგმანის წინარე. ზემოაღნიშნული საკითხების გამო ეს ნაწარმოები უძველეს პერიოდშივე ყოფილა ნათარგმნი (ზოგიერთის აზრით, V ს-ში) სომხურად, აქვე უნდა გაეცხსენათ, რომ ადრეულ საუკუნეებში ქრისტიანულ აღმოსავლეთში გავრცელებული იყო სწავლების ერთიანი პრინციპები, რომლებიც ემყარებოდა ცნობილი ნიზიზანის სკოლის პრინციპებს (იხ. აქველამ ქართული ლიტ. ისტ. 1, გვ. 80-81). შეიძლება საგარეოდღე ისიც თქმულიყო, რომ „ექუსთა დღეთაჲს“ თარგმანი უნდა უსწრებდეს გრიგოლ ნოსელის „კაცისა ავებულებისათჳს“ თარგმანს, რამდენადაც ეს უქანასკნელი წარმოადგენს ბასილის შრომის გაგრძელებას. ნათარგმნი სომხურიდან VIII-IX სს-ში (ნ. შარა). თუმცა, როგორც იმჟამა ყოველივე ეს ზოგადი ვარაუდი, რამეღსა შეუძლია მხოლოდ საკითხის დაკავლანება.

მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი მითითებაც, რომ ბასილის ამ შრომის სხვა, ადრეული თარგმანიც უნდა არსებებულიყო. მკადველობაში გვაქვს გიორგი მთაწმინდელის ანდერძი, რომელიც მის დაწრთავს „ექუსთა დღეთაჲს“ საკუთარი თარგმანისათვის. იგი წერს: „თუ რაინომინი ღუაწლნი გუნახან ამისა თარგმანისა, იგი ღმერთმან იცის. ჩამეთუ აღურიცხელად ღრმამ არს და შეუკადრებელი. და ღმერთმან იგი პირველნიცა თარგმანი აქუ-

თხენინ, დიდად ჰელი აღმიპყრეს!“ (თ. ვოროდანი, ქრონიკები 1, გვ. 292). ჩვენ არ შეგუდგებით მოტიანი ადგილის შესახებ შეკონკრეტებაში გამოთქმული სხვადასხვა მისამართებში ნილვას და შეგებრდებით მხოლოდ ერთ მომენტზე, რომელიც ჩვენთვის საყურადღებო თვალსაზრისით არაა განახლებული.

ეს ანდერძი ეხება კონკრეტულ ბასილ დღის „ექუსთა დღეთაჲს“ და არა სხვა ავტორის ასეთივე ნაწარმოებს (მაგ., „სებერიაანე გაბალოენელის ნაშრომს, გადმოღებულს ქართულად, მისი (ქართული მწერლობის) ისტორიის ადრეულ ეტაპზე“ (ილ. აბულაძე, დასახ. წერილი, გვ. 9). მკატარე იგი არ უნდა შეეხებოდეს სხვა თარგმანს.

მაგრამ აქ ყურადღებას მივაქცევთ სხვა გააუმოვას: გიორგი ათონელის სიტყვები — „პირველნი თარგმანი“ — გულისხმობს ამ ნაწარმოების რამდენიმე მთარგმნელს. ეს გვაუქრებინებს, რომ გიორგი ათონელამდე არსებულა ამ თხზულების რამდენიმე თარგმანი. ერთი მათგანი ჩვენთვის უკვე ცნობილია. ესაა ჩვენს მიერ მოხმობილი VIII-IX სს. თარგმანი. მასშალამე, არსებობდა სხვაც, რომელიც, ჩვენს მიერ წამოყენებულ მისამართებას საფუძველზე, საფიქრებელია შესრულებული იყო უფრო ადრინდელ ხანაში. ასე გვესახება ჩვენ შინაარსი გიორგი ათონელის ანდერძის იმ სიტყვებისა, რომლებიც ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲს“ ადრინდელ მთარგმნელს შეეხება. ასეა თუ ისე, ერთი ცხადია, რომ უნდა არსებებულიყო ბასილის ამ ნაწარმოების კიდევ ერთი, დღეისათვის უცნობი თარგმანიც.

მაგრამ დღისამის კითხვასაზოგადოდ, მოსალოდნელი იყო თუ არა ერთი თხზულება ასე რამდენიმე გზის ეთარგმნათ? ეს არა თუ მოსალოდნელია, არამედ ჩვეულებრივია ძველი ქართული მთარგმნელობითი პრაქტიკისათვის, მკატარე, თუ საქმე ასეთ მნიშვნელოვან ნაწარმოებებს შეეხება (სეთივეა, მაგ., იონანე დამასკელის „წყარო კოლნისაჲს“ თარგმნის ისტორია). ამის საფუძველი ხშირად ხდებოდა თუნდაც ის, რომ ბერძნული თხზულება ადრე თარგმნილი იყო სომხურიდან და ქართული თარგმანი ირჩეპრადად დამორღობოდა დედანს (ასეთ ფაქტზე ეფერმ მცირე წერდა: „სომხურისა შეილსა და ბერძნულისა შეილის შეილსა, ნუჲჲჲ და არა უამჲველსა, თუ უმჲჲჲ და საკუთარი შეილი ადვირნიყო“).

• • •

ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲს“ გიორგი ათონელის თარგმანი XI საუკუნის 50-იან წლებს განეკუთვნება.

ამის შემდეგ, XI ს-ის გასულამდე თარგმნილი „ამბროსი მედიოლანელის ცხოვრება“ თუოფილუსა და ეფრემ მცირის მიერ, რომელიც

ოგვე ენობებს შეიცავს; მასში შევკვილია ამოვიკითხოთ (მოგვეყავს ეფრემის თარგმანით): „მეის მიიყვანა ოგი საქართველოით, რომელსა-გი სპანიალცა უწოდებენ“ (ბელნაწერი A 96, გვ. 115). ესაა, ასე ვთქვათ, ბერძნულადან ნათარგმნი უკანასკნელი ძეგლი, რომელშიაც „ესპანეთის ქართველები“ მოხსენიებიან. ამის შემდეგ ქართულ მწერლობაში არც ორიგინალურში და არც ნათარგმნიში აღარ ვხვდებოდა ეს საკითხი. აღორძინების ხანამდე (1700 წ.).

დაისმის კითხვა: რატომ არ ვხვდებოდა ეს საკითხი მომდევნო ხანის (XII-XVII სს.) ჩვენს მწერლობაში? ის ხომ ერთ-ერთი საინტერესო საკითხთაგანია უნდა ყოფილიყო ქართველებისათვის ეთნოგენეზისის თუ „ხალხთა განრიგებისა და კლასიფიკაციის“ თეოლოგიისათვის?

სხვა კონკრეტულ ფაქტორებთან ერთად ამას ჰქონდა ორი ზოგადი ხასიათის საფუძველი: 1. ნათარგმნი თხზულებებში იმიტომაც ვერ ვხვდებით ამ საკითხს, რომ საისტორიო თხზულებები ჩვენში საერთოდ ნაკლებად ითარგმნებოდა. ასეთი საკითხები კი სწორედ საისტორიო თხზულებებში შედიოდა. საისტორიო ნათარგმნი თხზულებათა „ასეთი სიმცირე არისუნება არა იმიტომ, რომ ქართველებში გემოვნება ისტორიისადმი განვითარებული არ იყო, არა იმიტომ, რომ ისინი მოკლებულნი იყვნენ ისტორიულ აღდოს. ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება წამოვიყენოთ ის უდიდესი და უმდიდრესი, მეტად მნიშვნელოვანი საზოგადოდ ისტორიული ლიტერატურითარგმნილი მათ საერთოდ, ორიგინალურად, შეუქმნიათ და რომელშიაც თავისი სამშობლოს ეკლესიურსა და პოლიტიკურ ვითარებას მოგვითხრობენ“ (კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტ., I, გვ. 500). ბერძნულიდან ნათარგმნი ავთოგრაფიული თხზულებანი კი, იშვიათად შეიცავდა ამ საკითხს. ზემოჩამოთვლილი ბერძენი ავტორების შრომები კი (იხ. ლ. მელქისედი-ბეგი) სწორედ საისტორიო ხასიათისაა. ისინი ქართულად არ ყოფილა ნათარგმნი. ქართულად ნათარგმნი ის ბერძნული შრომებიც კი, რომლებშიაც აღნიშნული ცნობები შედის, არც ერთი არაა წმინდა საისტორიო ხასიათისა. ისინი უპირატესად ეგზოტიკური თხზულებანია. და მასმასამდე, თარგმნილია არა ისტორიოგრაფიული ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ სასწავლო დანიშნულებისათვის. სასწავლო დანიშნულების ამ რიგის სახელმძღვანელოები კი ძირითადად X-XI საუკუნისათვის უკვე თარგმნილია ჩვენში .ი.ე, ერთ-ერთი საველეგებელი მიზეზი იმისა, თუ IX საუკუნის ბოლოდან და მის მომდევნო ხანებში კვლავ ახალი ძეგლები რატომ არ შემოვიდა ჩვენში, რომლებიც შეეხებოდნენ აღნიშნულ საკითხს.

2. მეორე მიზეზი, ჩვენის ფიქრით, უნდა ყო-

ფილყო აღმსარებლობითი ხასიათისა. როგორც ცნობილია, 1054 წელს საბოლოოდ გაითიშა დასავლური (ე. წ. კათალიკური) და აღმოსავლური (მართლმადიდებლური) ეკლესიები. ანტიკათოლიკური პოლემიკა გავრცელდა ჩვენშიაც (თუმცა მას არ მიუღია ისეთი ხასიათი, როგორც ბიზანტიაში ჰქონდა). უნდა ვიფიქროთ, რომ ამის შემდეგ მართლმადიდებლური ორთოდოქსალობის თეოლოგიისათვის ორიგინალურ ქართულ მწერლობაში გაფრქვითაღდა აქტიურობა დასავლეთის იბერებთან ნათესაობისა, ვითარცა კათოლიკური აღმსარებლობის მიმდევრებთან: მართლმადიდებელი ქართველების სარწმუნოებრივ პოლიტიკას ამიერკავკასიაში მათი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის აღმავლობის ემას (XI-XII ს. ს.) აღარ შეესაბამებოდა ასეთი აღმსარებლობითი ნიპირიზმი. თანაც გავიხსენოთ, რომ ეთნიკური ტერმინი „ქართველი“ აღმსარებლობით მართლმადიდებლის წინააღმდეგ გულისხმობდა. აი, ამ მიზეზების გამო ბუნებრივია, რომ ესპანეთის ქართველებთან ნათესაობის საკითხმა ორიგინალურ ქართულ მწერლობაში მომდევნო ხანებში ფეხს ვეღარ მოიკიდა.

დასკვნა: ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲს“ გიორგი ათონელის წინაღობითი თარგმანი, რომელსაც VIII-IX საუკუნეებში ათარიღებენ, ქართულ მწერლობაში შემოსულ ჩვენთვის ცნობილ ძეგლთაგან უძველესია, რომელშიაც მოხსენიებულია „დასავლეთის (ესპანეთის) ქართველები“. ეს საკითხი ადრევეც უნდა ყოფილიყო ცნობილი ქართული მწერლობისათვის. გიორგი ათონელის მიხედვით ირკვევა, რომ არსებობდა ამ ნაწარმოების კიდევ ერთი, დღეისათვის უცნობი თარგმანი.

„ესპანეთის ქართველთა“ შესახებ ცნობების გავრცელებაზე ჩვეულებრივ ლაპარაკია X საუკუნის გასულისა და მეთერთმეტის პირველი ნახევრისათვის მართლაც; ამ პერიოდზე მოსდის თითქმის უმეტესი ნაწილი ამ ძეგლებისა, რომლებიც ჩვენთვის საყურადღებო ცნობებს შეიცავს. „ესპანეთის ქართველებთან“ უშუალო დაკავშირების ინტერესიც ამ ხანას განეკუთვნება. შესაბამისად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ ამ პერიოდისაგან ვახლა საზოგადოდ ცნობილი ქართველებისათვის საკითხი ესპანეთის იბერებთან ნათესაობისა. მაგრამ ამ საკითხის შემცველ უფრო ადრინდელ თარგმნებში მითითებას და ტერმინების ისტორიულ განვითარებაზე დაკვირვებას საკითხის ისტორიაში მეტი სინათლე შეაქვს და ზოგიერთი გამოშინდარე პრობლემის გაშუქებასაც უწყობს ზე-

აღ. შოხიძე

ქართული ბრავატიკული აზრის სათავეებთან

ენათმეცნიერებაში არაფერია არაისტორიული!

ეს დებულება ახლა, სტრუქტურული ენათმეცნიერების აყვავების ეპოქაში, შეიძლება პარადოქსალად გვეჩვენოს, მაგრამ მისი უარყოფის საბუთად მაინც ვერ გამოდგება. ენათმეცნიერების ობიექტი — ენა ისეთი ფენომენია, რომელიც არაფერია, რაც არის და არ იყო, ენაში არაფერია დღევანდელი, რომელიც ამასთანავე ოცი-ოცდაათი, იქნებ ასეულობის წლების წინანდელი მაინც არ იყო. „დღევანდელი“ ენაში თავისთავად ნიშნავს „გუშინდელს“ და „გუშინწინდელს“. ამიტომ ქრონოლოგიური თვალსაზრისით წარმოუდგენლია ენის სტატიკური ვრამატკა — მისი განივი ჭრილის აღწერა, რადგან აბსოლუტურად შეუძლებელია ამ განივი ჭრილის დათარიღება, მისი შემადგენელი ნაწილების ხროვანება შეიძლება საუკუნეებთათვის გაიზოგებოდეს, ან იქნებ ათეულ წლებსაც არ ათვლიდეს.

ენას თითქოს არც ეხება დიალექტიკის ცნობილი დებულება: ერთ დინებაში ორჯერ გავლის შეუძლებლობის შესახებ — ჩვენ წლების განმავლობაში დავდივართ მდინარის ერთსა და იმავე დინებაში.

ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ ენა უცვლელი ფენომენია, რომ იგი არ ემორჩილება დიალექტიკის ცნობილ კანონს — უოველივს განვითარების შესახებ. ენაც იცვლება, როგორც ყველა და ყველაფერი, მაგრამ მისი ცვლის ტემპები და ხასიათი შეტად ნელი და თავისებურია.

მაგრამ მთავარი მაინც სხვაა: ენათმეცნიერება მხოლოდ წარსულის მეცნიერებაა. ზვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ფაქტს ენათმეცნიერული ცვლილების ისტორიიდან, რომელიც წინ უსწრებდეს საკვლევი ობიექტის წიაღში მომხ-

დარ ცვლილებებს, უფრო მეტიც, ჩვენ ზუსტად არ შეგვიძლია დავასახელოთ ენის ფენომენში მიმდინარე თანამედროვე მოვლენები, რომელთა შედეგის თუნდაც უმცირესი ნაწილის წინასწარგანჭკურება შეიძლებოდა.

ენათმეცნიერებას ამ ბოლო ხანებში ბუნების მეცნიერებებს აღარებენ იმ საბუთით, რომ ბუნების მეცნიერებათა მსგავსად, ენათმეცნიერებასაც ბევრი ზუსტად გამოყალიბებული კანონი აქვს. იქნებ ეს დებულება მართლაც იყოს ანგარიშგასაწვევი, მაგრამ მსგავსება — სწორედ აქ თავდება და იწყება განსხვავებათა უზარმაზარი უფსკრული, რაც წინასწარგანჭკურებათა შეუძლებლობის ურყევ საფუძველს უკრძნობა. ბუნების მეცნიერებათა აბსოლუტური უმარაგულობა (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ასტრონომია...), შემადგენელი უამრავი ეიწრო დარგებით, წინასწარგანჭკურებათა საფუძველზე ვითარდება; ყველა ამ მეცნიერების თეორიული ნაწილი პირველ ხანებში მხოლოდ მეცნიერული ფანტაზიაა, რის შემოწმებასაც ეთმობა ძირითადი მეცნიერული კვლევა.

ენათმეცნიერებაში კი ყველაზე უფრო მეტად მკვლევარსაც არაადრის დაებადება აზრად, თუნდაც ყველაზე უფრო გაბედული ფანტაზირების დროს, იწინასწარმეტყველოს ენის ხვალანდელი დღის თუნდაც მიკროსკოპული მხარე.

ხშირად ლამაზაკობენ ენაში განვითარების ზოგად ტენდენციებზე თუ ე. წ. უნივერსალიტეტზე. ყველაფერი ეს ზოგადად მართლაც სწორია, მაგრამ იგი მხოლოდ წარსულის ათასწლოვანი გამოცდილების დრმად შესწავლის განუზოგადება და არაფერის გვეუბნება იმის შესახებ, იმომედდებენ თუ არა ეს ზოგადი კანონები და უნივერსალიტები ხვალ (დროის შორეული მონაკვეთის თვალსაზრისით).

ენის განივი ჭრილი გეოგრაფიულ ცნებას

უფრო ჰგავს, ვიდრე — ისტორიულს, რადგან ამ განთავსებაში კრიტიკული სიყვარული სხვადასხვა ეპოქის ფაქტები ერთმანეთის გვერდით, როგორც გეოგრაფიულ რუკაზე ხშირად მოსაუბრეობაში ქალაქის გვერდით ათი წლის წინათ საფუძველ-ჩაყალიბებული ქალაქი ვხვდებით.

ამით იმის თქმა როდი გვინდა, თითქმის აღწერითი გრამატიკა შეუქმნებელია, პირიქით, იგი შესაძლებელია და აუცილებელიც. მაგრამ აღწერითი გრამატიკა ვერასოდეს ვერ მოგვცემს ენის მოცემული ქრონოლოგიური დონის ზუსტ სურათს, რადგან მასში ერთმანეთის გვერდით ერთნაირი უფლებებით ასე-ბრუნებს სრულიად სხვადასხვა ქრონოლოგიური სინამდვილის ფაქტები და არასდროს არ შეგვიძლია ვთქვათ: „დღევანდელი“, თუ ქვეცნობიერად მინდა არ ვფიქროსებთ „გუშინდელსა“ და „გუშინდელს“.

მოუხედავად ასეთი ზნაობისა, ენათმეცნიერებას საკუთარი ისტორიისათვის, შეიძლება ითქვას, ხეივანად ჯერაც არ მოუვლია. სამკალითოდ ჩვენი სინამდვილე გამოდგებოდა — არა გვაქვს ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიის თანდასრულებული მიმოხილველი სტატია, თავი რომ დავანებოთ მონოგრაფიულ შრომას.¹

ქართული გრამატიკული აზროვნების სათავეები ჯერჯერობით წყვედიანთა მოცული. ჩვენამდე არ მოღწეულა მე-18 საუკუნეზე ადრინდელი არცერთი შრომა, რომელშიც სავანეებზე იყო ლამაზი გრამატიკის საკითხებზე.

გრამატიკული ლიტერატურის უქონლობას უჩიოდა თავის დროზე ივანე ჯავახიშვილიც. რომელიც წერდა: „საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოსავალში ხელნაწერების შესწავლად შეესაძლებელია ძველ ქართველ გრამატიკოსთა და მთარგმნელების დაკვირვება აღმოაჩინოს კიდევაც და მაშინ ამ საკითხზე მსჯელობა გააძვირდეს, მაგრამ ჯერჯერობით ზურბო შანშოვანის 1737 წლისა და ანტონ კათალიკოსის 1753 და 1767 წწ.-ზე უწინააღრეს არცერთი ქართ. გრამატიკული ნაშრომი აღმოჩენილი არ არის.“²

იმის კითხვა: მე-18 საუკუნეზე ადრე ქართველებს მართლა არაფერი უკეთებიათ გრამატიკული აზროვნების სფეროში, თუ უკეთ-

¹ ჩვენს სიტყვებმარბეაში „ქართული ენათმეცნიერული აზრი“ და „ქართული გრამატიკული აზრი“, სინონიმური ცნებებია. ყოველ შემთხვევაში, ასეთი გაიგივება ჩვენი საყვარელი პერიოდიკოსთაგან (მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი) სრულიად ბუნებრივია.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937 წ., გვ. 4.

ბიათ, მაგრამ მათი კვალი ჩვენამდე არ მოღწეულა?

გრამატიკა ბერძნული სიტყვაა და დღევანდელი გრამატიკების პირველწყარო ანტიკური ხანის საბერძნეთში, კერძოდ, ალექსანდრიის სკოლის (1 საუკუნე ჩვენს წ/აღრიცხვამდე) გრამატიკოსებთან უნდა ვეძებოთ. მართალია, ძველი ინდურის (სანსკრიტის) გრამატიკა პანინმა სამი საუკუნით ადრე დაწერა და ამავე ხანებში გამოთქვა ბევრი საინტერესო მოსაზრება არისტოტელეშიც, მაგრამ, რადგან პანინის გრამატიკას საზოგადოდ გრამატიკული აზრის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია, ზოლო არისტოტელესა და სხვა ფილოსოფოსთა მოძღვრებაში ნახსენები სახე-ნიშნა და ზოგი შემდგომში მეტყველების ნაწილად სახელდება ენის ერთეული, ლოგიკისა და პოეტიკის საკითხთა გარკვევას ემსახურებოდა, გრამატიკის ისტორიას ალექსანდრიის სკოლის წარმომადგენელ დიონისე თრაკიელიდან იწყებთ. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გრამატიკა, რომელიც ბერძნული ენის ფონეტიკა-მორფოლოგიას განიხილავდა, პრაქტიკულ მიზნებს (სწორად წერასა და კითხვას) უფრო ისახავდა, ვიდრე მეცნიერულს არც სკოლაში სასწავლად იყო იგი თავდაპირველად განკუთვნილი.

მომდევნო საუკუნეებში თრაკიელის გრამატიკა ითარგმნა ლათინურად, იგი მესხიდანა და ლათინური ენის ბუნებას და დაახლოებით მეოთხე საუკუნიდან სასკოლო დისციპლინებს შორის აუცილებელ საგნად იქცა.

ამ პერიოდისა, უფრო ლათინურის ვხვითა და მეშვეობით, გრამატიკა გავრცელდა ევროპის ყველა ენაზე. თავდაპირველად იგი დიონისე თრაკიელის გრამატიკის თარგმანი უფრო იყო, ვიდრე მთარგმნელი ენის გრამატიკული ბუნების ნამდვილი ამსახველი, თუმცა დროთა განმავლობაში ყოველი ენის გრამატიკა სწორედ ამ ენის გრამატიკული წყობის გამოშატურებას გახდა.

მაგრამ რამდენადაც დიდად დამოხდა დღევანდელი გრამატიკა დიონისე თრაკიელის გრამატიკულ სისტემას, იმდენად ნაკლებ განსხვავებულია სასკოლო გრამატიკები წინამორბედი საგან.

შორს რომ არ წავიდეთ: სახელი, ზნა, ნაცვალსახელი, კავშირი, ზნისხედა და მეტყველების რიგი სხვა ნაწილი, რომლებიც ასე მკვეთრად ზის თანამედროვე სასკოლო გრამატიკებში, დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან იღებს სათავეს.

როგორც ითქვა, დიონისე თრაკიელის გრამატიკული სისტემა ლათინურის გავლენით შეიღო გერმანიაში გავრცელდა და გრამატიკა აუცილებელ სასწავლო დისციპლინად იქცა უკვე IV საუკუნიდან. თუ ამასთან ერთად იმასაც

გავითვალისწინებთ, რომ, ბერძნული წყაროების მოწმობით, სწორედ ამ პერიოდში ქალაქ ფოთის მახლობლად არსებობდა სისწავლებელი (აკადემია), რომელიც სწავლა-განათლებას თვით ბერძნებზე ღებულობდნენ და იმასაც დაეუწყებებ, რომ ამ აკადემიაში სწავლა ქართულ ენაზე იყო, მაშინ ქართული გრამატიკული აზრის ისტორია IV საუკუნიდან დაიწყებოდა. მაგრამ, რადგან ამ მხრივ კიდევ ბევრი საკითხია შესასწავლი და დასადგენი, ჩვენ თავს ვიკავებთ რაიმე ვადამართი დასკვნისაგან.

სამაგიეროდ, სრულად დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს მისასწავლება, რომ მე-10-12 საუკუნეების საქართველოში არა თუ იცნობდნენ გრამატიკულ ლიტერატურას, არამედ ჰქონდათ საკუთარიც, რასაც თუნდაც კვლავ ის ფაქტი მოწმობს, რომ ჩვენში არსებობდა გეოლოგია, იყალთოსა და გრემის აკადემიები, რომელთა ფუნქციონება აუცილებლობით მოითხოვდა გრამატიკის სწავლებას.

არსებობს პირდაპირი საბუთებიც:

1. ილარიონ მოძღვარი ათონის ივერიის მონასტრის ქართულ წიგნთა აღწერილობაში 1836 წელს წერს: „...იმავდ თავში შეტყუვლებს წმინდა ეფთვიან მთარგმნელი, ვითარმედ: „ბერძნულს ენას კეთილად მოუგვას ართონი და ქართულს ენას არ მოუგავო“.¹

ართონის (არტიკლის) ბერძნულ ენაში არსებობისა და ქართულში არარსებობის საკითხი წმინდა ენათმეცნიერული (გრამატიკული) საკითხია და ამ აზრის ავტორი ენათმეცნიერული მოვლენების ზედმიწევნით მცოდნე ჩანს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დაბეჭდვითი ვთქვათ, ექვთიმეს (ათონელის) რა სახის ნაშრომზე მიუთითებს ილარიონ მოძღვარი, სიღ ლაბარაკოს ექვთიმე ართონზე — გრამატიკული ხასიათის რომელიმე სპეციალურ ნაშრომში, თუ სხვაგან აქვს ეს აზრი გამოთქმულია.

¹ A. Цагарели, Свед..., вып. I, II, 1886 г., данართი, გვ. 3.

აღწერილობა პირველად გამოვიდა 1867 წელს პარიზში, ფრანგულ ენაზე, მ. ბრესეს თარგმანით.

ილარიონი იყო ივერთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის კარის მოძღვარი, როგორც ენობილია, თბილისიდან გაქცევის შემდეგ სოლომონი თურქეთში გადავიდა და გარდაიცვალა ქ. ტრაპიზონში 1815 წელს. ილარიონი სოლომონის გარდაცვალების შემდეგ წავიდა ათონს და იქ დაკვიდრდა.

² ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რომელიც ექვთიმე ათონელს მიეწერება, გრამატიკული ხასიათის ნაშრომი აღმოჩენილი არ არის. ცალკეულ გრამატიკულ შენიშვნებზე მიუთითებს ივ. ჯავახიშვილიც

2. მთავარი მნიშვნელობა მაინც ქართული ენათმეცნიერული აზრის უდაღწევი წარმომადგენლის, ჩვენამდე მოღწეული ნაშრომის, ქართული გრამატიკის ავტორის — ანტონ ბაგრატიონის (ანტონ I) ცნობებს ენიჭება.

იხილავს რა ანტონის ე. წ. № 1 გრამატიკის შესავალს, პროფ. ალ. ცაგარელი წერს: „ამ შესავლიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ანტონი უარყოფდა ძველ ქართულ ლიტერატურაში გრამატიკის არსებობას, მაშინ როცა თითონ იმეორებს XII საუკუნის ერთ ქართველ გრამატიკოსს — იოანე პეტრიწს — და რადგინიმე სხვას უწოდებს გრამატიკოსს“.²

ამვე აზრს იმეორებს ალ. ცაგარელი 1881 წელს გამოცემულ ზურაბ შანშიავანის გრამატიკის წინასიტყვაობაში: თავის პირველ 1731 წ. (sic) შედგენილ გრამატიკის წინასიტყვაობაში ანტონ კათალიკოსი ამბობს, რომ მას არ გუფგონია თითქოს ძველ ქართულ ლიტერატურაში არსებობდა გრამატიკა, რომ არც მთარგმნელმა მამებმა, არც გვიანდელმა მწერლებმა არ დაგვიტოვეს ჩვენ იგი“.³ ალ. ცაგარელს იქვე მოაქვს ეს შესავალიც: „წმინდა მამათა ქართველთა მთარგმნელთა მოპოვინა ღმერთმან სული თვისი და გადმოღებთა წიგნთათა იღაჟე“.

საღმთოთა წერილთა და წმიდათა მოძღვართა და ბუნებისა და ზესთა ბუნებისა წერილთა გადმითარგმანებითა რათღენიცა კმა; და ამათნი ნათარგმანებითა წერილთა მრაველნი ჰვიან ღლეინდლა დღემდე; დალათე მრავალნი აყლან ცოღვთაა ჩვენთა თვის, თხორობთა ნათესავისა უცხო ნათესავთაგან, ხოლო რომელნიცა აყლან — პოებულ არიედ იგინი წმიდასა ქალაქსა (იერუსალიმს) და წმიდასა მიის (ათონის) მონასტრისა ჩვენ ქართველთასა; გარნა ღრამამატიკით არა სადა ვისმინეთ, არც ნაშთთა წიგნთა შინა

(„თვით ის ცალკეული გრამატიკული დავიკრავებანი, რომელიც ექვთიმე და გიორგი მოაწმინდებულს, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელსა და სხვებსაც მოქოლოების თუ კიდურწერილობის სახით მოქოლებთან, არავის ამოტყრფივა“), დასას. ნაშ. გვ. 4. ამ შენიშვნებში ფასიეული ვერცხრობით არაფერი აღმოჩნდა.

¹ იგულისხმება პირველი გრამატიკა, რომელიც ანტონმა 1753 წელს დაწერა და რომელიც ქრება არ გამოქვეყნებულა 1885 წელს რ. ერისთავის მიერ გამოცემულ გრამატიკას საფუძვლად დაედო ე. წ. № 2 გრამატიკა, რომლის საბოლოო რედაქცია 1767 წელს დაუსრულებია ავტორს.

² A. Цагарели, О грам., Спб. 1873, გვ. XI.

³ მოკლე ღრამამატიკა ქართულისა ენისა ქმნული ზურაბ შანშიავანისგან 1737 წელს, 1881, გვ. XII-XIV.

შეოდ, შემდგომად აობრებისა და არცა პირველ, რათა იყოსცა ჩვენსა ზედა ენასა.¹

ამ შესავლის შემდეგ ალ. ცაგარელს და მასზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილსაც აკვირვებდა ანტონის ცნობა, რომ „...ვნებითი ჟერ არს განჩრევად უხმოისა ამის მიერ რომელსა ვ რამეთუ ესე იოანე ფილოსოფოსისგან ქმნილი კანონი არს. მავალითებრ: ჰამვად, წერვად, შეწერვად“² და ის, რომ თითონ ანტონ პირველი გრამატიკის შესავალში არსენს (ალბათ, იყალთოელს, — ა. ფ.) ეფერებს (ალბათ, მცირეს — ა. ფ.) და პეტრიწს გრამატიკოსების სახელით მოიხსენიებდა.

ამის თაობაზე ალ. ცაგარელი წერდა: „პირველი, რაც იქცევის ჩვენს ყურადღებას არის წინააღმდეგობა ანტონის სიტყვებში მის შოღვაწეობამდე ქართული გრამატიკის არსებობის თაობაზე. ჩვენ ვნახეთ, რომ ანტონი უარყოფს ძველ ქართულ ლიტერატურაში გრამატიკის არსებობას, ამასთან 288-ე პარაგრაფში ამბობს... (აქ მოტანილია ზემოთ ამოწერილი ციტატი — ა. ფ.)... მიუხედავად იმისა რომ — განავრძობს ალ. ცაგარელი — ეს წესი განუსაზღვრელი კოლოსათვის ხელოვნურია და სქოლასტიკ-გრამატიკოსის აზროვნების ნაყოფია, და რომ ასეთი ვნებითის ფორმა არ იცის ქართულში ენამ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომელიც მცდარობის მიუხედავად, ვეინჯვანებს, რომ პეტრიწის შრომა იყო საგანგებო დანაშნულების განვებამაჰვილური გრამატიკული ტრაქტატი“³.

პროფ. ალ. ცაგარელი კითხვობს: „როგორ შევეთანებოთ ეს აღგილები ანტონის ნათქვამს: „რომ, ვიყავ რა დღისს ხელით მიჩონცხებული პირველმა აღმოვაჩინე გრამატიკის კანონები“⁴. „ამას გარდა უნდა აღინიშნოს. — განავრძობს ალ. ცაგარელი, — რომ მე-17 საუკუნეშივე ქართული გრამატიკის უარყოფა ანტონს ვარკვეულად არ გამოუთქვამს; გაუგებარია, იგი უარყოფდა გრამატიკის არსებობას ძველ ლიტერატურაში საერთოდ, თუ ეს უარყოფა მხოლოდ ნათარგმნ გრამატიკებს შეეხებოდა, რომელთაც ანტონი განსაჯუთრებოთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა? თუ ეს ასეა, მაშინ წინააღმდეგობა თავისთავად ქრება, რამეთუ შეიძლება, არსებობდა პეტრიწის გრამატიკა მაგრამ არა თარგმნილი უცხო ენიდან, არამედ

ორიგინალური, ხოლო პირველ შემთხვევაში, ანუ მაშინ, თუ ანტონი საერთოდ უარყოფდა ყოველგვარი ქართული გრამატიკის არსებობას და ამავე დროს იმოწმებს ძველ გრამატიკოსებს — საიოთხო იღებს სხვაგვარი სახეს და ჩვენ ვილაშქვრებოთ ვართ, გამოვასწოროთ ან აგხსნათ ამ წინააღმდეგობის სათავე“¹.

ალ. ცაგარელი აანალიზებს ბევრ საინტერესო დეტალს ანტონის მოსაზრებაში და დაასკვნის: „ერთი სიტყვით, წინამორბედთა გრამატიკული დამსაზღვრების უარყოფა თუ დამკვირება, უეჭველია, ანტონს გამოუვლიდა გრამატიკულ ხელოვნებაზე“ თავისი შეხედულების გაზვიადებით და ტერმინების — „გრამატიკა“ და „გრამატიკოსის“ დანეული გაგებით. ერთი დამკვირებით შეიძლება ითქვას, რომ ანტონს ჰყავდა წინამორბედნი, რასაც თითონაც აღიარებს და რაც, სხვათა შორის, ჩანს იქედანაც, რომ იგი აზარტხელ იმეორებს: „ახლად შედგენილი ჩემ მიერ ახალი ღრამატიკა“, მაგრამ, რომლებიც, ალბათ, ვერ შეედრებოდნენ მის შრომებსსო“².

ვფიქრობთ, ეს ე. წ. წინააღმდეგობა გაქრებოდა, ავტორებს რომ ყურადღება მიექცათ ანტონის გრამატიკის 128, 129 და 130-ე პარაგრაფებისათვის.

როგორც ცნობილია, ანტონი ქართული გრამატიკის შედგენის დროს უცხოურ გრამატიკებს იშველიებდა. ანტონმა შესანიშნავად იცოდა, რომ უცხოური ენებისათვის ანგარიშის გაწყობა მხოლოდ ზოგადი განსაზღვრებების გადმოცემისას შეიძლებოდა: არც შესაძლებელი იყო და არც საჭირო საილუსტრაციო მასალების გადმოტანა. ამიტომ საილუსტრაციო მასალად ანტონს ან საღვთო წიგნებიდან ამოწერილი ციტატები მოჰქონდა (დედნის ზუსტი დასახელებით), ან საერო ხასიათის წიგნების მიხედული თარგმანიდან (ცვლად ზუსტი მითითებით), ან იძლეოდა პერიფრაზს (მიუთითებლად). და, ბოლოს, ხშირად თითონ თხზავდა საჭირო მასალებს.

ის ადგილი, რომელზედაც ჩვენ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ, სწორედ უკანასკნელის მაგალითს წარმოადგენს.

ანტონი იძლევა ქვემოთის განსაზღვრას და გამოყოფს მის ჯგუფებს, ერთი ჯგუფი იწოდება მიწეზობითად (მასში ერთიანდება: რამეთუ, ამისათვის, ნაცვლად...), კავშირის ამ ჯგუფებში მოცემული სიტყვების გამოყენების საილუსტრაციოდ ანტონს მოაქვს შემდეგი ტექსტი: „რამეთუ მოჩინდება არს დედა და მეშუ კეთილისა სწავლისა, ამისათვის ღირს შესწავლეთა დამოწმებლადი მოძღვართა ზელოვანთა. ნაცვლად მეფობისა, შესწავლეო დღე-

1 იქვე, გვ. XII-XIII. აქ და შემდეგაც ძველი ორთავგრაფია ყველგან ახლითაა შეცვლილი.

2 ანტონი, ღრამატიკა. თბ., 1885, გვ. 168-169.

3 გაუგებარია, ვის ეკუთვნის ეპითეტი „სქოლასტიკ-გრამატიკოსი“, ანტონს თუ პეტრიწს?

4 A. Цагарели. О грам. лит... გვ. 12.

5 იქვე.

1 იქვე.

2 იქვე, გვ. 14-15.

გვარი მოაგე მორჩილებად, ვეღარმდის იყოს ყოფი შენი სხოსასა შინა, უკეთ ზედმეფინილა სწავლულ იყო; ხელოვნებასა სრულად ნუ ჰხვალდა, არამედ ნაცვალ სიმდაბლისა (ს.ს.) მოაგე სიმდაბლი... ნუ უკე მგონო შენ, ვითარმედ შეზღვევად ხალხოთა თარგმანთა ქართლისამებრ, ენისა, ყოფად ღრამმატიკისა, მაგრამ მსტეობი, რამეთუ არცხანდა ჩვენგანთა იხილეს ესე. ნუ უკე მცირედთა მათ ფურცელთა ღრამმატიკისათა აქა და იქი, ვისგანმე ურთიერთობის მძღვენებულთა იოცნებენ რამეთუ იყოს მცა ღრამმატიკა, არამედ არა არს ნამდვილ... ოდესმე შეტყუდეს მე ჩვენთანანი არა ხაკმარებასა ღრამმატიკისასა, მაგრამ იხილონ რა წინამდებარე ესე, შეუძლო მათგან თქმად პირველი იგი ლექსნი“. და იქვე, 128-ე პარაგრაფში: „დალაჟუ მგონის უმცირებთა ხუთ ან ექვს ფურცლები იგი ღრამმატიკა ყოფად, მაგრამ უმცირებთა სცდებოდეს საცინელი“ და შემდგომ: „უკეთუშცა, საყვარელი ჩემო, სურვილიჟუ ქართლისა ღრამმატიკისა მსწავლად ვერ ხაღმე გვიხილა საცხებით აქამოდ ღრამმატიკა ქართულად შეზღვევითა წმიდათა თარგმანთა ჩვენთა, ხოლო თუშცადა მათუჟა ვინ ყოფად მსტეუის. ხოლო დალაჟუ იყოსცა, არა ესე-გვარ, აღერამცა ენაი ქართულთა უწრთველთა მწერალთა“¹.

ამ იდეოლოგიის ჩაყვრებით წაიციხვის შემდეგ, ვიქორბეთ, სრულად ზედმეტი ლაბარაკი რაიმე წინამდებეობაზე ანტონთან. იგი ამჟვარად ამბობს, რომ მთარგმნელი მამების შემდეგ გრამატიკა ნამდვილად არ შექმნილა. ხოლო ის ფრცხლებერ, რომლებიც აქა-იქ შეუკრებოთ და ერთიმეორისათვის ვადაუციოთ, არ არის ნამდვილი (სრული) გრამატიკაო, ამიტომაც მეუბნებოდნენ მე „არააკმარებასა: ღრამმატიკისასა“, მაგრამ ამ წიგნის ნახვის შემდეგ ვეღარ იტყვიანო ამას.

მასალამე:

1. მე-10-12 საუფუნებში (მთარგმნელი მამების მოღვაწეობის პერიოდში) ქართულ ენაზე გრამატიკა ვაკვებს — ეს უმეძღვლია მაგრამ ძნელია იმის მტეიცება ნათარგმნი იყო იგი, თუ — ორიგინალური.

2. ანტონის ღრამდე მოღწეულა ამ გრამატიკის ფრავმენტები („ფურცლები“), რომელთაც ანტონი გრამატიკად არ თვლიდა, თუმცა აქა-იქ იმეწმებდა მას. ეს ფრავმენტები სხვათათვისაც ყოფილა ცნობილი და ისინიც მას არხაკმარისად თვლიდნენ.

ამასთან დაეკვირვებით საინტერესოა თვითმუხრახ ბაგრატიონიდან მომდინარე ერთი ცნობა, რომლისთვისაც ჯერ ყურადღება არ მიუქცევიათ.

თემურხანის ცნობილი კატალოგის (შედგენილია 1835 წელს) „საფილოსოფოსო და საგრატიკო წიგნების“ განყოფილებაში პირველ ნაშრომად (საერთო ნომერი 224) მითითებულია „ღრამმატიკა სულ ძველი მოკლე“. მას მოსდევს გრამატიკები ანტონისა, ვაიოხის, დ. ბაგრატიონისა და სხვათა.

როცა ავტორი წერს, „სულ ძველიო“, იგულისხმება, მართლაც დიდი სიძველე, რადგან მან ძალიან კარგად იცოდა ანტონის გრამატიკის შედგენის თარიღი, და, რადგან ეს „გრამატიკა“ მოკლედ ყოფილა, იქნებ ის იყო ანტონის „ფურცლები“?²

ექვე შეიძლებაოდა დაგვემატიბინა ერთი ცნობაც.

დავით ბაგრატიონი თავისი გრამატიკის წინასიტყვაობაში, რომელიც ერთელ მეორისად მია მიმართული, წერს... „შეგებუნე ადვილ-გასაგონი ესე ძველთაგან და ახალთა ღრამმატიკათა კითხვა მოგებით მცირე ესე წიგნი“.

საინტერესოა აქ ტერმინ „ძველი“ რას გულისხმობს ავტორი. ანტონის № 1 გრამატიკას თუ რომელიმე სხვას, იქნებ თვითმუხრახის კატალოგის „სულ ძველს“ თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ დავითის გრამატიკის საგანგებო შესწავლამაც ვერაფერი მოგვცა — მასში, ანტონის გრამატიკის გარდა, (გველისხმობთ ორივე გრამატიკისა და „სამეტრესა“), სხვა რომელიმე გრამატიკის კვალი, არ აღმოჩნდა.

აი, უველაფერია, რაც ვიცით კლასიკური თუ მოამდევნო ხანის გრამატიკული აზრის შესახებ.

ერთი ცნობა, რომელიც კვლავ ანტონიდან მოდის, მე-17-18 საუფუნებებს ეხება.

№ 1 გრამატიკის წინასიტყვაობაში ანტონი მოგვეთხრობს, რომ ძველი გრამატიკა დიდ ხანს უძებნიათ ვახტანგ VI და საბა ორბელიანს, ვახტანგ ბატონიშვილსა და ბეგრ სხვისაც; მაგრამ, როცა გრამატიკის პოვნის უველა იმედი ამოუწერაეთ, მიუმართაეთ ერთი თბილისელი მოქალაქისათვის, ვინმე ზაქარიასათვის, რომელიც მათი თხოვნით შედგომია გრამატიკის თარგმნის არხილის (1647-1712) მეფობის დროს; ამ თარგმანს მისცეს სახელი „გრამატიკ“.

1 იგი პირველად ფრანგულად 1838 წელს გამოცა მ. ბროსემ პეტერბურგში; არსებობს სოლ. ოორდანისვილის ქართული ბეჭდური გამოცემაიც.

2 ამ მიზნით საგულდაგულად შეესწავლეთ ხელნაწერისაცეებში არსებული ყველა ფრავმენტ-გრამატიკა, რომ არაფერი ვთქვათ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან შრომაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს მივაკვილოთ.

1 ანტონი, გრამატიკა, გვ. 110.

კა, რომელიც სინამდვილეში არაა გრამატიკა¹.

ანტონის ამ ცნობის გარშემო საყმაოდ ვრცელი მოსაზრება აქვს გამოთქმული ალ. ცაგარელს ზ. შანშოვანის გრამატიკის შესავალში.

იგი სვამს კითხვას, ზომ არ იყო ერთი და იგივე პირი შანშოვანი და ზაქარია?

ეს საკითხი მას ინტერესებს იმასთან დაკავშირებით, რომ გააჩვეოს: იცოდა თუ არა ანტონმა შანშოვანის გრამატიკის არსებობა და იყენებდა თუ არა მას.

ასეთი კითხვის დასმა გამოუწვევია შანშოვანისა და ანტონის გრამატიკათა ტერმინოლოგიურ დამთხვევას.

მაგრამ, ვფიქრობთ, ასეთი კითხვისათვის საფუძველი არ არსებობს, რადგან: 1. როგორც თვით ალ. ცაგარელიც შენიშნავს, ანტონის ცნობით, ზაქარიას „გრამატიკა“ უთარგმნია არჩილის მეფობის ხანაში, შანშოვანის გრამატიკა კი თარგმნილია 1737 წელს, როცა არჩილი ცოცხალი არ იყო. ამიტომ ამ ავტორთა იგივეობის საკითხი მოხსნილია. 2. ანტონის გრამატიკის ვაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი ღიბი პატრივთ ეკიდება ყველას, ვესაძ ოდნევი დახმარება გაუწევია მისთვის და მიუთითებს ყველა პირზე, ვისაც რაიმე უთქვამს ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ანტონი აუცილებლად მოახსენებდა შანშოვანსაც, რომ ენახა მისი ნათარგმნი შრომა, მით უფრო, რომ ეს შრომა მის მიმავლის ვახუშტის გადაღწერია და ბიძის — ვახტანგის დაქვეითი შესრულებულია.

3. გრამატიკული ტერმინოლოგიის მსგავსება თუ ზოგჯერ დამთხვევაც კი გადამწყვეტ ფაქტორად ვერ ჩაითვლება. თუმცა ეს საკითხი ალ. ცაგარლისათვის გადაუწყვეტილი იყო, რადგან ამ იცნობდა შანშოვანის გრამატიკის წყაროს.

მაგრამ ჩვენთვის, როცა ვიცით, რომ ზურაბმა თარგმნა სიმონ ჭუღელიანის გრამატიკა² საკითხი სრულიად ნათელია: გრამატიკის ზოგადი საკითხების გადმოცემისას, რაშიც ეს „დამთხვევა“ ელინდება, სხეანაირად წარმოუდგენელიცაა, რადგან ორივე ავტორი ბევრ შემთხვევაში ახდენდა ბერძნულ-ლათინურ-სომხური ტერმინების კალკირებას, მით უმეტეს, რომ თვით სომხური გრამატიკები ტერმინოლოგიურ სხვაობას ვერ მოგვემდინენ, რადგან, ბერძნულ-რომაული გრამატიკული მოძღვრებიდან იღებდნენ სათავეს.

¹ ციტატა მოვუაქვს ალ. ცაგარელის შრომის მიხედვით.

² ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერა აღრიხილი ძეგლები, საქ. სახ. მეზ. შრომები, X, თბ., 1940.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, შანშოვანსა და ანტონს შორის დამთხვევა სრულიად უმნიშვნელოა, რასაც ამტკიცებს თვით ალ. ცაგარლის მიერ მოტანილი ანტონისა და შანშოვანის გრამატიკული ტერმინების პარალელური სია.

ამ სიაში დასახელებულია 57 ტერმინი, რომელთაგან ავტორები ერთმანეთს ემთხვევიან მხოლოდ 14 შემთხვევაში. ამათში შედის ისეთი ტერმინები, (ასო, მარცვალი, ლექსი, სიტყვა, პირი, ნათესავი...), რომლებიც სომხურშიც ბერძნულ-ლათინური სათანადო ტერმინების კალკირების გზით იყო შესული და რომელთა სხვა შესატყვისის დაძებნა სრულიად წარმოუდგენელი იყო.

ვიპოვებთ, ანტონისა და ზურაბის გრამატიკებს ამ 14-იოდ ტერმინის გარდა არაფერი აკავშირებთ და სრულიად აშკარად შეიძლება ითქვას, რომ ანტონი შანშოვანის შრომას არ იცნობდა. უფრო მეტიც, შანშოვანის ამ გრამატიკას არც არავინ იცნობდა მთარგმნელისა და ვახუშტის გარდა და, რომ ალ. ცაგარელს შემთხვევით არ გამოეცა, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში სრულიად შეუქმნეველი დარჩებოდა, რადგან მას არცერთხელ არ იხსენიებს არც ერთი ავტორი, ვისაც კი რაიმე საერთო ჰქონია გრამატიკულ აზრთან.

ამიტომ სრულიად ცხადია, ჩვენ ზ. შანშოვანის გრამატიკას ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში ვერ შევიტანთ.



ქართული გრამატიკული აზრი, ჟერხნობით, ცნობილი მასალების მიხედვით, სათავეს იღებს უდიდესი მეცნიერის, ენიციკლოპედიური ნიჭისა და განათლების მქონე ანტონ ბაგრატიონის საგრამატიკო შრომებიდან.

გრამატიკული შრომების შექმნამდე ანტონი წმინდა პრაქტიკულმა საქმიანობამ მიიყვანა.

როგორც კი 1744 წელს იგი საქართველოს კათალიკოსად დასვეს, სხვა საქმეებთან ერთად, ქართლ-კახეთის საგანმანათლებლო საქმეების მოწესრიგებას შეუდგა. მისთვის იმთავითვე ნათელი შეიქმნა, რომ იმ დროის შესაფერისი განათლებას მისაღებად, უპირველესად ყოვლისა, საჭირო იყო ევროპული ტიპის სასწავლებლები. მაგრამ საქმეს სახელმძღვანელოების უქონლობაც აბრკოლებდა. ანტონმა ხელი მოჰკიდა სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნას სახელეო სემინარიებისათვის, რომელთა გახსნაც გადაწყვეტილი ჰქონდა.

ამ გზაზე ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა 1753 წელს დაწერილი ქართული გრამატიკა, რომელსაც ჩვეულებრივ ამირველი გრამატიკის¹ სახელით ვიცნობთ. ამ გრამატიკის შედგენის პრინციპი, როგორც თვით ანტონიუ მიუთითებს, ძირითადად ლათინური და სომხური გრამატიკებიდანაა აღებული. თუმცა, როცა საქმე ამა თუ იმ ზოგადი გრამატიკული კატეგორიების მიხედვით საილუსტრაციო მასალის შერჩევასა და განლაგებაზე მივდგება, უფრო სწორად, როცა საქმე კერძოდ ქართული ენის გრამატიკას ეხება, ანტონი ამსოლდერად დამოუკიდებლად მსჯელობს და ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში პოულობს ისეთ ნივთიერებს, რომელთა ანალოგიც სახელიად უცნობი იყო საორიენტაციო ენების წყობისათვის.

ანტონის პირველი გრამატიკა არ დაბეჭდილა. ეს გრამატიკა სამი ნაწილსაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია მეტყველების ნაწილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, წმინდა მოწოდებებითი მხარე (სახელია ბრუნება, ზმნის უღლება და მეტყველების ნაწილია, რამდენადაც მოსახერხებელია, ფორმალური დახასიათება); მეორე ნაწილში იგივე მეტყველების ნაწილები განიხილება იან ფორმალურად და ფუნქციურად. აქვეა გრამატიკის სავსე და მისი ნაწილებად დაყოფის შესახებ მსჯელობა; მესამე ნაწილში ლაპარაკია სიტყვათა ურთიერთშეწყობის წესებსა და მეთოდებზე, რაც სინტაქსის სავსე ქმნიდა; შრომა მთავრდება „დამატებით“, რომელშიაც განიხილულია ორთოგრაფია-ორთოეპიისა და პუნქტუაციის საკითხები, რა თქმა უნდა, არა დღევანდელი გაგებით.

პირველსა და მეორე ნაწილს შორის ჩართული იყო ე. წ. „სიმეტრე“ — კითხვა-პასუხების წესით დაწერილი. მასში მეტად მოკლედ იყო გადმოცემული მთელი გრამატიკა მოსწავლეთათვის საზებრიოდ.

როგორც აღ. ცაგარელი ფიქრობდა, „სიმეტრე“ უნდა შექმნილიყო პირველ გრამატიკასთან ერთად და იგი იმთავითვე უნდა ხლებოდა მას. ამ აზრის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ პირველი გრამატიკის ყველა ზღნაწერის ფუნქციური შემადგენელი ნაწილია იგი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს „სიმეტრეს“ რამდენიმე ცალკე ზღნაწერიც.

1767 წელს, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, ანტონი წერს მეორე გრამატიკას, რომელიც 1885 წელს რ. ერისთავის მიერ დაბეჭდილი ტიპეტის დედანს წარმოადგენს და რომელიც გახდა ძირითადი წყარო შემდგომი გრამატიკებისათვის. ეს გრამატიკა ათეული წლე-

ბის განმეგობრებაში ერთადერთი სახელმძღვანელო იყო სემინარიისათვის, ამავე გრამატიკით ასწავლიდნენ მსურველთა კერძო პირებიც.² მეორე გრამატიკა უდიდესი მნიშვნელობის ენათმეცნიერული ნაშრომია. იგი დაიწერა მის შემდეგ, რაც ავტორმა ლათინურის და სომხურის გარდა, შეისწავლა და გაითვალისწინა ბერძნული, ფრანგული, ფრანგული, იტალიური და რუსული ენების გრამატიკები და მათი თავისებურებები.

ამ გრამატიკაში ავტორი არავითარ ექსპლემტაზესა ავტორებს და ასწორებს პირველ გრამატიკაში დაშვებულ შეცდომებს. ამავე გრამატიკაში მას, ევროპული ფილოსოფიური და ლოგიკური მოძღვრების გაცნობის შედეგად, შემოაქვს ბევრი ისეთი ცნებები და გამსაზღვრებები, რითაც უსწრებს წინ მისდროინდელ ენათმეცნიერულ აზროვნებას საერთოდ.

ანტონის შემდეგ პირველი ავტორი საგრამატიკო შრომისა ვახლდათ მისივე მოწაფე და უახლოესი თანამებრძოლი (განსაკუთრებით გაწოდების ფრონტზე) თელავის სემინარიის პირველი რექტორი — ვაიოხი.

ვაიოხის გრამატიკა დაიწერა 1789 წელს, პირველად ფარგლებს გარეთ, კრემენჩუგში, სიდაც მანინ მისი ავტორი იმყოფებოდა. დაბლობით ათი წლის შემდეგ, კვლავ საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქ. მოზოკში, აღამამად-ბანის შემოსვლის შემდეგ იქ გადატანილ ქართულ სტამბაში, დაბეჭდა ეს გრამატიკა ხუცური შრიფტით და იყო ერთადერთი ნაბეჭდი ქართული გრამატიკა ქართულად და ქართველთა ავტორობით მე-19 საუკუნის 20-იან წლებამდე.

თამაზად შეიძლება ითქვას, რომ ვაიოხის გრამატიკა აგებულია იან კონსტრუქციით, ზოგ გრამატიკულ კატეგორიათა თავისებური გაგებით ერთი ყველაზე უკეთესი ნაშრომია იმ გრა-

1 ი. ქართველიშვილი „მემუარებში“ წერს, რომ 1791 წელს გადაწერილ სამეცნიერო წიგნებს დავეუფლებოდი და დაჭმარებისათვის კითხვით ანტონი II მივმართე. მან „მიმადარა ერისთვის შეილსა არხიმანდრიტსა თვისსა იარლამს, კაცსა ფრიად მეცნიერსა, აშან უკვე მაწყებინა კითხვა ღრამატიკისა“ (ი. ქართველიშვილის მემუარები, ავთ. იოსელიანის რედაქციით. თბ., 1952, გვ. 8).

2 ელ. ნიკოლაიშვილი. ვაიოხი რექტორის ქართული გრამატიკა, მცენე, 1966 წელი, № 4; აგრეთვე, ვაიოხი რექტორი, ქართული გრამატიკა, თბ., 1970 წ. ელ. ნიკოლაიშვილის შესავალი წერილი, გვ. 13-18.

მატიკებს შორის, რომლებიც ანტონის უშუალო გუგუნით შეიქმნა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გაიზარა ვერ გაიზარა ანტონის მოძღვრებიდან ზოგი მებრძოლი მნიშვნელოვანი ადგილი და სრულიად გამოტოვა იგი, გამარტივების მიზნით გვერდი აუარა ბევრ საკუთარ დებულებას, რითაც თავისი შრომა მეცნიერულად გააღარიბა.

ამიტომ სრულიად დაუსაბუთებლად გვეჩვენება აზრი იმის თაობაზე, თითქოს ანტონისა და მისი სკოლის მიმართ არსებობდა რაღაც განსაკუთრებული შიში და შოკისაღება, რაც იწვევდა მათდამი ბრმა და მიზანძვას. განსაკუთრებით ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ანტონი კათალიკოსი იყო და მის ხელთ იყო ძალაუფლება, ამის გამო თითქოს ვერაფერს ბედავდა მისი მოსახრებების წინააღმდეგ წასვლა.

არცერთ სხვა გრამატიკოსს, თვით სოლომონ დოდაშვილისა და პლატონ იოსელიანის ჩათვლით, იმდენი ცვლილება და სიახლე არ შეუტანია ანტონის გრამატიკულ ნააზრევში, რამდენიც გაიზარა შეიტანა და სრულიად გაუგებარია საღვთის წიგნი, რომელიც თითქმის და ანტონის პიროვნების წინაშე ჰქონდათ — გაიზარა ხომ, იგულისხმება, ანტონის სიცოცხლეში მუშაობდა გრამატიკაზე?

როგორც ხაზს, იმში და მორიდება არაფერ შეაშინა შემდგომი დროის გრამატიკოსებს და საერთოდ ანტონის მიმბაძვლებს არ ჰყოფნიდათ მეცნიერული ძალა და შემართება, რომელიც აბლის ძიებნისთვისაა საჭირო. ბევრი მათგანი უბრალოდ გადაიწერას ამჟამინებზე, რადგან ვერ ახერხებდა კრიტიკულად აეთვისებინა დიდი წინაპრის ნააზრევი.

თითქმის გაიზარა გრამატიკოსი პარალელურად დაიწერა ქართული გრამატიკა თბილისში (1790 წელს) დავით ბაგრატიონმა — გიორგი XII უფროსმა დავამ და ტახტის მემკვიდრემ.

შრომის შექმნის მიზეზად ავტორი ასაზელებს იმ გარემოებას, რომ: გრამატიკა სიბრძნის კარი და საფუძველია, მისი დაუფლება აუცილებელია ყოველი ქართველისათვის, მაგრამ, რადგან, ამჟამად შექმნილი ვითარების

1 ამ ორ გრამატიკოსს საგანგებოდ იმიტომ ვახსენებთ, რომ მათ განათლება რუსეთში მიიღეს და ყველაზე მეტი შესაძლებლობა სწორედ მათ ჰქონდათ ცვლილებების შეტანათ ანტონის გრამატიკაში.

2 როგორც ცნობილია, გაიზარა გრამატიკა დაიწერა 1789 წელს, ანტონი კი მხოლოდ ერთი წლის წინ გარდაიცვალა. ამის გარდა, არსებობს ცნობა, რომლის მიხედვით, გაიზარა გრამატიკა დათარგმნებული ჰქონდა 1785 წელს (ელ. ნიკოლაშვილი, გაიზარა რექტორის გრამატიკა, გვ. 18).

გამო, ჩვენი ერთი მოუძღვრელია და არაფერ არის თავისუფალ მეცნიერებასა და კვლევას დაუფლებული, მე მოვიდეთ ბელაშვილი. ეს გრამატიკა წარმოადგენს ანტონის „სიმეტრისა“ და გრამატიკების ძირითად დებულებათა შეუცვლელად გამოყოფის თავისებურ მხარეებს.

იგი „სიმეტრის“ მსგავსად კითხვა-პასუხების პრინციპზე აგებული და ბევრ ადგილას, სადაც ამის შესაძლებლობა იყო, სიტყვა-სიტყვით იმეორებს „სიმეტრის“ განსაზღვრებებს. სხვაგან მას ანტონის გრამატიკების (განსაკუთრებით მეორე გრამატიკის) დებულებების ოდნავ შემოკლებული დარჩენები მოუყვია. ის სიახლე, რომელიც ამ გრამატიკაში არის — განსაზღვრებათა ფილოსოფიური გააზრება (პარაფრაზის ფინიციელისაგან მომდინარე) — უფრო ამცირებს ამ შრომის ხარისხს.

მიუხედავად ამისა, დავით ბაგრატიონის ამ შრომას ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში უკეთესად არ ჩაუვლია. მას ემყარება ძირითადად ავტორის მძინ-თანვე ბაგრატიონის ორივე გრამატიკა, რომელთაგან პირველი — „კალმასობის“ გრამატიკული ნაწილი — ქრონოლოგიურადაც წინ უსწრებს, ალბათ სხვა ავტორთა გრამატიკებს, ხოლო, მეორე, ცალკე შექმნილი გრამატიკა, რომელიც მხოლოდ ხელნაწერის სახით არსებობს, დაიწერა 1829 წელს პეტერბურგში.

დავითის ამ გრამატიკას იქნებ მარი ბროსეც იყენებდა პარიზში გამოქვეყნებულ ქართული ენის გრამატიკის შექმნისას (მ. ბროსეს შრომა დაიბეჭდა 1834 წელს, დავითის შრომა კი მას ხელთ ჰქონდა უკვე 1832 წელს), თუმცა, თვითონ მ. ბროსეს თქმით, მას შრომა უფრო

1 ჩვენი „კალმასობის“ გრამატიკულ ნაწილსაც ცალკე გრამატიკად ვთვლით და პირველი გრამატიკის სახელწოდებით აღვნიშნავთ. ამის საფუძველს, რა თქმა უნდა, თვითონ შრომის ხასიათი იძლევა: იგი სრულიად დამთავრებული გრამატიკაა, ყველა შემადგენელი ნაწილით, უფრო მეტიც, იგი ორი გრამატიკის — გაიზარა და დავითის გრამატიკების — საყრდენი დაფუძნებული იქნა და მოუტოვობათა, ანტონის გრამატიკის შემდეგ, ყველა იმ გრამატიკულ შრომაზე დიდია, რომლებიც მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე გამოქვეყნებული (ნაბეჭდი 120 გვერდი).

2 ალბათ, ვამბობთ იმიტომ, რომ ზუსტად არ ხერხდება დადგენა „კალმასობის“ სხვადასხვა ნაწილის დაწერის თარიღისა. მართალია, გრამატიკა იმეთ მასალებზეა მოთავსებული, რომ იგი 1798-1800 წლების ფარგლებში უნდა დაწერილიყო, მაგრამ გადაჭრით რისიმე თქმა ვერ მინც შეუძლებელია.

ოდრე დაუწერია, ვიდრე ანტონის და დავითის გრამატიკებს გაეცნობოდა.

იოანეს პირველი გრამატიკის შესახებ ეურონალ „ცისკრის“ გასული წლის მე-8 ნომერში გამოქვეყნდა დოკუმენტი კოტინოვას წერილი, რომელშიაც სრულიად სწორადაა აღნიშნული იოანეზე ანტონისა და დავითის გავლენა, მაგრამ სტატიის ავტორს მხედველობიდან გამოკრჩენია დავითის გავლენა. ჩვენ დიდასტურებული გვაქვს, რომ იოანე ალგ-ალაგ პირდაპირ სიტყვასიტყვით იწერს სწორედ დავითის გრამატიკიდან.

როცა ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით 1802 წელს პეტერბურგში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ რუსულ ენაზე დაბეჭდულ მოკლე ქართულ გრამატიკას, რომლის ავტორი არქიბისკოპოსი, შემდგომში საქართველოს პატრიარქი, ვარლამ ერისთავი იყო. წიგნი დაწერილია ანტონის გრამატიკის დებულებებზე დაყრდნობით, გათვალისწინებული არსებული გრამატიკული ლიტერატურის მონაცემებით.

როგორც ცნობილია, 1804 წელს თბილისში გაიხსნა საეპიტლოზობილო სასწავლებელი. ამ სასწავლებელში ქართული ენის პირველ მასწავლებლად მოიწვიეს მცხეთის საკათედროლო ტაძრის პროტომთა იოანე ქართველიშვილი, რომელიც, სავარაუდოდ ხელოვნებას ვარლამ არქიპანდოვიტან ეუფლებოდა.

პირველ წლებში გრამატიკას იგი დავითის წიგნით ასწავლიდა, 1809 წელს კი იოანეს თვითონ შეუდგენია ქართული გრამატიკა. უფრო მოგვიანებით, ალბათ, 1812-13 წლებში მოუცია ამ გრამატიკის ახალი რედაქცია, რომელიც საფუძვლად დასდებია 1817 წელს ხუცურად დაბეჭდილ ანონიმურ გრამატიკას.

ამ გრამატიკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ჭერ-ჭერობით ერთი სიტყვაც არ თქმულა.

ჩვენს ხელნაწერსავეებში მოიპოვება იოანე ქართველიშვილის გრამატიკის ორივე რედაქციის ერთნაზეკარ ათეულამდე ხელნაწერი, რომელთა ძირფესვიანმა შესწავლამ და ნაბეჭდ გრამატიკასთან შედარებითამ მოგვეყვანა ამ დასკვნამდე, რომ ეს შრომა, დავითის გრამატიკის შემდეგ, პირველი შრომაა, რომელმაც ახალი ეტაპი შექმნა ქართული გრამატიკული აზრის ისტორიაში.

იოანე ქართველიშვილი ითვალსწინებს ანტონისა და დავითის გრამატიკების თითქმის ყველა ძირითად დადებით მხარეს, უხამებს მას, როგორც თვითონ ამბობს, რუსულ სავარაუდ ტიპო ლიტერატურის პრინციპებს (ქირილად დასახელებული თვალსაზრისით) და ეტად საუბრობდნენ ნაშრომს გვაწვდის.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ

ზემოხსენებულ ანონიმურ გრამატიკას, რომლის მეორე გამოცემა 1826 წელს უნდა გაიცემულიყო, დღემდე, შეცხრამით უკნეს ჩუბინაშვილს მიაწერდნენ.

საქიბის უთვლელბრძენმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ, თუ იესე ჩუბინაშვილმა ამ შრომაში რაიმე მონაწილეობა მიიღო, ეს მონაწილეობა რედაქტორის როლს არ გაცხილებია, ამიტომ ეს ვრამატიკა „ქართულ წიგნში“ და სათანადო ბიბლიოთეკის კატალოგებშიც სრულიად სამართლიანად აღწერილია იოანე ქართველიშვილზე.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ კიდევ ერთ ნაბეჭდ შრომას, რომელიც დღემდე რატომაცაა ქართული ენის გრამატიკათა შორის განიხილება. ლაპარაკია გოდერძი ფირალოვის (ფირალიშვილის) „თეთიმასწავლებლებზე“ (დაბეჭდა 1820 წელს ქ. პეტერბურგში).

გ. ფირალოვი, აღ. ცაგარლის ენობით, გიორგი მეცამეტის მდივანი ყოფილა, ამ უკანასკნელის სამეფო ტახტზე ასვლამდე, მაგრამ, როგორც „კალმასობაში“ ვკითხვლობთ, იგი სასახლის კარის მოხელეთა შორის გამო, დაუთხოვიათ და რუსეთში გადასულა.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე იგი რუსეთში ჩანს და „თეთიმასწავლებლის“ ვარდა სალიტერატურო შრომებში შეუქმნია.

„თეთიმასწავლებლის“ სრული სათაური ასეთია: „თეთიმასწავლებელი, რომელი ბაჟრობს თვის შორის ღრამატიკასა, ზნეობის სწავლასა, საუბარსა და ლექსიკონს რუსულსა და ქართულსა ენასა ზედა. შეთხზული მასაჟრებელსა სახელმწიფოსა კოლეგიასა შინა უცხოის მხრისათა, ნავთორის სოვეტნიკის და კავალერის გოდერძი ფირალოვისაგან — პეტერბურგში 1820 წელს“. ასეთივე სათაური აქვს წიგნს რუსულ ენაზეცა.

როგორც აღ. ცაგარელი შენიშნავს, „წიგნი იწვეება „წინასიტყვაობით“, რომელიც დაწერილია რუსულ და ქართულ ენებზე. შემდეგ შოლის ორ სვეტად პარალელური რუსული და ქართული გრამატიკა, სასაუბრო, ზნეობა სწავლა და ლექსიკონი. ყველაფერი ეს გადმოცემულია სიტყვა-სიტყვითი ქართული თარგმანით, რომელიც ხშირად უზუსტო და ვაუგამბარია“.

ერთი სიტყვით, „სასაუბროს“ ყველა გომპონენტი დაწერილია რუსულ ენაზე და შემდეგ მოცემულია მისი ქართული თარგმანი იმის გა-

1. ნ. აბესაძე, მასალები ერთი ნაბეჭდი ქართული გრამატიკის ავტორის საქიბისათვის მიხედვით, 1967 წ. № 1. ჩვენ იოანე ქართველიშვილის გრამატიკაზე და მის ავტორზე მოხსენიებული გვაქვს ვრცელად გამოყენება, რომელიც უახლოეს ხანში დაიბეჭდება.

² A. Цагарели, О грамм..., გვ. 41.

მა, რა თქმა უნდა, სრულიად გაუმართლებელია მისი განხილვა იმ ლიტერატურაში, რომელიც ქართული ენის გრამატიკებს ეხება, მით უფრო, რომ ქართული თარგმანი შეტად სუსტია. ილ. ცაგარელს მოაქვს ერთი შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ თარგმნის ფირალაოვი რუსულ ფრაზეოლოგიურ შესატყვისებს — „ია ვამ ვესმა ობიაზან“ — „მე თქვენდამი ფრიად შეტრული ვარ“. ეს თარგმანი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ამ „თვითმისწავლებელი“ რუსულის სწავლა შეუძლებელია, თორემ ქართული რა მოსატანია.

ილ. ცაგარელი მიუთითებდა, რომ ამ წიგნში „ქართული ენის გრამატიკის არაერთი ყურადღება არ ექცევა, მხოლოდ აქა-ამ აღნიშნავს ავტორი ზოგ რამზე თითქოს არც თუ დიდ განსხვავებას რუსული გრამატიკიდან და იმასაც შენიშნავს“.

თი ერთი მაგალითი ასეთი შენიშვნისა: „ქართულსა ღრამატიკასა შინა მიმობრძია სახელისა არა არს განსაზღვრებულად ვითარცა რუსულსა ენასა ზედა; არამედ ზოგადად ყოველი სახელი დასრულებულია ჭაოსა ზედა ზოვანსა ანუ უხმისა თვისისაებრ ქართულსა ენისა იბრუნეიან ბრუნვისამებრ“ — განმარტებაც ამას ჰქვიაო, შენიშნავს ილ. ცაგარელი. სხვაგან ფირალაოვი გვამწვდისო, „ერთიარცა ნაცუალსახელებისათვის თქმულ არს, რომელ ქართულსა ენასა ზედა ნათესავი არს არი, ე. ი. საზოგადო და მამრობითი, ეგრეთვე ზმნათა თვის ნამყოთა გულისხმისყოფიან ჯერ არს... ქართულსა ღრამატიკასა შინა თუმცა მიმობრძია ზმნათი დაბოლავებათა თვისთა ირიტებთან შევად, ვარნა ვინათგან იგინი თანახმად არიან რუსულსა თანა ამისათვის შევრაცე მეტად მოსხვენება მათი“¹.

ველაფერი ეს ალ. ცაგარელმა იცის და მისი დასკვნაც შესაფერისია: „მისი შრომა სხვა არა არის რა, თუ არა რუსული გრამატიკული კატეგორიების ზოგადი განსაზღვრებების გადმოცემა. რუსული ბრუნებისა და უღლების მოკლე მიმოხილვა, ზოგჯერ ქართულ გრამატიკაზედაც მიითვებით“ (გვ. 43).

და ვველაფერი ამის შემდეგ, ვიმეორებო, სრულიად გაუგებარია ამ „თვითმისწავლებლის“ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურის სიაში შეტანა.

თუმცა იმც უნდა ითქვას, რომ ამ შრომის სათანადო განაწილი თვითონ ალ. ცაგარელმა გამოტანა, რაც არ იქნა გათვალისწინებული შემდგომში და ძალიან ხშირად ახლაც, როცა სურთ რომელიმე გრამატიკული კატეგორიის შესახებ ძველი ავტორების აზრიც გადმოგვცენ, სხვებთან ერთად, გ. ფირალაოვისაც მოიხსენებენ ხოლმე, მას კი ეს არ დაუბახუბრებია.

ერთადერთი, რაც ამ წიგნში აღნიშვნის ღირსია, არის ის, რომ გრამატიკული ტერმინი „ლექსი“ უმეტეს წილად შეცვლილია „სიტყვა“ ტერმინით და ლექსიციონშიც „სლოვა“ თარგმნილია ტერმინად „სიტყვა“.

1830 წელს დაიბეჭდა სოლომონ დოდაშვილის გრამატიკა, რომელიც ხელნაწერის სახით ქერ კიდევ 1827 წელს უნდა ყოფილიყო გამზადებული. ეს გრამატიკა ძირითადად იმეორებს იოანე ქართველიშვილის გრამატიკის მეორე რედაქციას.

სოლომონ დოდაშვილის გრამატიკას ეყრდნობა (ამიტომ კვლავ იოანე ქართველიშვილის მოსაზრებებს იმეორებს) პლატონ იოსელიანის გრამატიკაც, რომელიც დაიბეჭდა 1841 წელს¹. თუმცა ხელნაწერი ორი წლით ადრე უნდა გამოზადებინა ავტორს, რომლის რუსული თარგმანი (ქართულთან ერთად) დაბეჭდვის ნებართვისათვის გადაუცია საქართველოს მაშინდელ ეგზარქოს ევგენისათვის, ამ გრამატიკის რუსული თარგმანის ხელნაწერი ინახება გ. კეკელიძის სახელობის თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ნეკრი ხელნაწერების ინსტიტუტში ინახება კიდევ სამი ხელნაწერი გრამატიკა, რომელთა გვერდის ავლაც შეუძლებელია.

ერთ-ერთი მათგანი შედგენილია 1818 წელს ნიკო დადიანის მიერ. იგი პატარა ფორმატის ქაღალდზე წერილი მხედრული შრიფტით დაწერილი შრომაა და ანტონის გრამატიკის მეტად გულმოდგინედ გაკეთებულ კონსპექტს წარმოადგენს.

ოთხი წლის შემდეგ, 1822 წელსა დაწერილი გრამატიკა — s243, რომელიც ხელნაწერთა აღწერილობაში ანტონის გრამატიკის ალექსანდრე ჩიქოვანის მიერ გადამწერილ ეგზემპლარადია მიჩნეული. ნ. აბესაძე ამ გრამატიკას ი. ქართველიშვილის გრამატიკის რიგისად მიიჩნევს. ალ. ჩიქოვანს კი გადაწერად გულისხმობს.

ზინაძევილში, გრამატიკა, როგორც ჩანს, თვითონ ალ. ჩიქოვანის შედგენილია, ანტონისა და იოანე ქართველიშვილის გრამატიკების დებულებებზე დაყრდნობით — შეცდომების საფუძველიც ეს ვაშხდარა.

კიდევ ერთი საინტერესო გრამატიკაა თბილისის ხელნაწერების ინსტიტუტში — s 3726. ავი მხოლოდ მორფოლოგიას შეიცავს და მეტად გონივრულმაგნილორი და სკიმის ცოდნით გაკეთებულ კომპილაციას ანტონისა და ვაოლის გრამატიკებისა. სამწუხაროდ, არ მოხერხდა დადგენა არც ავტორისა და არც შრომის შედგენის თარიღისა. ჩვენ მიმოვიხილეთ ქართული გრამატიკუ-

1 ამევე გრამატიკაში ასახა თითქმის ყველა დებულება, რომლებიც ნიკო ჩიქოვანიშვილის „ქართული ლექსიციონის“ წინასიტყვაობაში იყო მოცემული.

¹ ალ. ცაგარელი, დას. შრომა, გვ. 42.

ლი აზრის ჩასახვისა და განვითარების გზები XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე.

აქვე საჭიროდ ეთვლი, შეითხველს მივაწოდოთ რიოდე განმარტება: წერილის პირველი ნახევარი, რომელშიაც მიმოხილულია ანტონ ბავარიონის მოღვაწეობამდელი გრამატიკული აზრი, სრულია და იგი ითვისწინებს დღემდე გამოყენებულ ყველა ცნობას. რაც შეეხება ანტონისა და მისი შემდგომროინდელი გრამატიკოსების მოღვაწეობის განალიზება-შეფასებას, აქ ჩვენი სტატია მხოლოდ ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის პრეტენზიის მქონე თუ იქნება, რადგან ამ საკითხის სრულად და საფუძვლიანად შესწავლისათვის სქელტანიანი მონოგრაფია თუ მონოგრაფიებია საჭირო და ერთ საეურნალო წერილში მისი მოთავსება წარმოუდგენელია.

როგორც ვხედავთ, ქართული გრამატიკული აზრი სათავეს იღებს დიდი ქართველი მთარგმნის — ანტონ ბავარიონის ფუძემდებლური შრომიდან.

ანტონის გაელენა ქართულ გრამატიკულ აზრზე შემდეგაც არ შენელებულა. რაც შეეხება გრამატიკულ ტერმინოლოგიას, იგი ანტონის მთლიანად ანტონის შექმნილი და შემკულია.

როცა ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის შექმნის საქმეში ანტონის დამსახურებაზე ვმსჯელობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ლაპარაკია არა ერთ და ორ ტერმინზე, თუნდაც ერთ და ორ ათეულზე, არამედ ტერმინთა მთელს ერთობლიობაზე. ანტონმა ფაქტიურად შექმნა არა მხოლოდ მანამდე არასებულები მეცნიერული შრომა ქართული ენის გრამატიკული წყობის შესახებ, არამედ ამ მეცნიერების ენაც და, თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ ამ ტერმინთაგან თითქმის არცერთი არ იყო საბას „სიტყვის კონაში“, ნათლად წარმოგვიდგება მისი უზარმაზარი ღვაწლი ქართული მეცნიერების წინაშე ზოგადად და ენათმეცნიერების წინაშე კერძოდ.



ფანის 80 ქვე.

ИНДЕКС
76128

04106040
20240101000

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ